



ქეთევან გიგაშვილი

ქეთევან გიგაშვილი

კოდის გადართვა და მისი  
სტრუქტურულ-ფუნქციური  
მახასიათებლები  
წოვათუშურ-ქართული  
ბილინგვური დისკურსის  
მიხედვით

# ქეთევან გიგაშვილი

კოდის გადართვა

და

მისი სტრუქტურულ-ფუნქციური მახასიათებლები

წოგათუმურ-ქართული

ბილინგვური დისკურსის მიხედვით

გამომცემლობა „საარი“

თბილისი 2016

უაკ (UDC) 811.351.41

გ-472



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი  
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Iakob Gogebashvili Telavi State University

მონოგრაფია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი FR/397/2 – 120/12). მასში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The monograph is published by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation (Grant FR/397/2 – 120/12). All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

უფასო გამოცემა

**რედაქტორი:** მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ)  
პროფესორ-ემერიტუსი **კაროლ მაიერს-სკოტონი**

**რეცენზენტები:** მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორ-ემერიტუსი **ანა ლესლი მილროი**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**მაყვალა მიქელაძე**

© ქ. გიგაშვილი 2016

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „საარი“, 2016

თბილისი, თევდორე მდვდლის 57; ☎: 2-35-12-23, 5(77) 50 62 27

E-mail: [saari.ltd@gmail.com](mailto:saari.ltd@gmail.com)

ISBN 978-9941-461-24-8

Ketevan Gigashvili

Code Switching  
and  
its Structural-Functional Features  
according to Tsovatush-Georgian  
Bilingual Discourse

**Publishing House “Saari”**

**Tbilisi 2016**

უკ (UDC) 811.351.41

გ-472

**Editor – Carol Myers-Scotton – Professor Emerita of  
Michigan State University (USA)**

**Reviewers – Ann Lesley Milroy – Professor Emerita of  
Michigan State University (USA)**

**Makvala Mikeladze – Doctor of Philological  
Sciences, Professor**

© K. Gigashvili 2016

Publishing House “Saari”

57, Tevdore Mgvdeli street, Tbilisi, Georgia ☎: 2351223, 5 (77) 50 62 27

E-mail: saari.ltd@gmail.com

ISBN 978-9941-461-24-8

ვუძღვნი დედას, ნინელი გიგაშვილს,  
ჩემს პირველ და შეუცვლელ მასწავლებელს,  
ვინც სიკეთის, სწავლისა და შრომის ფასი მასწავლა.

„...მატალე, ცოტა კიდევ მატალე,  
დაგკრიფო შენი მსგავსი ვარდები,  
ხელს ნუ ჩაიქნევ, შენ გენაცვალე,  
თორემ წავალ და გაესიზმარდები!..“  
(ჯანსუღ ჩარკვიანი)

„დომინანტური ჯგუფები ეყრდნობიან ენის არჩევანის ნორმებს, რათა შეინარჩუნონ სიმბოლური ბატონობა, მაშინ როცა დაქვემდებარებულმა ჯგუფებმა შეიძლება გამოიყენონ კოდის გადართვა, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ, ან ხელახლა განსაზღვრონ სიმბოლური რესურსების ღირებულება ლინგვისტურ სივრცეში“ (Heller).

„კოდის გადართვა ყოველთვის არის შეხსენება ადრესატისთვის, რომ მოსაუბრეს აქვს მრავალრიცხოვანი იდენტობა, ასოცირებული თითოეულ ლინგვისტურ სახესხვაობასთან“ (Myers-Scotton).

„მოსაუბრეებს შეუძლიათ გადაერთონ სწრაფად ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ ნებისმიერ მოცემულ მომენტში ისინი საუბრობენ მხოლოდ ერთზე, მაშინაც კი, როდესაც მიმართავენ მეორეს დასახმარებლად“ (Haugen).

„კოდის გადართვა თავისთავად, შესაძლოა, არის არა იმდენად ლინგვისტური ფენომენი, რამდენადაც უფრო ფსიქოლოგიური და მისი მიზეზები ცხადად ექსტრალინგვისტურია... თავად ბილინგვიზმი კი ლინგვისტოა დიდ ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც ის არის პირობა ენებს შორის ინტერფერენციისათვის“ (Vogt).

„ინდივიდს, რომელიც ფლობს ორ ენას თანაბრად კარგად, შეუძლია ძალიან მარტივად გადავიდეს ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ წინადადების კონსტრუქციის ფარგლებში ყოველთვის იქნება ერთი ენა, რომელიც წარმოადგენს რეალურ საყრდენს, ბაზას, მეორე კი თამაშობს მეორეულ როლს, თუმცა მეტ-ნაკლებად ისიც შეიძლება იყოს მამოლდობის ცენტრი“ (Paul).

„ვომაც ვაშნრ ვროვბალათხ... ხორცეული ... ღითხონ გარდ ...აი, მეც აღარ იმას ვშერები, სუ ქართულად ვლოპარაკობ, კაცო ...“

‘ყველანი ვიკრიბებით... ხორცეული... გარდა ხორცეულისა... აი, მეც აღარ იმას ვ შერები, სუ ქართულად ვლოპარაკობ, კაცო...’

„ყე ბაბუც უჩიტლეს სამუშაომაქ დიკქთხრ... აი, სიმძლ რჩევალო-რათხ; ბაჯო ვორ ღებაღერ ოსი, რომ ეს პატარა... კაცო, უპ, ისევე ქართულად მეთქმევენება...“

‘ერთხელ ბაბულოა მასწავლებელმა სამუშაოდ წავგვიყვანა... აი, სიძინდს ვარჩევილით; ღილი ვორა იღვა იქ. რომ ეს პატარა... კაცო, უპ, ისევე ქართულად მეთქმევენება...’

„როცა ვავთხ... აი, რატო ქართულად ვამბობ... დახვეული... მოსტ მარნან ბჰარმახე სო, ჯიბრო ეთერ სო.“

‘როცა ვავთხ... აი, რატო ქართულად ვამბობ?... დახვეული... ცული დედამთილი შეშვდა, ვიბრში მიღვებოდა’.

„პაპ, ველეშ, ბრა ზი მოძღის ჩემს თავზე ძალიან.“

‘პო, ჩვენებურად, ბრა ზი მოძღის ჩემს თავზე ძალიან’.

„მერე... დრო დანიშნოდოლო, მაცა ბილოქორწილი; მაცმე ქორწილი ბილორიც, ხაღხ... ააა...დაპეტყებადოლო, აი, ეხლო ეს წოური არ არი!..“

‘მერე...დროს დანიშნავდენ, როღის იქნებოდა ქორწილი; როცა ქორწილი იქნებოდა, ხაღხს... ააა... დაპეტყებდენ, აი, ეხლო ეს წოური არ არის!..’.





## წინასიტყვაობა

წინამდებარე მონოგრაფია ლოგიკური გაგრძელებაა სოციოლოგიისტიკის დარგში შესრულებული ჩვენი კვლევისა, რომელიც წოვათუშური ენის მატარებელ საზოგადოებას ეხება და რომლის შედეგებიც მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 2014 წელს (გიგაშვილი 2014). მასში გაშუქებულია ისეთი თემები, როგორცაა: სოციოლოგიისტიკის მიზნები და ამოცანები (შესავალი ნაწილი); წოვათუშების საცხოვრისი; წოვათუშების წარმომავლობა (ეთნიკურობისა და ეროვნულობის საკითხები); წოვათუშების ავტოეთნოპორტრეტი; წოვათუშური ენა; წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის ძირითადი შტრახები; ენის გადართვა; წოვათუშური ენის საფრთხის დონე; წოვათუშური ენის ეკოლოგია: მისი საფრთხის გამომწვევი ბუნებრივი და სხვა რიგის მიზეზები; წოვათუშური ენის გადართვის ლინგვისტიკური შედეგები (ინტერფერენცია); ენობრივი პოლიტიკის მნიშვნელობა ენის პრესტიჟის განსაზღვრისას; ენის სიკვდილი.

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი 2010 წლიდან მოყოლებული დღემდე, ინტენსიურად იკვლევს ჩრდილოკავკასიურ ენათა ნახური ჯგუფის ერთ-ერთ საინტერესო წევრს – წოვათუშურ ენას რამდენიმე მიმართულებით – ლინგვისტიკის, სოციოლოგიისტიკისა და ენის დოკუმენტირების.

ამ პერიოდის განმავლობაში განვახორციელეთ ორი პროექტი, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ერთი პროექტის ორ ნაწილს. ესენია:

1. „აულის ენები – კაცობრიობის არსებობის გონითი ფორმები – გლობალიზაციის პირობებში (წოვათუშური-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)“ (განხორციელდა 2010-2013 წლებში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით)<sup>1</sup>;

2. „მცირე ენების ბედი გლობალიზაციის პირობებში და მათი დოკუმენტირების სასიცოცხლო მნიშვნელობა (წოვათუშური ენის მაგალითზე)“ (განხორციელდა 2013-2016 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით).

**ლინგვისტიკის მიმართულებით** მომზადდა და გამოიცა შემდეგი მონოგრაფიები:

1. მაყვალა მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011;

2. მაყვალა მიქელაძე, წოვათუშური ზმნის მორფოლოგიის საკითხები, გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2013;

3. მაყვალა მიქელაძე, თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015;

4. არსენ ბერთლანი, თუშური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012;

5. არსენ ბერთლანი, ხმოვანთა ხასიათისა და გენეზისის ზოგადფონეტიკური საკითხები თუშური ენის მეხსიერების ფონზე (გზის მონახაზისთვის ხმოვნებიდან თანხმოვნებამდე), გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015;

---

1. პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილება მიიღო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებული 2009 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (ფუნდამენტური კვლევებისათვის) შედეგების საფუძველზე.

6. მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერტლანი, წოვათუშური ენის ფრაზეოლოგია, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2016.

**სოციოლინგვისტიკის მიმართულებით:**

7. ქეთევან გიგაშვილი, თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010;

8. ქეთევან გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პრობლემა; გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2014.

**ენის დოკუმენტაციის მიმართულებით:**

9. არსენ ბერტლანი, მაყვალა მიქელაძე, ქეთევან გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტომი I, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012;

10. არსენ ბერტლანი, მაყვალა მიქელაძე, ქეთევან გიგაშვილი, წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტომი II, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2013;

11. მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერტლანი, ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ცისკარიშვილი, წოვათუშური ტექსტები, ნაწილი I, საისტორიო-საგამრთ, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, საწუთისოფლო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011;

12. მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერტლანი, ქეთევან გიგაშვილი, წოვათუშური ტექსტები, ნაწილი II (ეთნოგრაფიული), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014;

13. მაყვალა მიქელაძე, არსენ ბერტლანი, ქეთევან გიგაშვილი (რედ.), წოვათუშური ტექსტები, ნაწილი III, ალექსი მიქელაძე, 100 ლექსი, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.

ამდენად, წინამდებარე მონოგრაფიას ლინგვისტიკის, სოცი-

ოლინგვისტიკისა თუ ენის დოკუმენტრების მიმართულებით გამო-  
ქვეყნებული ნაშრომების სახით მყარი ბაზა ჰქონდა შექმნილი.

კოდის გადართვის მახასიათებლების შესწავლისკენ გვიბიძგა  
დოკუმენტურმა მასალამ, რომელიც მოვიბოვეთ პროექტის I ნაწილის  
ფარგლებში დაგეგმილი ექსპედიციების დროს წოვათუშებით  
დასახლებულ სოფელ ზემო ალვანში 2010-2012 წლებში. მასალა  
მდიდარი აღმოჩნდა ბილინგვური თხრობებით, რაც ჩვენი კვლევის  
სფეროდ ვაქციეთ უკვე პროექტის II ნაწილის ფარგლებში.

სოციოლინგვისტურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ნები-  
სმიერი ენა სხვა მონაცემთა მონოლინგვურ საუბარში და სხვა მონა-  
ცეში – ბილინგვურში. მონოლინგვურ საუბარში რეალიზებული წო-  
ვათუშური ენა შედარებით კარგადაა შესწავლილი. მნიშვნელოვანი  
მონოგრაფიები შექმნა უკანასკნელ წლებში ჩვენი პროექტის ფარგ-  
ლებშიც, რომლებიც წოვათუშური ენის სხვადასხვა დონეს შეეხება.  
ჯერჯერობით სრულიად შეუსწავლელია წოვათუშური ენა ბილ-  
ინგვურ საუბარში. იგივე ითქმის ქართული ენის შესახებაც. ზოგადად,  
სოციოლინგვისტიკის ეს სფერო – კოდის გადართვის თემა – აბსო-  
ლუტურად გამოუკვლეველია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში,  
რის გამოც არ გექონდა ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგებთან  
ჩვენი მონაცემების შედარების შესაძლებლობა, თუმცა უცხოელ მეც-  
ნიერთა კვლევის შედეგები ფართოდ არის წარმოდგენილი ნაშრომში.

მაიერს-სკოტონის აზრით, კონტაქტში მყოფი ენების გრამატი-  
კული სტრუქტურების შესახებ კვლევებმა შეიძლება გააძლიეროს  
არსებული ანალიზი ცალკეულ ენებზე, ან შეიძლება შემოგვთავაზოს  
ახალი ხედვები, განსხვავებული იმისგან, რაც გვაქვს ენის მხოლოდ  
თავის თავზე დაყრდნობით შესწავლის დროს (Myers-Scotton 2002: 5).

ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წოვა-თუშურ-ქართული ბილინგვური დისკურსის კვლევა, რომელსაც შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოგვაწოდოს ამ დისკურსში მონაწილე ორივე ენის შესახებ.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს კოდის გადართვის სტრუქტურულ-ფუნქციური მახასიათებლების შესწავლის პირველ ცდას წოვათუშურ-ქართული ბილინგვური მასალის მიხედვით. მასზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია წოვათუშური ენის შესახებ არსებულმა სამეცნიერო ლიტერატურამ, რომელშიც განსაკუთრებით გამოვარჩევთ მაცვალა მიქელაძის ინტერფერენტული საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებს.

ზოგიერთი მეცნიერი კოდის გადართვას ინტერფერენციის გამოხატულებად თვლის. ერთ-ერთი მათგანია რიჩარდ სკიბა (Skiba 1997).<sup>2</sup> ინტერფერენცია წარმოადგენს ერთი ენის ელემენტების გადატანას მეორე ენაში სხვადასხვა დონეზე: ფონოლოგიურზე, გრამატიკურზე, ლექსიკურზე თუ ორთოგრაფიულზე.

ბერთოლდისა და მისი თანაავტორების განმარტებით, ფონოლოგიური ინტერფერენციის დროს პირველი ენის ცალკეული ელემენტები: სამეტყველო ბგერები, მანვილი, რითმა, ინტონაცია, აქცენტი – გავლენას ახდენენ მეორე ენის ელემენტებზე. გრამატიკული ინტერფერენციის დროს პირველი ენის გავლენა მეორეზე მსაზღვრელებისა და ნაცვალსახელთა ხმარების, დროის, კილოსა და სხვა კატეგორიების ფარგლებში ვლინდება. ლექსიკურ დონეზე ინტერფერენცია გვათავაზობს სიტყვათა სესხებებს ერთი ენიდან მეორეში ისე, რომ ისინი ქდერდნენ ბუნებრივად მსესხებელი ენისთვის, ხოლო

2. <http://iteslj.org/Articles/Skiba-CodeSwitching.html>

ორთოგრაფიული ინტერფერენცია გულისხმობს ერთი ენის დაწერილობის შეცვლას მეორე ენის დაწერილობით. ამ ავტორთა მიერ კოდის გადართვა განიხილება ამ კონცეფციასთან მისი ურთიერთობის თვალსაზრისით: ეს ენობრივი მოვლენა ხდება, როცა მოსაუბრეები გადადიან ერთი ენიდან მეორეზე საუბრის შუაში (Berthold... 1997).

ინტერფერენცია **ენის გადართვის** ლინგვისტური შედეგია. იგი ღრმთა განმავლობაში გაბატონებული ენის ელემენტების დაქვემდებარებული ენის სხვადასხვა დონეზე შეღწევას გულისხმობს. **კოდის გადართვა** კი ბილინგვისთვის დამახასიათებელი საუბრის ხერხია, რომელსაც იგი ინტერაქციაში იყენებს, ძირითადად, ბილინგვებთან ურთიერთობის დროს (თუმცა კოდის გადართვის მოვლენამ შეიძლება ბილინგვთა მონოლოგურ საუბარშიც იჩინოს თავი).

წოვათუშურ-ქართული ბილინგვეური დისკურსის ანალიზმა კიდევ უფრო ცხადი გახადა სხვაობა ინტერფერენციასა და კოდის გადართვას შორის: თუ ინტერფერენციის დროს, ცალსახად, გაბატონებული ენის ელემენტები აღწევს მასზე დაქვემდებარებული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, გრამატიკულ თუ ლექსიკურ სისტემაში და ეს პროცესი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს, კოდის გადართვა ინტერაქციის სფეროს არ სცდება და მის თავისებურებებს მატრიცა ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ჩარჩო განსაზღვრავს, მატრიცა ენა კი შეიძლება არ იყოს გაბატონებული ენა (თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მას გაბატონებულ ენასთან აიგივებს).

მონოგრაფიაზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია წოვათუშმა ენათმეცნიერმა **არსენ ბერთლანმა**, რომელმაც სიამოვნებით იკისრა ენის კონსულტანტის ფუნქცია: ექსპედიციების დროს მოა-

ოვებული ვიდეო და აუდიო მასალიდან მან მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით მოამზადა ტრანსკრიპტები მეცნიერული ანალიზისთვის.

გეინდა, გამოვეყნოთ პროფესორ **მაყვალა მიქელაძის** წვლილი, რომელმაც გულდასმით წაიკითხა მონოგრაფია და საყურადღებო მოსაზრებები გაგვიზიარა. უღრმესი მადლობა მას ამისათვის.

მადლიერებას იმსახურებენ ესპედიციის მონაწილეები, წოვათუში საზოგადოების ადგილობრივი წარმომადგენლები, ქალბატონები: **დალი მიქელაძე, ბაბუღია პაჩოშვილი, მარიამ (მანანა) ბუქურაული, ნაირა ჯიხაშვილი, მარიამ ბერთლანი, მარიამ ცისკარიშვილი და ციცინო დინგაშვილი.**

ცალკე უნდა გამოიყოს უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფესორ **გიორგი გოცირიძის** მონაწილეობა საექსპედიციო თუ სხვა ორგანიზაციულ და დამხმარე სამუშაოებში, რაც ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს ხოლმე სამეცნიერო ჯგუფისთვის, მისი პროფესიონალიზმისა და საქმის გაძღოლის განსაკუთრებული ნიჭის გამო. საანალიზო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მისი მოპოვებულია. მისი ხელმძღვანელობით ავიდა საექსპედიციო ჯგუფი წოვათუშების საზაფხულო საცხოვრისში – ტბათანაში და ჯერ კიდევ შემორჩენილ წოვათუშთაგან საუბრები ჩაიწერა. პროექტის ფარგლებში მომზადებული აუდიო მასალა და ვიდეო ფილმი, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული, მთლიანად მის მიერ მოპოვებულ მასალაზე აიგო.

მადლიერებას გამოვხატავთ **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიმართ, რომელმაც აღნიშნული სამეცნიერო პროექტი დააფინანსა და ამით საფრთხეში მყოფი ენის დოკუმენ-



ტირებისა და შესწავლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს შეუწყობს ხელი.

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მკვლევართა წინაშე ასე ცხადად დგას ენათა კონტაქტისა და მისი თანმდევი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური პროცესების შესწავლის აუცილებლობა, ქართული ენათმეცნიერება შორს არ უნდა იდგეს ამ გლობალური პრობლემებისაგან და თავისი სიტყვა უნდა თქვას ბილინგვიზმ/მულტილინგვიზმისა თუ კოდის გადართვის თეორიების განვითარებაში. მით უფრო, რომ კავკასია – ენების ეს უზარმაზარი მთა (როგორც მას უწოდებენ), უმდიდრეს ინფორმაციას შეიცავს ამ კუთხით. ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი, ისევე როგორც ჩვენი წინა მონოგრაფია („წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი“) გარკვეულ წვლილს შეიტანს აღნიშნული პრობლემების კვლევის და, შესაბამისად, საქართველოში სოციოლინგვისტური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი დაეხმარება მომავალ მკვლევარებს ანალოგიური პრობლემების შესწავლაში.

## Preface

The given monograph logically continues our research in the field of Sociolinguistics, which concerns Tsovatush Language speaking society and the outcomes of which were published in 2014 in the form of the monograph (Gigashvili 2014). It reveals the topics, such as: aims and goals of Sociolinguistics (introductory part); dwellings of Tsovatushs; origin of Tsovatushs (ethnicity and nationality); autoethnoportrait of Tsovatushs; Tsovatush Language; general features of Tsovatush-Georgian bilingualism; language shift; level of danger of Tsovatush language; ecology of Tsovatush language: natural and other reasons causing its danger; linguistic outcomes (interference) of Tsovatush language shift; importance of the language politics while defining the language prestige; language death.

Since 2010 till present our scientific group intensively investigates one of the interesting members – Tsovatush language of Nakh group of North Caucasian languages in various directions – linguistics, sociolinguistics and language documentation.

We have implemented two projects during this period, which factually represent two parts of one project. These are the following:

1. “Auli Languages” – Mental Forms of Mankind - in the Conditions of Globalization (according to the bilingual materials of Tsovatush-Georgian)” (was carried out in 2010-2013 due to the financial support by Telavi State University)<sup>3</sup>;

---

3. The project funding was decided by the university academic board on the bases of outcomes of 2009 scientific grants declared by Rustaveli Foundation.

2. “The Chance of the Minority Languages in the Conditions of the Globalization and the Vital Mining of their Documentation (according to the Tsovatush Language)” (was implemented in 2013-2016 by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation).

**In the direction of Linguistics** the following monographs were prepared and published:

1. Makvala Mikeladze, Morphology of Tsovatush Language Names, publishing house “Universali”, Tb., 2011;

2. Makvala Mikeladze, Issues of Tsovatush Verb Morphology, publishing house “Grifoni”, Tb., 2013;

3. Makvala Mikeladze, Syntax of Simple Clause of Modern Tsovatush Language, publishing house “Saari”, Tb., 2015;

4. Arsen Bertlani, Phonetics and Phonology of Tush Language, publishing house “Saari”, Tb., 2012;

5. Arsen Bertlani, General Phonetic Issues of the Nature and Genesis of Vowels on the Memory of Tush Language (for the outline of the way from the vowels to the consonants), publishing house “Saari”, Tb., 2015;

6. Makvala Mikeladze, Arsen Bertlani, Phraseology of Tsovatush Language, publishing house “Saari”, Tb., 2016;

**In the direction of Sociolinguistics:**

7. Ketevan Gigashvili, Linguistic Map of Modern World and the Problems of Endangered Languages, publishing house “Universali”, Tb., 2010;

8. Ketevan Gigashvili, Modern Ethno-Sociolinguistic Profile of Tsovatush People, publishing house “Grifoni”, Tb., 2014;

### **In the direction of Language Documentation:**

9. Arsen Bertlani, Makvala Mikeladze, Ketevan Gigashvili, Tsovatush-Georgian-Russian-English Dictionary, volume I, publishing house “Saari”, Tb., 2012;

10. Arsen Bertlani, Makvala Mikeladze, Ketevan Gigashvili, Tsovatush-Georgian-Russian-English Dictionary, volume II, publishing house “Saari”, Tb., 2013;

11. Makvala Mikeladze, Arsen Bertlani, Ketevan Gigashvili, Mariam Tsiskarishvili, Tsovatush Texts, part I, Historical-Heroic, Life, Loving, “To be or not to be”, publishing house “Universali”, Tb., 2011;

12. Makvala Mikeladze, Arsen Bertlani, Ketevan Gigashvili, Tsovatush Texts, part II (Ethnographic), publishing house “Universal”, Tb., 2014;

13. Makvala Mikeladze, Arsen Bertlani, Ketevan Gigashvili (ed.), Tsovatush Texts, part III, Aleksis Mikeladze, 100 rhymes, publishing house “Saari”, Tb., 2015.

Hence, the presented monograph had created the sturdy base in the form of the published works in the directions of linguistics, sociolinguistics and the language documentation.

The documented material prompted us to study code switching characteristics. We have gained the mentioned material at the time of expeditions in 2010-2012 planned under I part of the project in the village Zemo Alvani inhabited by Tsovatush population. The material was rich with bilingual narrations, which we made become the field of our research under II part of the project.

In sociolinguistic literature it is recognized that any language is different phenomena in monolingual and in bilingual speeches. In

monolingual speech the realized Tsovatush language is better studied. The important monographs were created in the latest years under our project as well concerning various levels of Tsovatush language. Tsovatush language in bilingual speech is totally unstudied so far. The same can be noticed on Georgian language. Generally, the mentioned field of sociolinguistics – code switching – is absolutely unexplored in Georgian scientific literature, because of which we had no chance to compare our information with the research outcomes of Georgian scientists, though the research outcomes of foreign scientists are widely presented in our work.

Mayers Scotton thinks that the researches on grammatical structures of the languages been in contact may reinforce the existed analysis on separate languages or suggest us the new visions different from the ones which we have at the time of studying the language only based on itself (Mayers Scotton 2002: 5).

By considering the abovementioned, we regard it important to investigate Tsovatush-Georgian bilingual discourse, which can give us additional information about both languages participated in this discourse.

The presented monograph represents the first attempt to study the structural and functional characteristics of code switching according to Tsovatush-Georgian bilingual materials. While working on it we got great help from the scientific literature about Tsovatush language in which we distinguish the works of Makvala Mikeladze on interference issues.

Some scientists regard code switching as expression of interfer-

ence. One of them is Richard Skiba (1997).<sup>4</sup> Interference means transformation of one language elements to another language on various levels: phonological, grammatical, lexical or orthographic.

Berthold and his co-others explain, that at the time of phonological interference, the separate elements of the first language: vocal sounds, stress, rhythm, intonation, accent – have an influence on the elements of the second language. In grammatical interference, the influence of the first language on the second one is revealed in usage of pronouns and determiners, tense, mood and other categories. Interference on lexical level suggests us borrowing of the words from one language into another but they should sound very natural for the borrower language. As for orthographic interference, it means alternation of one language writing with writing of another language. The mentioned authors consider code switching as its relationship with this conception: this language phenomenon takes place when the speakers transfer from one language to the other at the time of speaking (Berthold... 1997).

Interference is the linguistic result of **language shift**. It means penetration of the dominated language elements trough the subordinated one on different levels time by time. **Code switching** is the way of speaking characteristic to bilingual speaker, which is used in interaction, mainly in relationship with bilingual speakers (though the case of code switching may appear in monologue speech of bilinguals).

The analysis of Tsovatush-Georgian bilingual discourse made the difference between interference and code switching more obvious: at the time of interference the elements of dominated language penetrate

---

4. <http://iteslj.org/Articles/Skiba-CodeSwitching.html>

through the phonetic-phonological, grammatical or lexical system of the subordinated language and this process lasts for a long period, but code switching does not miss the field of interaction and its features are defined by phonetic-phonological and morphosyntactical frames of matrix language, matrix language may not be the dominated one (though some of the researchers regard it as the dominated language).

While working on the monograph, Tsovatush scientist **Arsen Bertlani** gave us great help, who enthusiastically took the function of language consultant: he made transcripts of the video and audio materials gained from expeditions for language analysis. He made it with scientific conscientiousness and responsibility characteristic for him.

We want to separate a great bit of the professor Makvala Mikeladze, who read the monograph in details and shared us important opinions. We express great gratitude to her.

We also want to express our gratitude towards the participants of the expedition, the local representatives of Tsovatush society: Dali Mikeladze, Babulia Pachoshvili, Mariam (Manana) Bukrauli, Naira Jikhoshvili, Mariam Bertlani, Mariam Tsiskarishvili and Tsitsino Dingashvili.

We should also separate participation of the former rector of the university, Professor Giorgi Gotsiridze in expedition or other organizational or additional works, which has quite valuable significance for the scientific group. We should focus on his professionalism and special talent of leadership for the work. The greatest part of the materials to be analyzed is gained just by him. He managed to take the expedition

group to the summer dwelling of Tsovatush people – Tbatana and he recorded speeches of Tsovatushs still living there. The audio material and video film, which is stored in internet, was created totally on the basis of the materials gained by him.

We greatly appreciate Shota Rustaveli National Scientific Foundation, which funded the mentioned scientific project and therefore, it promoted the quite important work of endangered Tsovatush language documentation and investigation.

We think that in the conditions of the contemporary globalization, when the researchers are in necessity to study language contact and its following linguistic or extralinguistic processes, Georgian linguistics should not be far from the given global problems and say its word in development of theories of bilingualism/multilingualism or code switching. Furthermore, Caucasus – this enormous mountain of the languages (as it is called), contains the richest information from the given points of view. We suppose that the given work like our previous monograph (“Modern Ethno-Sociolinguistic Profile of Tsovatush People”) will do its peculiar bit in exploring the mentioned problems and herewith, in development of sociolinguistic field in Georgia. It will assist the future researchers in studying the analogical problems.



## კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია კოდის გადართვის სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლების შესწავლა წოვათუშურ-ქართული ბილინგვური მასალის მიხედვით. სტრუქტურულ მახასიათებლებში გრამატიკულ კონტექსტს ვგულისხმობთ, ხოლო ფუნქციურში – სოციოლინგვისტურსა და ფსიქოლინგვისტურს, რაც, თავისთავად, ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა იწვევს კოდის გადართვას და რა მიზნებს ემსახურება ის წოვათუშ ბილინგვთა საუბრებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია, რომ სწორედ სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ფაქტორთა მოქმედების გამო ხდება, რომ ერთი სამეცნიერო ბილინგვური საზოგადოება კოდის გადართვის ერთ მოდელს ირჩევს, ხოლო მეორე – სხვას.

ჩვენი კვლევის მიზანს წოვათუშ ბილინგვთა მიერ არჩეული მოდელის გამოვლენა და მისი ანატომიის დადგენა შეადგენს.

კოდის გადართვის თემასთან დაკავშირებით რამდენიმე არსებითი საკითხი დგება:

1. რა მოვლენაა კოდის გადართვა, რა ფენომენია;
2. რა შემთხვევებში გვხვდება ის;
3. რა არის კოდის გადართვის მოტივები, ანუ რა მიზეზები იწვევს მას;
4. რა ფუნქციებს ასრულებს ის, რას ემსახურება. ეს თავისთავად ნიშნავს კოდის გადართვის მიზნების გარკვევას;

თუ მოკლედ დავაფორმულირებთ კითხვებს, მივიღებთ:

1. რა ხდება?
2. სად ხდება?
3. რატომ ხდება?
4. რისთვის ხდება?

მონოგრაფიაში არის ცდა, შეძლებისდაგვარად პასუხები გაეცეს დასმულ კითხვებს.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მატრიცა და ჩართული (ჩაშენებული) ენების ურთიერთმიმართების დადგენა წოვათუშთა ბილინგვურ წინადადებებში წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს დაქვემდებარებული ენის – ჩვენ შემთხვევაში წოვათუშურის – გაბატონებულ ქართულ ენაზე გადართვის შეუქცევადი პროცესი. იმ დროს, როდესაც წოვათუშთა უფროსი თაობა დადმაგალი ბილინგვიზმის ეტაპზე იმყოფება (რაც იმას ნიშნავს, რომ მისმა წარმომადგენლებმა მეორე ენა მშობლიურზე უკეთ იციან), საშუალო თაობაში მშობლიური ენა საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, ხოლო უმცროსმა თაობამ ენა საერთოდ არ იცის, ბუნებრივად ისმის კითხვა: რომელია მატრიცა ენა წოვათუშთა ბილინგვურ წინადადებებში – წოვათუშური, თუ ქართული? ანუ, რას ემთხვევა მატრიცა – მშობლიურს, თუ გაბატონებულს? ხომ არ იცვლება მატრიცა და ჩართული ენები თაობების მიხედვით, ბილინგვიზმის განვითარების კვალდაკვალ?

ან: ხომ არ არის მატრიცა და ჩართული ენების ურთიერთმიმართების საკითხი დაკავშირებული კოდის გადართვის მიმართულე-ბასთან: მაგ., როდესაც საუბარი წოვათუშურზე იწყება და ქართულზე

გრძელდება, მატრიცა ენა წოვათუშურია და, როდესაც ქართულად იწყება საუბარი, მატრიცა ენა ქართულია? ქმნის თუ არა საუბრის დაწყების ენა წინადადების მორფოსინტაქსურ ჩარჩოს? და როდესაც კოდის რამდენიმეგზის შეცვლა დასტურდება ერთი წინადადების ფარგლებში, იცვლება თუ არა წინადადების მორფოსინტაქსური ჩარჩოც?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხები საინტერესო იქნება კოდის გადართვის თეორიისათვის.

კოდის გადართვაში მონაწილე ენობრივი ერთეულები შეიძლება იყოს განსხვავებული ენები, ან ერთი ენის სხვადასხვა დიალექტი, თუ სტილი.

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილული კოდის გადართვა შეეხება ორ განსხვავებულ ენას – ქართულსა და წოვათუშურს.

წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალები, სამწუხაროდ, არასდროს გაქმნა კოდის გადართვის თვალსაზრისით შესწავლის ობიექტი, რაც საშუალებას გვისძლავს, ამ კონტაქტური ფენომენის განვითარების დინამიკას დავაკვირდეთ თაობათა ცვლის მიხედვით. ამდენად, საანალიზო მოვლენა მონოგრაფიაში შესწავლილია მხოლოდ წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე და არა დიაქრონიულად.

რამდენადაც წოვათუშურ-ქართული ორენოვნების ისტორიაში დღეისათვის დამდგარია დაღმავალი ბილინგვიზმის ეტაპი (უფროსი თაობის შემთხვევაში), სოციოლინგვისტური მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულია აღმავალი და თანაბარზომიერი ბილინგვიზმის მონაცემები ამ ენობრივი წყვილისათვის.

## კოდის გადართვის განმარტება

კოდის გადართვის არაერთი განმარტება გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

ოქსფორდის ლექსიკონში მოვლენა ასეა ახსნილი: „ორ, ან ორზე მეტ ენას, ან ენის სახესხვაობებს შორის ალტერნაციის პრაქტიკა საუბარში.“<sup>5</sup>

ერვინ-ტრიპის შეხედულებით, კოდი, ან სახესხვაობა შეიცავს სისტემურ ნაკრებს ლინგვისტური სიგნალებისას, რომლებიც თანაარსებობს განსაზღვრულ გარემოში. სასაუბრო ენებისთვის მონაცვლე კოდები შეიძლება იყოს მშობლიური ენები, ან მათი სახესხვაობები. სოციოლინგვისტური ვარიანტები არის ის ენობრივი ალტერნაციები, რომლებსაც ენათმეცნიერები განიხილავენ, როგორც თავისუფალ, ან არჩევით სახეობებს კოდის თარგმლებში, კოდი კი წარმოადგენს ერთი და იმავე აზრის გამოხატვის ორ განსხვავებულ ვხას (Ervin-Tripp 1964: 90).

დევიდ კრისტალის მიხედვით, კოდის, ან ენის გადართვა ხდება, როცა ბილინგვები ცვლიან ორ ენას საუბარში. ადამიანები მეორე ენას იყენებენ როგორც არარეგულარულად (უმოქმედო, პასიური ბილინგვიზმი), ისე რეგულარულად (მოქმედი, აქტიური ბილინგვიზმი). კოდის გადართვის ეს ტიპი, ზოგადად, ხდება ბილინგვებს შორის და იღებს უამრავ განსხვავებულ ფორმას (Crystal 1987: 2; 13).

ჰელერის მოსაზრებით, „კოდის გადართვა არის ერთზე მეტი ენის გამოყენება ცალკეული სასაუბრო ებიზოდის განმავლობაში“ (Heller

5. <http://www.oxforddictionaries.com/definition/english/code-switching>.

1988a: 1). ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობენ სხვა მეცნიერებიც: აუერი: „ეს არის ერთზე მეტი ენის მონაცვლეობითი გამოყენება“ (Auer 1984: 1); ბენტაჰილა: „...ორი ენის გამოყენება ერთ საუბარში, ან თხრობაში“ (Bentahila et al. 1983: 302); მიისკენი: „...რამდენიმე ენის სწრაფი თანმიმდევრობა ერთ მეტყველებაში“ (Muysken 2000: 1); ჰერედია და ბრაუნი: „... ენის ორი ნაწილის ინტერაქციის ბუნებრივი პროდუქტი“ (Heredia & Brown 2012); ჰიმსი: „...ორი, ან მეტი ენის გამოყენების ცვლილება, ერთი ენის ვარიაციები, სტილის სახესვანობები“ (Hymes 1962); გროსჟენი: „... ორი, ან მეტი ენის მონაცვლეობითი გამოყენება ერთსა და იმავე საუბარში. გადართვა შეიძლება მოხდეს სიტყვების, წინადადების, ან ფრაზის შიგნით“ (Grosjean 1982: 147); ნორდჟესტი: „... ორ ენას, ან ერთი და იმავე ენის ორ დიალექტს შორის წინ და უკან მოძრაობის პრაქტიკა... სხვაგვარად ამას უწოდებენ კოდის შერევას.“ მისივე მითითებით, კოდის გადართვა უფრო ხშირად ხდება საუბარში, ვიდრე წერით მეტყველებაში;<sup>6</sup> სუმარსიჰი: „...ენის პროდუქტი, რომელიც იწარმოება ბუნებრივად ხალხის მიერ, ვინც იყენებს რამდენიმე ენას და ეს არ არღვევს ამ პროდუქტის წესებს სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მომზადების დროს“ (Sumarsih et al. 2014: 79); ბოკამბა და აიეომონი: „... სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების შერევა ორი განსხვავებული გრამატიკული სისტემიდან ერთსა და იმავე მეტყველებაში“ (Bokamba 1989; Ayeomoni 2006: 91).

მუთუსამის მიხედვით, კოდის გადართვა ყოველდღიურ რეალობაში ხდება ყველა ადგილას, სადაც ერთზე მეტ ენაზე საუბრობენ ყოველდღიურ ურთიერთობებში (Muthusamy 2009: 2).

ნილჟის განსაზღვრებით, „კოდის გადართვა არის მოსაუბრეთა

6. <http://grammar.about.com/od/c/g/codeswitchingterm.htm>

პრაქტიკა საუბრის დროს, რათა აჩვენონ ცვლილებები კონტექსტში ალტერნატიული გრამატიკული სისტემების, ქვესისტემებისა თუ კოდების გამოყენებით“ (Nilep 2006). მეცნიერის გამოცდილებით, არ შეიძლება პირდაპირ დავაკვირდეთ ამ კოდების ცნობიერ გამოხატულებას, ეს არც მკვლევარს ძალუძს და არც მოსაუბრეს.

მკვლევარს შეუძლია, დაუკვირდეს თავად საუბარს, დისკურსს. კოდის გადართვა უნდა გავიგოთ, როგორც ინდივიდების პრაქტიკა გარკვეულ სასაუბრო გარემოში. აქედან გამომდინარე, რთულია ენის ალტერნაციის ფართო ფუნქციების დაკონკრეტება-დაზუსტება, ან ნებისმიერი კოდის ზუსტი ბუნების განსაზღვრა, რომელიც წარმართავს ინტერაქციას (იქვე).

გუმპერზის განსაზღვრებაც ეხება გრამატიკულ სისტემებსა და ქვესისტემებს. იგი წერს: „სასაუბრო კოდის გადართვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთსა და იმავე საუბარში მეტყველების პასაჟების პარალელური გაცვლა, რომლებიც ეკუთვნის ორ განსხვავებულ გრამატიკულ სისტემასა თუ ქვესისტემას“ (Gumperz 1982: 59). მისთვის და ჰერასიმჩუკისთვის (Gumperz & Herasimchuk 1972) კოდები არის თანაარსებული ცვლადების ჯგუფები.

ზოგიერთი მკვლევარი კოდის გადართვას თვლის ერთ ენაზე არასაკმარისი გაწაფულობის მანიშნებლად. მათი აზრით, მეორე ენა ამ დროს გამოიყენება, რათა სტუდენტმა დაძლიოს ის სირთულეები, რომელიც მას ხვდება კომუნიკაციის პროცესში პირველი ენის გამოყენების დროს (Skiba 1997).

ფრანსეშინის განმარტებით, კოდის გადართვა არის არა ენის გამოყენების, არამედ მენტალური პროცესების შედეგი, რომელიც მიმდინარეობს ბილინგვის ტვინში. იგი ორმაგ ფოკუსირებას უწო-

დებს, როდესაც მოსაუბრე ერთდროულად იყენებს რამდენიმე კოდს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ის აღნიშნავს, რომ ეს ხდება ნაკლებად ნორმატიულ კონტექსტებში და ისეთ სიტუაციებში, სადაც კოდის გადართვა კარგად არის მიღებული მაკროსოციალურ დონეზე. ის აგრეთვე ასაბუთებს, რომ ამ შემთხვევაში კოდის გადართვა შეიძლება მიღწეულ იქნეს ორივე ენის სრულყოფილი ცოდნის გარეშეც (Franceschini 1998: 65).

კაზუჰიკო ნამბა ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ორი ენის ალტერნაცია წინადადების შიგნით თუ გარეთ... რომელიც შეისწავლება, უმთავრესად, ორი პერსპექტივიდან: გრამატიკულ / სინტაქსურისა და პრაგმატიკულ-დისკურსის. ეს ორი ასპექტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთის ცოდნა გვეხმარება მეორის გაგებაში“ (Namba 2005).

მაიერს-სკოტონი რამდენიმე განსაზღვრებას წარმოადგენს: „ეს არის ორი, ან მეტი ენის გამოყენება ერთსა და იმავე საუბარში“ (Myers-Scotton 1993: vii); „... ბილინგვების, ან მულტილინგვების მიერ ჩართული ენიდან (ან ენებიდან) ფორმების შერჩევა მატრიცა ენის თხრობებში იმავე საუბრის განმავლობაში“ (იქვე: 4); „... მოხერხებული (უნარიანი) პერფორმანსი საკომუნიკაციო განზრახვით. სოციალ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, კოდის გადართვა შეიძლება დახასიათდეს, როგორც სიმბტომი ან: ა) სურვილის არქონის, ან დაურწმუნებლობისა მოსაუბრის მხრიდან ვალდებულების თვალსაზრისით, რათა გამოიხატოს ნებისმიერი უფლებებისა და მოვალეობების წყება მონაწილეებს შორის საუბარში, ან: ბ) სიძნელეების გადალახვისა, რომ შეიცვალოს უფლებებისა და მოვალეობების წყება“ (იქვე: 6-7).

თითოეულ ლინგვისტურ სახესხვაობას, გამოყენებულს კოდის

გადართვაში, აქვს სოციალ-ფსიქოლოგიური ასოციაციები, რომელიც ინდექსირებულს ხდის ამ უფლებებისა და მოვალეობების წყებას. თითოეული ინტერაქციული ტიპისთვის ამა თუ იმ საზოგადოებაში ეს წყება მიიღება გარკვეული სიტუაციური მახასიათებლებისგან (როგორცაა მოსაუბრეების სტატუსი, თემა, გარემო) და შესაბამისი კულტურული ღირებულებებისგან (იქვე: 7).

მაიერს-სკოტონის აზრით, კოდის ალტერნაცია თავისი ბუნებით გრამატიკული მოვლენაა და დამოკიდებულია ბილინგვის ცოდნის დონეზე ორივე ენაში. სოციალინგვისტური თვალსაზრისით, ის ეხება საშუალებას, რომელსაც ხალხი იყენებს დისკურსის გასაძლიერებლად თავის ყოველდღიურ მეტყველებაში (იქვე).

მნიშვნელოვანია ახსნა იმისა, თუ რატომ არ იზიარებს კოდის გადართვის ზუსტად ანალოგიურ პრაქტიკას ერთი და იმავე საზოგადოების ყველა წევრი. მართალია, მოსაუბრეები იზიარებენ ერთსა და იმავე ზოგად ნორმებს, ლინგვისტური სახესხვაობების გადართვის სოციალ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაგრამ ისინი არ აკეთებენ იდენტურ არჩევანს კოდის გადართვის პრაქტიკებში, რადგანაც აქვთ განსხვავებული შეხედულებები ერთი სახესხვაობისთვის მეტი ფასისა და უპირატესობის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. „კოდის გადართვა ყოველთვის არის შეხსენება ადრესატისთვის, რომ მოსაუბრეს აქვს მრავალრიცხოვანი იდენტობა, ასოცირებული თითოეულ ლინგვისტურ სახესხვაობასთან“, – დაასკვნის სკოტონი (იქვე).

გალი, ბელი და მილროი ადასტურებენ, რომ კოდის გადართვა ხდება ბუნებრივად და ის არ არის ინტერფერენცია, არამედ უფრო თანამოსაუბრესთან ინდივიდის სოციალური მდგომარეობის წარმოჩენის ვერბალ-



ური მექანიზმი. ამის გათვალისწინებით, კოდის გადართვა წარმოადგენს სოციალ-ლინგვისტურ მოვლენას (Gal 1979; Bell 1984; Milroy 1987).

ყველაზე ზოგადი განმარტება ასეთია: „ორი ენობრივი სახესხვაობის გამოყენება ერთსა და იმავე საუბარში“ (Myers-Scotton 2006/2013: 239).

კოდის გადართვის სინონიმად სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია „კოდის ალტერნაცია“ (‘Code alternation’), ან „კოდის შერევა“ (‘Code-mixing’), რომელიც ასევე ბილინგვიზმის პროდუქტია.

მკვლევარებს ზოგჯერ უჭერთ კიდევ მათ შორის მკვეთრი საზღვრების დადგენა.

უახლეს ლიტერატურაში კოდის გადართვა განმარტება კოდის შერევასთან შედარების გზით. რედოუანეს მიხედვით, „კოდის შერევა მოიცავს ყველა შემთხვევას, სადაც ორი ენის ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული მახასიათებლები ჩნდება ერთ წინადადებაში“ (Redouane 2005: 1921).

ზოგიერთი მკვლევარი კოდის გადართვის ტერმინს იყენებს მხოლოდ სოციალბრაგმატულად შეპირობებული კოდის ალტერნაციის დროს, ხოლო ფსიქოლინგვისტურად მოტივირებულ ტიპს მოხსენიებს კოდის შერევად (Berruto 1990), ან ენის შერევად (Auer 1999).

რიჰლის მიხედვით, ბილინგვურ მეტყველებაში, ერთსა და იმავე თხრობაში, შეიძლება დადასტურდეს კოდის გადართვაც და შერევაც და ზოგჯერ რთულია გადაწყვეტოთ, კოდის გადართვის რომელი ტიპი გვაქვს მოცემულ შემთხვევაში (Riehl 2005: 1946).

მიისკენი ნაშრომში „ბილინგვური მეტყველება“ (Muysken 2000) ეხება კოდის გადართვის ტიპოლოგიას და ცდილობს,

შემოგვთავაზოს ზოგადი თვალსაზრისი კოდის შერევის შესახებ ენებისა და კულტურების კონტექსტში. ის გამოყოფს კოდის შერევის სამ ტიპს: ჩართვას (insertion), ალტერნაციას (alternation) და კონგრუენტულ (თანაბარ) ლექსიკალიზაციას (congruent lexicalization). ბილინგვის მიერ ერთ-ერთის ამორჩევა ამ ტიპთან დამოკიდებულია მონაწილე ენების გრამატიკულ სტრუქტურებზე, ისევე როგორც სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ფაქტორებზე.

ამ სამიდან ორი – ჩართვა და ალტერნაცია – ყურადღებას ამახვილებს სტრუქტურულ შეზღუდვებზე კოდის შერევის დროს. პირველი განიხილავს ამ შეზღუდვებს სტრუქტურული მახასიათებლების თვალსაზრისით, მეორე კი – მონაწილე ენებს შორის სტრუქტურული შესაბამისობის კუთხით: გადართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ის არ ახდენს იძულებას მონაწილე ენებიდან რომელიმეს სტრუქტურულ მთლიანობაზე (Poplack 1980).<sup>7</sup>

მიისკენის აზრით, სტრუქტურული ფაქტორების თვალსაზრისით, კოდის შერევა, რომელიც მოიცავს ტიპოლოგიურად მსგავს ენებს, მიისწრაფვის კონგრუენტული ლექსიკალიზაციისკენ; საწინააღმდეგო შემთხვევაში (არამსგავსი ენები) გვაქვს ჩართვის მოდელი. მეცნიერი წერს, რომ კოდის შერევის დროს ჩართული შერევა (insertional mixing) არის ცალმხრივი მიმართულების (მასპინძელი ენიდან უცხო ენისკენ), ალტერნაციული შერევა კი არის ორმხრივი მიმართულების (Muysken 2000: 236).

ალტერნაცია ზღუდავს ნამდვილ გადართვას ერთი ენიდან მეორეზე და მოიცავს ორივეს გრამატიკასა და ლექსიკონს. თანაბარი ლექსიკალიზაცია კი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ორი მონაწილე

7. ამას დაწვრილებით შემდეგ თავებში განვიხილავთ.

ენა იზიარებს გრამატიკულ სტრუქტურას, რომელიც ლექსიკურად შეიძლება შეივსოს რომელიმე ენის ელემენტებით (იქვე: 6). ეს ჰგავს გადართვის სტილსა და ვარიაციას ენის ფარგლებში.

ჩართვა და კონგრუენტული ლექსიკალიზაცია ხდება უფრო მეტად იმ საზოგადოებებში, რომელთაც აქვთ უცვლელად კეთილმოსურნე დამოკიდებულება ენის შერევისადმი. მეცნიერი გამოყოფს ბილინგვის უნარებს და აღნიშნავს, რომ უფრო ლალი ბილინგვები მიისწრაფვიან, აჩვენონ კონგრუენტული ლექსიკალიზაცია და უფრო რთული ჩართული კოდის შერევა, მაშინ როდესაც ალტერნაცია დამახასიათებელია ნაკლებად ლალი ბილინგვებისთვის. ბატონობის თვალსაზრისით, ნათქვამია, რომ მიგრანტულ საზოგადოებებში კოდის შერევის სტილები ვითარდება ჩართულიდან ალტერნაციამდე და შემდეგ კონგრუენტულ ლექსიკალიზაციამდე. ამ შემთხვევაში არის შესაძლებლობა გადართვისთვის ერთი მატრიცა ენიდან მეორეზე თაობების მიხედვით (იქვე: 236).

მიისკენი საინტერესოდ მსჯელობს ენის ბუნებისა და ენებს შორის განსხვავებებისა და მსგავსებების შესახებ. იგი კითხვას სვამს: არის ენა ციხე-სიმაგრე, მკაფიოდ განსაზღვრული სოციალური თუ შემეცნებითი საზღვრებით? თუ ენები ციხე-სიმაგრეებია, რა უზრუნველყოფს მათ ხელუხლებლობას? როგორ აღწევს კოდის შერევა ამ ციხე-სიმაგრეში? რამდენად ძლიერია ღობეები მოცემული ენის არგვლივ?

მიისკენი ამ საკითხებს განიხილავს ჩომსკის (1986) განსხვავებების წინააღმდეგ, რომელსაც იგი აკეთებს შინაგან და გარეგან ენებს შორის. იგი ვარაუდობს, რომ გარეგანი ენა და შინაგანი ენა, შესაძლოა, არის ორი ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს ციხე-სიმაგრეების მშენებლობაში. გარეგან ენას მივყავართ გარეთა

ფორმის (რომელიც განსაზღვრულია ლექსიკონით, წარმოთქმით, მორფოლოგიით) განცალკევებისკენ და შინაგან ენას მიეყვარებოდა მკაფიოდ განსაზღვრული (განსხვავებული) შიდა ფორმისკენ (რომელიც მარკირებულია ენის სინტაქსსა და სემანტიკაში) (Muysken 2000: 43-45).

სუმატარსიპიმა თავის კოლეგებთან ერთად კვლევა ჩაატარა ჩრდილოეთ სუმატრაში, ინდონეზიაში, ბატაკ ტობისა (Batak Toba) და მანდალინგის (Mandailing) მოსახლეობებთან, რომლებიც ლაპარაკობენ ინდონეზიურად და ინგლისურად. მკვლევარმა რესპონდენტებს სთხოვა, განემარტათ კოდის შერევა.

მათ კოდის შერევა ახსენეს, როგორც სხვადასხვა ლინგვისტური ერთეულის ჩართვა საუბარში, როგორცაა: ბმული მორფემები, თავისუფალი მორფემები, ფრაზები და წინადადებები ურთიერთთანამშრომლობითი აქტივობის შედეგად, სადაც მონაწილეებმა (resp. მოსახლეობებმა) უნდა მოაწესრიგონ მოსმენილი და გაგონილი.

კოდის გადართვა, მათი ფორმულირებით, არის ორი ენის კომბინაცია, უფრო მეტად, ენის წესების დაცვით, როგორცაა სიტყვის შერწყმა სიტყვასთან, ფრაზისა – ფრაზასთან, წინადადებისა – წინადადებასთან. კოდის გადართვა ხდება, რათა საუბარი მეტად იყოს მისაღები მსმენელისთვის და მოსახუბრისთვის, მაშინ როცა კოდის შერევა არის ენის გაერთიანება წესების დაცვით, რომელიც გაიგება და მოისმინება ამ ენების მომხმარებელთა მიერ (Sumarsih 2014: 77).

კოდის შერევას სუმატარსიპი ყოფს ორ სახეობად: 1. შიდა კოდის შერევად, რომელიც მომდინარეობს ორიგინალური ენიდან მის ყველა სახეობაზე (ოფიციალური, სტანდარტული, არაოფიციალური, არას-

ტანდარტული); 2. გარე კოდის შერევად, რომელიც მომდინარეობს უცხო ენებიდან, მაგ.: ‘This morning I sudah bawa my baby tu near babysitter lah’<sup>8</sup>.

მეცნიერის აზრით, კოდის შერევა ხდება, როდესაც მოსაუბრეები ურევენ, ურთავენ უცხო სიტყვებს (სხვა კოდს) გაბატონებულ ენაში, მაშინ როდესაც კოდის გადართვის დროს მოსაუბრეები ცვლიან ენას, ითვალისწინებენ რა სხვადასხვა ფაქტორს. საერთო მათ შორის არის ის, რომ ორივე ხდება მულტილინგუურ საზოგადოებაში ორი, ან მეტი ენის გამოყენებისას.

ჯენდრას განმარტებით, კოდის შერევა არის ენის გამოყენების სიმპტომი, რომლის დროსაც ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში განსხვავებული ვარიაციები ერევა, ან უერთდება ერთმანეთს (Jendra 1988: 94).

ბენტაჰილასა და დევისისთვის, ორი კოდიდან ერთის ამორჩევის აქტი განსხვავდება ორი კოდის შერევის აქტისაგან, რომლის დროსაც, გარკვეული თვალსაზრისით, იწარმოება შესაძვე კოდი (Bentahila et al. 1983: 302).

რედოუანე კოდის შერევას ეხება, როგორც ორი ენის ელემენტების შერევის პროცესს ერთ გამოთქმაში და კოდის გადართვას ეხება, როგორც ამ შერევის პროდუქტს.

კოდის შერევის პროცესი მას ესმის, როგორც უცხო ლექსიკური, ან ფრაზული კატეგორიის ჩასმა მოცემულ სტრუქტურაში (Redouane 2005: 1921).

სკოტონი აღნიშნავს, რომ, როდესაც ის ეხება ორი ენის გამოყენებას ერთსა და იმავე წინადადებაში, იყენებს ტერმინს „კოდის

8. <http://callhavid.wordpress.com>

გადართვა“ და არა „შერევა“. მისი აზრით, შერევა გულისხმობს სრულად ახალი ერთეულის შექმნას და ორივეს შემადგენელი ნაწილების გაქრობას (Myers-Scotton 2002: 3).

ჰაოგენის მიხედვით, კოდის შერევას, ერთი შეხედვით, თითქოს აქვს გარკვეული სიცხადე, რომელიც ამართლებს მის გამოყენებას, მაგრამ ახლო დაკვირვებით ის გეიზენებს ბევრ ზარალს, ნაკლოვანებას, რის გამოც ბევრმა მკვლევარმა, როგორც არის საპირი და ბლუმფილდი, მიატოვეს მისი კვლევა (Haugen 1956).

ჩვენი აზრით, კოდის შერევისა და გადართვის მოვლენები თავისუფლად შეიძლება ერთ თეორიაში გაერთიანდეს. თუ მანც დავდგებით მათ შორის საზღვრების დადგენის აუცილებლობის წინაშე, მაშინ კოდის შერევა უნდა განიმარტოს, როგორც ორი ენის ელემენტების შერწყმა ერთი წინადადების თარგლებში, ხოლო გადართვა, როგორც ამ ელემენტების მარტივი მონაცვლეობა თრაზისა თუ წინადადების საზღვრებთან.

**კოდის შერევის მაგალითები:**

„ოსი *ჯჯჯჯ* და *შლო* მარ.“

‘*იქ ჯჯჯჯ და შლო იყო.*’

„ო ვერ *აკურთხოს* *მღვდელმა*.“

‘*ის ქვა აკურთხოს მღვდელმა.*’

მოცემულ წინადადებებში წოვათუშური და ქართული ენის ელემენტები ერთმანეთთანაა შერწყმული, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ერთ სინტაქსურ წყვილს ქმნიან: „*და შლო* მარ“ / „ვერ *აკურთხოს*“. ამასთან, ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან შეთანხმებისა და მართვის სინტაქსური წესებით.

**კოდის გადართვის მაგალითები:**

„საბთელა კდორათხ ოსი, *ღმერთს ვეხვეწებოდით.*“

‘*სანთელს განთებდით იქ, ღმერთს ვეხვეწებოდით.*’

„ფორნ, ბერიქ ფსტუნოქიმი კოსიდარ, *ერთად მუშაობდნენ.*“

‘*ფორე და ბერაას ცოლი ქიმიკოსები იყენენ, ერთად მუშაობდნენ.*’

მოცემულ წინადადებაში კი კავშირი წოვათუშურ და ქართულ ელემენტებს შორის გაცილებით სუსტია, ვიდრე ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში. აქ ორი კოდი მარტივად ენაცვლება ერთმანეთს და ისინი არ საჭიროებენ ერთმანეთის სინტაქსური წესების დაცვას.

მონოგრაფიაში ორივე მოვლენას კოდის გადართვის ერთ თეორიაში განვიხილავთ და ცალ-ცალკე არ ვაანალიზებთ თითოეულ შემთხვევას.

ჩვენი დაკვირვებით, კოდის გადართვა, უპირველეს ყოვლისა, არის ბილინგვთა საუბრის წესი, ღროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვევა, ან სიტუაციურად – გარკვეული სოციალურ-კულტურული კონტექსტით – შეპირობებული მოვლენა, რომლის ღროსაც ორი განსხვავებული ენა, ან ერთი ენის ორი დიალექტური თუ სტილური ნაირსახეობა ენაცვლება ერთმანეთს.

პირველ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ღროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბილინგვის მიერ გამოძეგვებულ საუბრის ჩვევასთან, კოდის გადართვა ხდება ბუნებრივად, ლაღად, ისე, რომ მოსაუბრე ხშირად ვერც აცნობიერებს თავის ბილინგვურ ქცევას, თუ საუბრის მონაწილემ არ მიანიშნა ამაზე. სამეცნიერო საზოგადოების წევრები კოდის გადართვის აქტით იზიარებენ საერთო ტრადიციებსა და კულტურას და გამოხატავენ ჯგუფისადმი

სოლიდარობას. ამდენად, სოციალურ-კულტურული კონტექსტი მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაშიც, მაგრამ ის სიტუაციურად არ არის შეპირობებული.

მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ის განსაზღვრულია სიტუაციურად, მოვლენა გარკვეულწილად წარმოჩნდება, როგორც ინდივიდის პოზა, რომელიც ემსახურება თანამოსაუბრესთან რაიმე კუთხით ასოცირებას. ასეთ შემთხვევაში კოდის გადართვა ძალდატანებით ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, არც ბუნებრივად მიმდინარეობს, მოსაუბრეს კი გაცნობიერებული აქვს თავისი ბილინგვური ქცევა. მაგ., თუ მოსწავლეები ერთად სწავლობენ რომელიმე უცხო ენას, შეხვედრისას ისინი ხშირად გადაერთვებიან ამ ენაზე, რათა ხაზი გაუსვან მოცემულ კულტურულ კონტექსტში ერთმანეთთან სიახლოვეს. ასეთი მაგალითები ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

### კოდის გადართვის შესწავლის ისტორიიდან

რამდენიმე ათეული წელია, რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ბილინგვური მეტყველებისადმი და, კერძოდ, კოდის გადართვისადმი. ხშირად ბილინგვიზმს სწორედ კოდის გადართვის ნიშნით ახასიათებენ. მაგ., მეკის მიხედვით, ბილინგვიზმის პრაქტიკა არის მოსაუბრის მიერ ერთი ენის შეცვლა მეორით რიგრიგობით (Mackey 1962: 12). ბლუმფილდის განმარტებით, ბილინგვიზმი არის მოსაუბრის უნარი, გამოიყენოს ორი ენა თანაბრად კარგად (Bloomfield 1933). გროსჟინის შეხედულებით, „ბილინგვიზმი/მულტილინგვიზმი არის ფენომენი, რომელიც გულისხმობს ორი, ან მეტი ენის რეგულარულ გამოყენებას გარკვეული სამეტყველო საზოგადოების შიგნით“



(Grosjean 1982: 1). ლადოს განსაზღვრებაში ის ასეა ფორმულირებული: „ბილინგვიზმი არის მოსაუბრის მიერ ორი ენის კარგად, ან თითქმის კარგად გამოყენების უნარი, რომელიც მიემართება ამ ორი ენის ცოდნას, მიუხედავად მისი დონისა“ (Lado 1964: 214).

მაიერს-სკოტონი ბილინგვურ მეტყველებას განსაზღვრავს, როგორც ნებისმიერ წინადადებას, რომელიც მოიცავს ელემენტებს ორი, ან მეტი ენიდან. ელემენტები, რომლებიც წინადადებას ხლიან ბილინგვურს, შეიძლება იყოს ზედაპირული დონის სიტყვები ორივე ენიდან. მაგრამ ზოგჯერ მეტყველება არის ბილინგვური მაშინაც, თუ მას აქვს ასეთი სიტყვები მხოლოდ ერთი ენიდან. მეტყველებას ჰქვია ბილინგვური მაშინაც, თუ ორი ენა არის წინადადების ძირითადი სტრუქტურის წყარო (Myers-Scotton 2006/2013: 239).

ამდენად, კოდის გადართვა ბილინგვიზმის თვალსაჩინო პროდუქტია. ამიტომაც კვლევების უდიდესი ნაწილი ბილინგვიზმის თემასთან დაკავშირებით სწორედ კოდის გადართვას შეეხება.

ორენოვნება კი, თავის მხრივ, ენათა კონტაქტის შედეგია. ენათა კონტაქტებს კონტაქტური ლინგვისტიკის სფეროში შეისწავლიან. ტერმინი „კონტაქტური ლინგვისტიკა“ პირველად წარმოდგენილ იქნა ენათა კონტაქტისა და კონფლიქტის პირველ მსოფლიო კონგრესზე ბრიუსელში 1979 წლის ივნისში (Nelde 1997). ეს მიმართულება ლინგვისტიკის შედარებით მცირედ შესწავლილი სფეროა. მაიერს-სკოტონი ამას იმ მიზეზით ხსნის, რომ უმეტესი ლინგვისტური კვლევები ეხება ერთ ენას და ხშირად ეს ენა ინგლისურია (Myers-Scotton 2002: 1).

მეცნიერი განიხილავს კონტაქტურ ლინგვისტიკას, როგორც განსხვავებულს ბილინგვიზმისგან. ეს უკანასკნელი, მისი განმარტე-

ბით, უფრო ფართო სფეროა და მოიცავს ენათა კონტაქტს და, გარკვეულწილად, კონტაქტურ ლინგვისტიკასაც (იქვე: 4).

მისი შეფასებით, კონტაქტურ ლინგვისტიკას აქვს მსგავსება, ნათესაობა სოციოლინგვისტიკასთან, ენის სოციოლოგიასთან (რამდენადაც ის იკვლევს ბილინგვებს, როგორც საზოგადოების წევრებს) და ფსიქოლინგვისტიკასთან (რამდენადაც ის იკვლევს ბილინგვებს, როგორც ინდივიდებს, მათ ცოდნას, გონებას), მაგრამ, ამავე დროს, ის არის განსხვავებული დარგი. ეს განსაკუთრებით ეხება ბილინგვების ენების გრამატიკულ სტრუქტურას (იქვე: 5).

ეხება რა ენის სტრუქტურულ ბუნებას, კონტაქტურ ლინგვისტიკას კავშირი აქვს გრამატიკის თეორიულ კვლევებთან. მას შეუძლია წვლილი შეიტანოს ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ თეორიების განვითარებაში.

ენათა კონტაქტის დროს ერთ ენაზე მოსაუბრეები ხვდებიან მეორე ენაზე მოლაპარაკებებს და შემდეგ – სხვადასხვა მიზეზით – ერთმა ჯგუფმა შეიძლება შეისწავლოს სხვების ენა. მაიერს-სკოტონი წერს, რომ საკითხი, თუ ვინ ვის ენას სწავლობს, არის ღირსი შესწავლისა (იქვე).

რამდენადაც ბილინგვიზში ყალიბდება საზოგადოებაში, ენის არჩევანის მახასიათებლები წარმოიშეება მასში და იგი საერთო ხდება ბილინგვური ქცევისათვის. საზოგადოების წევრებს – ინდივიდებს უწევთ არჩევანის გაკეთება, რომელი ენა ვისთან გამოიყენონ და როდის (Fishman 2000).

თუ ბილინგვი ინდივიდი ესაუბრება მონოლინგვ ინდივიდს, საუბარი შედგება მონოლინგვის ენაზე. ენობრივი ცვლილებები ასეთ დროს შეიძლება შეეხოს ოფიციალურობის ხარისხსა და სტილს, მაგ.,

გადართვა მოხდეს არაოფიციალურიდან ოფიციალურისკენ, ან ინტიმურისკენ (Grosjean 1982: 2).

მეორე მხრივ, თუ ბილინგვი ესაუბრება ბილინგვს, კომუნიკაცია წარიმართება რომელიმე ენაზე, როგორც ბაზისურზე, თუმცა საუბრის დროს ისინი ხშირად მიმართავენ მეორე ენასაც.

ადრეულ წლებში ევროპელი განათლებული ადამიანები ბილინგვურ სტილს იყენებდნენ არაოფიციალური დისკუსიებისა და საუბრებისთვის, რომელშიც შერეული იყო გაბატონებული აკადემიური ლათინური ენისა და ადგილობრივი ენის ელემენტები. მარტინ ლუთერის სუფრის საუბრები წარმოადგენს ამ სტილის ამსახველ ერთ-ერთ პირველ კარგად დოკუმენტირებულ მასალას, რომელიც ტრანსკრიბირებულ იქნა მისი რამდენიმე სტუდენტის მიერ. თუმცა შემორჩენილი ტექსტური ჩანაწერები არ არის სიტყვა-სიტყვითი ტრანსკრიფციები და, ამასთან, სხვაობენ ჩამწერების მიხედვით, მაგრამ მაინც ადასტურებენ, რომ კოდის გადართვა ხშირად ხდებოდა (Auer & Muhamedova 2005: 39).

გარდა ამისა, კოდის შერევის სტრუქტურული წესები, ადამიანთა შორის დამკვიდრებული გამოყენების თანახმად, გადმოტანილია ტრანსკრიფციებში. ხშირ შემთხვევაში ისინი მორგებულია წერილობით (და, ამდენად, მონოლინგვურ) სტილს, სადაც წინადადებებს შორის ენის შერევის ზოგიერთი შემთხვევა შესწორებულია. სტოლტმა შეისწავლა ეს ბილინგვური ტექსტები და მოგვცა კოდის შერევის პირველი სტრუქტურული ახსნა (Stolt 1964).

ერთ-ერთი უადრესი კვლევა, რომელიც ეხებოდა ენის არჩევანისა და კოდის გადართვის საკითხებს, ჩატარდა ამერიკაში ჯორჯ ბარკერის მიერ ლინგვისტური ანთროპოლოგიის მიმართულებით. მან

აღწერა ენის გამოყენება ტუკსონში (Tucson) (არიზონა) მექსიკელ ამერიკელებს შორის.

ნაშრომში ავტორმა გააანალიზა ტუკსონის მაცხოვრებელთა ეკონომიკური ურთიერთობები, სოციალური კავშირები და სოციალური გეოგრაფია. მან აჩვენა, რომ ურთიერთობები ოჯახის წევრებსა თუ ახლო მეგობრებს შორის უმეტეს შემთხვევაში მყარდებოდა ესპანურად, მაშინ როდესაც ოფიციალური საუბრები ანგლოამერიკელებთან ხშირად წარიმართებოდა ინგლისურის საშუალებით, მაშინაც კი, როდესაც ყველას შეეძლო ესპანურის გაგება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლებოდა, ორივე ენის ელემენტები გამოეყენებინათ საუბრის დროს. ახალგაზრდები მეტად მიმართავდნენ ენათა მრავალფეროვნებას ორთა შორის საუბრებში, ვიდრე ასაკოვანები (Barker 1947: 185-186).

მოგვიანებით ნილეპმა აღნიშნა, რომ ენების ასეთი ხშირი მონაცვლეობა ცუდი აღზრდის პროდუქტი იყო (Nilep 2006: 5).

ბარკერი შეეცადა, ებასუხა კითხვაზე: როგორ ხდება, რომ ბილინგვებს შორის ერთ შემთხვევაში ტრადიციული ენა გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში – ინგლისური, და გარკვეულ შემთხვევებში ბილინგვები აშკარა მიზეზის გარეშე ერთ ენას ანაცვლებენ მეორით (Barker იქვე).

მეცნიერის მიერ დასმული ეს კითხვა დღესაც ცენტრალურ ადგილს იკავებს კოდის გადართვის შესახებ კვლევებში (თუმცა აღარავინ თქვამს, რომ ეს მოვლენა უმიზეზოდ ხდება). მაგ., 2002 წელს გამოცემულ კრებულში, რომელშიც თავმოყრილია 1995 წელს ჰამბურგის უნივერსიტეტში ჩატარებული ვორკშოპის მასალები, გამომცემელი პეტერ აუერი აღნიშნავს, რომ ტომში დასმულია ორი

ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული საკითხი: რა არის კოდები და როგორ მიემართება სასაუბრო კოდის გადართვა თავის ფართო სოციალურ და კულტურულ კონტექსტს (Auer 2013).

უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბარკერის ამ აღრეულ ნაშრომშივე იქნა განხილული მოვლენის სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი, ანუ შექმნილ იქნა, რომ კოდის გადართვა მხოლოდ ლინგვისტური ფენომენი არ არის. ამ მიმართულებით კვლევები მოგვიანო წლებში გააქტიურდა, თუმცა მიყვევით თანმიმდევრულად.

სოციოლინგვისტურ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ტერმინი „კოდის გადართვა“ (‘switching codes’) ლინგვისტიკაში შემოიტანა რომან იაკობსონმა აღრეულ 1950-იან წლებში ინფორმაციული თეორიიდან. ფანტთან და ჰოლისთან ერთობლივ ნაშრომში (Jakobson, Fant & Halle 1952) ის ეხება კოდის გადართვის ფენომენს, რომელიც ეყრდნობა ფანოს შრომას (Fano 1950) ინფორმაციულ თეორიაში და აგრეთვე ფრისისა და პიკის კიდევ უფრო აღრინდელ შრომას თანაარსებული ფონემური სისტემების შესახებ (Fries & Pike 1949).

იაკობსონმა პარალელი გაავლო ენის გადართვას, სესხებაში თანაარსებულ ფონოლოგიურ სისტემებსა და ინფორმაციულ თეორიას შორის, სადაც კოდის გადართვის ტერმინი უკვე იყო დამკვიდრებული. ამ ტერმინის ქვეშ მეცნიერი მოიაზრებდა კოგნიტურ კოდებს, რომლებიც შეიძლება შეთვისებული ჰქონდეთ ადამიანებსა და მანქანებს იმისათვის, რომ წარმართონ მეტყველება ორ ფორმაში. მაგ., კომპიუტერულ სამეტყველო გამშიფრავს შეუძლია გადართვა სხვადასხვა მოსაუბრის პარამეტრის მოწყობილობას შორის, რათა გაიგოს ერთზე მეტი ინდივიდის მეტყველება, რომელთაგან თითოეული

ავლენს განსხვავებულ მახასიათებლებს (Auer 2002: 27).

ფრისი და ჰაიკი ცდილობდნენ, ეჩვენებინათ და დაესაბუთებინათ, რომ მონოლინგვის მეტყველებაში შეიძლება თანაარსებობდეს ორი, ან მეტი ფონემური სისტემა. ისინი ადასტურებდნენ ასეთი ფონემური სისტემების ოთხ ძირითად ტიპს ადგილობრივ ენებში (Fries & Pike 1949: 29).

ალვარეს-კაკამო ყურადღებას ამახვილებს მეოთხე ტიპზე – ადგილობრივზე, რომელიც სხვაობებით ხარისხის, სტილისა და სიჩქარის მიხედვით, განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნია, რამდენადაც მასში ხედავს კავშირს გუმპერზის „ტონური ცვლილებების“ ცნებასთან (Gumperz 1982). ტონური ცვლელადობა კონტექსტუალიზაციის გარკვეულ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ფუნქციური თვალსაზრისით შეიძლება შეუდარდეს კოდის გადართვას (Alvarez-Cáccamo 2002: 30).

ფრისა და ჰაიკის შრომამდე, 1948 წელს, ჰოიჯერმა (Hoijer) შექმნა წყვილი ცნება ‘phonemic alternation’ და ‘phonemic alteration’, რომლებიც პარალელს პოულობს კოდის გადართვის შესაბამის ცნებებთან (Alvarez-Cáccamo 2002: 30).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დასაწყისში ბლინგვიზმის კვლევებში (Haugen 1950a, 1950b; Weinreich 1953; Vogt 1954; Diebold 1961) ყურადღება არ იყო გამახვილებული კოდის გადართვაზე (Alvarez-Cáccamo 2002: 32). როგორც ზემოთ ვნახეთ, ბარკერის შრომა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ამასთან ერთად უნდა დასახელდეს ჰაოგენის კვლევა. იგი თავის ერთ-ერთ ძირითად ნაშრომში – ‘Problems of Bilingualism’ (1950b) – ცდილობს, განიხილოს ბლინგვიური კვლევების მთავარი კითხვები, რათა

გარკვეული ხარისხით განჭვრიტოს ბილინგვი მოსაუბრის ქცევა (1950b: 271).

1950 წელსვე დაწერილ შრომაში ის საანალიზო მოვლენას აფასებს, როგორც ენის გადართვას და მას ასე ახასიათებს: „მოსაუბრეებს შეუძლიათ გადაერთონ სწრაფად ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ ნებისმიერ მოცემულ მომენტში ისინი საუბრობენ მხოლოდ ერთზე, მაშინაც კი, როდესაც მიმართავენ მეორეს დასახმარებლად“ (Haugen 1950a: 21).

ენის გადართვის შესახებ იგივე აზრი გამოთქვეს ვაინრაიხმა (Weinreich 1953: 73) და მეკიმ (Mackey 1962: 66–68), რომელთაც გადართვა ალტერნაციის სინონიმად ჩათვალეს.

კოდის გადართვის კვლევებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი ლინგვისტიკის დარგში გახდა ვაინრაიხის შრომა „ენები კონტაქტში“ (Weinreich 1953). მეცნიერმა აღწერა ბილინგვი საზოგადოებების საქმიანობა და ენათა კონტაქტის გავლენა ენებზე. ის შეეხო ბარკერის ტაქსონომიის ნაკლოვანებებს და აჩვენა, რომ მის მიერ ტუკსონის აღწერა (Barker 1947) არ იყო საკმარისი ბილინგვთა სამეტყველო ქმედებების ყველა შესაძლო შემთხვევის აღსაწერად, რამდენადაც ის ანალიზებდა მხოლოდ ოთხ სამეტყველო სიტუაციას: ინტიმურს (ახლობელთა შორის), არაოფიციალურს, ოფიციალურსა და ჯგუფებს შორის დისკურსს (Weinreich 1953: 87).

ვაინრაიხის აზრით, ანთროპოლოგიას ანგარიში უნდა გაეწია ლინგვისტიკისათვის, განსაკუთრებით სტრუქტურალიზმისათვის – იმისათვის, რომ სათანადოდ აღენუსხა ბილინგვთა მეტყველების პრაქტიკა ბილინგვურ საზოგადოებებში ენის დაუფლების/სოციალიზაციის პროცესში.

ნიღების მითითებით, ვაინრაიხის მიერ კოდების გადართვის

აღწერა ადასტურებს, რომ ბილინგვი ინდივიდები ფლობენ 2 გან-  
ცალკევებულ ლინგვისტურ სახესხვაობას, რომლებსაც ისინი იყენე-  
ბენ განცალკევებულ შემთხვევებში (Nilep 2006: 5).

პირველი მკაფიო შეხება კოდის გადართვასთან იძებნება ჰანს  
ფოგტთან. მისი შრომა „ენათა კონტაქტები“ წარმოადგენს ამ მიმარ-  
თულების ერთ-ერთ პირველ კვლევას ლინგვისტიკის სფეროში (Vogt  
1954). ბენსონი და ალვარეზ-კაკამო მას ლინგვისტიკის დარგში  
პირველ ნაშრომად მიიჩნევენ, სადაც გამოყენებულია ტერმინი „კო-  
დის გადართვა“ (Benson 2001; Alvarez-Cáccamo 2002).<sup>9</sup>

ჰანს ფოგტმა გამოთქვა მნიშვნელოვანი შეხედულებები კოდის  
გადართვის მოვლენასთან დაკავშირებით. მისი დახასიათებით, „კო-  
დის გადართვა თავისთავად, შესაძლოა, არის არა იმდენად ლინგვის-  
ტური ფენომენი, რამდენადაც უფრო ფსიქოლოგიური და მისი  
მიზეზები ცხადად ექსტრალინგვისტურია... თავად ბილინგვიზმი კი  
ლინგვისტთა დიდ ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც ის არის  
პირობა ენებს შორის ინტერფერენციისათვის“ (Vogt 1954: 368).

ამდენად, თუ ბარკერმა 1947 წელს გააანალიზა კოდის გად-  
ართვის სოციო-ეკონომიკური კონტექსტი, ფოგტმა 1954 წელს მას  
ფსიქოლოგიური კონტექსტიც დაუმატა. ასე რომ, კოდის გადართ-  
ვის არსებითი მახასიათებელი შტრახები მის შესახებ შექმნილ ჰიონ-  
ერულ შრომებშივე მოიხაზა.

2 წლის შემდეგ, 1956 წელს, ჰაოგენმა განიხილა კოდის გად-  
ართვა, როგორც სამსაფეხუროვანი დიფუზიის ერთ-ერთი წევრი,  
ინტერფერენციასა და ინტეგრაციასთან ერთად. მისი აღწერით, მოვ-

---

9. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინი ლინგვისტიკაში პირველად იაკობ-  
სონმა შემოიტანა.



ლენა დასტურდება, როდესაც ბილინგვი თავის საუბარში წარმოთქვამს სრულიად არამსგავს სიტყვებს მეორე ენიდან (Haugen 1956: 40).

კოდის გადართვის ლინგვისტური კვლევის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა დიგლოსიის ფენომენის აღწერამ, რომელიც პირველად შემოგვთავაზა ფერგიუსონმა 1959 წელს და შემდეგ ის დახვეწა ფიშმანმა 1967 წელს.

ფერგიუსონმა დიგლოსია განსაზღვრა, როგორც ნორმირებული და დივერგენციული (ნორმისგან განსხვავებული), ანუ არანორმირებული, მაღალ დონეზე კოდიფიცირებული ენობრივი სახესხვაობების თანაარსებობა, სადაც არანორმირებული სახეობა გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (Ferguson 1959: 336). ფერგიუსონმა დიგლოსია შეზღუდა ერთი და იმავე ენის სახესხვაობებით, მაგრამ ფიშმანმა აღწერა მსგავსი ფუნქციონალური განაწილებები არამონათესავე ენებს შორისაც (Fishman 1967).

არც ფერგიუსონსა და არც ფიშმანს არ შემოუთავაზებიათ ცალკეული ინტერაქციის, ან დისკურსის ფარგლებში სახესხვაობებს შორის ურთიერთობის მაგალითები, თუმცა დიგლოსიის მათეული აღწერები შეეხება სიტუაციური გადართვის ცნებას.

ფიშმანი იმოწმებს ბლომისა და გუმბერზის გამოუქვეყნებელ სტატიას და აღნიშნავს, რომ სახესხვაობები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იუმორისთვის, ან მახვილისთვის მეტაფორული გადართვის პროცესში (იქვე: 36). ამდენად, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია კოდის გადართვის მიზეზებზეც.

კოდის გადართვას შეეხო დიებოლდი 1961 წელს (Diebold 1961). ამავე წელს იაკობსონმა ტერმინი გამოიყენა ‘receding’-ის მნიშვნელობით (Jakobson 1961: 250). ფრანგულ თარგმანში ‘recodage’ ინ-

ტენზორეტირებულია, როგორც გადასვლა ერთი კოდისგან მეორეზე (Jakobson 1963/1961: 95). ამ ნაშრომის 1984 წლის გამოცემაში კი, ეს-ბანურ ვერსიაში, ‘recodificación’ (‘receding’) და ‘interconexión codal’ (‘code-switching’) ახსნილია, როგორც განსხვავებული ფენომენები (Jakobson 1984/1961: 89).

სოციოლინგვისტიკისათვის, ლინგვისტური ანთროპოლოგიისათვის თუ ენის სოციოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესია ჯონ გუმპერზის ნაშრომები. კოდის გადართვის შესახებ კვლევების ისტორიას სოციოკულტურულ ლინგვისტიკაშიც ხშირად ბლომისა და გუმპერზის ნაშრომით („სოციალური მნიშვნელობა ლინგვისტურ სტრუქტურებში“: Blom & Gumperz 1972)<sup>10</sup> იწყებენ: (იხ.: Niley 2006: 1-2; Myers-Scotton 1993; Rampton 1995; Benson 2001; Myers-Scotton 1972).

მაიერს-სკოტონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოდის გადართვის სოციო-ფსიქოლოგიური მოტივაციები მთავარ საკვლევ თემად აქცია გუმპერზის შრომებმა (Myers-Scotton 1993: 45). ბასიოუნი გუმპერზის დამსახურებად კოდის გადართვის შესწავლის საქმეში მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მან ეს თემა ანალიზისა და შესწავლის დარსი გახადა (Bassiouney 2006).

გუმპერზის ადრეული კვლევების უძრავლესობა განხორციელდა ჩრდილოეთ ინდოეთში (Gumperz 1958, 1961, 1964a, 1964b). მისი დაკვრვების ობიექტი იყო ჰინდი და მისი დიალექტები. 1958 წლის შრომაში მკვლევარი აღწერს სამ მონაცემს – სოფლის დიალექტებს, რეგიონალურ დიალექტებსა და სტანდარტულ ჰინდის, რომელთაგან თითოეული შეიძლება შეიცავდეს უამრავ სახესხვაობას და ასრულებდეს განსხვავებულ ფუნქციებს. იგი წერს, რომ მამაკაცთა უძრავლესობა (განსაკუთრებით ისინი, ვინც, ძირითადად, მოგზაურობენ) საუბრობს

10. “Social meaning in linguistic structures”.

ორ მონაცემზე – სოფლისა და რეგიონალურ დიალექტებზე. ამათგან პირველი გამოიყენება სახლში და სხვა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ურთიერთობისას, მეორე კი – უცხოებთან (Gumperz 1958: 669).

შრომაში „ლინგვისტური საზოგადოებების ტიპები“ გუმპერზმა ინტეგრირებული სოციალური „მატრიცა კოდის“ სპეციფიკური ფუნქციები დაუკავშირა სპეციფიკურ „კომუნიკაციურ როლებს“ საზოგადოების კომუნიკაციურ მატრიცაში. ავტორი აღნიშნავს, რომ კოდები თუ ქვეკოდები ფუნქციონირებს, როგორც ლინგვისტური დიაკრიტიკული ნიშნები, რომლებიც წარმოდგენილ როლზე მიუთითებს. კოდების შენარჩუნება თუ გაუჩინარება საზოგადოების მოთხოვნილების ფუნქციაა, შეინარჩუნოს როლები, ან უარი თქვას მათზე (Gumperz 1962: 102).

როგორც დიდი გადმოგვცემს, 1963 წელს, როდესაც გუმპერზი მუშაობდა ოსლოს უნივერსიტეტის სოციოლოგიის ინსტიტუტში, ის შეხვდა ბლომს (Dil 1971). მათ ერთად წამოიწყეს კვლევა ვერბალური ქცევის შესახებ ჩრდილოეთ ნორვეგიის პატარა დასახლება ჰემნესბერგეტში (Hemnesberget), სადაც მხოლოდ 1300 მოსახლე ცხოვრობდა.

1964 წელს გუმპერზმა ორი ენობრივი ერთეულის – სტანდარტული ლიტერატურული ბოკმალისა (Bokmål) და ადგილობრივი რანამალის (Ranamål) – გამოყენება ჰემნესბერგეტში შეუდარა ჰინდის სტანდარტული და ადგილობრივი დიალექტების გამოყენებას ჩრდილოეთ ინდოეთში. თითოეულ მოსახლეობაში ადგილობრივი დიალექტები უფრო ხშირად გამოიყენებოდა მეზობლებთან ურთიერთობაში, მაშინ როდესაც სტანდარტული დიალექტები ემსახურებოდა კომუნიკაციას საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში (Gumperz 1964b: 148).

ამ ალტერნატივების სოციალური ფუნქციების განხილვის საჭიროება ხაზგასმულია გუმპერზის შრომაში და სისტემატიზირებულია მის ორ ადრინდელ კვლევაში (Gumperz 1962, 1964a) (Alvarez-Caccamo 2002: 33).

ბლომსა და გუმპერზს გამოუჩნდნენ კრიტიკოსებიც, რომელთაც აღნიშნეს, რომ ჰემესბერგეტის ვერბალური რეპერტუარის მათეული აღწერა არასაკმარისი და ნაკლოვანი იყო. მკვლევარმა მაეჰლუმმა მიუთითა, რომ ნორვეგიის სხვა სოფლებში ადგილობრივი და სტანდარტული დიალექტები არ არის ისეთი განსხვავებული, როგორც ბლომმა და გუმპერზმა შემოგვთავაზეს (Maehlum 1996: 753).

ნილეპის აზრით კი, შეხედულება, რომ ნორვეგიელი მოსაუბრეების ვერბალური რეპერტუარი შეიცავს ორ განსხვავებულ კოდს, აზრსმოკლებულია (Nilep 2006: 8).

გუმპერზმავე განაწილარა კოდის გადართვის ფუნქციონალური, ინტერაქციული ხედვა სოციალურ დიალექტოლოგიაზე მუშაობის დროს ინდოეთში (Gumperz 1957, 1958, 1961, 1964a, 1964b, Gumperz & Naim 1960).

შრომაში „ჰინდი-პენჯაბის კოდის გადართვა დელჰიში“ (Gumperz 1964a) მეცნიერი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ სტანდარტული გრამატიკული წესები შეიძლება მიემართებოდეს სხვადასხვა მონაცემს მრავალენოვანი სტილისტური მუდმივადან და წარმოგვიდგენს „კოდის გადართვის სტილის“ ცნებას.

1964 წელს ერვინ-ტრიპმა სოციალურ ცვლადებზე გაამახვილა ყურადღება და გამოთქვა შეხედულება, რომ ლინგვისტურ ფორმაზე გაგლენას ახდენს გარემოცვა, მოსაუბრე და საუბრის თემა (Ervin-Tripp 1964). მის კვლევებში იაპონიაში დაბადებული ბილინგვი

ქალების შესახებ, რომლებიც ცხოვრობდნენ აშშ-ში, განხილულია ურთიერთობები ენის არჩევანსა და საუბრის შინაარსს შორის. მანვე შემოგვთავაზა ენის არჩევანის სემანტიკური ანალიზი. ერვინ-ტრიპის მოსაზრებები ერთგვარი დასაყრდენი გახდა გუმპერზის მომდევნო დროის კვლევებისთვის, ასევე სხვათა ნაშრომებისთვის.

გუმპერზის ვილსონთან თანაავტორობით გამოცემულ შრომაში ნახვენება, რომ ინდო-არიულ და დრავიდულ ენათა ოჯახების გენეტიკურად არამონათესავე ენებს შორის თართო სინტაქსური კონვერგენციის მიუხედავად, ცოტადენი მორფოფუნქციური და ლექსიკური განმასხვავებელი ნიშნები შენარჩუნებულია განსხვავებული კომუნიკაციური როლებისა და სოციალური იდენტობების აღსანიშნავად (Gumperz & Wilson 1971: 162).

ალვარეს-კაკამოს მითითებით, ეს შეიძლება შეგვხედეს ბევრ ბილინგვურ სიტუაციაში, სადაც კოდის გადართვა, უმთავრესად, ხასიათდება სხვადასხვა ლექსიკური, მორფოლოგიური და პროსოდიული ნიშნით (Alvarez-Caccamo 2002: 34).

ბლომმა და გუმპერზმა 1972 წელს ბოკმალისა და რანამალის ფუნქციების ანალიზი განაგრცეს, რაც გახდა კიდევ დასაყრდენი კოდის გადართვის შესახებ კვლევებისთვის. მათ აღწერეს ბოკმალი და რანამალი, როგორც განსხვავებული კოდები, თუმცა არა განსხვავებული ენები, რომლებიც ერთმანეთისაგან გაირჩეოდა უმნიშვნელო ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური მახასიათებლებით.

ბლომმა და გუმპერზმა დასვეს კითხვა – რატომ ხდებოდა, რომ, მიუხედავად თავიანთი მნიშვნელოვანი მსგავსებებისა და იმ ფაქტისა, რომ მოსაუბრეთა უმრავლესობა იყენებდა ორივე სახესხვაობას,

ბოკმალი და რანამალი შენარჩუნებული იყო, როგორც ცალ-ცალკე სახეობა. „უფრო კეთილგონივრულია, ვივარაუდოთ, რომ ლინგვისტური დაცალკევებულობა დიალექტსა და სტანდარტულს შორის... შეპირობებულია სოციალური ფაქტორებით“, – აღნიშნეს მკვლევარებმა (Gumperz 1972: 417).

ისინი ადასტურებენ, რომ ადგილობრივი რანამალის ფრაზების გამოყენება სტანდარტულ ბოკმალში გულისხმობს სხვა სოციალურ მოვლენებზე ყურადღების გამახვილებას, რომელშიც შეიძლება მოსაუბრეები იყვნენ ჩართულნი. ეს აღუზიები (გადაკრული სიტყვები) ფრანას სძენენ დამატებით მნიშვნელობას, როგორცაა, მაგ., კონფიდენციალობა, ან სხვა რომელიმე ნიუანსი.

ამდენად, თითოეული სახესხვაობა ერთმანეთისაგან განიჩეოდა უფრო მეტად სოციალური ფუნქციებით, ვიდრე ლინგვისტური თვალსაზრისით: გარკვეული სოციალური სიტუაციისთვის ზოგიერთი ლინგვისტური ფორმა უფრო შესაბამისი იყო, ვიდრე სხვა ფორმები.

გუმპერზისა და ბლომის რესპონდენტმა მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მათთვის ლექცია და დისკუსია საკლასო ოთახში განსხვავებული მოვლენები იყო. თუ ლექცია წარმართებოდა სტანდარტულ ბოკმალზე, დებატების დროს გადართვა ხდებოდა რეგიონალურ რანამალზე. გადართვის ამ ტიპს, რომელიც გამოწვეული იყო შეცვლილი სოციალური გარემოთი, ბლომმა და გუმპერზმა უწოდეს სიტუაციური გადართვა (Blom & Gumperz 1972: 424).

გადართვის სხვა ტიპი კი რეალიზდება ორი ენობრივი სახესხვაობის გამოყენებისას ცალკეულ სოციალურ გარემოში. ბლომი და გუმპერზი აღწერენ ურთიერთობას ოფისის მოხელეებსა და მოქალაქეებს შორის ადმინისტრაციულ ოფისში, სადაც მისალმებები

წარმართება ადგილობრივ დიალექტზე, მაგრამ საქმეებს უძღვებიან სტანდარტულზე. ანალოგიური შემთხვევები აღწერილი აქვს ფრიდრიხს რუსული ენის მაგალითზე (Friedrich 1972). ბლომი და გუმპერზი გადართვის ამ ტიპის ასახსნელად იყენებენ ტერმინს „მეტაფორული გადართვა“ (Blom & Gumperz 1972: 425).

სიტუაციური კოდის გადართვა მოტივირებულია გარეგანი ფაქტორებით, როგორცაა გარემო, თემა, სოციალური სიტუაციის ცვლილება. მეტაფორული კოდის გადართვა კი მოტივირებულია ინდივიდით და დაკავშირებულია ინდივიდის აღქმასთან, წარმოდგენებთან და დამოკიდებულებებთან ამავე გარე ფაქტორებისადმი (იქვე).

სიტუაციური და მეტაფორული გადართვის ცნებები გამოიყენა ძალიან ბევრმა სოციოლინგვისტმა, ლინგვისტმა ანთროპოლოგმა და ა. შ.

კოდის გადართვის სიტუაციურ და მეტაფორულ სახეობებად დაყოფა ვარაუდობს, რომ არსებობს განსხვავებული მოტივაციები თითოეული სახეობისათვის.

მაიერს-სკოტონი კითხვას სვამს ამ დაყოფის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ბევრი მსგავსებაა ამ სახეობებს შორის და ამიტომ ისინი უნდა გაერთიანდეს კოდის გადართვის ერთ თეორიაში. მისი აზრით, ზოგადად, ძნელია ენის სიტუაციური თუ მეტაფორული არჩევანის გამოვლენა. ნაკლებ სავარაუდოა აგრეთვე, რომ ადგილობრივ მოსაუბრეებს ჰქონდეთ ინტუიცია, ან აღქმა თავიანთი საუბრის კოდის გადართვებისა (Myers-Scotton 1993: 55).

რამპტონი განიხილავს გადაკვეთას („crossing“), როგორც კოდის გადართვის მეტაფორულ ტიპს, ხოლო სიტუაციურ გადართვას განსაზღვრავს, როგორც ენის აღტერნაციას კონტექსტის შესაბამისად. ის წერს, რომ მეტაფორული და სიტუაციური გადართვა

არ შეიძლება იყოს მარტივად საზღვრებდადგენილი. სიტუაციური გადართვისაგან განსხვავებით, გადაკვეთა ამატებს დამატებით კონტექსტებს, რომლის საშუალებითაც ინტერაქცია უნდა გახდეს გარკვეული, ნათელი (Rampton 1995).

გუმპერზმა თავად აღიარა სიტუაციური თუ მეტაფორული კოდის გადართვის მისეული აღწერის არასრულყოფილება. 1982 წელს ხაზი გაუსვა მეტაფორული გადართვის როლს სიტუაციურთან შედარებით. იხმარა ტერმინი „სასაუბრო კოდის გადართვა“ (Gumperz 1982: 59).

ამ თეორიაში ხაზგასმულია ინდივიდის როლი. გუმპერზმა, როგორც ბასიოუნი ატვასებს, უბრეცენდენტოდ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ინდივიდს კოდის გადართვაში. მისი განმარტებით, კოდის გადართვა არის შემოქმედებითი აქტი, რომელშიც ინდივიდი თამაშობს მთავარ როლს. ინდივიდის ასეთი მნიშვნელობა ვერ შეათვასა ბევრმა ლინგვისტმა გუმპერზამდე.

მაიერს-სკოტონი პრობლემას ხედავს ამ იდეაში. მისი აზრით, დიდი ყურადღების გადატანამ ინდივიდის შემოქმედებით როლზე მკვლევარს შეიძლება დააკარგვინოს კოდის გადართვის პროცესის ზოგადი ბუნების ხედვა (Myers-Scotton 1993: 59-60). ის წერს: „შეიძლება გწამდეს განზოგადების შესაძლებლობა ინტერაქციებში იმისათვის, რომ შექმნა განმარტებითი თეორია, მაგრამ საერთოდ არ არის ნათელი, რომ გუმპერზს აქვს ეს რწმენა“ (იქვე: 59).

ბლომისა და გუმპერზის (1972) კვლევა კოდის გადართვის ფორმის თაობაზე ნორვეგიაში იყო შესავალი კოდის გადართვაში, რომელსაც ლინგვისტი სტუდენტები სწავლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ის უფრო დიალექტის გადართვა იყო, ვიდრე ენისა. შემ-



დგომმა კვლევებმა (Gumperz 1982, Myers-Scotton & Ury 1977) განათარა იდეა, რომ კოდის გადართვა იმსახურებდა შესწავლას, რადგანაც ის ნათლად გვიჩვენებდა, ერთ სახეობას როგორ გადაქონდა განსხვავებული სოციალური ინფორმაცია მეორისგან.

1972 წლისთვის ტერმინი „კოდის გადართვა“ მყარად დამკვიდრდა ლიტერატურაში. ამ პერიოდთან მოყოლებული, დაიწერა უამრავი ნაშრომი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია კოდის გადართვის გამომწვევ სოციალურ და ფუნქციურ ფაქტორებზე. ბევრი მკვლევარი, სოციალურთან ერთად, შეეხო დისკურსის ფუნქციებსაც, ანუ კოდის გადართვის სოციალურ-პრაგმატულ ასპექტს (Gumperz 1971, 1976; Gumperz & Hernandez-Chavez 1975; Huerta-Macias 1981; Genishi 1981; McClure 1981; Valdes-Fallis 1976, 1981; Gardner-Chloros 1985, 1991; Heller 1988; Thakerar, Giles & Cheshire 1982), ნაწილმა კი ყურადღება გაამახვილა ლინგვისტურ ფაქტორებზე (Gingras 1974; Gumperz 1976; Pfaff 1976, 1979; Timm 1975; Wentz 1977; Poplack 1980, 1981; Zentella 1981).

თემა სოციოლინგვისტიკის განსაკუთრებული დინტერესების საგნად იქცა. ლინგვისტიკის ეს დარგი სწავლობს ენის ფუნქციონირებას სოციალურ კონტექსტში და მისი განვითარების თავისებურებებს საზოგადოებაში. მართალია, იგი არ ინტერესდება სიტყვის ფონეტიკურ-ფონოლოგიური თავისებურებებით, ან წინადადების სტრუქტურული შემადგენლობით, თუ მისი მორფოსინტაქსური ჩარჩოთი, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს განსხვავებებზე ენის გამოყენებაში. ჩომსკიმ ეს ასე ჩამოაყალიბა: „სოციოლინგვისტიკა ფოკუსირებას ახდენს საზოგადოებაში ენის გამოყენების განსხვავებულობაზე“ (Chomsky 2000: 1).

სტრატეგიული აღნიშნავს: „ჩემი არგუმენტი არის ის, რომ საუბრის კოდის გადართვა იმდენად ძლიერად არის ჩართული სოციალურ ცხოვრებაში, ის ნამდვილად არ შეიძლება გაგებულ იქნეს სოციალური ფენომენის გაგებისაგან მოწყვეტილი“ (Stroud 1998: 322).

აუერმა შეისწავლა კოდის გადართვა გერმანიაში მომუშავე სტუმარი იტალიელების შვილებს შორის (Auer 1984). კლინმა გამოიკვლია ევროპელი იმიგრანტების ენები ინგლისურთან კონტაქტში ავსტრალიაში (Clyne 1982), აპელმა და მიისკენმა განიხილეს ენობრივი კონტაქტი (Appel & Muysken 1987).

არაერთი შრომა მიემდგინა კოდის გადართვის თემას არაბულსა და სხვა ენებს შორის, როგორცაა ფრანგული და ჰოლანდიური (Abbassi 1977; Bentahila 1983a, 1983b; Bentahila et al. 1983, 1991; Boumans 1998; Heath 1989; Eid 1992; Myers-Scotton, Jake, & Okasha 1996; Nait M'barek & Sankoff 1988; Nortier 1989, 1990a, 1990b, 1995; Said 1988).

პენელოპე გარდნერ-ქლოროსმა შეისწავლა საფრანგეთში სტრასბურგის ბილინგვური საზოგადოება და წარმოგვიდგინა სოციოლინგვისტური მიდგომა (Gardner-Chloros 1985; 1991).

მომდევნო პერიოდის სოციოლინგვისტური კვლევები კოდის გადართვას განიხილავდა, როგორც ბილინგვის ორი ენის ინტერაქციის ბუნებრივ პროდუქტს.

90-იან წლებში შექმნილმა ნაშრომებმა ბილინგვური საზოგადოებების შესახებ, როგორცაა ზენტელას (Zentella 1997) კვლევა ესპანურზე მოსაუბრე აუერტო რიკელის შესახებ ნიუ-იორკში (რომლებიც ასევე საუბრობენ ინგლისურად), დიდი ყურადღება დაუთმო იმას, თუ მონაცვლე ენები განსხვავებულ გარემოში, ან გადართვები ერთსა და იმავე ინტერაქციაში როგორ არის საუბრის წყარო.

კვლევის ამ მიმართულებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო იმის გაგება, რომელ ენას იყენებდა ბილინგვი მოცემულ მომენტში. გაიზარდა ინტერესი, რომ გაერჩიათ გადართვა სესხებისაგან, ტრანსფერისაგან, ინტერფერენციისაგან, ინტეგრაციისაგან და ა. შ., რაც შემდგომ გაგრძელდა აუერის მიერ კოდის გადართვის შესახებ საუბრის ანალიზშიც (Auer 1984).

მისი ნაშრომი „ბილინგვური საუბარი“ წარმოადგენდა პიონერულ კვლევას ინტერაქციისა და კოდის გადართვის ურთიერთმიმართების შესახებ. მან მიუთითა, რომ სასაუბრო სიტუაცია იქმნება ინტერაქციაში. თითოეული მოსაუბრის გამოთქმების ფორმა განსაზღვრავს სიტუაციას. კოდის გადართვა ბუნებით არ არის სემანტიკური, ის არ მომდინარეობს არსებული ენების მნიშვნელობებიდან, მაგრამ ჩართულია საუბრის შემდგომ განვითარებაში (იქვე: 93).

აუერის მოსაზრებით, კოდის გადართვა ბილინგვურ სამეტყველო საზოგადოებებში დაკავშირებულია ჯგუფის წევრობასთან იმდენად, რომ ორი, ან მეტი ენის ალტერნატიული გამოყენების რეგულარობა ერთი საუბრის ფარგლებში შეიძლება იცვლებოდეს სამეტყველო საზოგადოებებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის ხარისხით (Auer 2013: 7).

გარდა ამისა, კოდის გადართვის ხარისხები შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვითაც, თუ ვინ არის თანამოსაუბრე: ოჯახის წევრი, მეგობარი, ოფიციალური პირი, უფროსი, თუ სხვა; სად მიმდინარეობს საუბარი: ეკლესიაში, სახლში, სამუშაოზე თუ სხვაგან (Crystal 1987).

ბელი აღნიშნავს, რომ ირლანდიის დასავლეთში ირლანდიურ-ინგლისური ბილინგვები გადაერთვებიან ინგლისურზე არა მხოლოდ

მაშინ, როდესაც მიმართავენ ინგლისურენოვან მონოლინგუებს, არამედ მაშინაც, როდესაც იმ დროს იქ არის შესაბამისი მსმენელი, რომელიც ასევე საუბრის მონაწილედ ითვლება (Bell 1984: 172).

მსმენელები იყენებენ გადართვას, რათა მოსაუბრის განზრახვა კარგად გაიგონ. მსგავსად ამისა, მოსაუბრეები გადართავენ თავიანთ საუბარს ამავე მიზნებისათვის, სიტუაციის შეცვლის შესაბამისად. ისინი იყენებენ სასაუბრო კოდებს, რათა ურთიერთობა დაამყარონ სხვა ენის მომხმარებლებთან.

საინტერესოა სკოტონის მიერ ჩამოყალიბებული სოციალური მოტივები კოდის გადართვის კონტექსტში. მისი აზრით, მთავარი მიზეზი სასაუბროდ ერთი კონკრეტული ენის ამორჩევისა კონკრეტულ ინტერაქციაში, არის სოციო-ფსიქოლოგიური ღრეებულებები, რომელიც ასოცირებულია ამორჩეულ ენასთან. მთავარი აზრი არის შემდეგი: ნებისმიერ საზოგადოებაში ლინგვისტური სახესხვაობებიდან (ენები, დიალექტები, სტილები) ამ საზოგადოების რეპერტუარში თითოეული ატარებს განსხვავებულ სოციალურ მნიშვნელობას. მოსაუბრეები „იცნობენ“ ამ მნიშვნელობებს, როგორც თავიანთი საკომუნიკაციო კომპეტენციის ნაწილს. როდესაც ისინი იყენებენ კონკრეტულ სახესხვაობას, ისინი მიუთითებენ ორივეზე – როგორ ხედავენ ისინი თავიანთ თავს და თავიანთ ურთიერთობებს სხვა მონაწილეებთან საუბრის დროს.

მოსაუბრეები შეიძლება თავს გრძნობდნენ უკეთესად, როდესაც გარკვეულ თემაზე საუბრობენ რომელიმე ენაზე. მათ შეიძლება გადართონ ენა, რადგანაც ფიქრობენ, რომ ერთ ენაზე უკეთესად გადმოსცემენ თავიანთ სათქმელს, ვიდრე მეორე ენაზე. ამ დროს სიტყვა ავსებს პრაგმატულ ნაპრალს მეორე ენაში. სიტყვა ერთ ენაზე

შეიძლება მიემართებოდეს ცნებას, ან საგანს, რომელიც არ არსებობს მეორე ენის მშობლიურ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში სიტყვა ერთი ენიდან შეიძლება ავსებდეს ლექსიკურ ნაპრაღს მეორე ენაში. რამდენადაც არსებობს უამრავი მიზეზი, თუ რატომ ირჩევენ მოსაუბრე საუბრის დროს კონკრეტულ ენას მეორესთან შედარებით, სკოტონის აზრით, მთავარი მიზეზი არის ამ ენაზე საუბრის სიმბოლური ღირებულება და არა ნაპრაღების შევსება.

მეცნიერის მიზანია, აჩვენოს, ბლინგვის არჩევანი ერთი ენობრივი ნაირსახეობისა მეორესთან შედარებით, როგორ გამოხატავს სიმბოლურად რაიმეს მის მიღმა (Myers-Scotton 2006/2013: 143).

სოციალური მნიშვნელობები, რომელიც აქვთ ენობრივ ნაირსახეობებს, ღიდად არის დამოკიდებული მოსაუბრეთა ჯგუფზე საზოგადოებაში, რომელიც ასოცირებულია ამ ნაირსახეობასთან. მაგ., თუ რომელიმე X ენაზე საუბრობს უფრო განათლებული ხალხი, მსმენელებს ექმნებათ ამ ენაზე მოსაბრეთა შესახებ ფსიქოლოგიური სურათი, რომ ისინი არიან ძალიან განათლებულები, ან უკავიათ კარგი თანამდებობა, ან ცხოვრობენ ქალაქის პრესტიჟულ უბანში. ანალოგიურ სურათს უქმნის მოსაუბრეც თანამოსაუბრეს.

ამდენად, როგორც სკოტონი აფასებს, ყველა ენობრივი ნაირსახეობა ატარებს თავის სოციო-ფსიქოლოგიურ ტვირთს. თითოეული ნაირსახეობა იღებს ამ ტვირთს მნიშვნელოვანწილად მოსაუბრეებისაგან, რომლებიც მეტად არიან ასოცირებულნი ამ ნაირსახეობის გამოყენებასთან და იღებს აგრეთვე ამ ტვირთს სიტუაციებისაგან, რომელშიც ეს სახესხვაობა გამოიყენება, როგორც ყველაზე შესაბამისი არჩევანი. შესაბამისად, მასში ძალიან ბევრი სოციალური ინფორმაციაა თავმოყრილი და ეს როგორ აღიქმება მსმენელის მიერ, ხშირად დამოკიდებულ-

ლია გამოცდილების კვალდაკვალ ხანგრძლივი ღროის განმავლობაში შექმნილ საზოგადოების ქცევის ნორმებზე (იქვე).

სკოტონი წერს, რომ ჩვენ შეიძლება შევეჩოთ ლინგვისტურ არჩევანებს, როგორც ინდექსირებულ ნიშნებს. როდესაც ვერბალური, ან არავერბალური ნიშანი ფუნქციონირებს, როგორც ინდექსირებული ნიშანი, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ის მიუთითებს კიდევ რაღაცაზე. ინდექსირებული ლინგვისტური ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვა, ფრაზა, ან მთელი სახესხვაობა.

ბილინგვისტის ერთი ენის ამორჩევა მეორესთან შედარებით მოცემულ სიტუაციაში გვეუბნება რაღაცას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს ბილინგვი თავის თავზე. როდესაც ბილინგვი (ან მონოლინგვი) აკეთებს ასეთ არჩევანს, ის გვეუბნება რაღაცას, თუ როგორ სურს მას, ურთიერთობა დაამყაროს სხვებთან საუბარში. კოდის არჩევანის გაკეთება არის თავისი თავის ინდექსირება. ამ თვალსაზრისით, ყველა ლინგვისტური სახესხვაობა არის ინდექსირებული (იქვე: 145).

როგორც ინდექსირებული ნიშნები, საშუალების ამორჩევა, რომლითაც საუბრობენ, თავისთავად არ არის სოციალური გზავნილი. არჩევანი მიუთითებს სულ მცირე რამდენიმე ინტერპრეტაციაზე, რომელიც შეიძლება მიბმული იყოს ამ არჩევანზე. ინტერპრეტაციები არის სოციალური გზავნილები. მაგ., როდესაც თინიჯერი ბავშვები ემიგრანტულ ოჯახში ინგლისში უარს ამბობენ, ისაუბრონ ოჯახის პირველ ენაზე თავიანთ მშობლებთან და ურჩევნიათ ისაუბრონ მხოლოდ ინგლისურად, რა არის სოციალური გზავნილი? (ამ შემთხვევაში მშობლებმა საკმაოდ კარგად იციან ინგლისური, რომ გაიგონ საუბარი, მაგრამ მათ ურჩევნიათ ისაუბრონ თავიანთ მშობლიურ ენაზე საოჯახო ურთიერთობებში).

ერთი შესაძლებელი გზაა, რომელიც ინდექსირებულია ინგლისურის არჩევანით, არის ის, რომ თინეიჯერები თავიანთ თავს ხედავენ, როგორც გათიშულებს (გამოყოფილებს) თავიანთი ეთნიკური ჯგუფის იდენტობიდან და ნაცვლად ამისა, გაიგივებულებს (ასოცირებულებს) გაბატონებულ კულტურასთან და ღირებულებებთან. ამის საპირისპიროდ, თუ მათ ილაპარაკეს მშობლიურ ენაზე, მშობლებმა ეს შეიძლება გაიგონ, როგორც მიმანიშნებელი სულ მცირე მინიმალურ პატივისცემაზე მშობლიური სურვილებისა და ეთნიკური იდენტობის დაფასებისადმი (იქვე: 146).

სკოტონი კითხვას სვამს: „საიდან მოდის სოციალური მნიშვნელობები? სიტუაციები, რომელშიც კონკრეტული ენობრივი ნაირსახეობა გამოიყენება რეგულარულად, არის მისი სოციალური მნიშვნელობების ერთი წყარო. განსხვავებული სახესხვაობები იღებს განსხვავებულ ღირებულებებს ისე, რომ მათი გამოყენება (ამ სახესხვაობებისა) ასოცირებულია განსხვავებულ სფეროებთან, ან სიტუაციის ტიპებთან. სკოტონი განასხვავებს ისეთ სფეროებს, როგორცაა „სახლი“, „სამუშაოს“ საპირისპიროდ (იქვე: 149).

მნიშვნელოვანი შრომები შექმნა სოციოკულტურული ლინგვისტიკის მიმართულებითაც (მაგ., Milroy & Muysken 1995; Alvarez-Cáccamo 1998; Alvarez-Cáccamo 2000; Woolard 2004). ამ დარგში მომუშავე ბევრი ლინგვისტი აღიარებს, რომ ენის გამოყენება და კოდის გადართვის მახასიათებლები შექმნილია ადგილობრივი კულტურული პრაქტიკით.

ნიღების მიხედვით, კოდის გადართვის სწორმა განსაზღვრებამ სოციოკულტურული ლინგვისტიკური ანალიზისთვის კოდის გადართვა უნდა აღიაროს ალტერნატიად საუბრის ფორმაში, რაც მიანიშნებს

კონტექსტზე, რომელშიც შეიძლება ლინგვისტური მონაცემი იქნეს გაგებული. ასეთი კონტექსტი შეიძლება შეიქმნეს საუბრის დასასრულს, ან თემის შეცვლის დროს, ან ზოგიერთი მაკრო-სოციოლოგიური კატეგორიის ჩართვისას. არ არის აუცილებელი, დამარცვლით გამოიყოს კონკრეტული კოდის გადართვის ქცევის მნიშვნელობა. კოდის გადართვა ხორციელდება მოსაუბრეების მიერ ინტერაქციაში და მათი ქცევის მნიშვნელობა წარმოიშევა ინტერაქციიდან (Nilep 2006: 17).

მონიკა ჰელერი ეთნოგრაფიული და სოციოლინგვისტური კვლევის შედეგად კვებეკსა და ონტარიოში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაეთვალისწინებინა ბილინგვიზმის ეკონომიკა და განეხილა კოდის გადართვა, როგორც პოლიტიკური სტრატეგია (Heller 1988 Heller 1988a; Heller 1992; Heller 1995; Heller 1999). ამ საკითხზე სხვათა ნაშრომებშიცაა მსჯელობა (Gal 1979; Woolard 1985; Hill 1985).

ჩომსკიმ აღნიშნა, რომ ენის საკითხი არის ძალაუფლების ფუნდამენტური კითხვა (Chomsky 2000: 1). ფიშმანმა კი განაცხადა: ‘the interaction between these two aspects sociolinguistics is habits of the people of the usefulness of the language and the social composition of habitual action’ (Fishman 1972: 1).

ჰელერი წერს, რომ დომინანტური ჯგუფები ეყრდნობიან ენის არჩევანის ნორმებს, რათა შეინარჩუნონ სიმბოლური ბატონობა, მაშინ როცა დაქვემდებარებულმა ჯგუფებმა შეიძლება გამოიყენონ კოდის გადართვა, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ, ან ხელახლა განსაზღვრონ სიმბოლური რესურსების ღირებულება ლინგვისტურ სივრცეში (Heller 1992; Heller 1995).

ყურადღება ექცეოდა კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტურ



მოტივებსაც. ამგვარი მიდგომა წარმოიხნდა ფოგტთან (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ), იაკობსონთან, დიებოლდთან და გაგრძელდა გუმპერზთან, ნაიმთან, ჰოკეტთან და სხვებთან.

გუმპერზი ნაიმთან ერთად ფსიქოლოგიური კუთხით განიხილავს ჰინდი-ურდუში (Hindi-Urdu) ალოფონურ და ალომორფულ ალტერნაციებს (Gumperz & Naim 1960). აქ ავტორები გამოთქვამენ შეხედულებას, რომ დიალექტურმა კონვერგენციამ შეიძლება მიგვიყვანოს ინდივიდუალურად, რომლებიც იზიარებენ ალოფონურ შინაარსს, მაშინ როდესაც არ იზიარებენ ფონემურ ინვენტარს.

ალვარეზ-კაკამო წერს, რომ 1994 წელს გუმპერზმა მასთან პირად საუბარში განაცხადა, რომ კოდის გადართვის ('code-switching'), როგორც სასაუბრო ფენომენის, ცნება, მან იაკობსონიდან აიღო, თუმცა ფენომენის ხედვის ფსიქოლოგიური საფუძველი უკვე წარმოდგენილი იყო მის შრომაში პაიკთან ერთად მიჩიგანში.

ჰოკეტის მიხედვით, შინაგანი კოდის გადართვის დროს უცხო დიალექტის გარკვეული ბგერები, ან ბგერის მახასიათებლები ავტომატურად კოდირდება მსმენელის დიალექტის შესაბამის ბგერებში, ან ბგერათა კომბინაციებში და სიტყვა აღიქმება მოგვიანებით (Hockett 1987: 43). ალვარეზ-კაკამოს შეფასებით, ამ დროს მყარდება ორი სისტემის ელემენტების სრული შესაბამისობა ერთმანეთთან. კოდის გადართვა განიხილება, როგორც ბილინგუური ქცევა და ინტერფერენციის პოტენციური წყარო (Alvarez-Caccamo 2002: 32-33).

1980 წელს პოპლაკმა გამოიყენა ტერმინი „კოდის გადართვის ხერხი“ ('Code switching mode'), როგორც ერთ-ერთი იმ მონაცემთაგანი, რომელიც შეესაბამება სტანდარტულ გრამატიკულ აღწერას (Poplack 1980).

კოდის გადართვის, როგორც ლინგვისტური აქტის (მეტყველებაში ენობრივი ალტერნაცია, გრამატიკისა და ლექსიკონის ჩათვლით), გაგება გახდა საფუძველი უამრავი კვლევებისა ბილინგვურ საუბარზე.

ბოლო წლებში კვლევები გრამატიკული სტრუქტურის შესახებ კოდის გადართვაში კიდევ უფრო გააქტიურდა. ადრეულ წლებშიც ზოგიერთი ლინგვისტი თქვობდა, როგორც იყო კოდის გადართვა გრამატიკულად შესაძლებელი. ჰასელმო (Hasselmo 1970, 1972) იყო ერთ-ერთი პირველი. მისი ზოგიერთი ხედვა დღესაც აქტუალურია.

არა მხოლოდ 1980-იან წლებამდე, არამედ 1990-იან წლებშიც კოდის გადართვის სტრუქტურული ბუნება სერიოზულად შეისწავლებოდა ლინგვისტების მიერ. ზოგიერთი მეცნიერის მიხედვით, კოდის გადართვა ჩანს, როგორც ენის საინტერესო სოციალური გამოყენება, მაგრამ არა აუცილებლობით ისეთი ფენომენი, რომლის კვლევას შეუძლია წვლილი შეიტანოს ლინგვისტური სტრუქტურის ბუნების კვლევის საქმეში.

სკოტონის მონოგრაფიის – ‘Contact Linguistics: Bilingual Encounters and Grammatical Outcomes’ – ერთ-ერთი მიზანი იყო ამ მოსაზრების შეცვლა (Myers-Scotton 2002).

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სინტაქსის საკითხებს. შესწავლილ იქნა სხვადასხვა ენობრივი წყვილები (იხ. Berk-Seligson 1986; Di Sciullo, Muysken & Sing 1986; Myers-Scotton 1988, 1993a; Naseh 1997; და ა. შ).

შრომების დიდ ნაწილში ყურადღება გამახვილდა სინტაქსურ და მორფოსინტაქსურ იძულებებზე ენის მონაცვლეობაზე (მაგ., Poplack 1980; Sankoff & Poplack 1981; Joshi 1985; Di Sciullo, & Williams 1987; Belazi, Heidi, Rubin, & Toribio 1994; Halmari 1997, და სხვ.). ამ მიმართ-

თულებით უმნიშვნელოვანესი იყო პოპლაკის კვლევები, რომელთა შესახებაც ცალკე თავში გვაქვს საუბარი და აქ სიტყვას აღარ ვავარძელებთ.

კოდის გადართვას განიხილავენ აგრეთვე ენის შექმნის კუთხითაც. უამრავი თეორიაა შექმნილი, როგორ ითვისებს ადამიანი ენას. ამ რიგის კვლევებში კოდის გადართვის ტერმინი გამოიყენება იმისათვის, რომ აღწეროს ბილინგვი მოსაუბრის, ან ენის შემსწავლელის ლინგვისტური შესაძლებლობები, ან საკლასო ოთახი, თუ შემსწავლელის ვარჯიშები, რომელიც მოიცავს ორზე მეტი ენის გამოყენებას (მაგ., Romaine 1989; Cenoz, Jasone & Genesee 2001; Fotos 2001). ამ სახის ნაშრომებში კოდის გადართვის ტერმინი გამოიყენება, როგორც ენის მრავალფეროვნების სინონიმი.

ჰელერი (აგრეთვე სხვა მკვლევარებიც) თავის ნაშრომებში აღწერს ურთიერთობას ენასა და იდენტობას შორის, ბევრი მკვლევარი კი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ კატეგორიაზე, როგორიც არის ეთნიკურობა.

რამპტონი მსჯელობს კოდის გადართვის ტიპზე, რომელიც ვლინდება ეთნიკურობისა თუ რასის საზღვრებში. ის სწავლობს აზიელი, აფრო-კარიბელი და ინგლისელი მოზარდების ენის ბუნებას გაერთიანებულ სამეფოში და აღნიშნავს, რომ ენობრივი ნაირსახეობები, როგორიცაა კრეოლე, პენჯაბი თუ სტილიზებული, აზიური ინგლისური – ასოცირებულია ეთნიკურ ჯგუფებთან (Rampton 1995).

1980-იან და, განსაკუთრებით, 1990-იან წლებში უამრავი მონოგრაფია დაიბეჭდა კოდის გადართვის თემასთან დაკავშირებით. ევროპაში დაარსდა ევროპის სამეცნიერო ფონდის (European Science Foundation – ESF) ქსელი კოდის გადართვისა და ენათა კონტაქტის

პრობლემებზე. 1990-1991 წლებში და მას შემდეგ ის აფინანსებს აღნიშნულ პრობლემისადმი მიძღვნილ ვორკშოპებსა და სიმპოზიუმებს.

როგორც მაიერს-სკოტონი წერს, ამ პერიოდში ჩატარებულ ყველა არსებით საენათმეცნიერო კონფერენციაზე სულ მცირე ერთი მოხსენება მაინც ეძღვნებოდა საანალიზო თემას. სამეცნიერო სტატიები რეგულარულად იბეჭდებოდა ლინგვისტურ ჟურნალებში. კოდის გადართვის თემაზე შრომების ორი კრებული გამოქვეყნდა 1988 და 1990 წლებში (Heller 1988a; Jakobson 1990). ორმა ჟურნალმა აღიარა კოდის გადართვის მნიშვნელობა, დაბეჭდა რა უამრავი სტატია ამ თემაზე. ესენი იყო: *'World Englishes'* (1989) და *'The Journal of Multilingual and Multicultural Development'* (1992) (Myers-Scotton 1993: 45).

ზოგიერთმა მკვლევარმა გააანალიზა კოდის გადართვის მონაცემები, რათა განეფიქსირებინა თავისი საკუთარი განსხვავებული იდეები. ზოგიერთმა ყურადღება გაამახვილა კოდის გადართვის სპეციფიკურ ასპექტებზე, როგორცაა – როგორ იცვლება კოდის გადართვის მონაცემები ერთი და იმავე საზოგადოების თაობებში? ძალიან ბევრი დისერტაცია იქნა დაცული, განსაკუთრებით 1995 წლიდან.

ამრიგად, კოდის გადართვის მიმართულებით მეცნიერები უკვე მუშაობდნენ 1950-60-იან წლებში, თუმცა კლასიკური ნაშრომები შეიქმნა 1970-იანი წლებიდან. ამ პერიოდის კვლევები ეხებოდა ესპანურ-ინგლისური ენობრივი სისტემების ანალიზს და განიხილავდა ამ ენათა გრამატიკულ სტრუქტურებსა და სინტაქსურ წესებს კოდ-გადართულ წინადადებებში.

უაღრესი შრომებიდან მოყოლებული, მეცნიერები იკვლევენ

ბილინგვური საუბრის როგორც ლინგვისტურ, ისე სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ასპექტებს. ლინგვისტური მიმართულების ადრეულ კვლევებში თვალსაჩინოა პოპლაკის (Poplack 1980, 1981), ხოლო სოციოლინგვისტური მიმართულების კვლევებში – ბლომისა და გუმპერზის (Blom & Gumperz 1972) ნაშრომები.

როგორც აღვარეზ-კაკამო მიუთითებს, კოდის გადართვის ცნებამ, ფინიკური მეცნიერებებიდან (Fano 1950) დაწყებული პოლიტიკურ ანთროპოლოგიამდე (Gal 1987 1995), მნიშვნელოვანი გაფართოება, ფრაგმენტაცია თუ მეტამორფოზა განიცადა და კვლევების შესახებ ამჟამად ერთგვარ გზაჯვარედინზე იმყოფება. მისი დაკვირვებით, ყველა კვლევა კოდის გადართვაზე ემყარება „კოდისა“ და „ლინგვისტური სახესხვაობის“ გაივივებას ურთიერთგაცვლად ცნებებთან (Alvarez-Cáccamo 2002: 29).

დღეს კოდის გადართვის თემა ფართოდ შეისწავლება სხვადასხვა ინტერდისციპლინური მეცნიერების მიერ, როგორცაა სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვისტური ანთროპოლოგია, კონტაქტური ლინგვისტიკა თუ სხვა მონათესავე დარგები. თითოეული სამეცნიერო მიმართულება მას თავისი პერსპექტივებიდან განიხილავს, შესაბამისად, ტერმინი სხვადასხვაგვარად ესმით სოციოლინგვისტებს, ფსიქოლინგვისტებს, ლინგვისტ ანთროპოლოგებს, ფილოსოფოსებსა თუ სხვა დარგის წარმომადგენლებს.

მაიერს-სკოტონი ცდილობს, დაადასტუროს, რომ არსებობს ორი მხარე კოდის გადართვის კვლევებისა. ერთი არის სოციალური ფაქტორები: თუ როგორ ხდებიან ადამიანები ბილინგვები და როგორ ანაწილებენ ისინი თავიანთ განსხვავებულ ენებს განსხვავებული გამოყენებით (Myers-Scotton 2002: 4), ანუ როგორ მოიხმარენ

ინდივიდი მოსაუბრეები თავიანთ რამდენიმე ენას (ან დიალექტებს), რათა აჩვენონ თავიანთი აღქმები და დამოკიდებულებები სხვებთან. მაიერს-სკოტონი ამას ხედავს, როგორც კოდის გადართვის სოციო-პრაგმატულ მხარეს (Myers-Scotton 1993, 1998; Myers-Scotton & Bolonyai 2001).

მეორეა კოდის გადართვის გრამატიკული სტრუქტურის კვლევა, სფერო, რომელშიც სოციალური მოხმარებები არ არის ცენტრალური და ზოგიერთ შემთხვევაში მას არც ეხებიან. მაიერს-სკოტონი განიხილავს მიმართებებს კოდის გადართვის სტრუქტურებს, მოსაუბრის არჩევანსა და მათ სოციალურ შეტყობინებებს შორის (Myers-Scotton 2002: 10).

კვლევების | ტიპის ცენტრალური კითხვა შემდეგია: რამდენად ასახავს ენის არჩევანი ძალაუფლებასა და უთანასწორობას, ანუ რამდენად არის ის გარკვეული სოციალური ჯგუფების უფლებებისა და მოვალეობების მაჩვენებელი? მეორე ტიპი კი მიემართება სინტაქსურ შეზღუდვებს: რამდენად იმართვის კოდის გადართვა გრამატიკული წესებით?

აუერი მიუთითებს, რომ ეს ორი ტრადიცია ტოვებს ნაპრაღს, რომელიც კარგად არის ცნობილი ამ დარგში მომუშავეთათვის. ის მდგომარეობს იმაში, რომ სასაუბრო სიტუაციის მაკროსოციოლინგვისტური ასპექტები სრულად არასდროს განსაზღვრავს ენის არჩევანს კოდის გადართვის ჩათვლით, ან მის გარეშე. არც სოციოლინგვისტური და არც გრამატიკული მიდგომა ბოლომდე ვერ ხსნის ბილინგვური მეტყველების რეგულაციების მთელ არსენალს. ნაპრაღი არის იმ მახასიათებლებში, რომლებიც რჩება წინადადების მიღმა (Auer 2002: 7).

დღეს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა, ერთი

მხრივ, გაზრდილი მიგრაციების, ხოლო, მეორე მხრივ, გლობალური ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო სიფრცის შექმნის წყალობით, შეუდარებლად მატულობს ბილინგვთა რიცხვი და ამ პირობებში საფრთხე ექმნება არაერთ მცირე ენას, კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი კოდის გადართვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. წინამდებარე მონოგრაფიის შექმნაც ამ გაზრდილი ინტერესითაა ნაკარნახევი.

## **წოვათუშთა საზოგადოების სოციოლინგვისტური კონტექსტი**

კოდის გადართვის ბუნების შესწავლამდე მეცნიერები იკვლევენ ენის მატარებელი საზოგადოების სოციოლინგვისტურ მახასიათებლებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პარამეტრებს, როგორცაა:

1. ენობრივი კონტაქტის ხანგრძლივობა;
2. ბილინგვიზმის ძირითადი მახასიათებლები;
3. მცირე ენობრივ ჯგუფში მშობლიური ენის ცოდნის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
  1. ენის საფრთხის დონე;
  2. ინტერაქციის გარემო – საფრთხეში მყოფი ენის მოხმარების სფეროები;
  3. ინტერფერენციის ხასიათი თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენი ბოლოდროინდელი სოციოლინგვისტური კვლევის შედეგად, წინასწარი ცოდნა, ცხადია, გვექონდა წოვათუშთა საზოგადოების სოციოლინგვისტური მახასიათებლების შესახებ, რომლებიც დაგვეხმარა პრობლემაზე მუშაობის დროს.

## ენობრივი კონტაქტის ხანგრძლივობა

წოვათუშურ-ქართულ ენათა კონტაქტს თავისი ისტორია აქვს. მაცყალა მიქელაძე ამ ენობრივი წყვილის ორენოვნების ისტორიაში გამოყოფს 4 პერიოდს:

I პერიოდი – წოვათუშების ბარში ჩამოსახლებამდე (1820-იან წლებამდე);

II პერიოდი – ბარში ჩამოსახლებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1820-1921);

III პერიოდი – საბჭოთა წყობილების დამყარებიდან 80-იან წლებამდე (1921-1980);

IV პერიოდი – 80-იანი წლებიდან დღემდე (1980-2008) (მიქელაძე 2008: 14-15).

მეცნიერი აღწერს წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთ-ეერთობების სოციოლინგვისტურ ბუნებას. პერიოდების მიხედვით აუასებს წოვათუშურზე ქართულის გავლენის ხარისხსა და მასშ-ტაბებს. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ პირველი პერიოდი ყველაზე ხანგრძლივი იყო. მას ახასიათებდა განათლების დაბალი დონე (წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო, უპირატესად, მამაკაცების ხარჯზე), წმინდა ოჯახები (შერეული ოჯახები საერთოდ გამოირიცხებოდა მცირე ჯგუფისთვის დამახ-სიათებელი თავდაცვის ინსტიქტის გამო). აკვნის ერთადერთ ენას წოვათუშური წარმოადგენდა. ქართული ამ დროს ქართულენოვან მოსახლეობასთან მხოლოდ შუამავლის როლში უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდს ახასიათებს სუსტად განვითარებული ინდივიდუალური ორენოვნება (უპირატესად, ესეც მამაკაცების ხარჯზე).



მეორე პერიოდში ღრმავდება წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობები. იზრდება კულტურულ-ეკონომიკური კონტაქტი ქართულ მოსახლეობასთან. ჩნდება შერეული ოჯახები, როგორც გამონაკლისები. პირველი სკოლა აღევანში 1864 წელს დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. ამ პერიოდში მშობლებისა და შვილების ურთიერთობის ერთადერთ ენად ისევ წოვათუშური რჩებოდა. ორენოვნებამ კოლექტიური ხასიათი მიიღო, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაო.

მესამე პერიოდში სწავლა-განათლებამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. გაიხსნა ჯერ რვაწლიანი, შემდეგ კი ორი ქართულენოვანი სკოლა. „კონტაქტის ასეთ შემჭიდროვებასთან დაკავშირებით სულ უფრო ვიწროვდებოდა წოვათუშურის საკომუნიკაციო ფუნქციათა წრე. ეს ხდებოდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მას აკლდა ახალ სოციალურ ურთიერთობათათვის საჭირო ლექსიკა, განსაკუთრებით კი მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგია, მთავარი და არსებითი კი მაინც ის იყო, რომ რიცხვმრავალი პრესტიჟული ხალხის ენის ცოდნა ზრდიდა პატარა ხალხის წარმომადგენელთა სოციალურ მობილურობას“ (იქვე: 15-18).

მოკლე ხანში სწრაფად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა: XX ს-ის 80-იანი წლებისათვის 2840 წოვათუშიდან 364 უმაღლესდამთავრებული იყო, ჰყავდათ 14 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 მეცნიერებათა დოქტორი. ქართული ენის პრესტიჟი გაიზარდა და მშობლიური ენისას გაუთანაბრდა. ქართული ბევრ წმინდათუშურ ოჯახში აკვნის ენად იქცა. მ. მიქელაძის შეფასებით, ეს იყო იდეალური ბილინგვიზმის ხანა.

IV პერიოდში ქართული ენის ცოდნის დონემ გადააჭარბა მშობლიურისას. ამ პერიოდს მკვლევარი ზებილინგვიზმს უწოდებს. 1998 წელს

სოფელ ზემო აღვანში ჩატარებული კვლევების დროს მან დაადასტურა, რომ 590 წოვათუმური ოჯახიდან 234 უკვე შერეული იყო (უმეტესად დედის ხაზით). „ოც წლამდე ასაკის ახალგაზრდობის უმრავლესობას არა თუ ლაპარაკი შეუძლია შშობლიურ ენაზე, აღარც კი ესმის იგი, ხოლო ისინიც, ვინც ჯერ კიდევ ფლობენ ამ ენას, ქართულის უსაშველოდ გაზრდილი პრესტიჟის გამო მასზე თითქმის აღარ ლაპარაკობენ“ (იქვე: 18-19).

I პერიოდში წოვათუმურს ურთიერთობა უხდებოდა მთის ქართულ დიალექტებთან, II პერიოდში – ბარის დიალექტებთან, რასაც ქართული სალიტერატურო ენა დაემატა, III და IV პერიოდებში – სალიტერატურო ენასთან, რაც გააღწიის წიგნიერი ბუნებით აიხსნებოდა.

### **წოვათუმურ-ქართული ბილინგვიზმის ძირითადი მახასიათებლები**

წოვათუმები ბილინგვიურ გარემოში ცხოვრობენ და, შესაბამისად, ისინი ბილინგვიები არიან<sup>11</sup>. „მათ შეუძლიათ იმეტყველონ და, მაშასადამე, იაზროვნონ ორ ენაზე – ქართულ ენაზე და ენაზე, რომელიც (ჩეჩნურ, ინგუშურ და ქისტურ ენებთან ერთად)... ნახური ენების ჯგუფს მიეკუთვნება. ანუ: წოვეს ძალუძთ ერთი მოვლენის სულ მცირე ორი მხრიდან ჭვრეტა“, – წერს ა. ბერთლანი (ბერთლანი 2009: 142-143).

ბილინგვიზმს ახასიათებენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. გამოყოფენ ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და დიაგონალურ ბილინგვიზმს: ჰორიზონტალური ბილინგვიზმი ისეთი შემთხვევაა, როდესაც ორ განსხვავებულ ენას მოსაუბრეთა ჯგუფისათვის აქვს

---

11. დაწვრილებით იხ.: Gigashvili 2014(a), Gigashvili 2014(b), Gigashvili 2014(c), Gigashvili 2014(d), Gigashvili 2014(e)

თანაბარი სტატუსი ოფიციალურ, კულტურულ და ოჯახურ დონეზე (Beardsmore 1986: 5).

ამის მაგალითად ბეარდსმორი ასახელებს განათლებულ ფლამანდიელებს ბრიუსელში, რომლებიც საუბრობენ ჰოლანდიურსა და ფრანგულზე, ასევე კატალონიელებს, რომლებიც მეტყველებენ კატალონიურსა და ესპანურზე, ასევე კვებეკელებს, რომლებიც ლაპარაკობენ ფრანგულსა და ინგლისურზე (იქვე).

ვერტიკალური ბილინგვიზმი გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბილინგვი სტანდარტული ენის გვერდით იყენებს განსხვავებულ, მაგრამ მონათესავე დიალექტს. ამისი უამრავი მაგალითი არსებობს მსოფლიოში, მაგ., ვალონური დიალექტის გამოყენება ფრანგულის გვერდით ბელგიაში, შვეიცარიულის ერთ-ერთი დიალექტისა და გერმანულის გამოყენება შვეიცარიაში და სხვ. სხვაგვარად ამას უწოდებენ დიგლოსიას.

დიაგონალური ბილინგვიზმი კი ისეთი მოვლენაა, როდესაც მოსაუბრეები იყენებენ დიალექტს, ან არასტანდარტულ ენას გენეტიკურად არამონათესავე ასევე სტანდარტულ ენასთან ერთად. ამისი მაგალითია მარისა და ინგლისურის გამოყენება ახალი ზელანდიის მარის საზოგადოებებში, ლუიზიანური ფრანგულისა და ინგლისურის გამოყენება ლუიზიანაში (აშშ) და სხვ. (იქვე).

წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმი დიაგონალურია, რამდენადაც წოვათუშები არასტანდარტული წოვათუშურის გვერდით იყენებენ იმავე ენათა ოჯახის, მაგრამ სხვა ჯგუფში შემავალ სტანდარტულ ქართულ ენას.

საუბრობენ აგრეთვე კოორდინაციულ და სუბორდინაციულ, პროდუქტიულ და ამთვისებლურ, ადრეულ და გვიან ბილინგვიზმზე და ა. შ.

კოორდინაციული ბილინგვიზმის არსი განმარტა ლამბერტმა. კოორდინაციული ბილინგვები არიან, ვინც მეორე ენა ბავშვობის შემდეგ შეისწავლა, ჩვეულებრივ, 10 წლის ასაკის შემდეგ, და, თანაც, არა ოჯახში (Lambert & Tucker 1972: 308).

სუბორდინაციული ბილინგვიზმი აღწერს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბილინგვი ავლენს იტერფერენციას თავისი ენის გამოყენების დროს მეორე ენის მახასიათებლების პირველი ენის სისტემაში გადატანით (Beardsmore 1986: 25).

ფოლის მიხედვით, პროდუქტიული ბილინგვიზმი გულისხმობს ორივე ენის თანაბარ ცოდნას (დაბალანსებული ბილინგვიზმი), ამთავისებლური ბილინგვიზმი კი არის უცხო ენის სტუდენტის შემთხვევა, რომელმაც სტანდარტულ დონეზე შეისწავლა ენა, მაგრამ მას შეიძლება სირთულეები ჰქონდეს ადგილობრივ მოსაუბრესთან ურთიერთობაში (Pohl 1965: 347).

აღრეულ ბილინგვიზმს ჰაოგენმა ბავშვობის ბილინგვიზმი უწოდა (Haugen 1956: 72). აღრეული ბილინგვიზმი არის ერთზე მეტი ენის შესწავლა ჭაბუკობის წინა პერიოდში, გვიანი ბილინგვიზმი კი – მოგვიანო პერიოდში (Beardsmore 1986: 28).

დროსთან ერთად, მეორე ენა შეიძლება გახდეს უფრო ძლიერი და გაბატონებული. თუ ადამიანი ტოვებს იმ ადგილს, სადაც უმცირესობის ენაზე საუბრობდა და კარგავს კონტაქტს იმ ადამიანებთან, ვისაც ამ ენაზე ელაპარაკებოდა, მან შეიძლება დაკარგოს სილადე უმცირესობის ენაში. ლოლო უილიამსი აღნიშნავს, რომ საკმაოდ რთულია, მოიძებნოს ბილინგვი ადამიანის სხარტი და ყველაფრის მომცველი განმარტება. ეს საკითხები აგრეთვე ააშკარავებს, რომ შეიძლება ერთსა და იმავე ადამიანში არსებობდეს ბილინგვიზმის

ბევრი სატექნიკური, ზოგჯერ ცვალებადიც ღროის მანძილზე (Lolo Wyn Williams წიგნში: Baker & Sylvia 1998: 3).

გამოყოფენ ბილინგვიზმის 2 სახეს: ასიმეტრიულს (ცალმხრივს) და სიმეტრიულს (ორმხრივს). მაგ., შვეიცარიის შემთხვევაში ბილინგვიზმი ასიმეტრიულია. აქ იტალიურად და რუმინულად მოსაუბრეები, ჩვეულებრივ, მეტყველებენ ფრანგულად და გერმანულად, მაშინ როდესაც ფრანგულად და გერმანულად მოსაუბრეები იტალიურად, ან რუმინულად არ საუბრობენ. უფრო მეტიც: გერმანელების უმრავლესობა საუბრობს ფრანგულადაც, ამავე ღროს, მათ იციან ორივე: დამახასიათებელი შვეიცარიული გერმანული და სტანდარტული გერმანული. ასევე ორლანდიაში მოსახლეობის უმრავლესობა, რომელიც საუბრობს ორლანდიურ კელტურზე, ამავე ღროს მეტყველებს ინგლისურადაც, მაგრამ არა პირიქით (იხ. Thomason 2005: 4; Pohl 1965: 347).

ასიმეტრიული ბილინგვიზმის შემთხვევაში, დამოკიდებული, ანუ დაქვემდებარებული ბილინგვი ჯგუფი გადაერთვება გაბატონებული მონოლინგვი ჯგუფის ენაზე. ზოგჯერ ორ, ან მეტ ენაზე მოსაუბრენი ცხოვრობენ ერთად ერთ საზოგადოებაში. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გვექონდეს ორმხრივი ბილინგვიზმი, ან მულტილინგვიზმი.

წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმი ასიმეტრიულია, რადგან წოვათუშები საუბრობენ როგორც წოვათუშურად (ვინც ჯერ კიდევ არიან ბილინგვები), ისე ქართულად. ქართული ენის მატარებლებმა კი წოვათუშური არ იციან.

მკვლევარები გამოყოფენ ბილინგვიზმის სამ ტიპს ბილინგვი ბავშვების აღსაწერად. ეს ტიპებია:

1. ერთჯამიერი, ანუ თანადროული ბილინგვიზმი: ამ ღროს ბავშვები ორივე ენას სწავლობენ, როგორც პირველ ენას. თავისთავად,

ასეთები თანაბარი წარმატებით ლაპარაკობენ ორივე ენაზე;

2. ამთვისებლური ბილინგვიზმი: ამ დროს ადამიანს ესმის ორივე ენა, მაგრამ თვითგამოხატვას ის ერთ ენაზე ახდენს. ამ სახეობას „ამთვისებლური“ ჰქვია იმდენად, რამდენადაც ბავშვები ადრეული ასაკიდან ეუფლებიან მეორე ენის უნარ-ჩვევებს;

3. თანამიმდევრული ბილინგვიზმი: მეორე ენას სწავლობენ მას შემდეგ, რაც პირველ ენას ისწავლიან. ეს მდგომარეობა საერთოა ყველასთვის, ვინც ბილინგვი მოზარდობის ასაკში ხდება, გარკვეულწილად მათთვისაც, ვინც უფრო ადრეულ ასაკში გახდა ბილინგვი.<sup>12</sup>

ბილინგვიზმი არის ნებაყოფლობითი და იძულებითი.

დევიდ კრისტალის მიხედვით, როდესაც ერთი კულტურა ასიმილირდება მეორესთან, შედეგი, რომელიც გავლენას ახდენს სატრთხეში მყოფ ენებზე, ყველგან თითქმის ერთია. მეცნიერი გამოყოფს სამ დიდ ეტაპს:

პირველი ეს არის უდიდესი წინეხი ხალხზე, ილაპარაკოს დომინანტურ ენაზე. ეს წინეხი შეიძლება იყოს პოლიტიკური, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური. ამას მეცნიერი უწოდებს ასიმილაციას „ზემოდან ქვემოთ“, რომელიც ხორციელდება წაქეზების, რეკომენდაციების, კანონის ფორმით და იმართება ხელისუფლების, ან ადგილობრივი ორგანოს მიერ.

ის შეიძლება იყოს აგრეთვე „ქვემოდან ზემოთ“ (მეორე ეტაპი) და ხორციელდებოდეს მოდური ტენდენციების ფორმით. მას, შესაძლოა, გამოკვეთილი მიმართულება არც ჰქონდეს და წარმოიშვას, როგორც სოციალპოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ურთიერთმიმართებების შედეგი.

დასახელებული ეს ორი საფეხური აღწერს ბილინგვიზმის წარ-

12. <http://home.comcast.net>.

მოშობის პერიოდს, როდესაც ხალხი მზარდად ხდება კვალიფიციური ახალ ენაში და, ამავე დროს, კარგად იცის მშობლიური ენაც.

შემდეგ, ხშირად ძალიან სწრაფად, ბილინგვიზმი იწყებს დაცემას და ძველი ენა ასპარეზს უთმობს ახალს. ამას მივყავართ მესამე საფეხურამდე, როცა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები სწრაფად იწაფებიან ახალ ენაში და მასთან ახდენენ იდენტიფიციციზმს, ხოლო თავიანთ პირველ ენას ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საკუთარი საჭიროებებისათვის. მას ხშირად თან ახლავს სირცხვილის განცდა ძველი ენის გამოყენების გამო (Krystal 2007: 337-338).

ბილინგვიზმის შესათვისებლად ყოველთვის მნიშვნელოვანია, რა ეტაპზეა ენათა კონტაქტი და თავად ორენოვნება საანალიზო ენობრივი ჯგუფების შემთხვევაში.

წოვათუშურ-ქართულმა ენობრივმა კონტაქტმა განვითარების დინამიკის თვალსაზრისით შემდეგი 3 ეტაპი განვლო:

1. მონოლინგვიზმი წოვათუშური ენის ცოდნის დონით;
2. აღმავალი ბილინგვიზმი და
3. თანაბარზომიერი ბილინგვიზმი.

წოვათუშურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის ისტორიაში გასავლელია კიდევ 2 ეტაპი:

4. დაღმავალი ბილინგვიზმი და
5. მონოლინგვიზმი ქართული ენის ცოდნის დონით.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი ეტაპიდან ერთ-ერთზე – დაღმავალი ბილინგვიზმის საფეხურზე – იმყოფება ბებია-ბაბუების თაობა, ხოლო მეორეზე – მონოლინგვიზმის საფეხურზე ქართული ენის ცოდნის დონით – უმცროსი ასაკის თაობა.

თანამედროვე ეტაპზე წოვათუშურ-ქართული ორენოვნება რე-

გრესის გზაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბილინგვიზმი უკან იხევს და თანმიმდევრულად გადის გზას მონოლინგვიზმისკენ, ოღონდ მეორე ენის – ქართულის – მიმართულებით. დღეს წოვათუშმა ბილინგვიზმმა ქართული ენა წოვათუშურზე უკეთ იციან, ხოლო ბავშვებისა და მოზარდების თაობა უკვე მონოლინგვია.

წოვათუშურ-ქართული ენობრივი კონტაქტური ურთიერთობის განვითარების დინამიკიდან ჩანს, რომ წოვათუშურ-ქართულმა ბილინგვიზმმა განვითარების 2 ეტაპი მოიცვა:

1. აღმავალი ბილინგვიზმი და
2. თანაბარზომიერი ბილინგვიზმი.

აქ გასავლელი დარჩა III საფეხური – დაღმავალი ბილინგვიზმი, რაზეც ამჟამად წოვათუშურ-ქართული ორენოვნება იმყოფება.

მასშტაბის, ანუ განუენილობის სიფრცის თვალსაზრისით, წოვათუშურ-ქართულმა ბილინგვიზმმა განვითარების შემდეგი საფეხურები განვლო:

1. ინდივიდუალური ბილინგვიზმი;
2. ჯგუფური ბილინგვიზმი და
3. საზოგადოებრივი ბილინგვიზმი.

ეს სამივე საფეხურიც უკვე წარსულია.

საზოგადოებრივმა ბილინგვიზმმა, თავის მხრივ, განვითარების 2 ეტაპი მოიცვა:

1. წოვათუშური ენის უკეთესი ცოდნის დონით და
2. ქართული ენის უკეთესი ცოდნის დონით.

რამდენადაც თანამედროვე ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო ორენოვნება რეგრესულია, მისი განვითარების ისტორიაში დამდგარია ჯგუფური ბილინგვიზმის ეტაპი, როდესაც წოვათუშური ენა აღარ



იცის მთელმა საზოგადოებამ და იცის გარკვეულმა ჯგუფმა, კერძოდ, უფროსი ასაკის ადამიანებმა.

ჯგუფური ბილინგვიზმის თარღი ჯგუფური მონოლინგვიზმია. თუ უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წევრები ისე ბილინგვიზმს არიან, უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის წევრები უკვე მონოლინგვიზმს არიან.

ასე რომ, დღევანდელი დიდი ბებია-ბაბუების თაობას ორენოვანების ისეთ პირობებში მოუწია ცხოვრებამ, რომ მათ გააჩნდეს ორენოვანების საფეხური წევრები ენის უკეთესი ცოდნის დონით და დღეს ისინი არიან ორენოვანები ქართული ენის უკეთესი ცოდნის დონით.

ამდენად, როცა საუბრობენ, რას ნიშნავს ბილინგვიზმი და ვინ არის ბილინგვი, რა დონეზე უნდა იცოდეს ადამიანმა მეორე ენა, რომ ჩაითვალოს ბილინგვად და ა. შ., ვფიქრობთ, ამ დროს გასათვალისწინებელია ბილინგვიზმის განვითარების საფეხურები.

ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვების მიხედვითაც, ბილინგვიზმის ეტაპებს გადის არა მხოლოდ მთლიანი საზოგადოება, რომელიც რამდენიმე თაობას აერთიანებს, არამედ ერთი თაობაც, ერთი ინდივიდუალური ადამიანი თავისი ლინგვისტური ბიოგრაფიის სხვადასხვა ეტაპზე ბილინგვიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება და ეს სრულებით კანონზომიერი მოვლენაა ენათა კონტაქტის დროს, განსაკუთრებით დაჩქარებული ბილინგვიზმის პირობებში.

შესაბამისად, ენათა კონტაქტისა და ბილინგვიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა ენობრივი უნარ-ჩვევების ბილინგვიზმს განთავსდებიან. ასე რომ, ბილინგვის ბუნებასა და ხასიათს ენათა კონტაქტისა და ბილინგვიზმის განვითარების საფეხურები განსაზღვრავს:

ბილინგვიზმის განვითარების ეტაპი	ენების ცოდნის დონე
აღმავალი ბილინგვიზმი	პირველი ენის უკეთესი ცოდნის დონე მეორე ენასთან შედარებით
თანაბარწომიერი ბილინგვიზმი	პირველი და მეორე ენების თანაბარი ცოდნის დონე
დაღმავალი ბილინგვიზმი	მეორე ენის უკეთესი ცოდნის დონე პირველ ენასთან შედარებით

ცხრილი №1.

ამდენად, წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ბუნებრივი, დიაგონალური, სუბორდინაციული, აღრეული. ბილინგვიზმის ყველა ეს სახეობა შეეხო ზემო აღვანში დღეს მცხოვრებ წოვათუშთა უფროს თაობას. და, ბუნებრივია, ეხებოდა უკვე წასულ თაობებსაც. ახალგაზრდა და უმცროსი ასაკის ადამიანებისათვის ბილინგვიზმის მოვლენა უკვე უცხოა.

წოვათუშურ-ქართულ ბილინგვიზმზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც გაიარეს თანაბარწომიერი ბილინგვიზმის საფეხური და დღეს იმყოფებიან დაღმავალი ბილინგვიზმის საფეხურზე (დიდი ბებია-ბაბუების თაობა), ბოლომდე ამ ეტაპზე დარჩებიან და არასდროს მივლენ მონოლინგვიზმის ეტაპამდე. ის ახალგაზრდა წოვათუშში მონოლინგვიზმი კი, რომლებიც დღეს ზემო აღვანში ცხოვრობენ, არასდროს გახდებიან ბილინგვიზმი (ქართულთან ერთად წოვათუშური ენის მცოდნენი): ენათა კონტაქტის საანალიზო რეგიონში შექმნილი ენობრივ-ეკოლოგიური გარემო მათ ამის შანსს არ უტოვებს.

## წოვათუშური ენის ცოდნის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

მოსახლეობაში ენის ცოდნის დონის წინასწარ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კოდის გადართვის მახასიათებლების კვლევისთვის. ზოგიერთი მეცნიერი თქვამს, რომ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია წინასწარ განვჭვრიტოთ კოდის გადართვის ბუნება. სოციოლინგვისტი სამირა აბდელ ჯალილი 2009 წელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს: „მომავალი კვლევებისთვის უმჯობესია, ჩატაროთ მონაწილეთა ენობრივი კომპეტენციების წინასწარი გამოკვლევა, რათა განჭვრიტოთ კოდის გადართვის ტიპები, რომლებსაც ისინი ხშირად მიმართავენ“ (Jalil 2009: 10).

2011 წელს ჩატარებული ექსპედიციის დროს შევისწავლეთ წოვათუშური ენის ცოდნის დონე მოსახლეობაში. ასაკობრივი ჯგუფები 4 კატეგორიის მიხედვით განვსაზღვრეთ, რომელთაგან თითოეული ერთ თაობას მოიცავს:

- 1.20 წლამდე ბავშვები და მოზარდები;
- 2.20-იდან 40-მდე (მშობლების თაობა);
- 3.40-დან 60-მდე (ბებია-ბაბუების თაობა);
- 4.60 წელი და ზემოთ (დიდი ბებია-ბაბუების თაობა).

აღმოჩნდა, რომ მშობლიური ენის ცოდნის დონე მოსახლეობაში

5 კრიტერიუმის ფარგლებში მონაცვლეობს. ესენია:

1. ძალიან კარგი;
2. კარგი;
3. საშუალო;

4.ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს;

5.არ იცის.

წოვათუშური ენა ძალიან კარგად იცის 95 ადამიანმა, რომელთა შორის:

77 ადამიანი 60 წლის ზემოთაა (მათგან 25 კაცი 80 წელსაა გადაცილებული),

17 ადამიანი 40-დან 60-მდეა,

1 ადამიანი 20-დან 40-მდეა.

20 წლამდე ასაკის ადამიანთაგან ენა ძალიან კარგად არავენ იცის. ენის ასეთ დონეზე მცოდნეთა რაოდენობა სოფლის მთელი მოსახლეობის 3,6%-ს, ხოლო წოვათუში მოსახლეობის 3,8%-ს შეადგენს.

ენა კარგად იცის 1018 ადამიანმა. მათგან:

491 ადამიანი 60 წლის ზემოთაა (84 კაცი 80 წელსაა გადაცილებული),

368 ადამიანი 40-იდან 60 წლამდეა,

149 ადამიანი 20-იდან 40 წლამდეა,

ხოლო 10 ადამიანი 20 წლამდეა.

ენა კარგად იცის სოფლის მთელი მოსახლეობის 38,9%-მა, ხოლო წოვათუში მოსახლეობის – 40,9%-მა.

ენის საშუალო დონეზე მცოდნეთა რიცხვი 288-ს შეადგენს. აქედან:

18 ადამიანი 60 წლის ზემოთაა (მათგან მხოლოდ ერთია 80 წლის ზემოთ),

94 ადამიანი 40-იდან 60 წლამდეა,

143 ადამიანი 20-იდან 40 წლამდეა და

33 ადამიანი – 20 წლამდეა.

მშობლიური ენა საშუალო დონეზე იცის სოფლის მთელი მოსახლეობის 11%-მა, ხოლო წოვათუში მოსახლეობის – 11,5%-მა.

**ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს** 416 ადამიანი. მათგან:

31 ადამიანი 60 წლის ზემოთაა (აქედან მხოლოდ ერთია 80 წელს გადაცილებული),

70 ადამიანი 40-იდან 60 წლამდეა,

231 ადამიანი 20-იდან 40 წლამდეა, ხოლო

84 ადამიანი 20 წლამდეა.

ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს სოფლის მთელი მოსახლეობის 15,9%, ხოლო წოვათუში მოსახლეობის – 16,7%.

მშობლიური ენა **არ იცის** 803 ადამიანმა. აქედან:

49 ადამიანი 60 წლის ზემოთაა (მათგან 3 კაცია 80 წლის ზემოთ),

153 ადამიანი 40-იდან 60-მდეა,

**297** ადამიანი 20-იდან 40-მდეა, ხოლო

304 ადამიანი 20 წლამდეა.

მშობლიური ენა საერთოდ არ იცის სოფლის მთელი მოსახლეობის 30,6%-მა, ხოლო წოვათუში მოსახლეობის 32,3%-მა.

ამრიგად, ყველაზე დიდი სიხშირით კარგად მცოდნეთა და არმცოდნეთა რაოდენობა დაფიქსირდა.

20 წლამდე ასაკის თაობაში ენა ძალიან კარგად არაგინ იცის, ხოლო კარგად მცოდნეთა რიცხვი ამ ასაკის ადამიანებში მთელი მოსახლეობის მხოლოდ 0,4%-ს შეადგენს.

კარგად მცოდნეთა უმრავლესობა 40 წლის ზემოთაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თაობათა შორის წყვეტა წოვათუში ენის შემთხვევაში უკვე ფაქტია – მშობლები შვილებს აღარ გადასცემენ მშობლიური ენის ცოდნას. საშუალო დონეზე მცოდნეთა დიდი უმრავლესობა – 49,7% 20-იდან

40 წლამდე ასაკისაა. ასეთივე უძრავლესობას – 55,5%-ს – წარმოადგენს ეს თაობა მათ შორის, ვისაც ესმის ენა და საუბარი არ შეუძლია.

შუა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ენა, ძირითადად, არ იციან შერეული ოჯახის წევრებმა (80 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც წოვათუშმა მამაკაცმა არ იცის ენა). თუ დედა არაწოვაა, იშვიათია, რომ შეილებმა ენა იცოდნენ. თუ შუა ასაკის მშობლებმა კარგად იციან ენა, შეილებმა, ძირითადად, არ იციან, ან ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ.

### ენის გადართვა და წოვათუშური ენის საფრთხის დონე

თუშეთის მთიანეთიდან წოვათუშთა ბარში ჩამოსახლების შემდეგ მათი ენა ქართული ენის კახური მეტყველების, ჩაღმათუშური დიალექტისა და ქართული სალიტერატურო ენის უშუალო გავლენის ქვეშ მოექცა. ენათა კონტაქტი საფუძველია ბილინგვიზმ/მულტილინგვიზმის განვითარებისათვის. ბილინგვიზმ/მულტილინგვიზმის გარეშე, თავის მხრივ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის დაბალი სოციალური პრესტიჟის მქონე ენის მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ენაზე გადასართველად.

წოვათუშური ენა აღმოჩნდა ისეთ ენობრივ სიფრცეში, სადაც ქართულ ენას მკვეთრად გამოკვეთილი დომინანტური უფლებები ჰქონდა (და დღესაც აქვს) მობრუნებული. ამ სიფრცეში ყველა პირობა არსებობდა, რომ წოვათუშურის, როგორც ნაკლებ პრესტიჟული ენის, ქართულ ენაზე უპირობო და შეუქცევადი გადართვა დაწყებულიყო, რამაც განაპირობა მისი საფრთხე.

საექსპედიციო სამუშაოების დროს გამოვლინდა, რომ სოფელ ზემო ალენის მოსახლეობა წინა წლებთან შედარებით საკმაოდ შემცირებულია. 2012 წლის მონაცემებით, სოფელში დაახლოებით 710 ოჯახი აღიწერა (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, სამოსახლო, რადგან ოჯახების სერიოზული ნაწილი ამჟამად სოფელში აღარ ცხოვრობს). ადგილზე დაგვხვდა დაახლოებით 421 წოვათუშური ოჯახი (როგორც წმინდა, ისე შერეული), რაც დაახლოებით 1558 სულს შეადგენს.

1897 წელს ივანე ბუქურაული წერდა: „წოვები ლაპარაკობენ დამახინჯებულ ღლიღურს ენაზე და ქართული ენის გავლენის ქვეშ ყოფნის გამო უფრო მახინჯდება და მოვა დრო, რომ სრულიად ბოლო მოეღება“ (ბუქურაული 1897: 43). ასე რომ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განჭვრიტა ივანე ბუქურაულმა წოვათუშური ენის არასახარბიელო ბედი და მასთან მიმართებით ზუსტი სოციოლინგვისტური დიაგნოზი დასვა.

ენის გადართვა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია. აღნიშნავენ, რომ სოფლების საზოგადოებებში ეს პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. სოფელში, სადაც ენის გადართვა ეს-ესაა დაიწყო, საზოგადოება უფრო მეტად იყენებს თავის ენას, ვიდრე იმ სოფელში, სადაც ენის გადართვა განვითარების ბოლო ეტაპზეა (Borbely 2000).

შაუნ თორდის განმარტებით, „ენის გადართვა არის სოციოლინგვისტური პროცესი, რომლის დროსაც ლინგვისტური უმცირესობა გადაერთვება ან გაბატონებულ ენაზე, ან მისგან შორს, ტრადიციული ენის გამოყენებით, თუ მის გარეშე“ (Ford 2001).

დევიდის მიხედვით, „ენის გადართვა აღწერს სიტუაციას, რო-

მელიც ეთნიკური ენის ჩვეულ გამოყენებას ცვლის“ (David 2003).

პატრიკის აზრით, ენის გადართვა ისეთი პროცესია, რომლის დროსაც საზოგადოება მიატოვებს ადგილობრივ ენას და კოლექტიურად გადაერთვება სხვა ენაზე. ასე ხდება დიალექტის შემთხვევაშიც. დიალექტურ გადართვას ის ენის გადართვის კონკრეტულ მაგალითად განიხილავს.

ჰომანის თანახმად, „როდესაც საზოგადოება ვერ იცავს თავის ენას და თანდათანობით ითვისებს მეორე ენას, ჩვენ ვსაუბრობთ ენის გადართვის შესახებ.“ იგი აღნიშნავს, რომ გარკვეული კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური პირობების დროს საზოგადოებას შეუძლია, თავისი ენობრივი ინვენტარი შეცვალოს მეორით. ეს ფენომენი განსაკუთრებით შეიგრძნობა მიგრანტ საზოგადოებებში (ახალდასახლებებში) (Hoffmann 1991: 186).

მეი თავის წიგნში „ენა და უმცირესობის უფლებები“ ენის გადართვის პროცესში სამ დიდ საფეხურს გამოყოფს: პირველ საფეხურზე ხდება გაზრდილი ზეწოლა მცირე ენის მოსაუბრეებზე, არ ილაპარაკონ თავიანთ ენაზე, განსაკუთრებით ოფიციალურ ადგილებში. მეცნიერის განმარტებით, ეს მდგომარეობა სოციოლინგვისტიკაში ახსნილია, როგორც დიგლოსია. ეს პროცესი ხშირად ჩქარდება და მარტივდება დიდ ენაზე განათლების ჩართვით. ამას მიეყვება მცირე ენის ფუნქციების შესაძლებელ შემცირებამდე. II ეტაპი არის ბილინგვიზმის პერიოდი, როდესაც ორივე ენაზე განაგრძობენ საუბარს პარალელურად. ეს საფეხური, ჩვეულებრივ, ხასიათდება მცირე ენაზე მოსაუბრეთა რიცხვის შემცირებით, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოსაუბრეებისა. ამ ენაზე ნაკლებად ლაპარაკობენ და ის გამოიყენება უფრო და უფრო ნაკლებ ადგილებში. მესამე და საბოლოო საფეხ-



ურზე, რომელიც შეიძლება მოხდეს 2, ან 3 თაობაში და ზოგჯერ ნაკლებში, გვაქვს მცირე ენის ჩანაცვლება დიდი ენით. მასზე უკვე აღარ ლაპარაკობენ, როგორც ფართოდ გაფრცელებულ საკომუნიკაციო საშუალებაზე (May 2008).

ქართველი ენათმეცნიერი ნოდარ ლადარია წიგნში „სოციო-ოლინგვისტიკა“ წერს: „ენების უკან დახევა, მათი სხვა ენებით ჩანაცვლება და ახალი ენების წარმოშობაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მულტილინგვიზმისა და სხვადასხვა ენათა შორის კონტაქტების ერთ-ერთი შედეგი“ (ლადარია 2002: 13). ცხადია, რომ „ჩანაცვლებაში“ ავტორი გადართვას გულისხმობს.

ენის გადართვის, როგორც ენობრივი პროცესის, დაწყების აუცილებელი პირობაა ენათა კონტაქტი ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში. სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი, მცირე ეთნიკური ჯგუფის ენა გაბატონებული ჯგუფის ენაზე გადაერთოს. როგორც კი ასეთი – დომინანტური და მასზე დაქვემდებარებული – ენების თანაარსებობის ერთიანი ლინგვისტური სივრცე იქმნება, მცირე ეთნიკური ჯგუფის ენას უკვე განადგურების საფრთხე ემუქრება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად გაქრება. მართალია, მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც არსებობს მისი სიცოცხლისუნარიანობის აღდგენისა და შენარჩუნების ალბათობა.

ენის გადართვა შეიძლება მოხდეს სწრაფადაც და ნელაც. ასევე ენის განადგურება შეიძლება იყოს უეცარიც და თანდათანობითიც. ენის ბედი შეიძლება შეიცვალოს, თუ მასზე აღარ ლაპარაკობენ ბავშვები.

შემაშფოთებელი ნიშანია, როდესაც ბავშვებს ესმით მშობლიური ენა, მაგრამ მასზე არ ლაპარაკობენ. ეს ბილინგვიზმის ის დონეა, როდესაც ბავშვების თაობამ მეორე ენა უკეთესად იცის. ამის შემდეგ

რამდენიმე თაობაღა საჭირო, რომ ენა მთლიანად დაიკარგოს.

ენის სარეალიზაციო სიფრცის შემცირება მისი საფრთხის ღონის გაზრდის პირდაპირპროპორციულია. ფუნქციების დაკნინების კვალ-დაკვალ, მას იყენებენ ოჯახში, ახლო მეგობრებში, შესაძლებელია, ადგილობრივ ღონისძიებებშიც. წლიდან წლამდე კლებულობს იმ ადამიანთა რიცხვიც, ვისთანაც უფროსი ასაკის (ცოცხლად დარჩენილ) მოსაუბრეებს მშობლიურ ენაზე ურთიერთობა შეუძლიათ.

საფრთხის ერთი ღონიდან მეორეზე გადასვლა გვიჩვენებს ბლინგეზმის განვითარების სტადიებს და მის მონოლინგეზმში გადასვლის გზას. მოდიფიცირებული მონოლინგეზმი, ანუ ბლინგეზმიდან განვითარებული მონოლინგეზმი და ენის სიკვდილი ერთმანეთს ემთხვევა.

სამეცნიერო ლიტერატურასი არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული საფრთხის ღონეების განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ.<sup>13</sup> ჩვენი თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: სასურველია, გამოიყოს საფრთხის ოთხი ღონე და ნუმერაცია დაიწყოს შედარებით პოზიტიური ღონიდან:

1. სტაბილური, მაგრამ საშიში (მოსაუბრე ყველა ასაკისაა, მაგრამ რაოდენობრივად ისინი ცოტანი არიან):

2. გარკვეული საფრთხის შემცველი (მშობლების თაობამ იცის ენა, მაგრამ ისინი შვილებს აღარ ელაპარაკებიან მასზე; შვილების თაობიდან ზოგს ესმის ენა, ზოგს – არა). მოსაუბრეთა ასაკი არის 20-25 წელი და ზემოთ;

3. სერიოზული საფრთხის შემცველი (ბებია-ბაბუების თაობამ იცის და მშობლების თაობამ – არა. მათგან ზოგს ესმის ენა). მოსაუ-

---

13. ამასთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: ქ. გიგაშვილი, წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლინგვისტური პროფილი, გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2014.

ბრეტა ასაკი არის 40-45 წელი და ზემოთ;

4. კრიტიკული საფრთხის შემცველი (ღიღი ბებია-ბაბუების თაობამ იცის და ბებია-ბაბუების თაობამ არა, მათგან ზოგს ესმის ენა). მოსაუბრეტა ასაკი არის 60-65 წელი და ზემოთ.

წარმოებული კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ **წოვათუშური ენის საფრთხის ღონე სერიოზულია** – ამ ენაზე ლაპარაკობს მხოლოდ ბებია-ბაბუების თაობა და უფრო ასაკოვანები. მშობლებს შეიძლება ჯერ კიდევ ესმით ენა, მაგრამ შვილებს აღარ ესაუბრებიან მასზე. ეს უკანასკნელნი მას აღარ სწავლობენ, როგორც დედაენას. მოსაუბრეტა ასაკი, ძირითადად, არის 40-45 წელი და ზემოთ. 40 წლის ქვემოთ მცოდნეთა რიცხვი დაახლოებით 160 ადამიანს შეადგენს (არ ვითვალისწინებთ ცოდნის საშუალო ღონეს), რომელთაგან მხოლოდ 1-მა იცის ენა ძალიან კარგად, დანარჩენების ცოდნის ღონე კი „კარგის“ თარგლებშია.

60 წლის შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა მოსაუბრეები 80 წლის ზემოთ იქნებიან, რომელთაც მშობლიური ენის მოხმარება მხოლოდ უფროსი და თავიანთი ასაკის ადამიანებთან შეეძლებათ. თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, წოვათუშური ენის სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 80 წელს, ესეც იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი ყველაზე ახალგაზრდა მოსაუბრეები (20 წლისები, თანაც, მოსაუბრეების ძალიან მცირე პროცენტი) 100 წლის ასაკამდე იცოცხლებენ. რამდენადაც ღრთა განმავლობაში შემცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთანაც ენის მცოდნეებს საუბარი შეეძლებათ და, ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წოვათუშური ენის ფუნქციათა წრე საახლობლოს არ სცილდება, ზემოთ განსაზღვრული 80 წელიც ყველაზე ოპტიმალურად გამოჩნდება.

## ინტერაქციის გარეშე – წოვათუშური ენის მოხმარების სფეროები

საველე სამუშაოების დროს გამოვიკითხეთ 323 რესპონდენტი. მათგან 154 მამაკაცი იყო, 169 – ქალი. კითხვაზე – რომელ ენაზე საუბრობთ სამსახურში, პოლიკლინიკაში, საავადმყოფოში, ავთიაქში, ბანარში, მაღაზიებში, გამგეობაში? – გავჩვენებთ, რომ წოვათუშუნი დასაქმების ადგილას და სხვა ყველა წამყვან საკომუნიკაციო სივრცეში მხოლოდ გაბატონებულ – ქართულ – ენაზე საუბრობენ. სახლში კი ისინი, ქართულის გვერდით, წოვათუშურსაც აქტიურად იყენებენ. მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი 28%-ს შეადგენს. მართალია, საშინაო მოხმარებაში ქართული ენა ჭარბობს, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, ოჯახის წევრთა დიდმა ნაწილმა ხომ უკვე აღარ იცის მშობლიური ენა. ქართულად მოსაუბრეებს შორის მამაკაცები ჭარბობენ, ხოლო წოვათუშურად მოსაუბრეებს შორის – ქალები.

სქესი	წოვათუშურად	ქართულად	წოვათუშურადაც და ქართულადაც	ძირითადად ქართულად, იშვიათად წოვათუშურად	ძირითადად წოვათუშურად, იშვიათად ქართულად
მამრ.	38	83	29	3	1
მდედრ.	53	73	37	6	
სულ	91	156	66	9	1

კითხვაზე – რომელ ენაზე საუბრობდით ბავშვობაში – გავჩვენებთ, რომ გამოკითხულთაგან თუ დღეს სახლში წოვათუშურად ლაპარაკობს 91 ადამიანი, ბავშვობაში ამ ენაზე საუბრობდა 239 ადამიანი, ანუ

2.6-ჯერ მეტი. ეს ადასტურებს, რომ ბილინგვიზმის დონეები შეიცვალა არა მხოლოდ თაობიდან თაობაში, არამედ ერთი თაობის ფარგლებშიც.

კითხვაზე – რომელ ენაზე ესაუბრებით მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავეებს? – ასეთი სურათი მივიღეთ:

სქესი	წოვათუშურად	ქართულად	ზოგს ქართულად, ზოგს წოვათუშურად	სულ
მამრ.	6	33	115	154
მდედრ.	7	41	121	169
სულ	13	74	236	323

მათ, ვინც მეგობრებს, მეზობლებსა და ნათესავეებს ქართულად ესაუბრებიან, წოვათუშური ენა, ძირითადად, საშუალოდ იციან. მხოლოდ სამმა იცის ენა კარგად, ცხრამეტმა კი საერთოდ არ იცის, თუმცა იმ რესპონდენტებმაც, რომელთაც გვიპასუხეს, რომ ზოგს ქართულად ესაუბრებიან და ზოგს წოვათუშურად, ენა საშუალოდონეზე იციან. თუშები ამბობენ, რომ, თუ წოვების ლაპარაკს ქართულ ენაზე მოსაუბრე შეუეერთდა, ისინი ქართულად გააგრძელებენ საუბარს.

კითხვაზე – რომელ ენაზე საუბრისას გრძნობთ თავს ლალად? – უმრავლესობა შეადგინეს იმ ადამიანებმა, რომლებიც წოვათუშურად საუბრისას გრძნობენ თავს ლალად. ვინც გვიპასუხა, რომ ქართულად საუბრისას გრძნობენ სილადეს, მათგან 77-მა წოვათუშური ენა იცის საშუალო დონეზე, 23-მა არ იცის, ხოლო 30-მა კარგად იცის.

იყო შემთხვევები, როდესაც ენის კარგად მცოდნეებმა გვიპასუხეს, რომ თავს ლაღად გრძნობენ ორივე ენაზე საუბრისას.

მათაც კი, რომლებმაც გვიპასუხეს, რომ წოვათუშურ ენაზე საუბრისას გრძნობენ თავს ლაღად, მშობლიური ენა კარგად იციან და არა ძალიან კარგად.

ფიშმანი ენის სოციალურ ფუნქციებს ორ ჯგუფად ყოფს: ძალაუფლების მქონე და ძალაუფლების არმქონე ფუნქციებად. მათ შესაბამისად P და n-P ლათინური ასოებით აღნიშნავს. ძალაუფლების მქონე ფუნქციები რეალიზდება შემდეგ სფეროებში: დასაქმება, ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები, უმაღლესი განათლება, მასმედია, პოლიტიკა, მთავრობა და ა. შ. ხოლო ძალაუფლების არმქონე ფუნქციები - ისეთ სფეროებში, როგორცაა: ოჯახი, მეგობრული წრე, სამეზობლო, ეთნიკური ჯგუფი, მის მიერ კონტროლირებადი დაწყებითი და ელემენტარული განათლება.

წოვათუშური ენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლების მქონე ამ 7 სფეროდან იგი არც ერთში არ გამოიყენება და არ გამოიყენებოდა ის აგრეთვე არც უახლოეს და შორეულ წარსულში, ყოველ შემთხვევაში, იმ დროში მაინც, რომელსაც ისტორიის თვალი სწვდება. რაც შეეხება ათასწლეულთა სიღრმეს, სწავლულ წოვეებს მიაჩნიათ, რომ ისეთი რთული გრამატიკული სტრუქტურის მქონე ენას, როგორც წოვათუშურია, აუცილებლად უნდა ჰქონოდა გამოყენების გაცილებით ფართო ასპარეზი.

## ქართული ენის წოვათუშურ ენაზე ლინგვისტური გავლენის (ინტერფერენციის) მასშტაბები თანამედროვე ეტაპზე

კოდის გადართვის მახასიათებლების კვლევისას უაღრესად ფასეულია ქართული ენის წოვათუშურ ენაზე ლინგვისტური გავლენის (ინტერფერენციის) მასშტაბების ცოდნა წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის თანამედროვე ეტაპზე. ლინგვისტური დასკვნები ფასეულია როგორც ზოგადი ლინგვისტიკის, ისე სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკისათვის. ის საშუალებას გვაძლევს, გამოვაგლინოთ ენის ცვლილების ზოგადი კანონზომიერებები და სოციოლინგვისტური კვლევების შედეგების მოშველიებით განვსაზღვროთ ენის ასიმილაციის დონე.

2008 წელს გამოიცა მაცვალა მიქელაძის მონოგრაფია: „ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში, I ნაწილი, ლექსიკა და ფონოლოგია“ (მიქელაძე 2008), რომელმაც თაქტობრივად შეაჯამა ავტორის მიერ წინა წლებში წოვათუშური ენის ლექსიკასა და ფონოლოგიაში ინტერფერენტულ პროცესებზე წარმოებული კვლევის შედეგები.

ნაშრომი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ წოვათუშურ ენაში ქართული ენის გავლენით მიმდინარე ცვლილებები განხილული და შეფასებულია ბილინგვიზმის საფენურებთან მიმართებით, დახასიათებულია წოვათუშური ენის ლინგვისტური ბუნება, რომელსაც ის ასეთი ცვლილებების დროს ამჟღავნებს.

მ. მიქელაძემ მონოგრაფიაში წარმოადგინა უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები ენობრივი გავლენების მასშტაბებისა და ინტერფერენციის შედარებადობის სიღრმის თვალსაზრისით.

ენათა კონტაქტების დროს ინტერფერენციისათვის ყველაზე

დრეკადი სფერო ლექსიკაა, ორენოვნების ყველაზე თვალსაჩინო შედეგი სიტყვათა სესხებაში იჩენს თავს. შესაბამისად, სიტყვათა ნასესხობებისთვის ენათა მინიმალური კონტაქტიც კი ემარა, მაშინ როდესაც ენის სხვა დონეებზე ცვლილებების განხორციელებისთვის შედარებით ხანგრძლივი და ღრმა კონტაქტებია საჭირო (მიქელაძე 2008: 25).

როგორც მკვლევარი შენიშნავს, წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის I-სა და II პერიოდებში გავლენა, ძირითადად, ლექსიკურ ქსოვილს ეხებოდა, ხოლო III და IV პერიოდებში ინტერფერენცია წოვათუშური ენის მთელ ჰორიზონტალურ ჭრილს მოეძღო.

ავტორი ითვალისწინებს ანტონ შიფნერის თვალსაზრისს წოვათუშურ ენაში ინტერფერენტული პროცესების შეფასებისას, რომელიც წერს: „უცხო გავლენა (იგულისხმება ქართულის. ქ. გ.), როგორც შემდეგმა კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, ძალიან შორს მიდის სახელებში; დიდ როლს თამაშობენ საწარმოებელი უცხო ფორმანტები სიტყვაწარმოებაში; სინტაქსშიც ზოგი მოვლენა ქართულის გავლენით აიხსნება“ (Schiefner 1856: 4).

შიფნერმა ეს შეხედულება XIX ს-ის 50-იან წლებში გამოთქვა, როცა 2 ათეულ წელზე მეტს არ გაეგლო წოვათუშების მიერ წოვათის დატოვებიდან. შიფნერი მორფოლოგიურ და სინტაქსურ გავლენებს ეხება, რასაც ენათა კონტაქტის შედარებით ხანგრძლივი ისტორია სჭირდება, ვიდრე ლექსიკურ სესხებებს. გერმანელი ორიენტალისტის ნათქვამი მ. მიქელაძეს ავარაუდებინებს ქართული ენის გავლენას წოვათუშურ ენაზე ამ ენის მატარებელი ხალხის მთაში ცხოვრების დროსაც. თუმცა, მისი აზრით, მთასა და ბარში გამოვლენილი ინტერფერენტული პროცესები ერთმანეთისაგან მასშტაბითაც უნდა განსხვავდებოდეს და ტემპითაც.



სესხების სიღრმისა და მასშტაბების მიუხედავად, წოვათუშურ ენაში მეცნიერი პოულობს ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის საკმაოდ დიდ რაოდენობას ნშირად ხმარებული სიტყვებისა, რომელიც სესხების პროცესისადმი თავისი მდგრადობით მეტოქეობას უწევს ფონეტიკისა და მორფოლოგიის ყველაზე მდგრად ელემენტებს (მიქელაძე 2008: 155-156).

თითოეულ კულტურულ ტალღას ენისთვის მოაქვს ნასესხები სიტყვების ახალი ფენა და მათი დაკვირვებით შესწავლა ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კულტურის ისტორიაზე.

ინტერფერენტული პროცესები მიმდინარეობს ენობრივ კონტაქტში მყოფ როგორც არამონათესავე, ისე მონათესავე ენებს შორის. ი. ჩანტლაძე მიუთითებს, რომ სვანურმა ენამ სხვებთან შედარებით (ავტორი გულისხმობს ქართველურ ენათა სამყაროს. ქ. გ.) „ყველაზე ნაკლებ განიცადა ინტერფერენციის პროცესები მონათესავე თუ არამონათესავე, სამწერლობო თუ უმწერლობო ენებთან“ (ჩანტლაძე... 2007-2010: 13). კოდორის მოსახლეობის მეტყველებაში შეინიშნება ორგვარი ინტერფერენცია: ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა; ბ) სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა. ინტერფერენცია დადასტურებულია ლექსიკაში, მორფოლოგიაში, ფონეტიკა-ფონოლოგიაში, შედარებით იშვიათად – სინტაქსში (იქვე: 21). თუმცა ქ. მარგინი-სუბარი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსურ ანალიზს ეხება, აღნიშნავს, რომ კოდორის ხეობის სვანთა მეტყველებაზე ქართულმა ენამ გავლენა „სინტაქსზე უფრო ადვილად მოახერხა“ (მარგინი-სუბარი 2008-2009: 199).

როდესაც სიტყვათა სესხების თემას ეხება, მ. მიქელაძე ხაზს უსვამს ბილინგვიზმის საფეხურს, მოსაუბრეთა ასაკსა და ცოდნის დონეს. მან სპეციალურად შეისწავლა საშუალო განათლებისა და საშუალო ასაკის (40–50 წლის) წოვათუშთა მეტყველება. მისი დაკვირვებით, ყოველი ათი წელი თვალსაჩინო სხვაობას იძლევა ნასესხებ სიტყვათა რაოდენობის თვალსაზრისით (მიქელაძე 2008: 24).

შემდეგ კი, როცა უდამწერლობო წოვათუშური მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე მონოლითური ქართულის პრინციპი აღმოჩნდა, დეფიციტი თითქმის მხოლოდ ლექსის დონეზე დაფიქსირდა.

მაყვალა მიქელაძემ ასევე საგანგებოდ შეისწავლა ინტერფერენტული პროცესები მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე.<sup>14</sup> მან დაასკვნა, რომ თანამედროვე ეტაპზე ქართული ენის გავლენამ წოვათუშურზე თითქმის შეუზღუდავი ხასიათი მიიღო, რაც მორფოლოგიური და სინტაქსური პლენონიზმის სახით ვლინდება (მიქელაძე 2015: 3). აღნიშნა, რომ გრამატიკულ კატეგორიათა რაოდენობის მიხედვით ეს ენები თითქმის თანაბრად შეეზომებიან ერთმანეთს, გარკვეული მეტობით თითოეულის მხარეს.

ამ მხრივ სხვაობა ვლინდება ცალკეული კატეგორიების შიგნით გამონატყლებათა პლენის ასპექტშიც. ამ სხვადასხვაობას იდეალური ბილინგვიზმის პირობებში<sup>15</sup> განსაკუთრებული თანამიმდევრულობით ანიველარებენ ინტერფერენტული პროცესები, რომლებიც დიდი ხა-

---

14. მ. მიქელაძე, წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011; მ. მიქელაძე, წოვათუშური ზმნის მორფოლოგიის საკითხები, გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2013; მ. მიქელაძე, თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.

15. როგორც ავტორი უწოდებს. ქ. გ.

ნია, გასცდნენ ლექსიკის სფეროს და პარალელურად ახდენენ ქართულთან წოვათუშურის მორფოლოგიურ-სინტაქსური გაერთმნიშვნელობების საქმეს (მიქელაძე 2013: 4).

ავტორის მითითებით, იმის გამო, რომ წოვათუშურიც და ქართულიც ენათა ერთი და იმავე გენეალოგიური ოჯახის წევრებია, ისინი ერთი და იმავე ამოსავალი სისტემის შექმნის დაგეგმვად განსხვავებულ ვარიანტებად წარმოგვიდგებიან.

ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი კონტაქტის შედეგად ქართულმა ენამ გარკვეული გავლენა მოახდინა წოვათუშურის გრამატიკულ სისტემაზე, რომელიც სამი მიმართულებით წარიმართება:

1. ხდება მოშლა-დაკარგვა იმ გრამატიკული კატეგორიებისა, რაც „მეტა“ მსესხებელ ენაში წყარო ენასთან შედარებით;
2. ივსება სათანადო კატეგორიებით მსესხებელი ენის მაორგანიზებული სისტემის „ნაკლოვანი“ ადგილები;
3. ხორციელდება წყარო და მსესხებელ ენათა ზიარი გრამატიკული კატეგორიების ფორმაწარმოებაში არსებულ განსხვავებათა ნიველირება (იქვე: 319-320).

ღროთა განმავლობაში წოვათუშურმა ქართულიდან ისესხა ზმნის პირის კატეგორია, მაგრამ ჯერჯერობით პირის აღნიშვნა სავალდებულო არაა წოვათუშურ ზმნაში, ამ მხრივ იგი ალტერნატიულ ხასიათს ატარებს მხოლოდ და უბირო ფორმებთან პარალელური გამოყენების გზით იწყებს დამკვიდრებას. ზოგადთეორიული თვალსაზრისით, წოვათუშურმა პირთა გამოხატვის მხოლოდ მოდელი ისესხა ქართულიდან, მაწარმოებელ ფორმანტებად კი საკუთარი მასალა მიუსადაგა. ამ გზით ტიპური ალგებრული სესხება დაფიქსირდა.

ამავე ენის ზმნის სტრუქტურაში მარტივი, მათემატიკური სეს-

ხების ფაქტიც გაცნობიერდა. იგულისხმება ასპექტის წარმოება ქართულიდან ნასესხები ზმნისწინებით. მეცნიერის აღნიშვნით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასპექტის გამოხატვის ამ გზას ენა მხოლოდ ნასესხები ზმნებისათვის იყენებს, ხოლო საკუთარ ზმნებში კვლავ მისი დამოუკიდებელი სისტემა ბატონობს, წარმოდგენა შეგვექმნება იმ დიდი შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ, რასაც იჩენს მსესხებელი ენა აზროვნების უცხოენობრივი მოდელებისადმი (იქვე: 320).

მ. მიქელაძე კონტაქტში მყოფ ენებს შორის განსხვავებულობის ძალისა და ხარისხის შემცირების ტენდენციას მიაწერს წოვათუშური ენის მ-წიფრიან სისტემაში მიმდინარე ახალი, ადამიანის ზოგადი კლასის ჩამოყალიბების პროცესს. ინოვაცია აქაც კანონზომიერი თანდათანობით იკიდებს ფეხს, რადგან: ჯერ ქალისა და კაცის აღმნიშვნელ სიტყვათა მხოლოდ ერთი ნაწილია დამკვიდრებული ამ ზოგად კლასში, მეორე ნაწილი იმავე ჯგუფის სახელებისა ქალისა და მამაკაცის კონკრეტულ კლასებთან ერთად მხოლოდ პარალელურად ირგებს ამ ახალ კლასს, ხოლო მესამე ნაწილი ინოვაციას საერთოდ არ ექვემდებარება. მეცნიერის აზრით, აღნიშნული თანდათანობითობა სიახლისა ინტეგრირებულ პროცესთა დინამიკაში მუდმივმოქმედი ენის დრეკადობის ზღვარის უდიდეს როლზე მეტყველებს.

ე. წ. „მეტობის“ მოშლის ტენდენციის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს განსაზღვრულობის კატეგორიის თითქმის სრული გაბუნდოვანება თანამედროვე წოვათუშურში, რასაც შედეგად მოჰყვა გაშუალებული მტკიცებულების ფორმათა მოშლა საერთო სისტემიდან და ის რყევა, რაც შეიმჩნევა, ზოგადად, თხრობითი კილოს ნახული თუ უნახავი აქტის განსხვავებული მტკიცებულების ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით.

მაყვალა მიქელაძის აზრით, ის თაქტი, რომ ბილინგვიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წოვათუშურმა ნასესხები სუფიქსით ორობითი ინკლუზივის ახალი გრამატიკული კატეგორია შექმნა, ენობრივი გონის საოცარ გამძლეობასა და ბოლომდე შენარჩუნებულ ქმედითუნარიანობაზე მეტყველებს (იქვე: 320-321).

ინტერფერენტულ პროცესებს ნაშრომში მასალის ანალიზის დროსაც ვეხებით.

### **მატრიცა ენა და ჩართული (ჩაშენებული) ენა**

ლინგვისტური ასპექტების შესწავლა ერთ-ერთი უმთავრესია კოდის გადართვის კვლევებში. ძირითადი კითხვები, რომელიც ისმის ამ დროს, არის შემდეგი: 1. ორი ენობრივი სახესხვაობის ელემენტები როგორ გამოიყენება ერთად და 2. ერთი ენობრივი სახესხვაობის გრამატიკა როგორ გავლენას ახდენს მეორე ენობრივი სახესხვაობის გრამატიკაზე.

ჯერ კიდევ 1898 წელს ჰერმან ჰაულმა გამოთქვა აზრი, რომ ორ ენას არ შეუძლია შეეროს თანაბრად ბილინგვურ წინადადებაში: „ინდივიდს, რომელიც ფლობს ორ ენას თანაბრად კარგად, შეუძლია ძალიან მარტივად გადავიდეს ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ წინადადების კონსტრუქციის ფარგლებში ყოველთვის იქნება ერთი ენა, რომელიც წარმოადგენს რეალურ საყრდენს, ბაზას, მეორე კი თამაშობს მეორეულ როლს, თუმცა მეტ-ნაკლებად ისიც შეიძლება იყოს მამოლდიფიცირებული“ (Paul 1898: 366).

კოდის გადართვაში ენების არათანაბარ მონაწილეობაზე ყურადღება გაამახვილეს 1980-იანი წლების მკვლევარებმაც (Sridhar & Sridhar 1980; Joshi 1985).

ამ პერიოდში კოდის გადართვის გრამატიკული სტრუქტურის მიმართ ინტერესის სფეროში გამოჩნდა მაიერს-სკოტონის „მატრიცა ენის ჩარჩო მოდელი“ (‘The Matrix Language Frame model’ (MLF)).

1990 წელს გამოიცა მეცნიერის ნაშრომი: „კოდის გადართვა და სესხება: ზირთა შორისი და მაკრო დონისეული მნიშვნელობა“ (Myers-Scotton 1990), სადაც გამოვლენილია კოდის გადართვაში ენების მონაწილეობის ზოგადი სტრუქტურული ასპექტები.

„მატრიცა ენის ჩარჩო მოდელი“ სრული სახით წარმოჩნდა სკოტონის 1993 წლის შრომაში ‘Duelling Languages’ (Myers-Scotton 1993a), როგორც „მოდელი წინადადების შიდა გადართვის სტრუქტურების ასახსნელად“. იგი საფუძვლად დაედო არა მხოლოდ მის მომდევნო კვლევებს, არამედ სხვათა ნაშრომებსაც.

აუერბი აღნიშნავს, რომ მაიერს-სკოტონმა ფორმულირება მოახდინა ზაულის აზრისა უფრო მეტად სოფისტიკური მოდელით, მაგრამ საყრდენი აზრი იგივე დატოვა: კოდის გადართვაში ჩართული ორი ენიდან ერთი თამაშობს გაბატონებულ როლს. ეს არის მატრიცა ენა (Matrix language) და მისი გრამატიკა ადგენს მორფოსინტაქსურ ჩარჩოს, მეორე მონაწილე ენა კი არის ჩართული (ჩაშენებული) ენა (Embedded language) (Myers-Scotton 1993: 229) (Auer & Muhamedova 2005: 36). ჩაშენებულ ენას სხვაგვარად „სტუმარ ენასაც“ უწოდებენ.

ტერმინების პირველი გამოყენება დაკავშირებულია იაკობსონის სახელთან (Jakobson 1977). მაიერს-სკოტონი თავის შრომებში დაეყრდნო ტერმინის ჯგომისეულ გაგებას (Joshi 1985). ჯგომში იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შეეხო მატრიცა ენას, როგორც წინადადების ჩარჩოს ამგებს და მეორე ენას, როგორც ჩართულს.

სკოტონის განმარტებით, მატრიცა ენის ჩარჩო მოდელს აქვს სამი წინაპირობა:

1. მატრიცა ენა და ჩართული ენა თანაბრად არ მონაწილეობენ შემადგენელი ნაწილის სტრუქტურაში ;

2. ყველა მორფემის ტიპი არ არის თანაბარი იმ მნიშვნელობით, რომ ყველა ტიპს არ შეუძლია თანაბრად მოდიოდეს მატრიცა და ჩართული ენებიდან;

3. ორივე ენა ჩართულია, როდესაც მოსაუბრე გადართავს კოდს, თუმცა მატრიცა ენა ყოველთვის მეტად არის გააქტიურებული (Myers-Scotton 2006/2013: 243).

რამდენადაც ამის შემდეგ ნაშრომში ხშირადაა ნახსენები მორფემა, ორიოდე სიტყვით შეფხერდებით მასზე:

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ფორმალურ სტრუქტურაში განარჩევენ გრამატიკულ და ლექსიკურ (ძირეულ) მორფემებს. გრამატიკულია მორფემა, რომელიც გამოხატავს სრულმნიშვნელობიან სიტყვებს შორის მიმართებებს, გრამატიკულ კატეგორიებს, ან აწარმოებს ახალ სიტყვებს. გრამატიკული მორფემები – იგივე აფიქსები – დამოუკიდებლად არ არსებობენ; მათ დამოკიდებულ მორფემებსაც უწოდებენ (გოგოლაშვილი 2011: 9-10).

ძირეული მორფემა ქმნის სიტყვის ბირთვს. მას უკავშირდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. მორფემა მორფოლოგიური სტრუქტურის აგებაში დამოუკიდებელი ელემენტის სახით მონაწილეობს. იგი ხასიათდება საკუთარი ფორმობრივი თვისობითა და ქმედების უნარით (იქვე: 9).

მორფემას, როგორც ანალიზის მთავარ ერთეულს მორფოლოგიაში, ინგლისური ენის სახელმძღვანელოებშიც განსაზღვრავენ,

როგორც მნიშვნელობის მქონე, ან გრამატიკული ფუნქციის მქონე უმცირეს ერთეულს ენაში. მაიერს-სკოტონი არ ეთანხმება ამ განმარტებას და აღნიშნავს, რომ ამას შეცდომაში შევყავართ, რადგანაც გრამატიკული მორფემების კლასს, მართალია, აქვს მცირე მნიშვნელობა, მაგრამ ის მიახლოებს ურთიერთობაზე უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე ელემენტებს შორის (როგორცაა სიტყვები და ფრაზები).

ლექსიკური (ძირეული) მორფემის მნიშვნელობით ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „თავისუფალი მორფემა“ (*free morpheme*), ხოლო გრამატიკული მორფემის მნიშვნელობით – „ბმული მორფემა“ (*bound morpheme*).

ენები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება სიტყვებს შორის ურთიერთობებითა და იმით, თუ რამდენ მორფემას შეიცავენ ისინი. ბევრი სიტყვა ინგლისურში შედგება ცალკეული თავისუფალი მორფემისაგან. მაგ., ‘I need to go now, but you can stay.’ აქ თითოეული სიტყვა არის გარკვეული მორფემა. აქედან არც ერთი არ შეიძლება დაიშალოს უფრო პატარა მნიშვნელობის მქონე ნაწილებად. ამდენად, ზოგიერთ ენაში სიტყვა შეიძლება ფარავდეს მორფემას.

ბმულ მორფემად იწოდება მორფემა (ან სიტყვის ელემენტი), რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, როგორც სიტყვას. ინგლისურში ბმული მორფემები მოიცავს აფიქსებს, რომლებიც კლასიფიცირდება 4 ჯგუფად სიტყვაში ადგილმდებარეობის მიხედვით: პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი და ცერკუმფიქსი. ბმული მორფემის თავისუფალ მორფემაზე მართვით (მაგ., პრეფიქს *re-*ს დამატებით ზმნა *start-*ზე) მიიღება ახალი სიტყვა, ან, სულ მცირე, სიტყვის ახალი ფორმა (მაგ., *restart*).



ბმული მორფემები მიუთითებს მიმართებებზე. ასეთია, მაგ., ინგლისურ ენაში ახლანდელი ღროის მხოლოდითი რიცხვის შესამე პირის ნიშანი -s (Myers-Scotton 2006[2013]: 236), ან სახელის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი -s სუფიქსი, რომელიც აღარ დაიშლება მნიშვნელობის მქონე უფრო პატარა ნაწილებად (*dog-s*).

ასეთ მორფემებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „მიმართებით მორფემებად“ მოიხსენიებენ (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს... წერ-ს, წერ-ენ და სხვ) (გოგოლაშვილი 2011: 13).

ბმულ მორფემას, რომელიც აწარმოებს ახალ სიტყვებს, ჰქვია დერევაციული მორფემა (მაგ., ‘re-’: ‘reopen’), ხოლო, რომელიც ცვლის სიტყვის გრამატიკულ ფუნქციას, ჰქვია ფლექსიური მორფემა (მაგ., ‘-ed’: ‘reopened’).

ორივე ტიპის მორფემას – დერევაციულსა და ფლექსიურს – ქართულში შეეფარდება ტერმინი „წარმოქმნილი მორფემები“. ისინი წარმოქმნიან ახალ ფუძეს და არ არიან დამოკიდებული წინადადების სხვა წევრების ფორმასა თუ მნიშვნელობაზე. წარმოქმნილი მორფემები ცვლიან სიტყვის ლექსიკურ, ან გრამატიკულ მნიშვნელობას (გოგოლაშვილი 2011: 14).

მნიშვნელობის მქონე მორფემებს აქვთ კონკრეტული მნიშვნელობა და ამიტომ მათი მოდიფიცირება შეიძლება, მაგრამ ფუნქციურ სიტყვებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მათი მოდიფიცირებაც არ შეიძლება.

მორფემები, თავისუფალი, თუ ბმული, შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს აგრეთვე, როგორც შინაარსის მქონე მორფემები (Content morphemes) და სისტემური მორფემები (System morphemes).

შინაარსის მქონე მორფემებს აქვთ სემანტიკური შინაარსი. ასე-

თია სიტყვა, რომელიც გადმოსცემს ინფორმაციას ტექსტსა თუ სამ-  
ეტყველო აქტში. მოიცავს სახელებს, ლექსიკურ ზმნებს, ზედსარ-  
თავებსა და ზმნიზედებს. მიეკუთვნებიან სიტყვათა ღია კლასს. მათ  
ეძახიან აგრეთვე ლექსიკურ მორფემებს.

დახურული კლასის ერთეულებია: მსაზღვრელები, გარკვეული  
ჯგუფის ნაცვალსახელები (მაგ., კუთვნილებითი), წინდებულები,  
დამხმარე ზმნები. ასე რომ, ფუნქციური ელემენტები ეკუთვნის დახ-  
ურულ კლასს, ლექსიკური ელემენტები კი – ღია კლასს (Muysken  
2000: 172).

სისტემური მორფემები ემსახურება გრამატიკულ ფუნქციას.  
მათ ეძახიან აგრეთვე ფუნქციურ მორფემებს (function morphemes),  
ან გრამატიკულ მორფემებს (grammatical morphemes) (Myers-Scot-  
ton 2006/2013: 245).

ფუნქციური მორფემები წინადადებაში გამოხატავს გრამატი-  
კულ, ან სტრუქტურულ ურთიერთობას სხვა სიტყვებთან. მნიშვნე-  
ლობის მქონე სიტყვებისაგან განსხვავებით, ფუნქციურ სიტყვას აქვს  
უმნიშვნელო, ან მნიშვნელობისაგან დაცლილი შინაარსი. ფუნქციური  
სიტყვები ცნობილია აგრეთვე, როგორც გრამატიკული სიტყვები. ისინი  
მოიცავს მსაზღვრელებს (როგორიცაა *the, that*), კავშირებს (*and, but*),  
წინდებულებს (*in, of*), ნაცვალსახელებს (როგორიცაა *she, they*), დამხ-  
მარე ზმნებს (*be, have*), მოდალურ ზმნებს (*may, could*) და რაოდენო-  
ბით რიცხვით სახელებს (როგორცაა, მაგ., *some, both*).

ფუნქციური სიტყვები ერთად კრავს წინადადების ნაწილებს  
უფრო დიდ სინტაქსურ მოდელში.

ამრიგად: სისტემური მორფემები = ფუნქციური მორფემები =  
გრამატიკული მორფემები.

შინაარსის მქონე მორფემები = ლექსიკური მორფემები.

ერთი და იგივე მორფემა შეიძლება თავისუფალი იყოს ერთ ენაში და ბმული იყოს სხვა ენაში, ამისი მაგალითია განსაზღვრული არტიკლი ინგლისურში არაბულის საპირისპიროდ.

მიისკენი ჩამოთვლის არეალებს, სადაც განსხვავება ლექსიკურ და ფუნქციურ ელემენტებს შორის თამაშობს მნიშვნელოვან როლს: ეს არეალები მოიცავს ენის შერევას, მეტყველების პროდუქციას, ენის განვითარებას, ენის ცვლილებას, კრეოლიზაციას, ლექსიკურ სესხებას და სხვ.

ავტორი განასხვავებს ფუნქციური ელემენტების სამ განსხვავებულ ტიპს: გადამრთველებს (მაგ., ნაცვალსახელებს, ჩვენებითებს, კითხვით სიტყვებს), ფუნქციურ კატეგორიებს (არტიკლებს, ღროის მარკერებს, შეთანხმებას, დამხმარე სიტყვებს, მოდალობებს), დამაკავშირებლებს (წინდებულებს, კავშირებს, მავრთებელ სიტყვებს). მისი განმარტებით, განსხვავება შინაარსის მქონე და სისტემურ მორფემებს შორის (ანუ ლექსიკურ და ფუნქციურ ელემენტებს შორის) უნდა გაკეთდეს ეკვივალენსის (შესაბამისობის) თვალსაზრისით (Muysken 2000: 172).

მაიერს-სკოტონის მონოგრაფია – ‘Contact Linguistics: Bilingual Encounters and Grammatical Outcomes’ – ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა ემართება ენების გრამატიკულ სტრუქტურას ბილინგვა მეტყველებაში (Myers-Scotton 2002). ამავე საკითხს ეძღვნება სპეციალური თავი მის მონოგრაფიაში – ‘Multiple Voices’ (Myers-Scotton 2006/2013).

ზოგიერთი მეცნიერი მატრიცა ენას განიხილავს ფსიქოლინგვისტური და სტრუქტურული პერსპექტივებიდან. მიისკენი უარყოფს

მატრიცა ენის სუფთა სტრუქტურულ განსაზღვრებას, რადგან მას, მისი შეხედულებით, მივყავართ წრიულობისკენ: წრე იქმნება, როდესაც გამოავლენ ენას მატრიცად და შემდეგ ხსნი სისტემური მორფემების წარმომავლობას, როგორცაა, მაგ., ზმნური აფიქსები (Muysken 2000: მეორე თავი).

მიისკენის მიხედვით, „გზა, რომელზედაც ენები შეიძლება გაერთიანდეს ერთ სინტაქსურ ერთეულში (წინადადებაში, ან ფრაზაში), ისეთია, რომ ენა A არის დომინანტური და ენა B არის ჩართული გრამატიკულ ჩარჩოში, რომელიც განისაზღვრება A ენით“ (Muysken 2000). მეცნიერი განიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულ განსაზღვრებებს მატრიცა ენისას. მათგან გამოყოფს შემდეგს:

ა) საუბრის ენა არის მატრიცა ენა;

ბ) პირველი სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი წინადადებაში განსაზღვრავს ბაზისურ ენას;

გ) ენა უფრო მეტი მორფემით დისკურსში არის მატრიცა ენა.

მიისკენის აზრით, ფუნქციური ელემენტები (როგორცაა შეთანხმება, გვარი, მოდალობა, დამხმარე სიტყვები, დისკურსის მარკერები და სხვ.), ძირითადად, მატრიცა ენიდან მომდინარეობს და ენებს შორის განსხვავებები მათი განსხვავებული მახასიათებლებით იქმნება. ასეთი ელემენტების გავლენა განაპირობებულია მათი განსაკუთრებული სტატუსით მენტალურ ლექსიკონსა და მეტყველების პროდუქციაში, როგორც ადასტურებენ მაიერს-სკოტონი (Myers-Scotton 1993a) და აზუმა (Azuma 1993), ფსიქოლინგვისტთა ვარაუდებზე დაყრდნობით. ფუნქციური ელემენტების გავლენას განაპირობებს აგრეთვე მათი ეკვივალენტების ნაკლებობა განსხვავებულ ენებში.

ნამბას აზრით, მატრიცა ენა შეიძლება განისაზღვროს როგორც პირველი ენა მოსაუბრისა, ან ენა, რომლის მორფემები და სიტყვები უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში (Namba 2005). სკოტონის (Myers-Scotton 1993) კრიტერიუმები უფრო სტრუქტურას ეფუძნება. მატრიცა ენის სტრუქტურები გვთავაზობს აბსტრაქტულ გრამატიკულ ჩარჩოებს, სადაც ჩართულია მეორე მონაწილე ენის სტრუქტურები.

აუერი დომინანტურ ენას უწოდებს მატრიცა ენას და მეორე ენას – ჩართულ ენას. ჩანართი, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს ცალკეული ლექსიკური ერთეულებისაგან, მაგრამ ის შეიძლება იყოს უფრო რთულიც. ბევრი მკვლევარი მაიერს-სკოტონის მიბაძვით (Myers-Scotton 1993; 2002) ადასტურებს, რომ ჩანართის შინაგანი სტრუქტურა მისდევს ჩართული ენის გრამატიკას და არა მატრიცა ენის გრამატიკას. ამდენად, მიიღება ორი გრამატიკის გადაკვეთა (Auer & Muhamedova 2005: 35).

აუერი და მუჰამედოვა გვთავაზობენ ემპირიულ დასკვნებს, რომლის მიხედვითაც:

1. მარტივი ჩანართები აუცილებლობით არ უგულებელყოფს მატრიცა ენის მორფოლოგიას, მაგრამ შეიძლება განვიხილოთ ჩართული ენის წესების თანახმად, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მატრიცა ენაზე;

2. რთული ჩანართების ენა აუცილებლობით არ მიჰყვება ჩართული ენის გრამატიკას, სულ მცირე, თუ ეს უკანასკნელი გათანაბრებულია ამ ენის მონოლინგუურ ვერსიასთან (როდესაც მონოლინგუები საუბრობენ A ენაზე, ან ბილინგუები საუბრობენ მონოლინგუურად). როგორც შედეგი, აუერი და მუჰამედოვა ადასტურებენ, რომ ერთი

ენის ბატონობა მეორეზე წინადადების / ფრაზის / შიდა კოდის შერევის დროს არ არის ცხადი და შეიძლება ნიშნავდეს ძალიან სხვადასხვა რამეს ენობრივი კონტაქტის განსხვავებულ სიტუაციებში.

სკოტონი გამოყოფს კოდის გადართვის ორ სახეობას მოსაუბრის უნარების მიხედვით: თუ მოსაუბრეს კარგად შეუძლია ააგოს საკმარისი გრამატიკული სტრუქტურა მატრიცა ენაზე, მას ჰქვია კლასიკური კოდის გადართვა. ამდენად, ტერმინი „კლასიკური კოდის გადართვა“ მიემართება მეტყველებას, რომელზედაც მოსაუბრეები საკმაოდ გამოცდილები არიან მონაწილე ენებში, ისე რომ, მათ შეუძლიათ აწარმოონ კარგად ფორმირებული მონოლინგუური თხრობა და ამ მონაწილე ენათაგან ერთ-ერთი იქნება წყარო მატრიცა ენისათვის (Myers-Scotton 2002: 8).

სკოტონის სწავლებით, მატრიცა და ჩართულ ენებზე საუბარი შეიძლება მხოლოდ კლასიკური კოდის (classic codeswitching) გადართვის შემთხვევაში (Myers-Scotton 2006/2013: 24).

კოდის გადართვისადმი სხვა მიდგომებს (კლასიკური გადართვის გარდა) განიხილავენ კლინი, მიისკენი და სხვები (იხ. Clyne 2003; Muysken 2000).

კლასიკური კოდის გადართვის საპირისპიროა, მაგ., შედგენილი კოდის გადართვა (composite codeswitching). გადართვის ეს ტიპი უფრო ნაკლებად არის შესწავლილი და მისი სტრუქტურაც არასათანადოადაა ახსნილი. ამ დროს მოსაუბრეს არა აქვს სრული წვდომა მატრიცა ენის გრამატიკულ ჩარჩოზე. მას მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ ენის თაობაზე. მაიერს-სკოტონი შედგენილ კოდის გადართვას ასე განმარტავს : „შედგენილი კოდის გადართვა არის ბილინგუური მეტყველება, რომელშიც მორფოსინტაქსური სტრუქტურა

ტურის უდიდესი ნაწილი მოდის ერთ-ერთი მონაწილე ენიდან, მეორე ენა კი უზრუნველყოფს გარკვეულ აბსტრაქტულ სტრუქტურას, რომელიც საფუძვლად უდევს ზედაპირულ ფორმებს წინადადებაში“ (Myers-Scotton & Jake 2000: 2).

შედგენილი კოდის გადართვის თხრობები მოიცავს ზედაპირული დონის მორფემებს ორი, ან მეტი ენიდან, ისევე როგორც კლასიკური კოდის გადართვის შემთხვევაში. მაგრამ რთული კოდის გადართვა ასევე გვიჩვენებს კონვერგენციას მორფოსინტაქსური ჩარჩოს აგების წყაროს თვალსაზრისით.

კოდის გადართვის ამ ტიპს შედგენილი ჰქვია იმიტომ, რომ ის არის კოდის გადართვისა და კონვერგენციის კომბინაცია. მოსაუბრე შეიძლება იყოს ძალიან გამოცდილი იმ ენაში, რომელიც არის მორფოსინტაქსური ჩარჩოს ძირითადი მომმარაგებელი კლასიკურ კოდის გადართვაში, მაგრამ მანაც აიჩიოს შედგენილი კოდის გადართვა (ანუ ეს იყოს მისი არჩევანი). სკოტონის აზრით, სწორედ ეს იგულისხმება, როდესაც ვამბობთ, რომ სოციალურ და ფსიქოლოგიურ პირობებს შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ არჩევს მოსაუბრე ილაპარაკოს, მაშინაც კი, თუ ეს არჩევანი არის გაუცნობიერებელი (Myers-Scotton 2006/2013: 242).

„მატრიცა ენის ჩარჩო მოდელი“, როგორც არაერთი ლინგვისტი ატყობს, არის აბსტრაქტული თეორიული მოდელი. იგი სპეციალურად შემუშავდა, რათა აეხსნა სტრუქტურული კონფიგურაციები, პოფნიერი კოდის გადართვაში, განსაკუთრებით კლასიკურ კოდის გადართვაში. ნამბას აზრით, მატრიცა ენის ჩარჩო მოდელი მოგონილია, რათა ახსნას წინადადების შიდა კოდის გადართვა (იხ. მაგ., Namba 2005: 1).

რიტჩი და ბატია ცდილობენ დაამტკიცონ, რომ, მიუხედავად სკოტონისეული მიდგომის წარმატებისა, მისი მატრიცა ენის ჩარჩო მოდელის ჰიპოთეზა ვერ გვთავაზობს კოდის გადართვაში შენიშნული ყველა მოვლენის სრულ და ბუნებრივ ახსნას, თუმცა „სკოტონის მიდგომა არის მიმზიდველი, როგორც კონცეპტუალური, ისე ემპირიული მიზეზებით. კონცეპტუალურად, ის ფლობს ინტუიციას, რომ კოდის გადართვა მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტური პერფორმანსის საქმეა, ემპირიულად კი გვთავაზობს ჯგომის დახურული კლასის შეზღუდვების გაგებას და კოდის გადართვის გამოხატულების სხვა მახასიათებლებს“ (Ritchie & Bhatia 1996: 5).

სკოტონი წერს, რომ მისი მოდელი პოტენციურად თავსებადია ბეჯრ თანამედროვე სინტაქსურ მოდელთან, მაგალითად, ჯაკენდოფის (Jackendoff 1997) შეხედულებასთან ლექსიკონის ურთიერთობის შესახებ სინტაქსურ და ფონოლოგიურ კომპონენტებთან.

1995 წელს სკოტონმა და ჯეიკმა (Myers-Scotton & Jake 1995) ერთობლივი შრომით, რომელიც მეორედ გამოიცა Li-ში 2000 წელს, და ამის შემდეგ 1997 წელს მეორედ გამოცემულმა შრომამ – ‘Duelling Languages’ – შემოგვთავაზეს განვითარებული მიდგომები.

ასე რომ, მოდელი გადაიხედა თავად სკოტონის მიერ და გაფართოებული ქვემოდელები იქნა შემოთავაზებული ჯეიკთან ერთად შემდგომი პერიოდის შრომებში (Myers-Scotton 1998; 2001; 2002). 2002 წლის მონოგრაფიაში იგი წერს, რომ ტომი ‘Duelling Languages’ (Myers-Scotton 1993a) არ იყო ბოლო სიტყვა ამ მოდელზე.

განვითარდა ორი ახალი მხარდამჭერი მოდელი, რათა დაეხვეწა მატრიცა ენის ჩარჩო მოდელის ახსნა კოდის გადართვის გარკვეული შემადგენელი ნაწილების შესახებ და ეჩვენებინა, მოდელის ძირითად



დებულებებს როგორ შეუძლიათ ახსნან კონტაქტური მონაცემების სხვა ტიპების ასპექტები.

ეს არის მატრიცა ენის ჰიპოთეზა და მისგან გამომდინარე ორი წესი: „ჩართული ენის კუნძულის ჰიპოთეზა“ (‘Embedded language Island hypothesis’) და „ჰიპოთეზის ბლოკირება“ (‘Blocking hypothesis’).

მოდელის მხარდამჭერი მოსაზრებები იძებნება ფსიქოლინგვისტურ და ნეოროლინგვისტურ მონაცემებში, რომელიც წარმოადგინა ულმანმა (Ullman 2001): ლექსიკონსა და გრამატიკას ხელს უწყობენ ერთმანეთისაგან გამოყოფადი შემეცნებითი სისტემები, სულ მცირე, ნაწილობრივ განსხვავებული ნერვული კორელატები (Ullman 2001: 107).

ნამბა მიუთითებს, რომ მატრიცა ენის ჩარჩო მოდელის კონცეფცია განიცდის ფსიქოლინგვისტური თეორიების გავლენას. ყველაზე მნიშვნელოვანი ამათვან არის სამი თეორია: 1. ბაზისური ენისა და სტუმარი ენის სხვადასხვაგვარი აქტივაცია (მოქმედება) (Grosjean 1988, ციტირებულია: Myers-Scotton 1993); 2. დახურული და ღია კლასის ერთეულების განსხვავებული აღდგენითი პროცესი, რომელიც გარეტმა წარმოადგინა მეტყველების ცდომილებების კვლევის დროს (Garret 1975, ციტირებულია: Myers-Scotton 1993) და 3. ლემები მენტალურ ლექსიკონში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცნებით ინფორმაციასა და გრამატიკულ ფუნქციას ლეველტისეულ ენის წარმოების მოდელში (Levelt 1989) (Namba 2005: 1).

მატრიცა ენის ჩარჩო მოდელის განვითარებას ხელი შეუწყო კოდის გადართვის მონაცემებმა. სკოტონი განიხილავს კონვერგენციას (ზოდესაც ერთი ენა, ან სახესხვაობა ითვისებს გარკვეულ მახასიათებლებს მეორე ენიდან, ან სახესხვაობიდან) და გაცვეთას, რომლის დროსაც ენა, ან სახესხვაობა კარგავს გარკვეულ გრამატიკულ განსხვავებებს.

უამრავი ნაშრომი მხარს უჭერს სკოტონის მოდელს (მაგ., ნაშრომები თურქულ-ნორვეგიული კოდის გადართვაზე (Türker 2000), რუსულ-ინგლისური კოდის გადართვაზე (Schmitt 2000) და სხვ. (Myers-Scotton 2002: 13).

**ძირითადი დაპირისპირებები MLF მოდელში.** ცენტრალური ამ მოდელში არის განსხვავება მატრიცა ენასა და ჩართულ ენას შორის. ამან ხელი შეუწყო ასიმეტრიის იდეის განვითარებას მონაწილე ენებს შორის.

ასიმეტრიის იდეა გაბატონებული იყო კოდის გადართვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (Sridhar & Sridhar 1980; Joshi 1985; Bokamba 1989), სადაც მატრიცა და ჩართული ენები განიხილებოდა, როგორც უფრო მეტად აბსტრაქტული ლინგვისტური სისტემები, ვიდრე რეალური ენები.

მოდელი ეფუძნება ორ დაპირისპირებას: მატრიცა ენა-ჩართული ენის დაპირისპირებასა და შინაარსის მქონე და სისტემური მორფემების დაპირისპირებას.

1. წინადადების შიდა გადართვის დროს მონაწილე ენების წვლილი ასიმეტრიულია: უფრო დომინანტური ენა არის მატრიცა და მეორე ენა არის ჩართული.

თუმცა ტერმინი „წინადადების შიდა“ ფართოდ არის გამოყენებული ლიტერატურაში, მაგრამ სკოტონის აზრით, როგორც ანალიზის ერთეული, „კავშირის პროექცია“ (‘projection of Complementizer’ / ‘CP’) უფრო შესაბამისია, ვიდრე წინადადება, რადგანაც თვით წინადადების შიგნით გრამატიკები შეიძლება არ იყოს კონტაქტში (Myers-Scotton 2002: 55).

ბილინგუური კავშირის პროექცია (CP) შეიძლება შედგებოდეს 1)

მატრიცა ენის კუნძულებისაგან, რომელთაც აქვთ მხოლოდ მატრიცა ენის მორფემები; 2) შერეული შემაღგენელი ნაწილებისაგან, რომელიც მოიცავს მორფემებს ორივე (მატრიცა და ჩართული) ენიდან; 3) ჩართული ენის კუნძულებისაგან, რომელიც შედგება მხოლოდ ჩართული ენის მორფემებისაგან.

მატრიცა ენის კუნძულები შექმნილია მატრიცა ენის მორფემებისაგან და იმყოფება მატრიცა ენის გრამატიკის კონტროლქვეშ. ჩართული ენის კუნძულები ასევე ფორმირებულია ჩართული ენის გრამატიკით, მაგრამ ისინი ჩართულია მატრიცა ენის ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, ჩართული ენის კუნძულები იმყოფება მატრიცა ენის გრამატიკის ზეწოლის ქვეშ.

2. მეორე ოპოზიციას ქმნის შინაარსის მქონე და სისტემური მორფემები. განსხვავება მათ შორის არის გადამწყვეტი მატრიცა ენის გამოსავლენად. შინაარსის მქონე მორფემები, როგორცაა სახელები, ზმნები, ზედსართავები და ზოგიერთი წინდებული, გამოხატავს სემანტიკურ და პრაგმატულ ასპექტებს და მიეწერებათ, ან იღებენ თემატურ როლებს. ისინი არიან მთავარნი ინფორმაციის გადმოსაცემად კომუნიკაციის დროს. სისტემური მორფემები, მაგ., ფუნქციური სიტყვები და ფლექსია, გამოხატავს მიმართებას შინაარსის მქონე მორფემებს შორის და არ მიეწერებათ და არ იღებენ თემატურ როლებს. ისინი მნიშვნელოვანია გრამატიკული ჩარჩოების ასაგებად. ბილინგვური კავშირის პროექციის სტრუქტურაში (CPS) სისტემური მორფემები გამოიყენება მხოლოდ მატრიცა ენიდან და შინაარსის მქონე მორფემები აღებულია როგორც მატრიცა ენიდან, ისე ჩართული ენიდან.

სკოტონი გვთავაზობს ორ წესს ბილინგვის მატრიცა ენის გამო-

სავლენად შინაარსის მქონე მორფემების განსხვავების გამოყენებით.

**მორფემათა თანმიმდევრობის წესი** (The Morpheme-Order Principle): მატრიცა ენა+ჩართული ენის შემაღგენელ ნაწილებში, ანუ შერეულ შემაღგენელ ნაწილებში, რომლებიც შედგება, სულ მცირე, ერთი ჩართული ენის სიტყვისაგან და მატრიცა ენის ნებისმიერი რაოდენობის მორფემებისაგან, ზედაპირული სიტყვების (და მორფემების) თანმიმდევრობა იქნება მატრიცა ენისა.

**სისტემური მორფემის წესი** (The System Morpheme Principle): მატრიცა ენა +ჩართული ენის შემაღგენელ ნაწილებში ყველა სისტემური მორფემა, რომელსაც აქვს გრამატიკული მიმართებები, გარეგანი თავიანთი მთავარი შემაღგენელი ნაწილისათვის, მომდინარეობს მატრიცა ენიდან (Myers-Scotton 1993: 83).

მატრიცა ენის ჩაზრდილი მოდელს მხარს უჭერს ორი დამატებითი თეორია: „4 მორფემის მოდელი“ (‘4-M model’) და „აბსტრაქტული დონის მოდელი“ (‘Abstract Level model’) (Myers-Scotton & Jake 2000a, 2000b, 2001). პირველი მოდელი ავითარებს განსხვავებას შინაარსის მქონე და სისტემურ მორფემებს შორის, რომელიც არის მთავარი ოპოზიცია 4 მორფემის მოდელში, განსხვავებს რა მორფემების ტიპებს ერთმანეთისაგან (Nicolle & Nicolle 2006: 1).

ახალი მოდელი ხსნის კოდის გადართვის მონაცემების უფრო ფართო სპექტრს. ის შემუშავდა ჯეიკთან თანამშრომლობით. მოდელი მიჰყვება ამ მორფემების ოპოზიციას და სისტემური მორფემები აქ კლასიფიცირებულია 3 ქვეკატეგორიაში მენტალურ ლექსიკონსა და ფორმულატორზე მოქმედების ეტაპის მიხედვით.

მატრიცა ენის მოდელში, შინაარსის მქონე და სისტემური მორფემები განიხილება იმის მიხედვით, მათ მიეწერებათ/იღებენ

თემატურ როლებს თუ არა. შინაარსის მქონე მორფემებს მიეწერებათ / იღებენ თემატურ როლებს და ისინი გააქტიურებულია ლემას<sup>16</sup> დონეზე. ეს მორფემები პირდაპირ ამოიჩვენებენ მოსაუბრის განზრახვის მიხედვით. შინაარსის მქონე მორფემები არის ერთადერთი მორფემები, რომელთა ლემები პირდაპირ აკავშირებს მათ მოსაუბრის განზრახვებთან. მოსაუბრის განზრახვები ააქტიურებს ენობრივად სპეციფიკურ სემანტიკურ-პრაგმატულ თვისებათა ჯგუფს, რომელიც საფუძვლად უდევს ცნებით ინფორმაციას, რასაც შინაარსის მქონე მორფემები გადმოსცემენ. ლემები, უდევს რა საფუძვლად შინაარსის მქონე მორფემებს, პირდაპირ ამოიჩვენებენ და მათი შინაარსი არის მკვეთრად გამომხატული მენტალური ლექსიკონის დონეზე.

ლექსიკონის შეიცავს: 1. მორფონოლოგიურ ინფორმაციას, რომელიც ასოცირებულია ზედპირული დონის შინაარსის მქონე მორფემასთან; 2. ამ მორფემის სინტაქსურ თვისებებს (ქვეკატეგორიზაციის ჩარჩოს) და 3. სემანტიკურ და პრაგმატულ წარმოდგენებს.

მკვლევარის განმარტებით, ყველა სახის კონტაქტურ თენომენს (არა მხოლოდ კოდის გადართვას)<sup>17</sup> მართავს 4 ძირითადი წესი ესენია:

1. „მატრიცა ენის წესი“ (‘The Matrix Language Principle’): ყოველთვის არსებობს ჩარჩო, რომლის გაანალიზება და ახსნაც შეიძლება და რომელიც აგებს ნებისმიერი რთული წინადადების პროექციის მორფოსინტაქსს.

---

16. ლექსი არის სათავო სიტყვა ლექსიკონში, ლექსიკონის ჯგუფი.

17. ამ წესების ნაწილი, რომელიც არ არის სპეციფიკური ბილინგვური მეტყველები-სათვის, ასევე მიეძღვნება მონოლინგვურ მეტყველებას. როგორც ა. და ს. ნიკოლეტი აფასებენ, მაიერს-სკოტონის მონოგრაფიის მიზანი სწორედ ამის ჩვენებაა (Nicolle & Nicolle 2006: 1).

2. „თანაბარი სტრუქტურის წესი“ (‘The Uniform Structure Principle’): „მოცემული შემაღენელი ნაწილის ტიპს ნებისმიერ ენაში აქვს თანაბარი აბსტრაქტული სტრუქტურა და ამ ტიპის ჩამოყალიბების პირობები უნდა იქნეს დაცული, სადაც არ უნდა გამოჩნდეს ეს შემაღენელი ნაწილი. ბილინგვურ მეტყველებაში მატრიცა ენის სტრუქტურები ყოველთვის უპირატესია, მაგრამ ზოგი ჩართული ენის სტრუქტურაც (ე. წ. ჩართული ენის კუნძულები) ასევე ნებადართულია, თუ მატრიცა ენის წინადადების სტრუქტურა იქნება დაცული“ (Myers-Scotton 2002: 8; 2006/2013: 243).

ეს წესი მიემართება როგორც მონოლინგვურ, ისე ბილინგვურ ენას.

3. „ასიმეტრიის წესი ბილინგვური ჩარჩოებისთვის“ (‘The Asymmetry Principle for Bilingual Frames’): „ბილინგვური მეტყველება ხასიათდება ასიმეტრიით მონაწილე ენების თვალსაზრისით.

4. „მორფემის დახარისხების წესი“ (‘The Morphem-Sorting Principle’): ლინგვისტური კომპეტენციისა და პროდუქციის აბსტრაქტულ დონეზე არსებობს მორფემების განსხვავებული ტიპები. ბილინგვურ მეტყველებაში ამ აბსტრაქტული განსხვავებულობის შედეგი არის ის, რომ მონაწილე ენების ყველა მორფემას არა აქვს თანაბარი გამოყენების შესაძლებლობები (Myers-Scotton 2002: 9).

მატრიცა და ჩართული ენების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, წოვათუშურ-ქართული ბილინგვური დისკურსი მონოგრაფიაში განხილული გვაქვს მაიერს-სკოტონის მატრიცა ენის ჩარჩო მოდელზე დაყრდნობით.

## კოდის გადართვის ტიპები სტრუქტურული თვალსაზრისით

პოპლაკი გამოყოფს კოდის გადართვის სამ ტიპს (Poplack 1981). ესენია:

1. გაცვითილი ფრაზის გადართვა ('tag-switching'), რომელიც გულისხმობს ამ ტიპის სიტყვის/სიტყვების ჩართვას საუბარში, მაგ., ინგლისური გაცვითილი ფრაზებია: 'you know', 'I mean', 'right' და სხვ. გადართვის ეს ტიპი ძალიან მარტივია და არ გულისხმობს რომელიმე ენის დიდ ძალისხმევას, თუმცა არსებობს გრამატიკული წესების ზეწოლის მინიმალური რისკი. ჯვლილს თავის შრომაში მოჰყავს პორტუგალიურ-ინგლისური ბილინგვიზმის ნიმუში: "I look like Lilica, you know, nunca paro!" ("I look like Lilica, you know, I never stop!") (Jalil 2009: 1).

2. კოდის გადართვის მეორე ტიპია წინადადებათა შორისი გადართვა (intersentential switches), რომელიც გვხვდება ფრაზის, ან წინადადების დონეზე, წინადადებათა შორის. ჯვლილს მოჰყავს პოპლაკის შრომის სათაური (Poplack 2000), რომელიც წარმოადგენს გადართვის ამ ტიპის მაგალითს: 'Sometimes I'll start a sentence in Spanish y termino en español' (Sometimes I'll start a sentence in Spanish and finish in Spanish) (Poplack 2000).

3. მესამე და ყველაზე რთული ტიპი კოდის გადართვისა არის წინადადების შიდა გადართვა (intrasentential switches). მისი სირთულე აიხსნება სინტაქსური წესების ზეწოლის მაღალი აღბათობით, ისევე როგორც ორივე გრამატიკის საუცხოო ცოდნის მოთხოვნით. მაგ., პორტუგალიურ-ინგლისურ ბილინგვიურ საუბარში: 'Yeah, I don't know o meu lugar nesse mundo...so, something that is weird, like a, like a, I guess it's...' (... I don't know my place in this world...) –

ნათლად ჩანს, რომ აქ არ გვაქვს სიტყვებისა და ფრაზების შეთვისება, ან ინტეგრაცია ერთი ენიდან მეორეში. რაც ხდება, მარტივად არის გადართვა ერთი ენიდან მეორეზე.

სკოტონს მოჰყავს წინადადებებს შორის გადართვის მაგალითი სვაჰილ-ინგლისური ბილინგუური საუბრიდან:

*‘Habari, mheshimiwa.’* (*‘Hello, respected sir.’*)

*‘Have some vegetables.’*

*‘Mboga gani? Nipe kabeji hizi.’*

(*‘Which vegetables? Give me these cabbages.’*)

*‘How much is that?’*

აქ *‘Have some vegetables’* არის ცალკე წინადადება ინგლისურად და *‘Nipe kabeji hizi’* არის ცალკე წინადადება სვაჰილზე (Myers-Scotton 2006/2013: 239-240).

სკოტონი ფიქრობს, რომ გადართვა მხოლოდ წინადადების შიგნით გვაქვს. როცა გადართვა არის წინადადებებს შორის, ამ დროს ერთი წინადადება ერთი ენიდან არის და მეორე წინადადება – მეორე ენიდან და, შესაბამისად, არ გვაქვს გადართვა. კოდის გადართვის გრამატიკაზე პასუხს გვაძლევს მხოლოდ წინადადების შიდა გადართვა (Myers-Scotton 2006/2013: 241).<sup>18</sup>

წინადადებებს შორის გადართვა ფართოდ არის შესწავლილი სოციოლინგვისტიკაში, მაგრამ აქ ძირითადი ყურადღება არ მახვილდება გრამატიკულ შეზღუდვებზე. წინადადების შიდა გადართვის დროს კი გრამატიკული შეზღუდვები ზირდაბრ ახდენენ გავლენას ორი, ან მეტი მონაწილე ენის ქცევაზე (Namba 2005).

18. ინგლისურენოვან ლიტერატურაში რთულ წინადადებას უწოდებენ ‘sentence’-ს და მის შემადგენელ წინადადებებს უწოდებენ ‘clause’-ს. ‘clause’ ჰქვია ასევე მარტივ წინადადებას.



რომანინის აზრით, წინადადების შიდა გადართვა ყველაზე საინტერესოა, რამდენადაც ამ დროს არსებობს სინტაქსური წესების დარღვევის მაღალი ალბათობა (Romaine 1989: 113).

ბაეშეთა (McClure 1981; Zentella 1981) და მოზარდთა (Pfall 1979; Poplack 1981) ბილინგვიზმის კვლევებმა აჩვენა, რომ წინადადების შიგნით კოდის გადართვა ხშირად ასოცირებულია მაღალ ბილინგვიზმურ შესაძლებლობებთან, მაშინ როდესაც წინადადებათა შორის გადართვები ასოცირებულია ერთი ენის ბატონობასთან მეორეზე. ამ აღმოჩენებმა ზოგიერთი მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომ წინადადების შიგნით გადართვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბილინგვიზმის კომპეტენციის საზომად (Poplack 1980, 1981). მაგ., ბერკ-სელიგსონი ასკვნის, რომ თანაბარზომიერი ბილინგვიზმი კოდს გადართავენ განუზრუნვლად (Berk-Seligson 1986: 334).

ზოგი მეცნიერი კი ფიქრობს, რომ კოდის გადართვის ტიპი (დიდი ნაწილებისა პატარა ნაწილების საპირისპიროდ, წინადადებებს შორის გადართვის წინადადების შიგნით გადართვის საპირისპიროდ), უმნიშვნელო გამოხატვისათვის, არ არის დაკავშირებული ბილინგვიზმის ხარისხთან.

სამიზნა აბდელო ჯვალღმა შეისწავლა წესები, რომლებიც მართავს კოდის გადართვას წინადადების შიგნით.

მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა აშშ-ში მცხოვრები ხუთი ბრაზილიელი, რომელთა პირველი ენა იყო ბრაზილიური პორტუგალიური. ამ ხუთიდან სამი ძირითადი მოსაუბრე იყო, ხოლო ორი დროდადრო ჩაერთვებოდა ხოლმე საუბარში.

კვლევა წარიმართა იმ მიზნით, რომ პასუხი გასცემოდა კითხვას: კოდის გადართვა შემთხვევითი მოვლენაა, თუ სისტემური და ლინგვისტურად შეპირობებული, როგორც გროსკინი და სხვები აღ-

წერენ (Grosjean 1982: 323).

არსებობს თუ არა პოპლაკის მიერ შემოთავაზებული შეზღუდვები წინადადების შიდა გადართვის ღროს და მართავს თუ არა ეს შეზღუდვები კოდის გადართვას? (Poplack 1981).

მკვლევარმა კოდის გადართვა (პორტუგალიურ-ინგლისურ ენებს შორის) მონაცემების მიხედვით დაყო სამ ტიპად, როგორც განსაზღვრა პოპლაკმა. გადართვის 42 შემთხვევიდან 2 იყო გაცვეთილი ფრაზის გადართვა, 17 – წინადადებათა შორის, 15 – წინადადების შიგნით, ხოლო 8 იყო სესხება. ამ 8 შემთხვევიდან 5 მიეკუთვნებოდა რომანის მიერ აღწერილ „კულტურულ-საეტიკურ ერთეულებს“ (Romain 1989).

ავტორს მოჰყავს გაცვეთილი ფრაზის გადართვის ორივე მაგალითი:

1. ‘V: It’s like desenho (cartoon), *right?*’, and

2. ‘I look like Lilica, *you know*, eu nunca páro....’ (I look like Lilica, you know, I never stop!) (Jalil 2009: 7).

წინადადების შიდა გადართვა ავტორმა დაადასტურა ზმნასა და ობიექტის სახელურ ფრაზას, შედგენილი შემასმენლის დამხმარე ზმნასა და სახელურ ნაწილს, ზმნასა და წინდებულიან ფრაზას, წინდებულსა და სახელურ ფრაზას შორის.

კვლევებმა აჩვენა პოპლაკის მიერ შემოთავაზებული დებულებების სანდოობა. გამორჩევა, რომ წინადადების შიდა გადართვა არის წესებით მართული და ლოგიკური მოვლენა და არა შემთხვევითი (Jalil 2009: 10).

მონოგრაფიაში ცალ-ცალკე გვაქვს შესწავლილი ორივე მიმართულების გადართვის შემთხვევები – წოვათუშურიდან ქართულზე და პირიქით.

## ლინგვისტური შეზღუდვები კოდის გადართვის დროს

კოდის გადართვის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლინგვისტური შეზღუდვების თემას. დღეისათვის დადასტურებულია, რომ გადართვა წინადადების შიგნით მართულია მორფოსინტაქსური ფაქტორებით, რომლებიც შეიძლება იყოს, ან არ იყოს უნივერსალური ხასიათისა.

შეზღუდვები გვთავაზობს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც შეიძლება ორი ენა გაერთიანდეს ბილინგვებს შორის საუბარში ინტერფერენციის გამოწვევის გარეშე (Skiba 1997).

ზოპლაკმა განავითარა ლინგვისტური შეზღუდვის თეორიები. იგი წერს, რომ გადართვა შესაძლებელია მხოლოდ სტრუქტურების შიგნით, რომელსაც აქვს ერთი და იგივე ზედაპირული (გარეგნული) ფორმა ორივე ენაზე და არ არღვევს ამ ენების ზედაპირულ სინტაქსურ წესებს.

ზოპლაკის მოდელში ერთ-ერთი უმთავრესია **თავისუფალი მორფემის შეზღუდვის წესი (the free-morpheme constraint)**, რომლის მიხედვითაც, გადართვა არ შეიძლება მოხდეს თავისუფალ მორფემასა და ბმულ მორფემას შორის, თუ თავისუფალი მორფემა ფონოლოგიურად არ არის ინტეგრირებული იმ ენაში, რომელსაც ბმული მორფემა ეკუთვნის (Poplack 1978; Poplack 1980; 1981).

ზოპლაკი აღნიშნავს: „კოდები საუბარში შეიძლება გადაერთოს ნებისმიერი შემაღგენელი ნაწილის შემდეგ იმის გათვალისწინებით, რომ ეს შემაღგენელი ნაწილი არ არის ბმული მორფემა“ (Poplack 1980: 585).

მეცნიერი ასახელებს მაგალითს – ‘EAT-iendo’ (‘eating’), რომელიც შედგება ინგლისური თავისუფალი მორფემისაგან (‘eat’) და

ესპანური ბმული მორფემისაგან (-iendo ('ing')) და წერს, რომ ასეთი გადართვა არ შეიძლება მოხდეს ესპანურ-ინგლისურ ბილინგვურ საუბარში და არც არასდროს დადასტურებულა (Poplack 1980:586).

ასევე ინგლისურ-ესპანური ენების მაგალითზე კუკი ასახელებს სიტყვას 'runeando' და აღნიშნავს, რომ ასეთი შერევა შეუძლებელია, რადგან სიტყვა 'run' აშკარად ინგლისურია. სიტყვა 'flipeando' კი შესაძლებელია, რადგანაც 'flip' ესპანურია (Cook 1991: 65).

რიტჩი და ბატია აანალიზებენ ე. წ. დამხმარე ზმნების შემთხვევას კოდის გადართვის დროს ზოგიერთ ენობრივ წყვილში. სტატის მიზანია, აჩვენოს, რომ გარკეტისა და ლეველტის (Garrett 1990; Levelt 1989) ზოგადი პროდუქციის მოდელები არასაკმარისია ფართოდ გაფრცვლელული დამხმარე ('dummy') ზმნებისთვის.

ქვემოთ მოყვანილია გადართვის მაგალითები ჰინდი-ინგლისურის ენობრივ წყვილში, სადაც ჰინდი არის მატრიცა ენა და ინგლისური არის ჩართული ენა (Ritchie & Bhatia 1996: 5).

მონოლინგვური ჰინდი და ჰინდი-ინგლისური:

a. i. merii patnii saaRii cun -egii

my wife Saree choose-FUT.3.SG.FEM.

'My wife will choose a Saree.'

ii. merii patnii saaRii *choose* -egii

my wife Saree choose - FUT.3.SG.FEM.

b. i. merii patnii saaRii cun-naa **kar**-egii

-INF do-

ii. merii patnii saaRii *choose* **kar**-egii

'My wife will choose a Saree.'

(a.ii) და (a.i.) მაგალითები გვიჩვენებს, რომ, როცა დროის შემ-

თანხმებელი ელემენტი **-egii** ბირდაბირ მიებმის კოდგადართულ ზმ-  
ნას (ამ შემთხვევაში ინგლისურ *choose*-ს), შედეგად მიღებულ  
ფორმა არ არის კარგად წარმოებული, მაშინ როდესაც, როგორც  
მოსალოდნელი იყო, ათქმაცნა ჰინდის ფუძე *'cun'*-თან (*'choose'*) არ  
იწვევს არასწორ წარმოებას.

მაგალითი (b.ii) გვიჩვენებს, რომ *'light'* ზმნის (**kar-naa** 'to do')  
ფუძის არსებობა საშუალებას იძლევა *'choose'* ზმნის გადართვისთ-  
ვის, დროის შემთანხმებელი ელემენტი **-egii** მიებმის **kar**-ს.

მოგვეხილოთ სხვა ენობრივი წყვილების ანალოგიური მაგ-  
ალითები, რაც თვალსაჩინოს ხდის ამ მახასიათებელს:

იაბონურ-ინგლისური (Stanlaw 1982)

ფილიპინური კრეოლე ესპანურ-ინგლისური (Molony 1977)

ფილიპინური კრეოლე ესპანურ-ტაგალოგი (Molony 1977)

პენჯაბური-ინგლისური (Romaine 1989)

ესპანურ-ინგლისური (Pfaff 1976)

შონა-ინგლისური (Myers-Scotton 1993) (Ritchie & Bhatia 1996: 7).

ბერკ-სელიგსონის აზრით, თავისუფალი მორფემის შეზღუდვის  
ყველა განსაზღვრება ძალიან ვიწროა და ის უნდა განიმარტოს, რო-  
გორც კოდის გადართვის შეუძლებლობა მორფემის დამაკავშირე-  
ბელთან (იქვე).

აღნიშნული შეზღუდვის წესის მართებულობა დადასტურებუ-  
ლია მთელი რიგი კვლევებით (McClure 1981; Pfaff 1979; Poplack 1981;  
Wentz 1977 და სხვ).

ამ შეზღუდვების არსებობამ პოპლაკი მიიყვანა დასკვნამდე,  
რომ „კოდის გადართვა, თავისთავად, არის საუბრის დისკრეტული  
მეთოდი, რომელიც, შესაძლოა, მომდინარეობს ცალკეული კოდის

გადართვის (resp. შერეული) გრამატიკიდან, რომელიც შედგება ორივე ენის გრამატიკების შემადგენელი ნაწილებისაგან“ (Poplack 1980: 615) და რომ „გარე ზონები, სადაც ეკვივალენტობა არ არსებობს, შემონახულია საუბრის მონოლინგუური სეგმენტებისათვის“ (Poplack 1981: 183).

მეცნიერისთვის ყველაზე დამაჯერებელი საბუთი ამ ჰიპოთეზისათვის იყო ის ფაქტი, რომ ოცი მოსაუბრისათვის, რომელიც ჩართული იყო მის კვლევაში, „ფაქტობრივად, არ არსებობდა პირველი და მეორე ენების არაგრამატიკული კომბინაციები 1835 გადართვაში, მიუხედავად მოსაუბრის ბილინგუური უნარებისა“ (Poplack 1980: 613).

დამატებითი საბუთი მისი მოსაზრებისათვის, რომ კოდის გადართვა არ არის მონოლითური ქცევა, იყო ის ფაქტი, რომ არაღალ ბილინგუებს შეეძლოთ კოდი გადაერთოთ ხშირად, დაეცვათ გრამატიკა ორივე ენისა, თავიდან აერიდებინათ კოდის გადართვა წინადადების შიგნით წინადადებათა შორის გადართვის სასარგებლოდ.

რედოუანემ შეისწავლა წინადადების შიდა გადართვის სინტაქსი მაროკოელ ბილინგუებში, რომლებიც საუბრობდნენ არაბულად და ფრანგულად. მისი კვლევის მთავარი ამოცანები იყო, გაენახლიზებინა მაროკოელი იმიგრანტების მეტყველება ოფიციალურ და არაოფიციალურ სიტუაციებში და გამოეგონა გადართვის ტიპები, გაერკვია, რამდენად არის დამოკიდებული ორი ენის შერევა და გადართვა მათ კონტრასტულ სინტაქსურ სტრუქტურაზე.

ინფორმანტები მკვლევარმა დაყო სქესის, ასაკის, განათლების, ენობრივი ბიოგრაფიის, იმიგრაციის თარიღისა და ვადის მიხედვით (Redouane 2005: 1924).

გამოვლინდა დაახლოებით 249 გადართვა (154 ოფიციალურ და

95 სატელოფონო საუბრებში). ისინი არის ორივე მიმართულებით – ფრანგულიდან არაბულზე და პირიქით (Redouane 2005: 1925).

რედოუანეს მონაცემებმა აჩვენა, რომ შეზღუდვები, ნაკარნახევი ამ წესებით, მართული იყო მაროკო არაბულ-ფრანგული გადაართვით. გადართვის მაგალითები, როგორცაა ზმნასა და ობიექტს შორის, სახელსა და ზედსართავს შორის, რომლებიც ხდება ორ ენას შორის სინტაქსური სხვაობის მიუხედავად, შედეგად იწვევს არაგრამატიკულ წინადადებებს ან არაბულად, ან ფრანგულად.

გადართვები მოხდა სიტყვის მორფემის საზღვართან, სადაც გრამატიკული მორფემა იყო არაბული და ძირეული მორფემა – ფრანგული. ეს მოსაზრება მხარს უჭერს ბენტაჰილას კვლევებს (1983; 1992), სადაც გადართვის მაგალითები ძირეულ და გრამატიკულ მორფემებს შორის დადასტურდა მაროკო არაბულისა და ფრანგულის მონაცემებში. ბენტაჰილამ (1992) გამოავლინა მაგალითები, რომლებიც შედეგადად ფრანგული ზმნებისგან და არაბული აფიქსებისაგან.

ბერკ-სელიგსონის (Berk-Seligson 1986) მონაცემები ესპანურ-ებრაული კოდის გადართვის შესახებ შეიცავს წინადადებებს, სადაც თავისუფალი მორფემის შეზღუდვა დარღვეულია. მეცნიერმა მონაცემები შეაგროვა 87 ესპანურ-ებრაელი ბილინგვი ინფორმანტისაგან, რომელთაც მთლიანობაში განახორციელეს 3771 კოდის გადართვა. მეცნიერმა დაადასტურა, რომ მხოლოდ ორ შემთხვევაშია თავისუფალი მორფემის შეზღუდვის წესი დარღვეული:

*Ze lo maanyén otí akonséžas haéle.*

[That's not interesting to me, those folktales].

Pára ke no *talfenéen* a la *mištará*.

[So that they wouldn't phone the police].

პირველ წინადადებაში სახელური ფრაზა '*akonséžas*' შედგება ებრაული განსაზღვრული არტიკლისაგან – *ha-* (ბმული მორფემა), რომელიც, ჩვეულებრივ, რეალიზდება საწყისი ფუნქციური თანხმობის გარეშე სასაუბრო ენაში, და ესპანური სახელისაგან '*konséžas*'.<sup>19</sup> სახელის რეალიზების დროს არ გვაქვს მკვეთრი ებრაული წარმოთქმა, რის შედეგადაც ესპანურის თავისუფალი მორფემა მიბმულია ებრაულის ბმულ მორფემასთან. მეორე მაგალითში გვაქვს ებრაული ზმნა '*talfén*' ('phone, call'), რომელიც მიბმულია ესპანური ზმნის დაბოლოებასთან (ბმულ მორფემასთან). ამ შემთხვევაშიც ზმნა ფონეტიკურად ებრაულია (Berk-Seligson 1986: 333).

ამ ორი გამონაკლისის მიუხედავად, ბერკ-სელიგსონმა დაასკვნა, რომ თავისუფალი მორფემის შეზღუდვა გამძლეა. ფაქტები, რომლებიც მხარს უჭერს თავისუფალი მორფემის შეზღუდვის მდგრადობას, პირველ რიგში, არის წინადადებებს შორის (clauseswitching) გადართვის არარსებობა ესპანელ-ებრაელ ბილინგვებს შორის, საპირისპიროდ ესპანელ-ინგლისელი ბილინგვებისა, რომლებიც გადართვენ წინადადებებს დიდი სიხშირით. საპირისპირო მაგალითი, შემოთავაზებული ესპანურ-ებრაული ენობრივი წყვილის მონაცემებით, აიხსნება ბმული მორფემების არსებობით, რომელიც წარმოგვიდგენს წინადადებების ნაირსახეობას ებრაულში, და შესადარებელი მარკერების თავისუფალი მორფემის სტატუსით ესპანურში (იქვე: 334).

ჯოშიმ განავითარა დანურული კლასის შეზღუდვების თეორია,

19. საუბარია იმ ესპანურზე, რომელსაც მოიხმარენ ესპანეთში მცხოვრები ებრაელები (Judeo-Spanish).



რომლის თანახმადაც, დახურული კლასის ერთეულები არ შეიძლება გადაერთოს (Joshi 1985: 194).

გარკვეული წესები შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ გარკვეული ენებისთვის, მაგ., ენება რა კოდის გადართვის თემას ფრანგულის მონაწილეობით, ტიმი აცხადებს, რომ ნაცვალსახელები არ შეიძლება გადაერთოს, ესპანურ-ინგლისური კოდის გადართვის მაგალითზე კი წერს, რომ გადართვა არ არის შესაძლებელი ისეთი კატეგორიის შიგნით, როგორც არის ზმნა და მისი ინტენტიური დამატება (Timm 1975).<sup>20</sup>

აქვამთა თავის შრომაში აღნიშნა, რომ გადართვა აკრძალულია წინდებულისთვის და ის ვერ იქნება მომდევნო, ან წინამავალი სიტყვისგან განსხვავებულ ენაზე (Pfaff 1979). კაჩუმ დაასკვნა, რომ შეუძლებელია ერთი ენის ორი წინადადება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს მეორე ენის კავშირით (Kachru 1977).

ბოლოდროინდელმა კვლევებმა გააღწია მოახდინა ჯოშის დახურული კლასის შეზღუდვასა და პოპლაკის თავისუფალი მორფემის შეზღუდვაზე.

**ეკვივალენტური (თანაბარზომიერი) შეზღუდვა.** შეზღუდვის მეორე ტიპია ეკვივალენტური (თანაბარზომიერი) შეზღუდვა (the equivalence constraint): „გადართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ენის ელემენტები არის ეკვივალენტური და მათი გვერდგვერდ განლაგება არ არღვევს რომელიმე ენის სინტაქსურ წესს“ (Poplack 1980: 586).

პოპლაკის კვლევა ეხებოდა სინტაქსურად ახლო მყოფ ენებს – ინგლისურ-ესპანურს, მაგრამ მსგავსი მაგალითები იძებნება სინტაქსურად

---

20. ზმნა და ინტენტიური დამატება ერთად არის, მაგ., *I want to tell you*. აქ ინტენტიური დამატება არის *to tell you*.

სურად განსხვავებულ ენებშიც.

ეკვივალენტური შეზღუდვის დროს ორივე ენის გარეგნული (ზედაპირული) სტრუქტურები ერევა ერთმანეთს. გადართვა შეჩერებულია იმ შემთხვევაში, თუ ერთი ენის სინტაქსურ წესს არ იზიარებს მეორე ენის სინტაქსური წესი.

„ეკვივალენტური (თანაბარზომიერი) შეზღუდვა“ სამეცნიერო ლიტერატურაში მოხსენიებულია აგრეთვე, როგორც „სტრუქტურული შეზღუდვის თანაბარზომიერება“ (The equivalence of structure constraint). ჰუფაფი ამ წესს ასე აცალიბებს: „გარეგნული სტრუქტურები, საერთო ორივე ენისათვის, არის ხელშემწყობი გადართვისთვის“ (Pfaff 1979: 314).

კუკს მოჰყავს ფრანგულ-ინგლისური ენების მაგალითი:

‘a car americaine’ და

‘une American voiture’.

ორივე შეუძლებელია, რადგან ის მცდარია ორივე ენაზე. ხოლო გადართვა ‘J’ai acheté an American car’ (I bought an American car) – შესაძლებელია ინგლისურადაც და ფრანგულადაც, რადგან ზმნას მოჰყვება ობიექტი და ეს ორივე ენაზე დასაშვებია (Cook 1991: 65).

რედოუანეს აზრით, სტრუქტურის ეკვივალენტობა, პოპლაკის მიერ განვითარებული, არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავლენიანი შეზღუდვა, რომელმაც მიიქცია მეცნიერთა დიდი ყურადღება (Redouane 2005: 1922). თუმცა იგი აღნიშნავს, რომ სინტაქსური წესებისა და რომელიმე ენის სტრუქტურების დარღვევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბუთად, რომ უარვეყოთ სამი ლინგვისტური შეზღუდვის უნივერსალურობა და სარწმუნოობა. მან დაადასტურა მაგალითები, სადაც გადართვები ხდება სინტაქსური სტრუქტურების

ფარგლებში, რომლებიც განსხვავებულია ორივე ენაზე (იქვე: 1931).

რედოუანეს აზრით, საჭიროა უფრო მეტი კვლევა სინტაქსურად განსხვავებული ენობრივი წყვილებისა.

ბერკ-სელიგსონის ისრაელელი ინფორმანტების მეტყველებაზე საესე იყო სინტაქსური დარღვევებით, მოჭარბებულად კი ესპანური სინტაქსის დარღვევებით, როდესაც ისინი გადაერთვებოდნენ ებრაულზე ესპანურზე დაყრდნობილი წინადადებებიდან (Berk-Seligson 1986).

მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერი აცხადებს, რომ ეკვივალენტური შეზღუდვის წესი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნივერსალურად არსებული ფორმით. ის უნდა შეიზღუდოს ან სინტაქსურად ახლოს მყოფი ენებით, ან მოდიფიცირებულ იქნეს უფრო სუსტ ფორმულირებამდე (იქვე).

ბერკ-სელიგსონის კვლევაში აღწერილ ენობრივ სიტუაციასთან პარალელს პოულობს და კვლევის შედეგებს მხარს უჭერს ბენტაჰილასა და დევისის მონაცემები ფრანგულ-არაბული ენების შესახებ (Bentahila & Davies 1983). ისინი ავლენს ეკვივალენტური შეზღუდვის წესის დარღვევის უამრავ მაგალითს (იხ.: Berk-Seligson 1986: 335).

მექსიკელ-ამერიკელი ბილინგვების მიერ ესპანურისა და ინგლისურის გამოყენება მიუთითებს, რომ მათი აღტერნაციის დროსაც ეკვივალენტური შეზღუდვა ხშირად არის დარღვეული (Silva-Corvalan 1980).

**შემადგენელი ნაწილის ზომის შეზღუდვა.** მესამე შეზღუდვა დაკავშირებულია შემადგენელი ნაწილის ზომასთან (size-of-constituent constraint), რომლის მიხედვითაც, გადართვა უფრო ხშირად ხდება მაღალი დონის (მთავარ) შემადგენელ ნაწილებში, რომლებ-

საც განეკუთვნება წინადადებები, ფრაზები, ვიდრე დაბალი დონის შემაღლენელ ნაწილებში, როგორცაა სახელები, მსაზღვრელები, ზმნები, ზმნიხედები, ზედსართავები (Gumperz & Hernandez-Chavez 1975; Poplack 1980).

ეს შეზღუდვა, თავის მხრივ, მომდინარეობს უფრო ზოგადი შეზღუდვიდან, რომლის მიხედვითაც, კოდის გადართვა, უბრველესად, ხდება ფრაზის საზღვრებთან (Hasselmo 1970; Poplack 1980; Shaffer 1978).

რედოუანეს კვლევაში კოდის გადართვები შეეხებოდა როგორც პატარა, ისე დიდ შემაღლენელ ნაწილებს, მაგრამ საკვლევი ბილინგვები არჩევდნენ უფრო პატარა ნაწილებს, რამაც მკვლევარს განაცხადებინა, რომ დარღვეული იყო შემაღლენელი ნაწილის ზომის შეზღუდვის წესი. სახელის გადართვის სიხშირე დადასტურებულია ბევრ სხვა კვლევაშიც (Timm 1975; Ornstein 1976; McClure 1977; Wentz 1977; Pfaff 1979; Poplack 1980, 1981; Berk-Seligson 1986; Cook 1991; Sumarsih 2014, და სხვ).

ბერკ-სელიგსონთან, მაგ., დიდი ზომის ნაწილების გადართვამ წინადადების შიგნით შეადგინა 2%, ხოლო პატარა ზომის ნაწილების გადართვამ – 98%, სახელის გადართვამ 40%; წინადადებებს შორის გადართვა დადასტურდა 37%-ში, ხოლო წინადადების შიგნით გადართვა – 63%-ში. ეს თითქმის სრულიად ეწინააღმდეგება პოპლაკის (1980) შედეგებს, სადაც წინადადების შიდა გადართვების 60% მოდის დიდ ნაწილებზე (Berk-Seligson 1986: 326).

ბერკ-სელიგსონის დასკვნით, ბილინგუური შესაძლებლობების სხვადასხვა ხარისხის მოსაუბრეები ჩართულნი არიან კოდის გადართვაში და ყველა იყენებს კოდის გადართვის ერთსა და იმავე ტიპს.

ოღონდ, ქალები უფრო პატარა შემაღენელ ნაწილებს გადართავენ, ვიდრე კაცები, რაც შეესაბამება პოპლაკის შეხედულებას (Berk-Seligson იქვე: 327).

კუკმა თავის მონაცემებში 84% დაადასტურა ცალკეულ სიტყვებში, 10% – ფრაზებში, ხოლო 6% – წინადადებებში (Cook 1991: 65). შემდეგი ხშირად გადართული შემაღენელი ნაწილები იყო გაცვეთილი ფრაზები, შორისდებულები, იდიომატური გამოთქმები, წამოძახილები, რამაც შეადგინა 21%.

სუმარსიპის კვლევაში გადართვამ სიტყვის დონეზე შეადგინა 57.3%, ფრაზის დონეზე – 40.4% და წინადადების დონეზე – 17.3% (Sumarsih 2014: 91).

ძალიან ბევრმა მკვლევარმა იმუშავა ზემოთ აღწერილის ანალოგიური სპეციფიკური ლინგვისტური შეზღუდვების გამოსავლენად კოდის გადართვის დროს, რაც, თავისთავად, ნიშნავს ენობრივი უნივერსალების გამოვლენას (Di Sciullo, Muysken & Singh, 1986; Berk-Seligson 1986; Sankoff & Poplack 1981; Bentahila & Davies 1983; Belazi, Rubin and Torbio 1994; Kachru 1977; Myers-Scotton 1993; Nishimura 1997; Pfaff 1979).

დი სქიულომ, მიისკენმა და სინგმა 1986 წელს შემოგვთავაზეს ჩომსკისეული „მართვის დამაკავშირებელი მოდელი“ (Di Sciullo, Muysken & Singh 1986).

1990-იანი წლებიდან სხვა მკვლევარები წარმოადგენდნენ თეორიულად გამყარებულ ახსნებს კოდის გადართვის შეზღუდვებზე. ისინი ცდილობდნენ, აეხსნათ კოდის გადართვის სტრუქტურა არსებული სინტაქსური მოდელის ფარგლებში, ჩომსკისეული ტრადიციით – მონოლინგუური ფრაზის სტრუქტურების ახსნით.

ნასეჰის მიხედვით, შეზღუდვების ეს მოდელები, ძირითადად, მოდის 4 ჯგუფზე: ენის სპეციფიკური შეზღუდვები, უფრო ზოგადი და უნივერსალური შეზღუდვები, თეორიული შეზღუდვები და მშობლიური ენის მიდგომები შეზღუდვებისადმი (Naseh 1997: 202).

მიისკენი ნაშრომში „ბილინგუური მეტყველება“ წარმოგვიდგენს შეზღუდვების ტიპოლოგიას პოპლაკის შეზღუდვებზე დაყრდნობით (1980), აგრეთვე სკოტონის (1993) მატრიცა ენის ჩარჩო მოდელსა და დი სქიულოსთან და სინგთან თანაავტორობით 1986 წელს გამოცემულ შრომაში წარმოდგენილ შეზღუდვების მართვის თეორიაზე დაყრდნობით (Di Sciullo, Muysken, & Singh 1986). მკვლევარი ცდილობს, ყველა ეს შეზღუდვა მოათავსოს ერთი ქუდის ქვეშ და ამგვარად აგვიხსნას, თუ რა ხდება ჩართული კოდის შერევის, ალტერნატიული კოდის შერევისა და კონგრუენტული ლექსიკალიზაციის დროს.

ჯერ კიდევ 1975 წლის კვლევაში ესპანურ-ინგლისური კოდის გადართვის სინტაქსის შესახებ ლანსემ დაასკვნა, რომ „შესაძლოა, არ არსებობს სინტაქსური შეზღუდვები“ (Lance 1975: 143), თუმცა სხვა კვლევები საპირისპიროს ამტკიცებს (Gumperz 1976; Kashru 1977; Lipski 1977; Pfaff 1976, 1979; Poplack 1980; Timm 1975).

რიტჩი და ბატია განიხილავენ წინადადების შიგნით სინტაქსური შეზღუდვების შესახებ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიდგომას. ამათგან ერთი არის გრამატიკული მიდგომა, რომლის დროსაც პირობები კოდის გადართვაზე მოძებნილია გრამატიკის თეორიის ფარგლებში (იხ., Di Sciullo, Muysken, &

Singh 1986; Belazi, Rubin, & Toribio 1994). მეორე მიდგომა ეხება თხრობის წარმოებას (Myers-Scotton 1993), რომლის მიხედვითაც, პირობები კოდის გადართვაზე შექმნილია მთლიანად მეტყველების წარმოების პროცესებით და ორივე ენის გრამატიკა გვიჩვენებს ზუსტად ერთსა და იმავე სტრუქტურას როგორც გადართული, ისე გადაურთველი თხრობისთვის (Ritchie & Bhattia 1996).

და ბოლოს, გვაქვს თუ არა ცალკე (განცალკევებული) კოდის გადართვის გრამატიკა, როგორც სანკოფმა და პოპლაკმა დაადასტურეს, თუ ორი განცალკევებული გრამატიკა? ბერკ-სელიგსონის მონაცემები მხარს უჭერს უკანასკნელს.

მოსაუბრეები არაერთხელ გადართავენ კოდს სინტაქსური თვალსაზრისით, სადაც პირველი და მეორე ენების გრამატიკები არ არის პარალელური და შედეგად ისინი ქმნიან „კოდის გადართვის შეცდომებს“.

ყველაზე ხშირად დაფიქსირებული შეცდომა მის კვლევაში იყო სახელის, ან სახელური ფრაზის წინ ესპანური განსაზღვრული არტიკლის (*el, la*), ან განუსაზღვრელი არტიკლის (*un, una*) გამოტოვება. კოდის გადართვის შეცდომების 66% მოვიდა სწორედ მსაზღვრელის გამოტოვებაზე (Berk-Seligson 1986: 328).

მეორე „შეცდომა“ იყო კოპულას, ან სხვა რომელიმე ზმნის გამოტოვება, ხოლო მესამე „შეცდომა“ - წინდებულებისა და წინდებულიანი ფრაზების გამოტოვება (იქვე: 330-331).

კოდის გადართვის „შეცდომები“ დეტერმინანტისა და წინდებულების გამოტოვების საკითხში მხარს უჭერს თავისუფალი მორფემის შეზღუდვას, რამდენადაც ასეთი კატეგორიების

არარსებობა ასახავს მათ არაეკვივალენტურ მორფემულ სტატუსს თავიანთ შესაბამის ენებში. დასკვნა არის ის, რომ მოსაუბრეები თავს იკავებენ გადართვისაგან სინტაქსური თვალსაზრისით, სადაც მორფემას, რომელიც მათ უნდა გამოიყენონ, აქვს განსხვავებული – (თავისუფალი / ბმული) სტატუსი პირველ და მეორე ენაში.

კოდის გადართვის „შეცდომები“, ბერკ-სელიგსონის აზრით, მიგვითითებს იმაზე, რომ უარფყოთ გრამატიკა, რომელიც შეიცავს პირველი და მეორე ენების ელემენტებს (Berk-Seligson 1986: 335).

პოპლაკის აზრით კი, კოდის გადართვა ერთი გრამატიკიდან მომდინარეობს. დამატებითი საბუთი ამ აზრის განსამტკიცებლად მეცნიერისთვის იყო ესპანურ-ინგლისური მონაცემები, სადაც გადართვები ინგლისურზე პროცენტულად დაახლოებით იგივე იყო, რაც ესპანურზე (Poplack 1980: 603).

თუმცა ესპანურ-ებრაულ მონაცემებში კოდის გადართვის 96% იყო ესპანურიდან ებრაულზე. საპირისპირო მიმართულების გადართვის დროს დაახლოებით 50%-ში წინადადების ზომის შემადგენელი ნაწილები იყო გადართული.

კოდის გადართვის გრამატიკის უარყოფა მოხდა 80-იან წლებში (Doron 1981; Joshi 1981; Santa Ana 1982; Woolford 1981).

სინტაქსური შეზღუდვების თვალსაზრისით, წოვათუშურ-ქართული ბილინგუური საუბრები მონოგრაფიაში შესწავლილი გვაქვს პოპლაკისეულ მოდელზე დაყრდნობით.



## კოდის გადართვის ლინგვისტური თავისებურებები წოვათუშური-ქართული ბილინგვური დისკურსის მიხედვით

წოვათუშური საუბრები ჩვენმა ინტერვიუებმა ჩაწერეს სოფელ ზემო ალვანში სამეზის მოწყობილი ექსპედიციების დროს: ორჯერ – პროექტის პირველი ნაწილის ფარგლებში 2010-2012 წლებში, ხოლო მესამედ – პროექტის მეორე ნაწილის ფარგლებში 2013 წელს. საველე სამუშაოები ჩატარდა ენის დოკუმენტების მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, დაგეგმილი გეგმონდა წოვათუშური ტექსტების მომზადება, როგორც ბეჭდური, ისე ვიდეო-აუდიოს სახით.

ბეჭდური სახით გამოცემული წოვათუშური ტექსტების სამტომეულის პირველ ტომში შევიდა საისტორიო-საგმარო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო და საწუთისოფლო შინაარსის მასალა, მეორე ტომი დაეთმო ეთნოგრაფიულ მასალას, ხოლო მესამე ტომი – ლექსებს.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, რესპონდენტებად შეირჩნენ წოვათუშური ენის კარგად მცოდნეები, ძირითადად, ღიბი ბებია-ბაბუებისა და ბებია-ბაბუების, ხოლო იშვიათად – საშუალო თაობის წარმომადგენლები, რომელთაც უნდა მოეთხროთ სხვადასხვა შინაარსის ისტორიები.

ამის გათვალისწინებით, საანალიზო საუბრები წარმართა მონოლოგურ სტილში. ინტერაქციის გარემო ყველა შემთხვევაში იდენტური იყო – სახლის პირობები, სადაც ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ რესპონდენტი და ორი ინტერვიუერი. ამათგან ერთი წოვათუში იყო, ხოლო მეორე – ქართულენოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე გადართვას, გარკვეულ შემთხვევებში, ეს ფაქტიც განაპირობებდა, მათი საუბრები მაინც საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი კვლევებისთვის. ცხადია, კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის შექცევა

იქნება დიალოგური საუბრები, რომელთა კვლევასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ.

რესპონდენტების რიცხვმა 55 შეადგინა. ამათგან 17 მამაკაცია, ხოლო 38 – ქალი. 17 რესპონდენტი 80 წლის ზემოთაა, 21 რესპონდენტი – 70-იდან 80-მდეა, 8 რესპონდენტი – 60-იდან 70-მდე, 6 რესპონდენტი – 50-იდან 60-მდე, 2 რესპონდენტი – 40-იდან 50-მდე, ხოლო 1 რესპონდენტი – 30-იდან 40-მდე.

მთლიანობაში, 275 წუთისა და 52 წამის განმავლობაში დაფიქსირდა 446 კოდის გადართვის შემთხვევა. გაბმული წოვათუშური, ან ქართული თხრობები ამ დროში არ შედის.

მოპოვებულ მასალაში არაერთი ყურადსაღები მოვლენა გამოვლინდა როგორც ლინგვისტური, ისე სოციალზამატიული და ფსიქოლინგვისტური თვალსაზრისით. რესპონდენტთაგან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ 80 წლის ვასო ქოქორიშვილი, რომლის საუბრებში დადასტურებულმა კოდების ხშირმა მონაცვლეობამ ძალიან ბევრი საინტერესო ფაქტი გამოავლინა.

ლინგვისტური კუთხით ყურადღებას იქცევს ენის ოთხივე დონე: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური, თუმცა მასალა ყველა მიმართულებით თანაბარი სიუხვით არ გამოიჩინება. მონოგრაფიაში თითოეული ეს მხარე, შესაძლებლობის ფარგლებში, დაწვრილებითაა გაშუქებული და გაანალიზებული. შევეცადეთ, ყურადღების გარეშე არ დაგვეტოვებინა არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და მისთვის შესაბამისი კვალიფიკაცია მიგვეცა.

სოციალზამატიული და ფსიქოლინგვისტური თავისებურებების გამოვლენით გაგარკვეეთ კოდის გადართვის სასაუბრო ფუნქციები და მოტივაციები.

საუბრების მონოლოგიური სტილის გამო, კვლევის სტეროში ვერ მოექცა ისეთი სოციალური ცვლადები, როგორცაა გარემო, თემა, მოსაუბრე. ისინი ყურადღებას მიიქცევს დიალოგიური დისკურსის შესწავლის დროს.

კოდის გადართვის კვლევებში, როგორც ზემოთ, სათანადო აღვიდას, აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი კითხვა დაკავშირებულია სინტაქსურ შეზღუდვებთან: რამდენად იმართვის კოდის გადართვა გრამატიკული წესებით?

კოდის გადართვის სკოტონისეულ განმარტებაში ფონეტიკურ-ფონოლოგიური მხარე საერთოდ არ ჩანს და ძირითადი ყურადღება გადატანილია წინადადების მორფოსინტაქსურ დონეზე. ჩვენი მასალა კი ადასტურებს, რომ მატრიცა ენა ამ მიმართულებითაც არანაკლებ გავლენას ახდენს ჩართულ ენაზე.

### ფონეტიკური მახასიათებლები

საანალიზო მასალა ფონეტიკური კუთხით არ არის მდიდარი, თუმცა საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ამ კუთხით. ფონეტიკური თავისებურებები, უმრავლეს შემთხვევაში, თავს იჩენს მორფემის საზღვართან კოდის გადართვის დროს, იშვიათად სიტყვის გადართვის დროსაც.

რესპონდენტი ბილინგვები მორფემის საზღვართან, ძირითადად, გადართავენ ზმნას, ან მიმღებას, რომელსაც მშობლიური ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ყალიბში სვამენ:<sup>21</sup>

წოვათუშურ ენას ლექსემათა უკიდურესი კომპაქტურობა ახა-

---

21. მორფოლოგიური მახასიათებლების შესახებ შემდეგ თავში ვსაუბრობთ, აქ კი მხოლოდ ფონეტიკურზე ვამახვილებთ ყურადღებას.

სიათებს და, აქედან გამომდინარე, იგი ცდილობს, ყველა შესაძლო შემთხვევაში შეკუმშოს სიტყვა. ქართულში სიტყვის შეკუმშვის განსაზღვრული წესები მოქმედებს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წოვათუშური ენის შესაბამისი წესებისაგან.

იმისათვის, რომ ნათელი იყოს ბილინგვურ საუბრებში გამოვლენილი ფონეტიკურ-ფონოლოგიური თავისებურებები, მოვიხმობთ ინტერფერენტული გავლენების მახასიათებლებს ორენოვნების საფეხურების მიხედვით.

მ. მიქელაძის კვლევების მიხედვით, ლექსიკური ნასესხობები ორენოვნების საწყის სტადიაზე მსესხებელი ენის ფონოლოგიურ წესებს ექვემდებარება და გავლენის თვალსაზრისით რაიმე საფრთხეს თითქმის არ უქმნის მის თავისთავადობას. იმის გამო კი, რომ შეუძლებელია აბსოლუტური ადაპტაცია, რაღაცა ახალი და უცხო თითქმის ყველა ნასესხებ სიტყვას მოსდევს. თითოეული უცხო სიტყვა ზღუდავს მსესხებელი ენის სიტყვაწარმოებას და საყრდენი ხდება ახალი ნასესხობებისთვის (მიქელაძე 2008: 157).

ინდივიდუალური ბილინგვიზმის დროს, როდესაც დაბალია წყარო ენის ცოდნის დონე, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიან, ანუ „ასწორებენ“ ნასესხები სიტყვების ბგერით გარსს. წოვათუშური ენის ფონოლოგიურ კანონებსა და ჰირველ ხანებში ნასესხებ სიტყვათა ბგერითი გარსის ადაპტაციის წესებს შორის ზუსტი შესატყვისობა დგინდება. ყველა განსხვავებამ, რაც ამ ენების სიტყვათმოდლელებსა და ბგერათა განაწილების წესებში დასტურდება, თავი იჩინა სიტყვათა სესხების პროცესებში, კერძოდ:

ა) წოვათუშურ ენაში სიტყვის ორმარცვლიანი მოდელის უპირატესობის გამო, ყველა შესაძლო შემთხვევაში ნასესხებ ორზე მეტ-

მარცვლიან სიტყვებს დააკლდა მარცვალი, კერძოდ, მისი ხმოვნითი ელემენტი. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა რედუქციის ფარგლებში;

ბ) სიტყვის ანლაუტსა და აუსლაუტში დაიშალა წოვათუშური ენისთვის უჩვეულო ყველა თანხმოვანთკომპლექსი, „ზედმეტი“ თანხმოვნის დაკარგვისა თუ კომპლექსის წევრთა ანაბტიქსური ხმოვნით გათიშვის გზით;

გ) ნასესხებ სიტყვებში დაიშალა წოვათუშურისთვის უცხო ხმოვანთა უშუალო ჰეტეროსილაბიკური მიმდევრობებიც, დიფთონგიზაციის, რედუქციისა თუ მათ შორის თანხმოვნის ჩართვის საშუალებით;

დ) წოვათუშურ სიტყვათა აუსლაუტისთვის დამახასიათებელი დახურულმარცვლიანობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ნასესხებ სიტყვებშიც თავი იჩინა ბოლო ხმოვნის გაუმარცვლოების ფონოლოგიურმა ტენდენციამ. იმავე პროცესს უწყობდა ხელს წოვათუშურში მოქმედი, ქართლისაგან განსხვავებული, ძლიერი დინამიკური მანვილის მოქმედებაც;

ე) სიტყვათა აუსლაუტში ხმოვნის მომდევნოდ არ გვხვდება თანხმოვანი ნ: გამონაკლისს მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმები შეადგენს. ამან განაპირობა, რომ ნასესხებ სიტყვათა იმავე პოზიციაში მდგარი ნ დასუსტდა და წინამავალი ხმოვნის ნაწალიზაცია გამოიწვია.

თავდაპირველი სესხებისას C ენის ფონოლოგიურ სისტემაზე აწყობილი S ენის სიტყვების ბგერითი გარსი დროთა სვლაში, კონტაქტის შემჭიდროებასთან დაკავშირებით, წყარო ენის ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ხელახლა იცვლება. ეს ცვლილება თანდათანობითა და მისი საფეხურებრივი ხასიათი კარგად ჩანს ერთი და იმავე სიტყვების სხვადასხვა დროს შესრულებულ ნასესხობათა მთლიანად ასიმილირებული, ნაწილობრივ ასიმილირებული და უცვლელად დატო-

გებულო ფორმების ფონზე. ასეთი ფორმები ზოგჯერ ერთდროულად გვხვდება წოვათუშურ ენაში, როგორც ერთი და იმავე სიტყვის სინონიმური და ფორმალური პარალელიზმები.

ორენოვნების ბოლო საფეხურებზე, როცა უცხო ენის ცოდნის დონე მშობლიურისას უტოლდება, ან უკვე აღემატება მას, ნასესხებ სიტყვათა ბგერითი მოდელების შეფასება უცხო ენის ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით ხდება: თუ ადრე სიტყვათა ამოსავალსა და ადაპტირებულ ფორმებს შორის კავშირი შეიძლებოდა ნულამდე შექცობილიყო, ახლა დგის წესრიგში მისი სრულად შენარჩუნების მოთხოვნა დგება. წოვათუშურში დღეისათვის უკვე დაირღვა უცხო სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა სავალდებულო მოთხოვნა, მოქმედებს აგრძელებს მხოლოდ აუსლაუტის ხმოვნის დაკარგვა-დასუსტების ერთადერთი წესი. ამჯერად წოვათუშურ ენაში ერთმანეთის პარალელურად მოქმედებს ორი ფონოლოგიური სისტემა: ერთი C ენას ეკუთვნის და მის საკუთარ სიტყვებში ფუნქციონირებს, მეორე კი S ენისა და ნასესხებ სიტყვებშია წარმოდგენილი (იქვე: 158-160).

როგორც მ. მიქელაძე აღწერს, წოვათუშური ენის სიტყვათა ფლექსიურსა და დერვივაციულ სისტემებს ორგანულად უკავშირდება ხმოვანთა რედუქცია: ორ- და მეტმარცვლიანი თანხმოვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას, როცა ფუძეს დაერთვის ხმოვნის შემცველი სუფიქსი, მოქმედებს იწყებს აღნიშნული პროცესი. ასეა მაშინაც, როცა ხდება ახალი ლექსემის წარმოქმნა ორი და მეტი მარცვლის შემცველი ძირეული სიტყვისაგან, და მაშინაც, როცა უღლებისას ზმნის ძირს, რომელიც ყოველთვის ერთმარცვლიანია, დაერთვის ხმოვნის შემცველი მაწარმოებლები (მიქელაძე 2008: 100).

წოვათუშურ ენაში რედუქცია ხორციელდება ორი გზით: პირველ

შემთხვევაში საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანი უკვალოდ ამოვარდება მომდევნო ხმოვანი მორფემის, ან ხმოვნის ხმოვანი მორფემის გავლენით: **ბანდერი** → ბანდრი ‘ბანდერები’, **ბანდერივე** → **ბანდრევე** ‘ბანდერება’ (შდრ. **ბანდერ** ‘ბანდერი’); მეორე შემთხვევაში რედუქცია ხორციელდება ეპენტეზისის გზით: ხდება საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვნის გაუპარცვლობა და გადასმა (ეპენტეზისი) წინამავალ ხმოვანთან, რის შედეგადაც ვიღებთ დამავალ დითონგს: **დაფერი** → **დაფერი** ‘დაფერი’ (შდრ. **დაფერი** ‘დაფერი’). პირველია მარტივი რედუქცია, ხოლო მეორე – რედუქცია ეპენტეზისის გზით (იქვე: 100–101).

მ. მიქელაძის მიხედვით, რამდენადაც ორიენტაცია სამი მარცვლის ფარგლებში წოვათუშური ენისთვის ბუნებრივია, ნასესხებ ქართულ სამმარცვლიან სიტყვებს ის ისე ექცევა, როგორც საკუთარ ორმარცვლიან საწარმოებელ ფუძეს მესამე მარცვლის (მარედუქცი-რებელი ელემენტის) დართვისას, კერძოდ, ადგილი აქვს რედუქციას.

„რედუქციის მექანიზმი ნათლად გამოიკვეთება სიტყვათა სესხებისას, როცა აფიქსის დართვის გარეშე რედუქცირდება მრავალი სამმარცვლიანი სიტყვა“ (იქვე: 109).

ოთხ- და მეტმარცვლიანი პოზიცია წოვათუშური ენისთვის უჩვეულო და ძნელად მოსაველეოა, ამიტომ აღნიშნული ტიპის მრავალმარცვლიან ნასესხებ სიტყვებში, სადაც მახვილი მანამდე (ანუ, ქართულ ენაში), ილტვოდა ბოლოდან მესამე მარცვლისკენ, უყურადღებოდ რჩება ყოფილი (ქართული) მახვილიანი მარცვალი, სიტყვის დანარჩენი ნაწილის მიმართ კი ენა განახორციელებს ისეთსავე კანონზომიერებებს, როგორსაც სხვა სიტყვების მიმართ იყენებდა; მაგალითად: **მოუხერხებელი** → **მოუხერხებელ**, **გაუნათლებელი** → **გაუნათლებელ** (იქვე: 110).

ნასესხებ მრავალმარცვლიან სიტყვათა საწყისი ფორმების მაგალითზე მ. მიქელაძე გამოორიცხავს წოვათუშური ენის აფექსების ხმოვანთა მარედუცირებელ როლს; სახელობითი ბრუნვა ამ ენაში უნიშნოა. რამდენადაც გამოორიცხულია სუფიქსთა ყოველგვარი გავლენა ფუძისეულ ხმოვნებზე, მეცნიერი ასკვნის, რომ რედუქციის გზით წოვათუშურ ენაში რეგულირდება მარცვალთა რაოდენობა ცალკეულ ფორმათა ფარგლებში; შეიმჩნევა ენის სწრაფვა სიტყვათა გაორმარცვლიანებისკენ, სუფიქსისეული ხმოვნები კი რედუქციაში მონაწილეობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ზრდიან სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას.

ამგვარი დასკვნის მხარდამჭერ გარემოებად მ. მიქელაძეს მიაჩნია ის, რომ სამმარცვლიანი სიტყვები, რომელთაც სესხებისას ზემოაღნიშნული გზით უკვე დაკარგეს თითო ხმოვანი და გაორმარცვლიანდნენ, როცა ჩაერთვიან ამ ენის ბრუნების სისტემაში, კარგავენ კიდევ ერთ ფუძისეულ ხმოვანს იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება ხელახალი გასამმარცვლიანების საშიშროება. იქ, სადაც ბრუნვის ფორმანტი ხმოვანს შეიცავს, სესხებისას გაორმარცვლიანებული ფუძე ამჯერად უკვე ერთმარცვლიანი ხდება, რის შედეგადაც მთლიანი სიტყვა კვლავ ორმარცვლიანობას ინარჩუნებს, მაგალითად:

სახ. **მოლზონ** ‘*მონა ზონი*’, ერგ. **მოლზნეს** (← **მოლზონეს**)

სახ. **აღზან** ‘*აღა ზანი*’, ერგ. **აღზნეს** (← **აღზანეს**)

სახ. **სოლმონ** ‘*სოლომონი*’, ერგ. **სოლმნეს** (← **სოლმონეს**)

სახ. **მადრამ** ‘*მარიაში*’, ერგ. **მადრმეს** (← **მადრამეს**)

სახ. **სუდრელ** ‘*სულოელი*’, ერგ. **სუდრლეს** (← **სუდრელეს**) (იქვე: 111).

წოვათუშურ ენაში ზმნური და სახელზმნური ფორმები მიიღება საწყისებზე სხვადასხვა მორფემის დართვით, განსხვავებით ქართულისაგან, სადაც მორფემები ზმნის პირიან ფორმებს დაერთვის და არა



საწყისებს. მორფემის საზღვართან გადართვის დროს წოვათუმი ბილინგუები ზმნათა საწარმოებლად ქართულ საწყისს ურთავენ წოვათუშურ მეშველ ზმნას.

აღსანიშნავია, რომ ისინი გადართულ ქართულ სიტყვებსაც იმავე ენობრივი პრინციპით უდგებიან, როგორც ნასესხებ სიტყვებს, ანუ მზამწარეულ მოდელს იყენებენ, რომელიც მათ ენას დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქვს შემუშავებული ნასესხებ ლექსიკასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის ცოცხალ პროდუქციასთან: მოსაუბრეები ინტერაქციაში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად აწარმოებენ პიბრიდულ, კოდშერეულ ფორმებს და მათზე მშობლიური ენის ფონეტიკურ წესებს აფრცვლებენ: კუმშავენ ზმნის საწყისურ ფორმას.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემის მახასიათებელი ელემენტები ინტერფერენციის შედეგად დროთა განმავლობაში გარკვეულ დონეზე განეფინა წოვათუშური ენის შესაბამის სისტემაში, ბილინგუურ საუბრებში წოვათუშური ენის ფონოლოგიური წესები ბატონობს.

**იკუმშება სამმარცვლიანი ფუძე:**

**გროგება > გროგბა:**

„ვომას ვაშარ *გროგბა*ლათხ (ლეჰლათხ), ვაშარ ილათხ.“

*‘ყველანი ვიკრიბებით, ერთად იმასა ვშერებით.’*

**იკუმშება ოთხმარცვლიანი ფუძე:**

**დაბადება > დაბადბა:**

„ფხი დენიდოლოჲ სქე ვაშრ *დაბადბა*დვალოჲ (ხილოჲ).“

*‘ხუთი დღის ძერე ჩემი ძმა დაიბადა’.*

**გავრძელება > გავრძელება:**

„ოშტყ ნიყნ *გავრძელობადობორ*.“

‘ისევ ვ ზას ვაავრძელებდნენ’.

**გამეტება > გამეტბა:**

„გუს იშტყ ლაზიქ დანნი *გამეტბადიქ* (საბდიქ) სონანოქ, სოქ მან დაბწოქ ცო დაბწანო.“

‘იმან ასეთი კარგი სიტყვები ვაიმეტა ჩემთვის, მე კი არც კი ვიც-  
ნობ-მეთქ’.

*გამეტბადიქ* (გაიმეტა), სიტყვასიტყვით ნიშნავს: *გამეტება ქნა*.

*დიქ* არის მეშველი ზმნა. დერივატები წოვათუშურ ენაში უმეტესად სუფიქსებია. თავსართად გვხვდება მხოლოდ კლას-  
ნიშანი, რომელიც ოდენ თანხმონიანი ელემენტია (*გ, ბ, დ* ან ნახ-  
ევარხმონიანი *მ*) და სიტყვის მარცვალთა რაოდენობაზე გავლენას  
გერ ახდენს. სამაგიეროდ, მნიშვნელოვანი როლი აქვს სუფიქსებს,  
რომლებიც თითქმის ყოველთვის შეიცავენ ხმონიანს ან როგორც  
ორგანულ ნაწილს, ან როგორც ძირთან მაკავშირებელ საშუალებას  
(მიქელაძე იქვე).

გვაქვს იშვიათი გამონაკლისებიც, სადაც რედუქცია არ ხდება:

„ოშტყ *ნიჭიერ* ვანორ ტატო, მე ჰამივაყ *ვადაწყვიტადინორ*  
(ხიტლინორ) ო დამღან საზღვარგართ ჰაჭვარ.“

‘ისეთი ნიჭიერი ყოფილიყო ტატო, რომ ყველას ვადაწყვიტა  
მისი სასწავლებლად საზღვარგართ ვავ ზავანა’.

მოგლენა თანხმონიანთა სიჭარბით უნდა ახსნას: რედუქციის შემ-  
თხვევაში ოთხი თანხმონიანი მოიყრიდა თავს, რაც ენამ თავიდან აიცილა.

იკუმშება ხუთმარცვლიანი ფუძე:

გადმოსახლება > გადმოსახლბა:

„ათხ ე ვაკე სო **გადმოსახლბა**დადღჩე (დემხკჩე/დუდტჩე), თხოძ მე ზობლოთ მქ იმერლოუდ გუდალოქ.“

‘*ჩვენ რომ ამ ვაკე ში გადმოვსახლდით, ჩვენს მე ზობლოდ ზოგნი იპერლოები აღმოხნდნენ.*

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მაგალითებში გადართული ქართული საწყისის მაწარმოებელი -ა სუფიქსი შენარჩუნებულია წოვათუ შური მეშველი ზმნის გავლენით. მის გარეშე ის დაიკარგებოდა და გვექნებოდა: **ღაბაღბ, გავრძეღბ, გადმოსახლბ** და ა. შ., როგორც ახასიათებს წოვათუ შურ ენას.

დამოწმებულ მაგალითებში ყველგან შეკუმშულია -ებ თემის ნიშანი (რაც ქართულისთვის უცხოა).

უფრო იშვიათია ებენთეზისის გზით განხორციელებული რედუქციის ნიმუშები:

„მერე... დრო დანიშნოდდორ, მაცაზ ხილოურ ქორწილო; მაცმე ქორწილო ხილორიც, ხალხ... ააა... **დაპეტყებადდორ**, აი, ეხლა ეს წოური არ არი!“

‘მერე... დროს დანიშნავდნენ, როდის იქნებოდა ქორწილი; როცა ქორწილი იქნებოდა, ხალხს... ააა... **დაპეტყებდნენ**, აი, ეხლა ეს წოური არ არის!..’

მოცემულ მაგალითში დაპატიყ ფუძის ბოლო ხმოვანი გადასმულია წინამავალ ხმოვანთან, რის შედეგადაც ვიღებთ დამავალ დიფთონგს. ამ ფონეტიკურ პროცესს მოცემულ შემთხვევაში ემატება ასიმილაციაც:

**დაპატიე > დაპატიე > დაპატიე > დაპატიე.**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წოვათუშურ ენაში მიმღეობაც ზმნის საწყისურ ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება. გადართვის დროს წოვათუში რესპონდენტები ამ შემთხვევაშიც ფუძედ იღებენ ქართული ზმნის საწყისურ ფორმას და მას წოვათუშურ მორფოლოგიურ ელემენტს ურთავენ. კუმშვას ისევ ქართული საწყისი ექვემდებარება.

იკუმშება – ებ თემის ნიშანი:

**დაგროვება > დაგროვება:**

„წინასწარ **დაგროვება**დმიწრო (ლაჭმიწრო) კენჭივ კაწკოწ წა თაგ-დაწ ცადლარას.“

*‘წინასწარ დაგროვილი კენჭებით პატარა სახლის გაკეთებას ვცდილობდი’.*

**განათლება > განათლება:**

„ზორაში **განათლება**დგადლნრ (ნამდიენრ) სტაკ ლევევორ, ღამჭკ ნაყწ ინჟინერ.“

*‘ძალზე განათლებული კაცი ყოფილიყო, რკინივ ზის ინჟინერი’.*

მორფემის საზღვართან იშვიათად იკუმშება არსებითი სახელიც, რომელსაც წოვათუშური სახელის ამა თუ იმ მორფოლოგიური კატეგორიის მაწარმოებელი დაერთვის. მაგ., ერთგან შეგვხვდა „**ქალამანი**“ „**ქალობნი**“-ს სახით:

„ვასერგო ჩუჭ ბოფცაწრო შალოქ შარგოი დაფხურ. ჯანი დორ, **ქალობნი** (ჯანი) მქ დო ოც.“

*‘კაცებს შინ მოქსოვილი შალის შარვლები ეცვათ. ქალობნებს ასხამდნენ, ქალობნებს რომ ეძახიან ახლა.’*

**ქალობნი** ორმაგად შეკუმშული ფორმაა, რედუცირებულია ორი ა ხმოვანი.

იკუმშება აბსტრაქტულობის მაწარმოებელი **-ება** სუფიქსის ორივე ხმოვანი:

**ცხოვრება > ცხოვრბ:**

„ცჰანქოკლ<sup>ა</sup> სტაკ ვარწ, მა<sup>ა</sup>ც ლეთერ **ცხოვრბეს** (დ<sup>ა</sup>ხილეხ).“

*‘ცალოფენა კაცი იყო და მანც ებრძოდა ცხოვრებას.’*

ამგვარად, სამმარცვლიანი სიტყვა მოსაუბრემ ერთმარცვლიანი გახდა.

ისეთი მაგალითიც გვაქვს, სადაც ამავე სიტყვაში მხოლოდ ბოლო ხმოვანია მოკვეცილი:

„დეწეს შეგრ დეფცა, მოლუ<sup>ა</sup> ძნელ **ცხოვრბ** მარ ქიქოც მემცხ-  
ორიგო...“

*‘უნდა ვიამბოთ, როგორი ძნელი ცხოვრება ჰქონდათ ძველად მეცხვარეებს...’*

ბოლოკიდური **-ა** ხმოვნის დაკარგვას თავისი საფუძველი აქვს: აუსლაუტში მოქცეული ყველა ხმოვანი ნასესხებ ქართულ სიტყვებში სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანობას, სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჩათვლით (გაგუა 1956: 469). ანალოგიური ხდება გადართულ სიტყვებშიც, რასაც ემატება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ბოლომოკვეცილი ხმოვნის წინ მდებარე ნაზალური თანხმოვანი **ნ** თავის თვისებას გადასცემს მის წინ მდგომ ხმოვანს და შედეგად ვიღებთ ნაზალიზებულ ა, ე, ო ხმოვნებს.

მღივანი > მღივან; იორღანე > იორღან.

„კომკავშირულ მღივან ვარ აბაშიძე იორღან.“

‘კომკავშირული მღივანი იყო აბაშიძე იორღანე’.

მარჯვენა > მარჯვე:

„ღარ თოთ ვოსინ, დაჰან თეტნ, მარჯვე (ატვის) ქოკ.“

‘იმით თოთვი ესროლოეს და დაუჭრეს მარჯვენა თეხი.’

მაწონი > მაწონ :

„დაჰ თოთნ, ექო დაჰ თოთმეღონნო, მოჰე... ისა... მაწონ (წველ),  
უმეტ თაგლა, მაწონ (წველ)...“

‘დაიდვება და მერე ის დადვებული, როგორც... ისა... მაწონ,  
ისე ვაკეთდება, მაწონი და...’

ბოლო მაგალითში არსებითი სახელი **მაწონ** ორჯერ არის გამოყენებული: პირველ შემთხვევაში მასში განვითარებულია ზემოთ დამოწმებულ მაგალითებში დადასტურებული ფონეტიკური პროცესები, ხოლო მეორე შემთხვევაში ხმოვნით გამოხატული ძველბერძნული დართვის შედეგად (**მაწონ**) ბლოკირებულია ნ თანხმოვნის წინ ხმოვნის ნაზალიზაციის პროცესი. ეს მოვლენაც დამახასიათებელია წოვათუშურისათვის.

ბოლო კიდური ხმოვანი იკარგება, ან სუსტდება ორმარცვლიანი სიტყვების აუსლაუტშიც:

მწვანე > მწვან:

„ბაწარ ჯარნეჰ ჰალ დშაბორ, ექ ჰალ დებადორ ევი-ევი ბასაგ:  
მარჯნ, კუი, წიგე, მწვა (ავე), რა ვიცი (სოქოხიეს), უნე ბასერნ დარიც.“

*‘ბაწარს ჯვარაზე დაგრეხდნენ და მერე ღებავდნენ სხვადასხვა ფერით: შავი, თეთრი, წითელი, მწვანე, რა ვიცი, რაც რამ ფერები აყო’.*

მ. მიქელაძის აზრით, ასეთ შემთხვევებშიც წოვათუშურ ენაში გარკვეული კანონზომიერება მოქმედებს:

1. ი და უ ხმოვნები იკარგება უკვალოდ, ან გადაინაცვლებს წინა ხმოვანთან, თუ ეს უკანასკნელი ღიაობით აღემატება მათ;

2. დასუსტებული, ან მოკვეცილი ა, ე და ო იწვევს წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას მხოლოდ ორმარცვლიან ფუძეებში, მეტმარცვლიანებში კი უკვალოდ იკარგება (მიქელაძე იქვე: 112).

მ. მიქელაძის საილუსტრაციოდ მოჰყავს საკუთარი და ნასესხები სიტყვები: ქართ.: ყოჩი → წოვათუშ. ენ.: ყუძჩ, ქორი → ქუძჩ, წაბლი → წაბლ, შარა → შნრ, ფარა → ფნრ, მოლა → მლლ, დელი → დელე, მოსე → მოსე, წყარო → წყნრო, მარო → მნრო, ნათელა → ნათელ, პეპელა → პეპელ, ფანცქალა → ფნცქალ/ფნცალ, სანთებელა → სნთებელ.

ორმარცვლიან სიტყვებში სუფიქსის დაურთველად მიმდინარე აუსლაუტის ხმოვანთა დასუსტება-მოკვეცის აღნიშნულ პროცესებს მეცნიერი ხსნის ენის მისწრაფებით – ღიამარცვლიანი სტრუქტურების ფორმები გარდაქმნას დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმებად (იქვე: 112). მოვლენის ასეთ ახსნას მხარს უჭერს ქართველურ ენებში (ქართულსა და სვანურში) მოქმედი სიტყვის ბოლო მარცვლის დახურვის ანალოგიური ტენდენცია (გამყრელიძე 1965: 114).

ასეთი მაგალითი ჩვენს მასალაშიც გამოვლინდა:

„ეს არის 1937 (ტყნვორღლეძე) წლის (შარ) ოქტომბრის ბოლო დღეები (ყტუძსჩლუ დინში/დენში), ძორა (ყტუძსჩლუ) დენი შდა.“  
*‘ეს არის 1937 წლის ოქტომბრის ბოლო დღეები, ბოლო დღეებია’.*

მოცემულ ორმარცვლიან სიტყვაში - **ბოლო** - აუსლაუტის ხმოვნის დასუსტების შედეგად საკომპენსაციოდ დაგრძელებულია წინამავალი ხმოვანი: **ო > ო.** ანუ, ღიამარცვლიანი სტრუქტურის ფორმა გარდაქმნილია დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმად. აქ ისიც იქცევა ყურადღებას, რომ აღნიშნული ცვლილებები არ არის განხორციელებული პირველად ნახმარ ქართულ ვარიანტში (**ბოლო**), რადგან მას ქართული საზღვრული მოსდევს. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ წყვილებს: „**ბოლო დღეები**“ / „**ბოლო დღეში**“.

გვხვდება პარალელურ ფორმათა ერთ წინადადებაში გამოყენების მაგალითებიც:

**„რეზინებს ეძახდნენ, მახსოვს, სტაკ ლეღერ ცჰა, ატარებდა, რეზინები, რეზინებიენო.“**

*‘რეზინებს ეძახდნენ. მახსოვს, ერთი კაცი დადიოდა, ატარებდა. რეზინები, რეზინებიო.’*

მონიშნული სიტყვა ნასესხობას წარმოადგენს, რომლის პირველი ვარიანტიც ადაპტირებულია წოვათუ შური ენის ფონოლოგიურ სისტემაში, კერძოდ, მისი **ი** ხმოვანი ნაზალიზებულია მომდევნო **ნ** თანხმოვნის გავლენით (**რეზინებს**), მეორე ვარიანტი კი ქართულია (**რეზინები**).

იშეიათად შეგვხვდა ისეთი ნიმუშებიც, სადაც რედუქცია არ ხდება. მაგ.:

**„ფიზიკა ფაკულტეტი დამთავრებდამიენს.“**

*‘ფიზიკის ფაკულტეტი დამთავრებდა.’*

უნდა ყოფილიყო **ფიზიკა**.



„ქვეყანან ღემახკერ მაქე, ბარგ, ბარგ, ბარგ აუარებელ!“  
‘ქვეყანა ისხდა ზელ და ბარგი, ბარგი, ბარგი აუარებელი!’

უნდა ყოფილიყო აუარებელ.

მასალაში გამოვლინდა კვეცის ნიმუშიც: შეკვეცილია გადართული კომპოზიტის პირველი ფუძე, რაც ქართულისთვის უჩვეულო მოვლენაა (წოვათუშურისთვის კი დამახასიათებელია):

„შუენ ვეწერ თილვაჲ, *ბიძგილი* (განყოფიე) ცქტრმაქ – ბელდურნ იორდანლარ – ჩუ ვერწვიქ.“

‘უნდა ვაეცილობინათ, ცენტრზე ბიძგილებმა – ბელადიანთ იორდანიანთ – შეიპატიეს’.

„ოვარ აღოწ, მქ, ვშალაყ თხოწ ცო ხეყ შუქ... თხე *მაძ*პაპინ (ათ-პაპინ) ცომ ხეყ შუქ, აღოწ, უერ, შუცო ვშალაყ ცოჰანნ დაკოდა საერთ (ზედს. მშალ) ხილარ, აღოწ.“

‘იმათ თქვეს, რომ, სრულებით არ ვიცით თქვენი... ჩვენმა მამა-პაპებმა არათერი იციან თქვენიო, კაცო, თქვენთან სრულებით არავის ახსოვს საერთო რაძეო’.

იშვიათად დასტურდება სუბსტიტუციის ფონეტიკური მოვლენა: ზემოთ განხილულ *ქაობნი* ფორმაში მ ჩანაცვლებულია ბ-თი. ეს შენაცვლება წოვათუშურსაც ახასიათებს.

იკარგება თემის ნიშნისეული -გ თანხმოვანი:

გ-ს ასეთი დაკარგვა დამახასიათებელია ნასესხები სიტყვებისთ-

ვის. ეს ხდება მაშინ, როცა:

1) უშუალოდ მის წინ დგას ბაგისმიერი თანხმევანი, მაგალითად: შეღებვა → შეღება|დარ, შენიღბვა → შენიღბა|დარ, გაქლიბვა → გაქლიბა|დარ, ჩნიბვა → ჩნიბა|დარ, დანამევა → დანამა|დარ, შხამევა → შხამა|დარ, დანხუფვა → დანხუფა|დარ, დაღუჭვა → დაღუჭა|დარ, მიტყევა → მიტყეა|დარ.

2) მისი შემცველი თანხმევანთკომპლექსი მოსდევს ბაგისმიერ ხმევანს: ჟონვა → ჟონა|დალარ, ფუთვა → ფუთა|დალარ, გაწუწვა → გაწუწა|დარ, შებოჭვა → შებოჭა|დარ, ცოცვა → ცოცა|დალარ, ფოთხვა → ფოთხა|დალარ, დაკუწვა → დაკუწა|დარ, ზრუნვა → ზრუნა|დალარ, გაწურვა → გაწურა|დარ (ბერთლანი 2012: 432).

ჩვენს მასალაში ორივე რიგის მოვლენები იჩენს თავს: იკარგება თემის ნიშნისეული -ვ თანხმევანი, როცა:

1. მას წინ უძღვის ბაგისმიერი თანხმევანი:

**ღებვა > ღება:**

„სტევ იღორ ხოლოძე, **ღება**დორ? წქეგოვ...“

‘რით იმას შერებოდნენ ხოლოძე, **ღება**ვდნენ? წენგოთი...’

2. როცა მისი შემცველი თანხმევანთკომპლექსის წინ ბაგისმიერი ხმევანია:

**შეფუთვა > შეფუთა; დაწურვა > დაწურა:**

„ჰალ დოფხდოეს შურ, შაბოშ ჩუ ბოეს, **შეფუთა**დმიენრ (ჰარხმიენრ), დაჰნ ოთდოს; ო ჰალ თეტოქ, ჰალ თეტინრ ექ, მაწრრ დაჰ **დაწურა**დმიენრ (ჰაჭყინრ), ტილო ჰალ გამოყვანადდოეს, **საწურვე** (ლიტრე) ჩუ დილეინრ, აჰ **დაწურა**ლაქ...“

‘შევათბობ რძეს, ვუზამ დფრიტას და დაფდვამ შეფუთულოს; ის

აიჭრება და მერე, აჭრილს, შრატგაკლოდს, ტილოში გამოვიყვან, საწურავში ჩადებულნი ჩამოიწურება და...

„შრატ ჰალ და ცოეს, ჩათე ჩუ დოლოეს, ჩუ დაწურადმოს (ჰაჭყ-ოს), ე შეფუთადმოს (ჩუ ჰარჩმოს).“

‘შრატს ამოვიღებ, ჩანთაში ჩავდებ, გავწურავ და შეფუთავ.’

გადართულ სიტყვაში დიფთონგიზაციაც დადასტურდა. ეს მოვლენა დამახასიათებელია წოვათუშურისთვის: როდესაც ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი.

„დუღჭრელუჩრ კუძრინე (გებსუ) და...“

‘პირველ კვირასა’.

თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ვ თანხმოვნის უმარცვლო უ-დ წარმოდგენა დამახასიათებელი მოვლენა იყო ძველ ქართულში. ამ მაგალითში წოვათუშური ძველ ქართულთან სიახლოვეს ავლენს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ წოვათუშოში ბილინგვები გადართულ ქართულ სიტყვებს ისე ექცევიან, როგორც ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს და მათზე თავიანთი ენის ფონეტიკურ წესებს აფრცვლებენ, რის გამოც უხეშად ჩრდგევა ქართული ენის ფონეტიკური წესები. ამ ზეწოლის შედეგად სიტყვაში ხმოვანად თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანი, ზოგჯერ სამიც, რაც ქართულისათვის არაბუნებრივი ბგერათკომპლექსია. არაბუნებრივია ასევე სიტყვის შეკუმშვა ფუძის ნებისმიერ მარცვალში.

თავისუფალი მორფემის შეზღუდვის წესი, რომლის მიხედვითაც, გადართვა არ შეიძლება მოხდეს თავისუფალ მორფემასა და ბმულ მორფემას შორის, თუ თავისუფალი მორფემა ფონოლოგიურად არ

არის ინტეგრირებული იმ ენაში, რომელსაც ბმული მორფემა ეკუთვნის (Poplack 1978; Poplack 1980; 1981), ჩვენი მასალის მიხედვით არ აღგვევა, რადგან წოვათუში ბილინგვები საუბრის დროს ბუნებრივად ახდენენ გადართული ქართული სიტყვების ფონოლოგიურ ინტეგრაციას წოვათუშურ თხრობაში.

გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა საუბრებში ხშირ შემთხვევაში დაცულია ინდივიდუალური ბილინგვიზმის ეტაპისთვის დამახასიათებელი ვითარება, როდესაც წყარო ენის ცოდნის დაბალი დონის გამო, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიდნენ, ანუ „ასწორებდნენ“ ნასესხები სიტყვების ბგერით გარსს. კერძოდ, ჩვენს მასალაში:

1. ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აკლდება მარცვალი, კერძოდ, მისი ხმოვნითი ელემენტი. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება რელუქციის ფარგლებში;
2. **ფუძე იკუმშება როგორც მარტივი რელუქციის, ისე ეპენტეზისის გზით;**
3. იშვიათად რელუქციას ექვემდებარება ორმარცვლიანი ფუძეებიც;
4. აუსლაუტში მოქცეული ხმოვანი გადართულ ქართულ სიტყვებში სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანობას (ნათქვამი ეხება სახელობითი ბრუნვის ნიშანსაც), რასაც ემატება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ბოლომოკვეცილი ხმოვნის წინ მდებარე ნაზალური თანხმოვანი ნ თავის თვისებას გადასცემს მის წინ მდგომ ხმოვანს და შედეგად ვიღებთ ნაზალიზებულ ა, ე, ი, ო ხმოვნებს;

5. აუსლაუტის დასუსტებული ო ხმოვანი ჩვენს მასალაში იწვევს წინამდებელი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას ორმარცვლიან ფუძეში, რის გამოც ღიამარცვლიანი სტრუქტურის ფორმა გარდაქმნილია დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმად: **ბოლო**.
6. იშვიათად გამოვლინდა შეუკუმშავი ფორმები (**ფიზიკქ, აუარებელ**).
7. იკარგება თემის ნიშნისეული -გ თანხმოვანი. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ მის წინ ბაგისმიერი თანხმოვანია (**ღებვა ჯება**), ან როცა მისი შემცველი თანხმოვანთკომპლექსის წინ ბაგისმიერი ხმოვანია (**შეფუთვა > შეფუთა; დაწურვა > დაწურა**).

გარდა ამისა:

8. დადასტურდა დიფთონგიზაციის შემთხვევაც: **კუაზინე**.
9. გამოვლინდა სუბსტრუტიციის მაგალითი (**ქალობნი**) და
10. რედუქციის ნიმუშები კომპოზიტიური აგებულების სიტყვებში (**მამ-პაპინ, ბიძაშვილი**).

მართალია, წოვათუშურში დღეისათვის უკვე დარღვეულია უცხო სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა სავალდებულო მოთხოვნა და მოქმედებას აგრძელებს მხოლოდ აუსლაუტის ხმოვნის დაკარგვა-დასუსტების ერთადერთი წესი, მაგრამ ბილინგვურ საუბრებში ინტერფერენციის ადრეული საფეხურებია დაცული, რაც ზოგადი ლინგვისტიკისათვის ყურადსაღებ მოსაზრებად მიგვაჩნია. ამის მიზეზები, ვფიქრობთ, საზოგადოების ლინგვისტურ ცნობიერებასა და ენობრივი მეხსიერების ფენომენშია საძიებელი.

## შემადგენელი ნაწილების გადართვა

ბილინგვიზმის თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოდის გადართვის შეზღუდვას შემადგენელი ნაწილის ზომის მიხედვით. „შემადგენელი ნაწილი“ იყო მთავარი ტერმინი, რომელიც მაიერს-სკოტონმა გამოიყენა 1993 წლის ნაშრომში (Myers-Scotton 1993a). აქვე მან იხმარა ტერმინი „ბილინგვური CP“, როგორც ანალიზის ერთეული. ტერმინი მიემართება მაქსიმალური პროექციის, ან შემადგენელი ნაწილის განსაკუთრებულ ტიპს და აერთიანებს მაქვემდებარებელ კავშირებს, მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნიზედებს. მაიერს-სკოტონმა ტერმინები „შემადგენელი ნაწილი (‘constituent’)“ და „მაქსიმალური პროექცია“ (‘maximal projection’) გამოიყენა სინტაქსური სტრუქტურებისათვის. ისინი გვიჩვენებს ზოგიერთ იერარქიულ ორგანიზაციას.

„ბილინგვური CP“ არის უმაღლესი დონე სინტაქსური სტრუქტურების ხეზე. ეს არის იგივე რთული წინადადება, რომელიც შეიცავს სხვა შემადგენელ ნაწილებს, ან მაქსიმალურ პროექციებს, როგორც არის სახელური ფრაზები, ზმნური ფრაზები და ა. შ. (Myers-Scotton 2002: 8).

მაიერს-სკოტონის განმარტებით, ყველა მაქსიმალური პროექცია არის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ყველა შემადგენელი ნაწილი არ არის მაქსიმალური პროექცია. მაგ., ცალკეული სახელი არის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ არა მაქსიმალური პროექცია.

შემადგენელი ნაწილის მთავარი წევრი ხშირად არის სახელი, ან ზმნა, მაგრამ ცალკეული სიტყვები, როგორცაა სახელები, ან ზმ-

ნები, ასევე არის შემაღგენელი ნაწილები. მაგ., სახელური ფრაზაა ‘*the little dog*’. აქ ‘*dog*’ არის მთავარი შემაღგენელი ნაწილი. მაგრამ მთელი სახელური ფრაზა ‘*the little dog*’ ასევე არის შემაღგენელი ნაწილი. იგივე ითქმის შემდეგი ზმნური ფრაზის შესახებ: ‘*ate the whole cake*’ – ეს ზმნური ფრაზა მოიცავს ზმნასა და პირდაპირ ობიექტს, რომელიც ასრულებს პაციენსის სემანტიკურ როლს (Myers-Scotton 2006/2013: 238).

ჩვენი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ გადართვაში შეიძლება მონაწილეობდეს მცირე თუ დიდი შემაღგენელი ნაწილები, დაწყებული ცალკეული სიტყვითა და დამთავრებული წინადადებით. როგორც ზემოთ ვნახეთ, გადართვები ხშირია სიტყვის შეგნითაც – მორფემის საზღვართან.

შემაღგენელ ნაწილებს რამდენიმე ნაწილად ვყოფთ. ესენია:

1. სიტყვა

2. სინტაგმა

3. ფრაზა (წინადადების ნაწილი)

4. შერწყმული და რთული წინადადების შემაღგენელი ნაწილები

მონოგრაფიაში ცალ-ცალკე გვაქვს გაანალიზებული მორფემის საზღვართან გადართვისა და შემაღგენელი ნაწილების გადართვის შემთხვევები: სიტყვის დონეზე, სინტაგმის დონეზე, ფრაზის დონეზე, რთული წინადადების შემაღგენელი ფრაზებისა და ცალკეული წინადადებების დონეზე.

ერთი ცალკე აღებული წინადადების ფარგლებში გადართვა შეიძლება დადასტურდეს წინადადების შუაში, ან ბოლოში, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი შემაღგენელი ნაწილი გადაერთვება. ამასთან, გადართვა შეიძლება დაფიქსირდეს რამდენიმეგზის, ანუ კოდები ხშირად შეენაცვლოს ერთმანეთს.

გამოიკვეთა, რომ წოვათუშურ-ქართულ ბილინგვურ დის-კურსში გადართვა ხდება ორივე მიმართულებით: წოვათუ-შურიდან ქართულზე და პირიქით. გადართვის მიმართულებას ვადგენთ წინადადების პირველი სიტყვის მიხედვით: თუ ის წო-ვათუშურ ენას ეკუთვნის, მაშინ წინადადების შიგნით, ან ბო-ლოში დადასტურებული გადართვა იქნება წოვათუშურიდან ქართულზე, ხოლო, თუ წინადადება ქართულად იწყება, მაშინ გადართვის მიმართულება იქნება ქართულიდან წოვათუშურზე. ამის გათვალისწინებით, წინადადების თავში კოდის გადართვაზე არ ვსაუბრობთ, გარდა მორფემის საზღვართან დაფიქსირებული გადართვის შემთხვევებისა.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ წინადადების დასაწყისი, ჩვე-ნი მასალის მიხედვით, არ განსაზღვრავს მატრიცა ენის სტატუსს. ნებისმიერი მიმართულების გადართვის დროს მატრიცა ენა არის წოვათუშური, რადგან ის ადგენს წინადადების ფონეტიკურ და მორფოსინტაქსურ ჩარჩოს. ამდენად, თანაბრად შესაძლებელია, წინადადება დაიწყოს როგორც მატრიცა, ისე ჩართული ენით. ამ კონტექსტში ვსაუბრობთ წინადადების შიდა გადართვაზე და არა წინადადებებს შორის გადართვაზე, რომელიც პირველისგან განსხ-ვავეული მოვლენაა. რამდენადაც მის დროს ერთი წინადადება სხვა ენაზეა და მეორე სხვა ენაზე, თითოეული წინადადების მორფოსინ-ტაქსური ჩარჩო იმ ენის წესების შესაბამისად აიგება, რომელსაც ის ეკუთვნის. კოდის გადართვის ამ ორ სახეობას შორის სხვაობაც, უპ-რველესად, ამ კუთხით ვლინდება.

ნაშრომში ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეული მიმართულების კოდის გადართვის შემთხვევებს.



## კოდის გადართვა წოვათუშურიდან ქართულზე

### კოდის გადართვა მორფემის საზღვართან

ფონეტიკური საკითხის მიმოხილვისას შევეჩეთ კოდის გადართვის მაგალიტებს მორფემის საზღვართან და აღვნიშნეთ, რომ მორფოლოგიურ თავისებურებებს განვიხილავდით მომდევნო თავში.

ჩვენი მასალის მიხედვით, მორფემის საზღვართან კოდის გადართვისას ქართულ ლექსიკურ ერთეულს, გრამატიკული თვალსაზრისით ძირეულ მორფემას, დაერთვის წოვათუშური გრამატიკული მორფემა, რის შედეგადაც ქართული ლექსემა მთლიანად კარგავს ქართულ მორფოლოგიურ ყალიბს და იღებს წოვათუშურს.

შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ წოვათუშური გრამატიკული მორფემის დართვა ქართულ ძირეულ მორფემაზე იმავე მორფოლოგიური წესების დაცვით ხორციელდება, როგორც მისი დართვა წოვათუშურ ძირეულ მორფემაზე: იგი შეიცავს ყველა იმ მორფოლოგიური კატეგორიის ნიშანს, რომელსაც გამოაგლენდა წოვათუშურ ლექსიკურ მორფემაზე დართვის შემთხვევაში.

მორფემის საზღვართან კოდი გადაერთვება როგორც სახელურ, ისე ზმნურ და სახელზმნურ ფორმებში, როგორც წინადადების თავში, ისე შუაში, ან ბოლოში (კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ წინადადების თავში კოდის გადართვაზე ვსაუბრობთ მხოლოდ მორფემის საზღვართან გადართვის დროს).

**1. გადართვა სახელურ ფორმებში:**

**ა) არსებით სახელებში:**

*„დედაძთილ-მამაძთილეს (მარნან-მარდადას) ჩუ ხაპ ორ ატარ-*

ძალ (წინუს)... ლივ, ძე, ეკუს ე დეწე და, ეკუს ე დეწე დანემნო, ეს – დედამთილ-მამამთილი ეუბნებიან, დავუ შეათ, კახელი მოვიყვანეთ რძლათ...“

‘დედამთილ-მამამთილი დასვამენ პატარძალს და... ეუბნებიან, რომ ამას ეს უნდა დაუძახო, ამას ეს უნდა დაუძახო, ეს – დედამთილ-მამამთილი ეუბნებიან; დავუ შეათ, კახელი მოვიყვანეთ რძლათ.’

მოცემულ მაგალითში პირველ შემთხვევაშიც გადართვა გვაქვს (დედამთილ-მამამთილ-ეს) და მეორე შემთხვევაშიც (დედამთილ-მამამთილი ეუბნებიან), მაგრამ პირველში გადართვა ხდება მორფემის საზღვართან, სადაც ქართულ არსებით კომპოზიტურ სახელს მიეხმის წოვათუშური გრამატიკული მორფემა, რომლის შემდეგაც თხრობა წოვათუშურად გრძელდება.

„ო დაპატყებულ ხალხს (დენიჩრ ნახს) ეეჰორ კოტორ, ვამზადებულა ეველაფერი (ქჷქედინრ უმაყ)...“

‘იმ დაპატყებულ ხალხს მიაართმევდნენ კოტორს, ვამზადებულს ეველაფერს’.

აქ საზღვრული (ხალხის) წოვათუშური გრამატიკული მორფემით არის წარმოდგენილი.

„შრატ (მაწრ) ჰალ და ეოეს, ჩათე ჩუ დოლოეს, ჩუ დაწურადდოს (ჰაჷყოს), ე შეფუთადდოს (ჩუ ჰარხდოს), ექ კაძი ე ხანელოდ იმა ში... აი, ისა, იმა ში (უდსა... აპი, ო, უდსა)... წაკელრ (ბერლომელრ) ეებლოს.“

‘შრატს ამოვიღებ, ხანთა ში ჩავღებ, ვაწურავ და შეფუთავ, მერე ცოტა ხან ში იმა ში... წაკა ში ვღებ’.

„ავვისტო და, ავისტო **დასაწყისე** (უდოხე) და.“

‘ავვისტო შია, ავისტოს დასაწყის შია’.

„ჰადჷნო, ანტალეგო რუსი მენახში ღებახებანო **კაფო** (ტჷაკო) ქიმიურ ფორმული ყვანადდო.“

‘უყურებს, ანტალასთან ვილაკ რუსები სხედან და ტალახის ქიმიურ ფორმულებს იყვანენ’.

მორფემის საზღვართან გადართვა მოცემულ შემთხვევაში დასტურდება პრეპოზიციულ მართულ მსაზღვრელთან. წოვათუშურ ენას, ქართულისგან განსხვავებით, მსაზღვრელ-საზღვრულის მხოლოდ პრეპოზიციული წყობა ახასიათებს. **კაფო** მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. ო მორფემა ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ეკვივალენტია.

„ზურბეს შარი ვაშო ჰაჭვიე კახახ, მე ოჯხე წევრი **ბარელე** (კახახი) ჰალო დიკრალო.“

‘ზურაბმა თავისი ძმა ვამოვ ზავნა კახეთში, რომ ოჯახის წევრები ბარედან აეყვანა’.

„**ბარელე**“ (ბარიდან) ფორმაში -**ლო** თანდებულია, ხოლო პირველი **ე** არის ესივის ნიშანი.

„დუხანე კითხოდე დადივ, მან **კვალმაქ** (თჷაქმაქ) ცო ოთმაკო.“

‘დიდხანს იკითხეს მშობლებმა, მაგრამ კვალზე დადგომა ვერ შეძლეს’.

„**კვალმაქ**“ ფორმაში -**მაქ** ქართული -**ზე** თანდებულის ბადალია.

წინადადებაში შეიძლება რამდენჯერმე შეგვხვდეს გადართვა მორფემის საზღვართან. მაგ.:

„ვასერგო ჩუჰ ბოტციჩო **შალო** (მანუქ) **შარგლო** დაფხურ. ჯვანი ღორ, **ქალობა** (ჯვანი) მე ღო ოც. **ლორის** (ვაწ)... უაბი ვაწნა თუხლო ჰალო იბოღრ.“

*‘კატებს შინ მოქსოვილი შალოს შარგლოები ეცვათ. ქალობებს ასხამდნენ, ქალობებს რომ ეძახიან ახლა. ღორის... ძროხების ტყავს მარლოში იმას უშვრებოდნენ.’*

„**შალო**“ მართული (სუბსტანტიური) მსაზღვრელია, - *ქნათესაობითის ნიშანია.*

„**ქალობა**“ მრავლობითი რიცხვის ნომინატივია, - ი ნომინატივის ნიშანია მრავლობითში. პირველად ნახსენები **ქალამანი** წოვათუშურადაა ნათქვამი (**ჯვანი**), მეორე კი - ქართულად.

## ბ) ზედსართავ სახელებში:

„ო ვარ თოთ ვოსინ, დაჰან თეტ, **მარჯვე** (ატეხ) ქოკ.“

*‘იმათ თოთი ესროლოეს და დაუჭრეს მარჯვენა თეხი.’*

## გ) რიცხვით სახელებში:

„ათასგომცე (აზარგომცე) ჩუდხ ნილოურ.“

*‘ათასამდე ბატკანი იქნებოდა’.*

## II. გადართვა ზმნურ ფორმებში:

„ო ვუს იშტუ ღაზე ღანში **ვაშეტბა**დიქ (საბდიქ) სონაზნოქ, სო მან დაბწუქ ცო დაბწან.“

*‘იმან ასეთი კარგი სიტყვები ვაშეტბა ჩემთვის, მე კი არც კი ვიცნობ-მეთქი’.*

სიტყვა „**ღაშნი**“ (‘სიტყვები’) მიეკუთვნება საგანთა კლასს, რომლის მაჩვენებელი **ღ-** აფიქსიც გამოხატულია ზმნაში.

„ათხ ე ვაკე სო **გადმოსახლობა**დადღრე (დემხკჩე/დუდტჩე), თხო<sup>რ</sup> მე ზობლათ მჭ<sup>რ</sup> იმერლოუდ გუდალ<sup>რ</sup>ქ, მჭ<sup>რ</sup> მეგრობი, მჭ<sup>რ</sup> გურული<sup>რ</sup>...“

‘*ჩვენ რომ ამ ვაკეში გადამოვსახლდით, ჩვენს მე ზობლად ზოგნი იმერლები აღმოჩნდნენ, ზოგნი მეგრელები, ზოგნი გურულები.*’

ამ შემთხვევაში ორი შესაძლებელი მოკლე ფორმიდან (რომელიც ფრჩხილებშია მითითებული) წოვათუშმა არც ერთი არ გამოიყენა და იხმარა წოვათუშურისთვის საკმაოდ უჩვეულოდ გრძელი ფორმა. საანალიზო სიტყვაში **ღ-** საგანთა კლასის მაჩვენებელია, **ადღ** – ზმნის გარდაუვალობის მაწარმოებელი, ზმნის წინ ნახმარი „**სო**“ ზმნიზედაა, რომელიც აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას მოსაუბრისკენ. ამ შემთხვევაში რესპონდენტმა იხმარა მიმართულების აღმნიშვნელი ორი სიდიდე: წოვათუშური „**სო**“ ზმნისართი და ქართული „**გადმო**“ ზმნისწინი. წოვათუშურ ენაში უზმნისართო ფორმები ატარებს განზოგადებულ ხასიათს, ზმნისართიანი კი აკონკრეტებს ზმნით აღნიშნული მოქმედების მიმართულებას. რაკი ბლინგემა თავის თხრობაში ქართულიდან აიღო ეს სიტყვა, წოვათუშურ წინადადებაში ის გადაიტანა სრულფასოვნად – ზმნისწინიანად და ამით არ დააზიანა მისი შინაარსი: ქართულში „**გადმოსახლება**“ ფორმა უზმნისწინოდ არ იხმარება (არ გვაქვს „**სახლება**“).

მეორე მხრივ, მთქმელს თავისუფლად შეეძლო, „**სო**“ არ გამოეყენებინა, რამდენადაც წოვათუშურში უზმნისართო ფორმებიც იხმარება, მით უფრო, რომ „**ვაკე**“ (ვაკეში) ლექსემა უკვე ახდენდა კონკრეტინაციას. მოსაუბრემ მოცემული ზმნისართით ზედმიწევნით დააკონკრეტა ზმნით აღნიშნული მოვლენის არსი, რის შედეგადაც

ორიენტაცია გამოიხატა ორმაგად. განხილული მოვლენა უნდა მივიჩნიოთ მორფოლოგიური კონტამინაციის ნიმუშად.

მოცემულ მაგალითში „ათხ“ (ჩვენ) პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ექსკლუზიური ფორმაა ერგატივიში. მისი კლასის მაჩვენებელი **ღ-** ასახულია ზმნაში.

„ოშტყ ნიჭიერ ვანორ ტატო, მე ჰამივაყ **ვადაწყვეტ**დინორ (ხიტდინორ) ო ღამღა სანღვარგართ ჰაჭვარ.“

‘ისეთი ნიჭიერი ყოფილიყო ტატო, რომ ყველას ვადაწყვეტა მისი სასწავლებლად საზღვარგართ ვავ ზავნა’.

„**ვადაწყვეტ**დინორ“ წოვათუ შურში თხრობითი კილოს უნახავი აქტის განსაზღვრული ფორმაა (თურმეობითი მწკრივი). **ნორ** თურმეობითის მაჩვენებელია, **ღ-** – კლასის ნიშანი, ხოლო მისი მომდევნო **ი-** ხმოვანი – თანხმოვანთაგამყარი.

„ქუდრწლეს დისწლენ ნანვაშას ხატ ქჷქოდრ; ტყობალა, უდმ ზორემ ღოსხეთერ ო შარძ დისწულ **ვახენა**დალარ (ხილარ), მე... (დუდჷრქ ხუმ ოჯარჩუ დო მაჰოვ ბადერ, შედრჩუ), ნანვაშენ უდმ ზორემ ღოსხეთერ დისწულ **ვახენა**დალარ (დარ), მე ჰალ დავდემღიე ქუდრწლეს ხატ ექედან ვალქ.“

‘ქორწილში დედისძმა დისწულის ხატს უშვადებ; ჩანს, ისე ძალიან უხაროდა იმ თავისი დისწულის ვახენა, რომ... (თავდაპირველად ხომ იმათას აჩენს ქალი ბავშვს, თავისას) დედისძმას ისე ძალიან უხაროდა დისწულის ვახენა, რომ როცა ვაიზარდა, ქორწილში ხატის შვადება იწყო’.

„ხკო მქ დაჰ **ღამთაფრბა**ლარ (ცქერ დალოურ), შოქ ბარგ ჩუაჸ **ჩაღაგბა**დმოქრ (დოხკოქრ), კაწკან ბნდრი ჩუ ხაბჸდოქრ თადლონხხ...“

*‘ზაფხული რომ ღამთაფრდებოდა, თავიანთ ბარგს ისევ ჩაღა-  
აგებდნენ, პატარა ბავშვებს ისევ ჩასხამდნენ ხორჭვინებში.’*

„ათას ცხრაას შაუხტყანცჸინი შარე ბუჰ ბოლბალინე, სქ დად  
სალთენხ ვიქქ. ფხი დენიდლოქ სქ ვაშრ **ღაბადბადეალო**“ (ხილოქ).

*‘ათას ცხრაას ორმოცდაერთ წელს ომი დაიწყო და მამაჩემი  
ჯვარში წაიყვანეს. ხუთი დღის მერე ჩემი ძმა დაიბადა.’*

„იშტ ნაყა დოჰ ჩუ ოთმარ ცო **შეძოქება**ლარ.“ (ხილოურ)

*‘ესე ვ ზაში გოგოს ვაჩერება არ შეიძლებოდა.’*

### III. გადართვა სახელზმნურ ფორმებში:

„ზორამში **განათობადეა**დონრ (ნამდიენრ) სტაკ ლევეკორ, ღამჰკ  
ნაყინქინერ.“

*‘ბაღზე განათლებული კაცი ყოფილიყო, რკინე ზის ინქინერი’.*

გადართული მიმღეობა ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნ-  
ქციითაა გამოყენებული. **გ-** მორფემა მიუთითებს **სტაკ** (კაცი)  
არსებითი სახელის კლასზე. ქართული მასდარები უმეტესად **ა**  
ხმოვანზე ბოლოვდება (სხვა მაწარმოებლების როლი აქ უმნიშ-  
ვნელოა), წოვათუშურ ენაში კი ზმნურ ძირს, რომელიც ყოველთ-  
ვის დახურული მარცვლითაა წარმოდგენილი, მასდართა საწარ-  
მოებლად, გვარების მიხედვით, **ღარ** ან **ღალარ** მეშველი ზმნები  
დაერთვის. სესხების პროცესში ქართული **ა**-მაწარმოებლიანი მას-  
დარი გააზრებულ იქნა, როგორც ზმნური ძირი, და მეშველი ზმ-

ნაც მას დაერთო. ამ დროს, წოვათუშური ენის ძირთა სავალდებულო დახურულმარცვლიანობის ძველი პრინციპის შესაბამისად, საჭირო გახდა ბოლო ა-ზე რაიმე თანხმონის დართვა. არჩევანი გადაწყვიტა ნახური ენებისთვის დამახასიათებელმა სრული კონტაქტური ასიმილაციის წესმა და მეშველ ზმნათა წინ მდგომმა თანხმონამა დ-ს სახე მიიღო. ამ გზით – ორენოვნების ჩამოყალიბების ადრეული საფეხურისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ-ფონოლოგიურ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით – ნასესხებ მასდართათვის ჩამოყალიბდა შემდეგი მოდელი: **ქართული მასდარი + დ + დ|არ/დ|ალარ**.

ანტონ შიფნერის მიერ საუკუნენახევრის წინათ შედგენილი წოვათუშური ენის გრამატიკისთვის დართულ ლექსიკონში შესული 68 მასდარიდან **დონ**-იანი ფორმითაა მოცემული 62 ერთეული (A. Schiefner, “Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien”: Mém. VI Série, Sc. politiques ets., IX, St.-Petersbourg, 1859.). **დონ**-იანი ფორმები გვაქვს ქადაგიძეთა ლექსიკონშიც (დ. ქადაგიძე, ნ. ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1964).

ნასესხები მასდარების აღნიშნული მოდელი დღეს უკვე შეცვალა ახალმა, **დ**-ჩამოცილებულმა ფორმებმა, თუმცა ზოგჯერ ის ჯერ კიდევ იხმარება პარალელურად მოუბართა ასაკობრივი დონეების მიხედვით. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ნასესხები სიტყვების ქართულთან დაახლოების გზაზე – დაიწყო წოვათუშური ენის დახურულმარცვლიანობის პრინციპი, ნასესხებ მასდართა მოდელმა კი უფრო მარტივი სახე მიიღო. გვაქვს პირდაპირ: **ქართული მასდარი + დ|არ/დ|ალარ**.



ზედიზედ მისული ორი **დღ**-დან დატოვებულია კლასის მაჩვენებელი, მაგ., **დაბერტყა|დ|არ** (<**დაბერტყად|დ|არ**) '*დაბერტყვა*'; **დაწერა|დ|არ** (<**დაწერად|დ|არ**) '*დაწერა (დაწერს)*'... მაგრამ სხვა კლას-მაჩვენებლის შემოტანის შემთხვევაში, ბილინგვთა ასაკობრივი დონეების მიხედვით, შეიძლება აღდგეს ეს გაუქმებული **დ**: **დაბერტყა|მ|არ** – **დაბერტყად|მ|არ** '*დაბერტყვა*', ანალოგიურად **დაბერტყა|ბ|არ** – **დაბერტყად|ბ|არ** და ა. შ. (ბერთლანი 2012 (ა): 11-12).

„...დენი უმს ვარსოჲ, ექ, ფსარლუმნ, ვოლვედუნას სახალხ მედიცინა *შესწავლად* (ჯამმან).“

*‘დღისით იქ ვიყავი და შერე, საღამოთი დავიწყე სახალხო მედიცინის შესწავლა’.*

„წინასწარ *დაგროვებ* დიქონ (ლაჰდიქონ) კენჭივ კაწკოი წა თაგ-დ დადლარას.“

*‘წინასწარ მოგროვილი კენჭებით პატარა სახლის გაკეთებას ვცდილობდი’.*

დიე მიძღვობის მაწარმოებელია, სიტყვასიტყვით ნიშნავს: „*დაგროვება ქმნილი*.“ „*დდიქონ*“ არის ქმნილი. ბრუნვა ინსტუმენტალისია, **დ**- კლასის მაჩვენებელია.

ამრიგად, მორფემის საზღვართან კოდის გადართვის დროს ქართული ლექსიკური მორფემა მთლიანად ექვემდებარება წოვათუშურ მორფოლოგიურ მოდელს. წოვათუში მოსაუბრე ახდენს მის მორფოლოგიურ ინტეგრაციას თავის ენაში.

## გადართვა სიტყვის დონეზე

მოცემულ პარაგრაფში განვიხილავთ ცალკეული სიტყვის გადართვის შემთხვევებს.

კრიტიკულად, რომ კოდის გადართვა გაგვეჩივია არაგადართვისაგან, ავიღეთ წინადადების საყრდენი (ბაზისურ) ენაში ერთეულის ინტეგრაციის ხარისხი. მოცემული ერთეული ჩავთვალოთ კოდგადართულად, თუ მას ეკვივალენტი მოეპოვება წოვათუშურ ენაში. კვლევის ასეთი მეთოდი აპრობირებულია სოციოლინგვისტიკის სფეროში (იხ. Berk-Seligson 1986). ამ მეთოდის საშუალებით მარტივად განიჩქევა ნასესხობები კოდგადართული ერთეულებისაგან.

ბერკ-სელიგსონს მოჰყავს მაგალითი, სადაც საანალიზო სიტყვა ინტეგრირებულია ბაზისურ ენაში და, ამდენად, ის უკვე წარმოადგენს ნასესხობას.

‘Kómo ke stan únas *búbaz*.’

‘As if they were dolls.’

მოცემულ წინადადებაში *bubaz* ‘dolls’ ფონოლოგიურად ესპანურია (სიტყვის მთავარი მახვილი მოდის ბოლოდან მეორე მარცვალზე), მორფოლოგიურადაც ესპანურია (მთავრდება ესპანურ მრავლობითის მაწარმოებელ -s-ზე, რომელიც რეალიზებულია [z]-ს სახით ბეჭდეს ესპანურ გეოგრაფიულ დიალექტში; ებრაულში მდებრობითი სქესის არსებითი სახელი მრავლობითში ფორმდება -ot დაბოლოებით. ის სინტაქსურადაც ესპანურია, რამდენადაც ის მოსდევს განუსაზღვრელ არტიკლს, რომელსაც, თავის მხრივ, წინ უძღვის კოპულა *estar*. არც არტიკლი და არც კოპულა არ იქნებოდა წარმოდგენილი შესაბამის ებრაულ წინადადებაში.

გადართული სიტყვა ჩვენს მასალაში შეიძლება იყოს სინტაგმის წევრი და შეიძლება არც იყოს. წოვათუშურ-ქართულ ბილინგვურ დისკურსში გადაერთვება მეტყველების სხვადასხვა ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, გარკვეული ჯგუფის ნაცვალსახელები, ზმნა, ზმნიზედა, კავშირი, ნაწილაკი.

მაგალითები:

1. **გადართულია არსებითი სახელი:**

„ღეწეს შუგრ ღეფცა, მოღჟ ძნელ **ცხოვრებ** (დახილა) დარ ქიქოც მემცხოზოგო...“

*‘უნდა ვიამბოთ, როგორი ძნელი ცხოვრება ჰქონდათ ძველად მეცხვარეებს...’*

ასეთი მაგალითები ხშირია, როდესაც გადართული სახელი სინტაქსურ წყვილს ქმნის წინამავალ და მომდევნო წევრებთან: მოცემულ ნიმუშში „**ცხოვრებ**“, რომელიც, სინტაქსური თვალსაზრისით, ქვემდებარეა, ორი სინტაგმის წევრია: ერთი მხრივ, ქვემდებარისა და განსაზღვრებისა („**ძნელ ცხოვრებ**“), მეორე მხრივ, ქვემდებარისა და შემასმენლისა („**ცხოვრებ** დარ“). განსაზღვრება „**ძნელ**“ ნასესხობას წარმოადგენს და წოვათუშური ენის ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის, შემასმენელი კი მკვიდრი წოვათუშური სიტყვაა.

გადართული ქართული სიტყვა ორივე წევრთან შეთანხმებისა და მართვის სინტაქსური წესებით არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ ნათქვამი უფრო ნათელი იყოს, მოვიხმობთ წოვათუშური ენის გრამატიკას:

სინტაქსური წყვილის წევრებს ამ ენაში ზიარი შეიძლება ჰქონდეთ კლასი, ბრუნვა და რიცხვი. მოცემული კატეგორიების მიხედვით მ. მიქელაძე გამოყოფს შეთანხმების ხუთ სახეს:

1. სახელი სახელს ითანხმებს ბრუნვაში;
2. სახელი სახელს ითანხმებს ბრუნვაში, კლასსა და რიცხვში;
3. სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში;
4. სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში;
5. სახელი ზმნას ითანხმებს კლასში, რიცხვში (კლასნიშნით) და ისევე რიცხვში (პირის ნიშნით).

ხუთივე შემთხვევაში მათანხმებელი წევრი სახელია (მიქელაძე 2015: 15).

ამავე ენაში გვაქვს მართვის შემდეგი სახეები:

1. სახელი სახელს მართავს ბრუნვაში;
2. ფორმაუცვლელი სიტყვა მართავს სახელს ბრუნვაში;
3. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში;
4. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში;
5. სახელი მართავს ზმნას პირში.

წოვათუშურში ზმნა სახელს ყოველთვის მართავს ბრუნვაში, სახელი კი ზმნის უკლასნიშნობისა და უპირისნიშნობის შემთხვევაში გავლენას ვერ ახდენს მის ფორმაზე (მიქელაძე 2015: 19-20).

მოცემულ მაგალითში სახელებს შორის („**ძნელ ცხოვრებ**“) რეალიზებულია შეთანხმების პირველი სახე, რადგან მსაზღვრელი უკლასნიშნოა და სახელი მას მხოლოდ ბრუნვაში ითანხმებს.: „**ცხოვრებ**“ სახელობითი ბრუნვის ფორმაა, მასთან მსაზღვრელიც ნომინატივში ნულოვანი ფლექსიით წარმოდგება.

მოცემული სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში: მისი კლასის ნიშანი **ღ**- ასახულია ზმნაში: **ღარ** (ჰქონდათ). მოსაუბრეს რომ კოდი არ გადაერთო და „**ცხოვრების**“ წოვათუშური ეკვივალენტი „**ღანბლონ**“ გამოეყენებინა, კლასის ნიშანი იქნებოდა **ღ**:- **ღარ**. ამდე-

ნად, განსახილველ შემთხვევაში სახელსა და ზმნას შორის რეალიზებულია შეთანხმების მეოთხე ტიპი.

კლასის კატეგორიის გამონატვა წოვათუშურში შედარებით მდგრადი აღმოჩნდა ინტერფერენტული პროცესების მიმართაც, თუმცა მასში ჩამოყალიბება დაიწყო პირის კატეგორიამ. თუ მანამდე ზმნაში მხოლოდ კლასი აღინიშნებოდა, ესლა პირიც აღინიშნება (მიქელაძე 2011: 221). თანამედროვე ეტაპზე პირისნიშნისა და უპირისნიშნო ფორმები პარალელურად გამოიყენება და უპირატესობა კლასნიშნისების მხარესაა: ზმნაში აქტანტის კლასის მარკირება სავალდებულოა, პირის რომლობისა კი მოუბარის სურვილზეა დამოკიდებული (იქვე: 222).

მართვის საკითხში ასეთი სურათი გვაქვს: სახელი ზმნას მართავს პირში: შეიწყობს III პირის ფორმით (თუმცა მისი ნიშანი ზმნაში არასდროს გამოიხატება. სწორედ ამით უპირისპირდება ის I და II პირების ფორმებს). ზმნა კი სახელს მართავს ბრუნვაში: მოცემული გარდაუვალი ზმნა მისგან ნომინატივის ბრუნვას მოითხოვს.

გარდაუვალ ზმნასთან შეწყობილი ქვემდებარე შეიძლება იდგეს სახელობითში, ან მოთხრობითში: საშუალო გვარის ზმნასთან ის ყოველთვის ერგატევიანია, ხოლო სხვა გარდაუვალ ზმნათა ქვემდებარის ბრუნვას ზმნის აქტიურობა-პასიურობა განსაზღვრავს: ის ხან სახელობითშია, ხან მოთხრობითში. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ მწკრივში დგას ზმნა (იქვე: 56).

წოვათუშური ენის ზმნას პირის კატეგორია ბოლომდე ჯერა არა აქვს ჩამოყალიბებული, კლასნიშნით კი მხოლოდ ერთი პირი გამოიხატება: გარდაუვალ ზმნებში – ქვემდებარე, ხოლო გარდამავალ ზმნებში – პირდაპირი დამატება. შესაბამისად, წოვათუშური ენის გარდამავალი ზმნა მხოლოდ ორპირიანია. პირდაპირი დამატება აქ ბრუნვაუცვლელია

და ზმნის ნებისმიერი მწკრივის ფორმასთან სახელობითში დგას. კლას-  
ნიშნის გარდამავალ ზმნებში ისაა კლასნიშნით გამოხატული. ნებისმი-  
ერი გარდამავალი ზმნა მას მართავს ბრუნვაში, ის კი ზმნას ითანხმებს  
რიცხვსა და კლასში (ამ ზმნის კლასნიშნობის შემთხვევაში) (იქვე: 59).

ამდენად, მოცემული ფრაზის მატრიცა ენა წოვათუშურია: გად-  
ართული სიტყვა ფონეტიკურად წოვათუშურია: ის იკვეცს აუსლაუ-  
ტის ხმოვანს; მორფოლოგიურადაც წოვათუშურია: ნომინატივში  
წარმოდგება ნულოვანი ფლექსიით (ამ შემთხვევაში, როგორც  
ხმოვანფუძიანი სახელი, ქართულის ბრუნების მოდელს ემთხვევა,  
თუმცა ქვემოთ ვნახავთ, რომ თანხმოვანფუძიანი სახელები ნომინა-  
ტივში ყველგან ფუძის სახით იხმარება, მაგ., „**ჩალმალა ზაღს**“); სინ-  
ტაქსურადაც წოვათუშურია: ზმნას ითანხმებს კლასის კატეგორიის  
მიხედვითაც, რისი უნარიც ქართულში არა აქვს.

ანალოგიური მაგალითებია შემდეგი:  
„ზორაღში ყქ **ცხოვრებ**(დნხილნ) მარ ეჭათ ჰამიგჰეც.“  
‘*ძლიან ვაჭირვებული ცხოვრება პქონდა მაშინ ყველას*’.

„კაწკოწ **პურ-მარილი**(თუმხ-მამჯნ) თეგლარ ოსი.“  
‘*პატარა პურ-მარილი კეთდებოდა იქ*’.

„ზორაღში ლაზქ, კეთილ, ჩალმალა **ზაღს**(ნახ) მა ბაცბი.“  
‘*ძლიან კარგი, კეთილი, თბილი ზაღსია წოვათუშები*’.

„**ზაღს**“ მიკუთვნებულია **ღ-** კლასს, მაშინ როცა მისი წოვათუ-  
შური ეკვივალენტი „**ნახ**“ **ღ-** კლასს განეკუთვნება. ზოგადად, გად-  
ართული სახელების ამა თუ იმ კლასისთვის მიკუთვნება პირობითია,

ისევე როგორც პირობითად თავად წოვათუშურ სახელთა ამა თუ იმ კლასში განაწილება. რთულია იმის თქმა, რა პრინციპით აკუთვნებენ ბილინგვი წოვათუშები გადართულ ქართულ სახელებს რომელიმე კლასს.

წოვათუშურში არის 4 კლასი: **გ**- კლასი (ეს კლასი მიუთითებს ღმერთზე, ანგელოზსა და ასაკოვან მამაკაცზე), **დ**- კლასი, **ბ**- კლასი და **ჟ**- კლასი (ეს სამი კლასი მიუთითებს საგნებზე). საინტერესოა, რომ, რა სახითაც შემოდის პირველად ესა თუ ის ქართული სახელი წოვათუშურში და რომელ კლასშიც არის დადგენილი, ასევე ხმარობს ყველა წოვათუში. თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება დარღვევები კლას-კატეგორიების ნიშნების გამოყენების თვალსაზრისით (და არა მარტო ამ მიმართულებით).

საანალიზო სიტყვა სინტაქსურად შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს წარმოადგენს, ნულოვანი დაბოლოებით. ამდენად, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ქართულია, დამხმარე ზმნა კი – წოვათუშური:

შემდეგ მაგალითშიც გადართულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი:

ინტერვიუერი: „*ეჯუშქვისლო* (ბავჯ) ვა.“

‘*ამისი ქვისლია*’.

„*ეჯუშ*“ ატრიბუტული მსაზღვრელია. გადართული სახელი „*ქვისლო*“ მას ითანხმებს ნომინატივში ნულოვანი ფლექსიით. მეორე მხრივ, „*ქვისლო*“ ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში, ზმნა კი მას მართავს ბრუნვაში.

„განადღობებადმალწიჩ ფსტუმჩიოვ დჷ-ბუდსნ ვაშახ ნიტსდ-  
ორალრ *საქმ*(ბოთხ) თეგდოშ.“

*‘ვანაღონსებულო ქალო დღე-ღამეს ასწორებდა თურძე საქმის  
კეთებით’.*

„*საქმის კეთება*“ წოვათუშისთვის არ არის მსაზღვრელ-საზ-  
ღვრული. სინტაქსურად „*საქმ*“ პირდაპირი დამატებაა და არა უბრალო  
დამატება, როგორც ქართულში. ენა ზმნის უპირო ფორმებთანაც ინ-  
არჩუნებს პირიანი ფორმების სინტაქსურ კონსტრუქციას, რის გამოც  
„*საქმ*“ ნომინატივში დგას. ამ შემთხვევაში წოვათუშურმა ქართული  
სიტყვა თავის სინტაქსურ ყალიბში ჩასვა.

„*თეგდოშ*“ აბსოლუტივია წოვათუშურში, **დ**-კლასის მაწარ-  
მლებელია. მოსაბრემ „*საქმ*“ მიაკუთვნა **დ**-კლასს, მაშინ როცა წოვა-  
თუშური ეკვივალენტი იმთავითვე **ბ**-კლასის არსებითი სახელი იყო:  
მოსაუბრეს წოვათუშური ეკვივალენტი „*ბოთხ*“ რომ გამოეყენებინა,  
გვექნებოდა „*თეგბოშ*“.

„ვასერგო ჩუჰ ბოფცაჩჩ *შალო* (მწმე) *შარგლო* დათხურ. ჯანი  
დორ, *ქაღობნი* (ჯანი) მჷ დო აც. *ღორის* (ჯაა)... ჟაბა ჯაჯნა თუხლო  
ჰალო იბოერ...“

*‘კაცებს შინ მოქსოვილო შალოს შარგლოები ეცვათ. ქაღამნებს  
ასხამდენენ, ქაღამნებს რომ ეძახიან ახლო. ღორის... ძროხების ტყავს  
მარლოში იმას უშვრებოლენენ’.*

როგორც მაგალითიდან ჩანს, ქართული მართული მსაზღვრელი  
ორი სახით ჩაერთვება წოვათუშურ ფრაზაში: წოვათუშური ნათეს-  
აობითი ბრუნვის ნიშნით, რომლის მაგალითიცაა „*შალო* *შარგლო*“ და  
ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით, რომლის მაგალითიცაა „*ღო-*



რის განაღმნა“. პირველ შემთხვევაში კოლი გადაერთვება მორთუემის საზღვართან, მეორე შემთხვევაში კი გადაერთვება სიტყვა.

გადართულია სახელი ორჯერ, ორივეგან საზღვრულის ფუნქციით.

„ო ხაღმბ(ნახ) გაწ ხაღმბ მაღ...“

‘ის ხაღმბი ზეენი ხაღმბია.’

ერთ შემთხვევაში ტოლად შერწყმულ კომპოზიტურ სახელში გადაართულია პირველი წევრი, ხოლო მეორე წევრი წოვათუშურადაა მოცემული: *მამა-პაპა* წოვათუშურად არის *ათ-პაპინ*. ზეენს მაგალითში დასახელებულია *მამ-პაპინ*.

„ო გარ აღწ, მწ, ვშალაყ თხწ ცო ხეყ შუწ... თხე *მამ-პაპინ* (ათ-პაპინ) ცრმ ხეყ შუწ, აღწ, ეგზ, შუცწ ვშალაყ ცოჰანნა დაკოდა *საერთ* (მშალ) ხიღარ, აღწ.“

‘იმათ თქვეს, რომ, სრულებით არ ვიცით თქვენი... ზეენმა მამა-პაპებმა არადფერი იცინა თქვენიო, კაცო, თქვენთან სრულებით არავის ახსოვს საერთო რამეო’.

## II. გადაართულია ზედსართავი სახელი:

„ო ვუშ *ცნობიღო* (აღენზ) ცჰა საქმ ხეყ სო.“

‘იმიღი ერთი ცნობიღი საქმე ვიცო.’

„ბაწარ ჯარნემაჰ ჰალ დშაღორ, ვწ ჰალ ღებადღორ ვეზ-ვეზ ბასავ: შარჰწ, კუწ, წეგე, *მწვა* (აფე), რა ვიცო (სოუთხეყ), უნწ ბასერზ ღარიც.“

‘ბაწარს ჯარაზე დავრეზდენენ და მერე ღებავდენენ სხვადასხვა ფერით: შავი, თეთრი, წითელი, მწვანე, რა ვიცო, რაც რამ ფერები აყო’.

III. გადართულია რაოდენობითი რიცხვითი სახელი:

„ცაა *ორას* (იწატყ) წა ლათაძლოლორ.“

‘ერთი ორასი სახელი აღვებოდა’.

IV. გადართულია რიგობითი რიცხვითი სახელი:

„ლე ბანკეტი ცო დარ, ლე *პირველ* (დუმაჭრელუქ) ზარ ცო დარ, ლე ები ცო დარ, ლე ობი ცო დარ.“

‘არც ბანკეტები იყო, არც პირველი ზარი იყო, არც ეს იყო, არც ის იყო’.

V. გადართულია პირის ნაცვალსახელი:

„მარუს უჩიტელო მე დარ, *ევეც* (ისა)... ისა აგეტ დარ.“

‘მარუსა მასწავლებელი რომ იყო, ევეც ... ევეც აგენტი იყო.’

VI. გადართულია ჩვენებითი ნაცვალსახელი:

„მე *ისეთი* (ოშტუქ) მოყმიქსრ აპრ, მე მეზობლი ხეტლარ: უხ თილრაამში ი ბანდრენანო?“

‘ღა ისეთი ჩამომიყვანეს, რომ მეზობლები ეკითხებოდნენ: რა აჭამეთ ამ ბავშვსო?’

ეს მაგალითი წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს, სადაც შენარჩუნებულია ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი. საზოგადოდ, რესპონდენტები ამ შემთხვევაში ქართულ სახელს, წოვათუ-შურის გავლენით, ნულოვანი ფლექსიით წარმოადგენენ.

VII. გადართულია განსაზღვრებითი ნაცვალსახელი:

„აღნირეჩრ მამასახლისეს ფუჟე ვაშბარ ნიბლნოეჩრ, დავალბადი-ნორ, მე *ყოველ* (წინ) ოჯხერქე ცაჰაც ყონოთ ვოჰ ვეწქე ბჟიხ ვახანანდრ..“

*‘აღონელო მამასახლისის სოფელი დაეუბრებინა და დაეგალოებინა, ყოველი ოჯახიდან თითო ახალგაზრდა ვაჟი ღაშქარში უნდა წავიდესო’.*

### VIII. გადართულია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

„მადრვაჟარხ **ზოვს** (მიხოს) კონტა დორ, მიხოს ლერწამ დორ.“

*‘მაზღობს ზოვს „კონტას“ ეძახდა, ზოვს „ღერწამს“ ეძახდა’.*

აქ ქართული „**ზოვს**“ მიცემითი ბრუნვის ფორმით არის ჩართული წინადადებაში, რადგან არ ეწინააღმდეგება წოვათუშური ენის მორფოსინტაქსურ ყალიბს: ორიბი დამატება წოვათუშურში ყოველთვის მიცემითში დგას, ისევე როგორც ქართულში და, რადგან ყალიბები დაემთხვა, მოსაუბრემ ის მზამზარეულად შემოიტანა წინადადებაში.

### IX. გადართულია მიმართვის სიტყვა და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

„ცჰა მაგალით იმტჷ და: **კაცო, ვილაცამ** (ბა, ჰანახოვ) დაჰ დაჰჲ ე სი ფორენ.“

*‘ერთი მაგალითი ასეთია: კაცო, ვილაცამ წაულო ეს სია ფორენ’.*

აქ ქვემდებარისა და შემასმენლის სინტაქსურ წყვილში („**ვილა-ცამ დაჰ დაჰჲ**“) ქვემდებარე ქართულადაა და შემასმენელი – წოვათუშურად. წოვათუშურში გარდამავალი ზმნის ქვემდებარე სამივე სერიის მწკრივებთან მოთხრობით ბრუნვაში დგას. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა ზმნის პირს, მწკრივსა თუ კილოს, არც იმას, რით არის ის გამოხატული (მიქელაძე 2015: 55). აქ სახელი ზმნას მართავს პირში (უნიშნოდ) და ითანხმებს კლასსა და რიცხვში. ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში.

ამ შემთხვევაშიც წოვათუშური და ქართული მორფოსინტაქ-

სური მოღვლეები ერთმანეთს დაემთხვა და რესპონდენტმა ქართული სიტყვა მოთხრობითი ბრუნვის ფორმითვე ჩაურთო წინადადებაში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსაუბრე აცნობიერებს მოთხრობით ბრუნვას და ხვდება, რომ ამგვარი ჩართვა წოვათუშურ ენას არ დააზიანებს. მას ფორმა მაინც მოთხრობით ბრუნვაში უნდა ჩაესვა და, რადგანაც ის უკვე იდგა ამ ბრუნვაში, აღარ შეცვალა.

**X. გადართულია ზმნა:**

„მოჰ მენჰ ბახეჩუდშეგრ აღორ მაჰჰ დადიგ, *მოვიფიქრებთო.*“  
(დაკლავეთხენნ)

‘სათხოვრელად მისულოებს ეტყოდნენ ვოვოს პატრონები, მოვიფიქრებთო’.

მოცემულ წინადადებაში ორი ზმნიდან მეორეა გადართული.

**XI. გადართულია ზმნა და საუბრის მარკერ(ებ)ი:**

„ე ქორწილ *ღამთაგრდა* (ცერ დალქ), *რალა.*“

‘ღა ქორწილი ღამთაგრდა, რალა’.

„ო წერადორ ოსი, *ითგრებოდნენ, რალაცა, სადლაცა*, მაჰჰ მაყოლ.“

‘ამას წერდნენ იქ, ითგრებოდნენ, რალაცა, სადლაცა, პურს ჭამდნენ’.

**XII. გადართულია სახელი და ზმნა:**

„ქორ ლეცმოზ *ხაოხ* (ნახ), *მიჰყავდათ.*“

‘იჭერდნენ ხაოხს, მიჰყავდათ.’

გადართული სიტყვები არ წარმოადგენს ერთი და იმავე სინტაქსის წევრებს.

XIII. გადართულია ღროისა და ვითარების ზმნიზელები წინა-  
დადების სხვადასხვა ადგილას:

„ქვეგრეჭე *ღროდაღრო* (ნაგათ-ნაგათ) ჩუ იხალათერ მემცხორი  
*რეგით...*“ (რადე)

‘*ცხვილიან ღროდაღრო შინ ბრუნდებოდნენ მეცხვარეები რეგით...*’

ორივე გადართული სიტყვა ზმნური ფრაზის შექმნისთვის  
ნაწილია: „*ღროდაღრო* იხალათერ“ / „იხალათერ *რეგით*“. პირველ  
შემთხვევაში ზმნიზედა უსწრებს ზმნას, მეორე შემთხვევაში მოს-  
დევს. სიტყვათა ასეთი რიგი არც წოვათუშურისთვის არის უცხო.

XIV. გადართულია ღროის ზმნიზედა:

„*გაიარეს საქისტოს ვორი, საყორნის ქედი*, პაფსტუნავ თეგბი-  
ენრ ნიყ, მენხუდხნ ღადჰქე ნიყ დო. *მერე* (ვე) დარ მასუდრე ვორე, *ვაე*  
(შარე) ადვილ მა.“

‘*გაიარეს საქისტოს ვორი, საყორნის ქედი, პაფსტუნავ თეგბი-  
კეთები ვ ზა, რომელსაც რეინის ვ ზას ეძახიან. მერე იყო მასორის  
ხორნი, ვაკე ადვილია*’.

XV. გადართულია ვითარების ზმნიზედა:

„ხეცი შუქ, წიროეს *ჩვენებურად* (გადღეშ) უხ წე?“

‘*იკით, წერილს ჩვენებურად რა პქეა?*’

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წოვათუშურს ქართულიდან აქვს  
ნასესხები იმავე ფუნქციით. ამიტომ ფორმის ამგვარი გამოყენება  
ბუნებრივია წოვათუშურისთვისაც.

„ურემ ჰალ ბეცე, ჰალ ბეცენე, *პირდაპირ* (ნიფს) ე ნანს ჰალ ბეცე.“

*‘ურები წამოვიდა, წამოვიდა და ამოვიდა პირდაპირ ამ ხალხთან.’*

### **XVI. გადართულია მიზნის ზმნიზედა:**

„სტოლერმანენ ფაღიაშვილ ზაქარიას დალოინრ შარწ პარტიტურ  
**შესასწორებლად.**“

*‘სტოლერმანს ფაღიაშვილმა ზაქარიამ გადასცა თავისი პარტი-  
ტურა შესასწორებლად.’*

### **XVII. გადართულია ნაწილაკი:**

„ო მოძღრიე ალწ: აი (აჰი), ხატენმაქ ფიც ბილ თხო.“

*‘იმ მოძღვართ მოახსენეს: აი, ხატ ზე დაგვიფიცე.’*

### **XVIII. გადართულია საუბრის მარკერი:**

„ოსი ალწ სოგო, ძე, ბა, კომუნისტურ პარტეე ცუდ ლეე ჰო, ჩუ  
მიღებადვოთხ (ლაცოთხ) ჰო, ალწ; ზორემშ ლაზე პარტიე მდივან ვარწ,  
ხათრ ცო ბშოგმაკწ სო, **კარგი** (დაქწ და), ედონას რა, ე მიმიღეს  
(ლაცაწსა) რა, ჩუ მიღებადვიქსა.“

*‘იქ მითხრეს, რომ, ვა, კომუნისტურ პარტიაში არ ვინდა, მი-  
ვიღებთო; ძალიან კარგი მდივანი იყო პარტიისა და ხათრი ვერ ვაუ-  
ტენე, კარგი-მეთქი რა, და მიმიღეს რა, მიმიღეს.’*

ორი სიტყვისაგან შედგენილ საუბრის მარკერში გადართულია  
მეორე წევრი:

„ტყოჲ **კარგი** (დაქწ და), ედშ გუბედონედშე, ედშ ჰობაეთ...“

*‘ვიღვე კარგი, თქვენ გამოხნდით, თქვენ წაიდეთ.’*

**XIX. გადართულია ნაწილაკი და ზედსართავი სახელი:**

„ჩუპ ბოტცინრ ბორგი... **აი** (აპი), **თუ შურ** (ბაცბურ) ბორგი...“  
‘სახლოში მოქსოვილი ბორგები... აი, თუ შური ბორგები...’

**XX. გადართულია ნაწილაკები:**

„კაწკო მუ ვარასრ, **დაახლოებით** (იშტ მუ) ის შარლუ, **აი** (აპი),  
ეჭათ ვოლვალნ სქ დად სო ლოუმ ევლარ: **ჩა** (აპრ)... აპრ ვეცენ ლოუმ-  
რენა ესეე, **დაახლოებით** დოჰნ მარ, დოჰნ.“

‘პატარა რომ ვეყავი, **დაახლოებით** ცხრა წლისა, აი, მაშინ დაიწყო  
მამაჩემმა ჩემი მთაში ტარება: ჩა... ჩამოვიდა აქ მთიდან, **დაახლოებით**  
ვა ზაფხული იყო, ვა ზაფხული.’

საინტერესოა **ხოლომე** ნაწილაკის გადართვა ზმნის შემდეგ:

„ესე, ტბათნი, ზორემშ დუენ ნახ მეყერ, ზორემშ დუენ ჰალ იხორ  
ენე, ქალქინა აპ დახკენრ, დახნიკი დორ **ხოლომე** (დლათერ), რუსულ  
დოშ და, მავრაშ იშტ დაე... ჰალ იხორ დაპ თივანენრ ტბათინრ.“

‘აქ, ტბათანაში, ძალზე ბეჭრი ხალხი რჩებოდა, ძალზე ბეჭრი ამო-  
დიოდა მერე, თბილისიდან ჩამოსული, დახნიკებს ეძახდნენ ხოლომე,  
რუსული სიტყვაა, მავრამ ასეა და... ამოდიოდნენ დასასვენებლად’.

„სტეე იდორ **ხოლომე** (ილათერ), ლებადორ? წეგოვ...“

‘რით იმას შვრებოდნენ ხოლომე, ლებავდნენ? წენკოთი...’

„მაის ახან ტბათინ **იხრათხ ხოლომე** (იხლათრათხ).“

‘მაისის ნახეგრებში მივდიოდით ხოლომე.’

წოვათუშურს აქვს ხოლმეობითის საგანგებო მწკრივი, უწყვეტლის ფუნქციით, რომელიც იწარმოება ინტენიტივზე – „*ლათერ*“ მაწარმოებლის დამატებით. ამ შემთხვევაში მოსაუბრემ უარი თქვა ამგვარ წარმოებაზე, დასჯერდა ქართულს, რადგანაც სემანტიკა ანალოგიური იყო.

ქართული წარმოშობის თითქმის ყველა კავშირი, ნაწილაკი და ზმნიზედა წოვათუშურში დღეს უცვლელ სიტყვათა ქვეჯგუფს ეკუთვნის. შეიძლება მათ ჰქონდეთ ადგილობრივი ეკვივალენტები, მაგრამ მეტყველების ნაწილთა ეს წყება უცვლელად არის შესული ენაში. მაგ.: მაგრამ, გინდ, თუნდ, თორემ, მანამ, სანამ, ვიდრე, თუმცა, თითქმის, იქნებ, ვინაიდან, კი, რაკი, უკვე, ხოლმე, ვაითუ, ალბათ, დროებით, დაახლოებით, დაგვიანებით, მოზიდებით, აჩქარებით და სხვა მრავალი (მიქელაძე 2008: 70).

### **XXI. გადართულია კავშირი:**

საინტერესოა კავშირის თემა ბილინგვურ საუბარში. გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ენაზეა კავშირი კოდგადართულ წინადადებებში. გუმპერზის აზრით, კავშირი ყოველთვის უნდა იყოს იმავე ენაზე, რომელზეც მეორე წინადადება, როდესაც გადართვა ხდება ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებას შორის (Gumperz 1976: 34). კაჩრუ თავის კვლევაში ჰინდისა და ინგლისურის შესახებ აღნიშნავს, რომ, როდესაც გადართვა ხდება ორ შემადგენელ წინადადებას შორის, შეუძლებელია, რომ კავშირი იყოს განსხვავებულ ენაზე იმ წინადადებების ენისაგან, რომლებსაც ის აერთებს (Kachru 1977).

წოვათუშურ-ქართული ბილინგვური დისკურსი საინტერესო მასალას შეიცავს კავშირის თემასთან დაკავშირებით. აქ გამოსაყოფია რამდენიმე საკითხი:



1. როდესაც წინადადების, ან შერწყმული წინადადების ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირების დროს კავშირები წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის:

ა) წოვათუშური კავშირი **მე** (აქ: მნიშვნელობით **რომელიც**) და ქართული მატყემდებარებელი კავშირი **რომ**

„ოგუფ ცნობილცა საქმ ხეც სო – სტოლერმანქ პროცეს, მენუნხ **მე** მდგომარეობს იმაში, **რომ** (მე) სტოლერმანენ ფალიაშვილ ზაქარ-იას დალინო შარო პარტიტურ შესასწორებლად.“

*‘იმისი ერთი ცნობილი საქმე ვიცო – სტოლერმანის პროცესი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სტოლერმანს ფალიაშვილმა ზაქარ-იასმა გადასცა თავისი პარტიტურა შესასწორებლად’.*

ბ) წოვათუშური კავშირი **მე** (აქ: მნიშვნელობით **რომ**) და ქართული მანერებელი კავშირი **და**:

„უმეტ მასო იმალინო, **მე** ალავერდში წამიყვანეს და ალავერდი მასო ქრისტადალინო.“

*‘ისე ვარ ისამეჩნებულო, რომ ალავერდში წამიყვანეს და ალავერდში ვარ მონათლოლი’.*

გ) ქართული მანერებელი კავშირი **და**:

„იცინიან, ხარხარებენ (ბილი, ვარიდ ეუმრ დო)... და (ჲ) სტაკ აჭვივიქ ოსი, ორი კაცი (ში სტაკ) აჭვივიქ ო დადენ /ით შერლარ სტაკონ/.“

*‘იცინიან, ხარხარებენ... და კაცი ვავ ზავენეს იქ, ორი კაცი მიუვ ზავენეს იმ მამას [ელი შერდიხანთ კაცს].’*

„თავისი მკვდრით წაიღო, ჩაიტანა ზვაგმა და საკითხ ოთქ ფაქ.“

‘თავისი მკვდრით წაიღო, ჩაიტანა ზეგება და საკითხი დადგა სოფელში.’

„იქიდან (უდსრენა) ჰალ ვოცვიენ ესე, და (-) ექ (ლუმბტ)... მაშინ (ეჭათ) ღუმბტრი ცო ღარ.“

„იქიდან ამოიყვანეს აქ და ექ... მაშინ ექიმები არ იყვნენ“.

ღ) ქართული მანერტებელი კავშირი და და წოვათუშური მანერტებელი კავშირი ე (და).

„საავადმყოფოში, ჰოსპიტალში რო იწვა ის ჩემი მამამთილი, 55 ღენი, სამი ღღე იარეს, გომბორზე გადავიღენ და, ოდსო დადხე, ო სე მარდადეცო ჩუ დახე. ო შარო კაწკოთ ვოჭან ვაგინე, თავზე ხელი გადაუსვაო...“

‘საავადმყოფოში, ჰოსპიტალში რო იწვა, ის ჩემი მამამთილი... სამი ღღე, სამი ღღე იარეს, გომბორზე გადავიღენ და, იქრომ მივიღენ, იმ ჩემს მამამთილთან, შევიღენ. ის თავისი პატარა ბიჭიც ნახა და თავზე ხელი გადაუსვაო...’

კუკი იმოწმებს კოდის გადართვის მაგალითს რუსულიდან ფრანგულზე, სადაც კავშირი ასევე წინა ენას ეკუთვნის:

‘Chustvovali, **chto** le vin est tiré et qu’il faut le boire’ ‘They felt that the wine is uncorked and it should be drunk’ (Cook 1991: 65).

2. კავშირი მომღვენო ფრანხის ენას ეკუთვნის, რაც უფრო იშვიათი შემთხვევაა:

ა) წოვათუშური მანერტებელი კავშირი მქ (და):

„ერთხელ ზუროსგორში მივიღიოდი ბაძიანთთან **მქ ო ნატუძ**...“

„ერთხელ ზუროს გორში მივდიოდი ბაძონათან და იმ ნაჭოს...“

ბ) წოვათუშური მავრთებელი კავშირი ა (და) ენკლიტიკურად მიებმის წინამავალ ქართულ სიტყვას და შემდგომი თრაზაც წოვათუშურად გრძელდება, ასე რომ, ამ შემთხვევაშიც კავშირი მომდევნო თრაზის ენაზეა:

„*ილარკუჭის გორაზე ავდიოვით*, იხრათხ ჰალრ, *ილარკუჭის გორაზე* (ილარკუჭმაქე), ოსი ტეოც ლაგაზ ლეჰმორათხ.“

‘*ილარკუჭის გორაზე ავდიოვით, ავდიოვით, ილარკუჭის გორაზე და იქი მოცეს გკრეფით*’.

გ) წოვათუშ ქალთავან ზოგეერთს ახასიათებს უფუნქციო ე (ზოგჯერ  
ი) ხმოვნის ქართულ მაზრისაზრებელ *მავრამ* კავშირთან მექანიკური მიბმა:

„სქ ბაღრი *მავრამე* (მან) სე მარნანას ცო გაგლორ.“

‘*ხემს ბავ შეებს კი ხემი დედაძთილი არ ინახავდა*.’

დ) ქართული ღროის მიმართებითი ზმნიზედა *როცა*:

„*თბილისში ... ქალქი, თბილისე მაცმე ღამდლორას, აჰათ... როცა ვსწავლობდი*.“

‘*თბილისში... თბილისში, როცა თბილისში ვსწავლობდი, მაშინ... როცა ვსწავლობდი*.’

ჰ. კავშირი წინამავალი და მომდევნო თრაზების ენისაგან განსხვავებულ ენაზეა:

ა) ქართული მაზრისაზრებელი კავშირი *მავრამ*:

„*დუეიჩრ ვაჰოვ ჰეფსდლორალრ მარტკლი, მავრამ* (მან) მაჰოვ

ჰამიგოც უარ ლევდორალრ.“

‘ბეჭი ბიჭი ვ ზაენიდა თურმე მაჭანკლებს, მაგრამ ვოვო ყვე-  
ლას უარს ეუბნებოდა თურმე’.

„ნიფს ედოჩეჰანს, შეიძლება, ცო დეწლოს აღან... თათა, ჩაქრა  
(ჩუი ხაღე)?.. შეიძლება, ცო დეწლოს აღან... ჩაქ... ცო დეწლონს აღან,  
**მაგრამ** ზორემ მოსაღ დად ვარ თხოვო.“

‘სიმართლე რომ ვთქვა, შეიძლება, არ უნდა ვთქვა... თათა,  
ჩაქრა?... შეიძლება, არ უნდა ვთქვა... ჩაქ... არ უნდა ვთქვა, მაგრამ ძა-  
ლიან ცული მამა გეყავდა’.

„სო **მაგრამ** უდმტ ხილქსრ, მე იშტენრ... ო ქანდაკებან დაჰ დშოგ...  
დაჰ დშოგ მაღ.“

‘მე კი, ისე აღმოვიჩნდი, რომ ასე... ის ქანდაკებაც ვატყ... ვატყდა.’

„ვედ წინაბრან სადღეგრძელო მალოთვედ, კნათი, კნათი; ვან  
წინაბრი ძღურთე ბანერ, **მაგრამ**, სანამ უდს ღორ, მიხე ბანერ, ცო  
ხეცეთვედნ.“

‘ჩვენი წინაბრების სადღეგრძელო დავლიოთ, ბიჭებო, ბიჭებო;  
ჩვენი წინაბრები ინდურთა ში ცხოვრობდნენ, მაგრამ, ვიდრე იქ წავი-  
დოდნენ, სად ცხოვრობდნენ, არ ვუწყით...’

„ის ვაგრ დუმაჰრე... თხე დუმაჰრელოქ ბაბრ ვარ, ვაგრ, **მაგრამ** ო  
ვაგრ უცოლო შეილო მოკვდა (ფსტუ-ბანდრეწი ვაღ).“

‘ის ვაგო პრეგე... ჩვენი პრეგელი პაპა იყო, ვაგო, მაგრამ ის ვაგო  
უცოლო შეილო მოკვდა’.

„დუნიჩო ვაჰოვ ჰეტსდორალო მარტკელი, *მავრამ* მაჰოვ ჰამიგოც უარ ლევდორალო.“

‘ბევრი ბიჭი ვ ზავნიდა თურმე მატანკლებს, მავრამ გოგო ყველას უარს ეუბნებოდა თურმე’.

გ) წოვათუშური მაერთებელი *ღა* კავშირი აერთებს ქართული ფრაზებს: „ორი შემთხვევა მაქვს... *ღე* მესამე შემთხვევაში აუცილებლად მოგვედები.“

‘ორი შემთხვევა მაქვს... და მესამე შემთხვევაში აუცილებლად მოგვედები.’

დ) წოვათუშური მაქვემდებარებელი კავშირი *მე* (რომ) აერთებს ქართულ ფრაზებს:

„ქვეით რო სახლია, ო ბოლო *მე* აგურის სახლი ღვას, აი, მესამე ქუჩაზე...“

‘ქვეით რომ სახლია, იქ ბოლოში რომ აგურის სახლი ღვას, აი, მესამე ქუჩაზე...’

წოვათუშური და ქართული სინტაქსური მოდელი ამ შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს, რაც ხელს არ უშლის ამ კავშირის ქართულ ფრაზაში ჩართვას.

4. რამდენიმე კავშირის შემთხვევაში, ზოგი წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის, ზოგი წინა და მომდევნო ფრაზისგან განსხვავებულ ენაზეა:

ქვემოთ დამოწმებულ მაგალითში სამი კავშირია გამოყენებული. პირველ შემთხვევაში მაქვემდებარებელი კავშირი *თუ* წინამავალი

ფრანხის ენას ეკუთვნის, მეორე შემთხვევაში ქართული მახარისმარებელი კავშირი *მავრამ* წოვათუშური ფრანხებს აკავშირებს ერთმანეთთან, ანუ, ამ შემთხვევაში კავშირი სხვა ენაზეა და მისი საშუალებით დაკავშირებული ფრანხები – სხვა ენაზე. ქართულ მახარისმარებელ კავშირთან ორჯერვე წოვათუშური უფუნქციო ხმოვანია ინტეგრირებული. ამდენად, შეიძლება ჩართული ენის კავშირიც გადასხვაფერდეს ბილინგვურ საუბარში: მას მატრიცა ენის ელემენტი მიუერთდეს:

*„ყველაფერს აკეთებენ, თუ ... მარხ დაჰ მავრამე (მან) მარხულ დაყრი, ობი ნექლომ, ობი ვამარხ დერწე; იმამდე ... შაუხტყ დინლომცა იმტ დო ხოლომე, შაუხტყ დენიჰამ, მარხნო დანჰ, მარხულათ დო, ცოჰ მავრამე (ცოჰ მან) ნსნილოურათ დო.“*

*‘ყველაფერს აკეთებენ; თუ... ხოლო თუ მარხვაა, სამარხვო საჭმელოებს, იძებენ აკეთებენ და ისინი დასხდებიან; იმამდე... ორმოც დღემდე ასე აკეთებენ ხოლომე, ორმოცის დღისითაც, თუ მარხვაა, მარხულად აკეთებენ, არადა ხსნილოურად აკეთებენ’.*

5. ისეთი მაგალითიც გამოვლინდა, სადაც მოსაუბრე წოვათუშური მწ (და ) კავშირით იწყებს ახალ წინადადებას და მეორე სიტყვიდან უკვე ქართულ კოდზე გადაერთვება:

*„მწ ერთი კადეფ ფორმა მანეს ამ ვადარხინის შესახებ. საძვეერ... ერთხელ, ორჯერ... მესამეჯერ მოეკვდება. ევ ვადარხინა იყო ბავ შვობაში.“*

*‘და ერთი კადეფ ფორმა მანეს ამ ვადარხინის შესახებ. საძვეერ... ერთხელ, ორჯერ... მესამეჯერ მოეკვდება. ევ ვადარხინა იყო ბავ შვობაში’.*

რიჰლის მოჰყავს ასეთი მაგალითი:

*‘Bei uns ware viele Mar/ äh fünf Marschall, (-- ) Marschall. Jüngster Tuchačevskij, Bljucher (-) Bljucher, Vorašilov, Budenyj i Egorov.*

‘Und der - wenn der Tuchačevskij kam nach Hause [...] There were many mar/ five marshalls with us. The youngest (was) Tuchačevskij, Bljucher (-) Bljucher, Vorašilov, Budenyj and Egorov.’

ამ გერმანულენოვან ინტერვიუში მოსაუბრე ასახელებს ხუთ რუსულ საკუთარ სახელს და, მიუხედავად იმისა, რომ თხრობის დარჩენილი ნაწილი არის გერმანულად, რუსული კავშირი *i* (и) აერთებს ამ სახელებს (Riehl 2005: 1947).

ამრიგად, ჩვენი მონაცემები არ ეთანხმება გუმპერზის დასკვნას, რომ კავშირი ყოველთვის იმავე ენაზე უნდა იყოს, რომელზეც მეორე წინადადება, როდესაც გადართვა ხდება ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ წინადადებას შორის (Gumperz 1976: 34).

კვლევაში გვიჩვენა, რომ კოდის გადართვის შემთხვევებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა სიტყვის დონეზე გადართვა. ორი ენის გრამატიკა ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში სწორედ ამ დროს შედის. ქართული ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური თვალსაზრისით წინადადების სხვადასხვა წევრები, გადართვის დროს სინტაქსურ წყვილს ქმნიან წოვათუშური წინადადების წევრებთან.

მასალის ანალიზის შედეგად გაიკვია, რომ ორი ენის ელემენტებისაგან შედგენილ სინტაქსურ წყვილებში, განუზრხვლად იმისა, წინადადების რომელი წევრია თითოეული მათგანი, ბატონობს წოვათუშური ენის გრამატიკა: ის ქმნის მოცემული ფრაზის მორფოსინტაქსურ ჩარჩოს.

მოსაუბრეები ქართულ სიტყვას გადართვის დროს წოვათუშური ენის მორფოსინტაქსურ მოდელებს უქვემდებარებენ, კერძოდ, სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელი ნულოვანი ფლექსიით გადააქვთ,

მაგ., „კაწკოწ **პურ-მარილ**თეგლარ ოსი“ (‘პატარა პურ-მარილი კეთდებოდა იქ’); „კეთილ, ჩალმალჭ **ხაღზ** მა ბაცბი“ (‘კეთილი, თბილი ხაღზია წოვათუშები’). იშვიათია გამონაკლისები, მაგ.: „**ისეთი** მოცდიქსრ“ (‘ისეთი ჩამომიყვანეს’);

მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებს კი იმ შემთხვევაში ტოვებენ ხელუხლებლად, თუ წოვათუშური ენის სინტაქსი არ ზიანდება. მაგ., „**ვილაცამ დაჰ დაჰჭ**“ (‘ვილაცამ წაულო’). წოვათუშურში გარდამავალი ზმნის ქვემდებარე სამივე სერიის მწკრივებთან მოთხრობით ბრუნვაში დგას. ამ შემთხვევაში წოვათუშური და ქართული მორფოსინტაქსური მოდელები ერთმანეთს დაემთხვა და რენსონდენტმა ლექსიკური მორფემა მოთხრობითი ბრუნვის ფორმიტვე ჩაურთო წინადადებაში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსაუბრე აცნობიერებს მოთხრობით ბრუნვას და ხვდება, რომ ამგვარი ჩართვა წოვათუშური ენის გრამატიკას არ ვნებს.

ასეა შემდეგ მაგალითშიც: „**ზოგს** კოხტა დორ“ (‘ზოგს „კოხტას“ ეძახდა’). აქ ქართული „**ზოგს**“ მიცემითი ბრუნვის ფორმით არის ჩართული წინადადებაში, რადგან არ ეწინააღმდეგება წოვათუშური ენის მორფოსინტაქსურ ყალიბს: ირიბი დამატება წოვათუშურში ყოველთვის მიცემითში დგას, ისევე როგორც ქართულში და, რადგან ყალიბები დაემთხვა, მოსაუბრემ ის მზამზარეულად შემოიტანა წინადადებაში.

წოვათუშური ენა ზმნის უპირო ფორმებთანაც ინარჩუნებს პირიანი ფორმების სინტაქსურ კონსტრუქციას. ამ თვისებას ის გადართულ სიტყვებთანაც ავლენს. მაგ., სინტაგმაში – „საქმ თეგდომ“ (‘საქმის კეთებით’) „**საქმ**“ ნომინატივის ფორმით გადააქვს და არა ნათესაობითისა, რადგან წოვათუშურში ეს პირდაპირი დამატებაა და არა უბრალო დამატება, როგორც ქართულში.



ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წოვათუშურს ქართულიდან აქვს ნასესხები იმავე ფუნქციით. ამიტომ მოსაუბრე ბუნებრივად ჩაურთავს ვითარებით ზმნიზედას: „წირლეს *ჩვენებურად* უხ წე?“ (‘წერ-ილს ჩვენებურად რა ჰქვია?’).

გადაერთვება მეტყველების ნაწილების უმრავლესობა, ნაწილაკების ჩათვლით. გადართული სიტყვა შეიძლება იყოს სინტაგმის წევრი და შეიძლება არც იყოს. უცნაურად ჩანს მიგებითი ‘*მეთქ*’ ნაწილაკის წოვა-თუშურად გადართვის ფაქტი: „კარგი, *ეღონას*რ“ (‘კარგი-მეთქ, რა’); ასევე *ხოლმე* ნაწილაკისა – ქართულად: „ინრათხ *ხოლმე*“ (‘მივდიოდით ხოლმე’).

გადართულ სახელებს წოვათუში ბლინგები ხშირად წოვათუ-შური ეკვივალენტისაგან განსხვავებულ კლასს აკუთვნებენ. მაგ., „*ხაღბ* და“ ფორმაში „*ხაღბ*“ მიკუთვნებულია *ღ*-კლასს, მაშინ როცა მისი წოვა-თუშური ეკვივალენტი „*ნახ*“ *ღ*-კლასს განეკუთვნება. ზოგადად, გადართული სახელების ამა თუ იმ კლასისთვის მიკუთვნება პირობითია, ისევე როგორც პირობითია თავად წოვათუშურ სახელთა ამა თუ იმ კლასში განაწილება. რთულია იმის თქმა, რა პრინციპით აკუთვნებენ ბლინგვი წოვათუშები გადართულ ქართულ სახელებს რომელიმე კლასს.

საინტერესო სურათი მივიღეთ კავშირების ხმარებისას. გამოიკვეთა, რომ ბლინგურ ფრაზებში გამოყენებული კავშირები:

1. წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის;
2. მომდევნო ფრაზის ენას ეკუთვნის, რაც უფრო იშვიათი შემთხვევაა;
3. წინამავალი და მომდევნო ფრაზების ენისაგან განსხვავებულ ენაზეა;
4. რამდენიმე კავშირის შემთხვევაში ზოგი წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის, ზოგი კი წინა და მომდევნო ფრაზისგან განსხვავებულ ენაზეა.

წოვათუშური და ქართული სინტაქსური მოდელები წინადადე-

ბაში კავშირის ადგილის მიხედვით ახლოსაა ერთმანეთთან, რაც ხელს არ უშლის აქ დასახელებულ შემთხვევათა რეალიზაციას.

## გადართვა სინტაგმის დონეზე

ჩვენს ბილინგვურ საუბრებში ხშირია სინტაქსური წყვილების გადართვები. ასეთი გადართვები შეიძლება მოხდეს წინადადების შუაში და ბოლოს:

**გადართვა წინადადების შუაში:**

1. გადართულია სახელური ფრაზა, რომელიც სინტაქსურად წარმოადგენს:

ა) ქვემდებარესა და მის განსაზღვრებას (მორფოლოგიურად მართულ მსაზღვრელ-საზღვრულს):

„ოვო ბუდსჟ ოსი ჯგერის და შო (ვვორ დაფხდარ) მარ: ვვორ დაფხდორ.“

*‘იმ ლამეს იქ ჯგერის და შოა იყო: ჯგერს შოიდენენ’.*

„ვქ დახქ ე პარტიულების დაჭერა (პარტიულა ქორ ლეცბარ), ქორ ლეცბარქ, ხვრეტადბარნ, ტუნახევსკი ეჰათ დახვრეტადვიქ.“

*‘მერე წავიდა ეს პარტიულების დაჭერები და დახვრეტები, ტუნახევსკი მა შინ დახვრიტეს’.*

ბ) პირდაპირ დამატებასა და მის განსაზღვრებას (მორფოლოგიურად ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულს):

„ჭიგოზე ძველი ნაჭერი (თიში ბაკალ) მეწერ ჰარჩმდ.“

*‘ჭიგოზე ძველი ნაჭერი უნდა შემოვხვით’.*

აქ მსაზღვრელი სახელობითი ბრუნვის ნიშანს დაირთავს, ხოლო საზღვრული – არა.

„აჰო იხორ ტბათნირენჲ, *ჩვეულებრივ ცხოვრება* (მუდღნქველბა დანარან) გრძელბადმორ თუჰეჰ ვე.“

*‘ხამოდითდნენ ტბათანიდან და ჩვეულებრივ ცხოვრებას აგრძელებდნენ სოფელში შერე’.*

„ო დააბტიეებულ ხალხონ(დენიხრ ნახნ) ვეჰორ კოტორ, *გამზადებული ყველაფერი* (ქჰექდიენრ უმაყ)...“

*‘იმ დააბტიეებულ ხალხს მიაართმევდნენ კოტორს, გამზადებული ყველაფერს’.*

წოვათუშურის გავლენით აქ დარღვეულია ქართული ენის სინტაქსური მოდელი, კერძოდ, პირდაპირი დამატება და მისი მსაზღვრელი (*გამზადებული ყველაფერი*) დგას სახელობით ბრუნვაში, რადგან წინადადების ეს წევრი წოვათუშურში ყოველთვის სახელობითშია, თუმცა ქართული მისგან მიცემით ბრუნვას მოითხოვს. მეორე მხრივ, ის გათორმეებულია ნომინატივში, რითაც უკვე წოვათუშური ენის მორფოლოგიური მოდელი ზიანდება. ამდენად, მოცემული მაგალითი მორფოლოგიურად ქართულია, ხოლო სინტაქსურად – წოვათუშური.

გ) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილსა და მის განსაზღვრებას (მორფოლოგიურად ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულს):

„ო მოძღრიგრ ალთ ო გიკუდრ-პეტრეს, მჲ, აიენრ, თხო *მართალ ხალხ*(ნიფსნ ნახ) მათხრ, ათხ ცჰაყცომ ცო აჰქდათხ ესეჰენრ.“

*‘იმ მოძღვართ უთხრა იმ გიკურ-პეტრემ, რომ, აიო, ჩვენ მარ-*

თალი ხალხი ვართ, ჩვენ არცა რა მოგვიპარია აქაოა’.

II. გადართულია ვითარების გარემოებისა და შედგენილი შექმას-  
მენლის სახელადი ნაწილის სინტაქსური წყვილი:

„ო მოძღვრე ალთ: აი, სატენმაქ ფიც ბილ თხოვ, მქ *ნამდვილად მართალ* (ბაყეჭენო ნიფსი) ვაჭყენო.“

‘იმ მოძღვართ მოახსენეს: აი, ხატ შე დავგვიფიცე, რომ ნამდ-  
ვილად მართალი ხარო’.

გადართვა წინადადების ბოლოს:

გადართულია ქვემდებარისა და შექმასმენლის სინტაქსური წყვილი:

„გადაწყვეტალიქ (ხიტლიქ) ბაცბივ, მქ ო გერ *აკურთხოს მღვდელმა* (მოძღვრე კურთხაბოლო).“

‘ვადაწყვიტეს წოვებმა, რომ ის ქვა აკურთხოს მღვდელმა.’

როგორც მაგალითები აჩვენებს, ჩართული სინტაგმის წევრები შეიძლება ცალ-ცალკე სინტაქსურ წყვილებს ქმნიდნენ წოვათუ-  
შურ ენობრივ ერთეულებთანაც. მაგ., ფრაზაში – „ჯჯვის დაშლ **მარ**“  
(ჯჯვის დაშლა იყო) – ქვემდებარე სინტაქსურ წყვილს ქმნის აგრეთვე  
წოვათუშურ შექმასმენელთან; ფრაზაში – „გერ აკურთხოს მღვდელ-  
მა“ (ქვა აკურთხოს მღვდელმა) – შექმასმენელი ერთ სინტაგმაშია წარ-  
მოდგენილი წოვათუშურ პირდაპირ დამატებასთან. სადაც ნომინატივი  
ბრუნვაა საჭირო, იქ ქართული გადართული წევრები ნულოვანი დაბო-  
ლოებით გვხვდება – „მართალ ხალხ **მართ**.“ – ანუ ამ შემთხვევაშიც  
ფრაზის მორფოსინტაქსურ მოდელს წოვათუშური ენა განსაზღვრავს.

## გადართვა ფრანის ღონეზე

სიტყვისა და სინტაქსის გადართვის შემდეგ განვიხილავთ ფრანის გადართვას, რომელიც უფრო დიდი შემადგენელი ნაწილია, ვიდრე სიტყვა, ან სინტაქსი და უფრო მცირე, ვიდრე წინადადება. გადართულ ფრანას თუ ცალკე გამოვყოფთ, მისგან ზოგჯერ შეიძლება მარტივი, ან შერწყმული წინადადებაც მივიღოთ, მაგრამ ჩვენს საანალიზო მასალაში ასეთ სტატუსს ვანიჭებთ წინადადების ფრაგმენტს, რომელიც ორზე მეტი წევრისაგან შედგება და, დასრულებული აზრის მიუხედავად (რისი მაგალითებიც საკმაოდ გვაქვს), არ ფარავს მთელ წინადადებას. გადართული ქართული ფრანები ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული წინამავალ და მომდევნო წევართუ შორ სიტყვებთან, რომლებთანაც ფრანის შემადგენელი სიტყვები სინტაქსურ წევილებს ქმნიან.

### I. გადართულია სახელური ფრანა:

„ოც ღროჭ ტუხაჩევსკისა *სამხედრო საქმის მკოდნე* (ვეთინი) მსოფლიუმგო ცო ვარ.“

*‘იმ ღროს ტუხაჩევსკისნაირი სამხედრო საქმის მკოდნე მსოფლიოს არა ჰყავდა.’*

### II. გადართულია მარტივი წინადადების ფრაგმენტი:

„უხ ალარ დეწე, ო პადლე *შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული*.“

*‘რა თქმა უნდა, იმ სარდაფში შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული’.*

მოცემულ მაგალითში გადართვა ხდება ადგილის გარემოებასა (*პადლე*) და ქვემდებარეს შორის:

III. გადართულია მარტივი წინადადების ნაწილი მოსაუბრისადმი მიმართვის შემდეგ:

„ეს სტამბლიც, ეგრე, *პოლანდიის მეფე ჩამოვიდა.*“  
*‘ამ სტალინთან, კაცო, პოლანდიის მეფე ჩამოვიდა.’*

IV. გადართულია შერწყმული წინადადების შუა ნაწილი:

„ჰან უხ ალო, ჰან უხ ცო ალო, *ვისზე რა, ვისზე რა არა*, ჰანახ უხ ცო ალო...“  
*‘ვინ რა თქვა, ვინ რა აღარ თქვა, ვისზე რა, ვისზე რა არა, ვისზე რა არა თქვა...’*

V. გადართულია რთული თანწყობილი წინადადების ფრაგმენტი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს შერწყმულ წინადადებას და მჭიდროდაა დაკავშირებული წინამდებარე და მომდევნო წინადადებებთან:

„*წიქერქიჭ ჰეტ ლაქალინე, ის სტაკ თავისი ძველით წაიღო, ჩაიტანა ზვავმა და* საკითხ ოთქ თუჭუჭ.“  
*‘უცებ ზვავი მოვარდა და ცხრა კაცი თავისი ძველით წაიღო, ჩაიტანა ზვავმა და საკითხი დადვა სოფელში.’*

თუ გადართული შერწყმული წინადადებიდან გამოვეყოთ მარტივ წინადადებას – „*ის სტაკ თავისი ძველით წაიღო*“ – ენახავთ, რომ სინტაგმის წევრები აქაც სხვადასხვა ენაზეა მოცემული: პრდაპრი დამატებისა და შემასმენლის წყვილში პრდაპრი დამატება წოვათუშურადაა, შემასმენელი – ქართულად. ფრაზაში – „*ჩაიტანა ზვავმა და* საკითხოთქ თუჭუჭ“ – ამ ცალკე აღებულ რთულ თანწყობილ წინადადებაში კი კოდი წოვათუშურზეა გადართული და კავშირის შემდეგ. ეს ბოლო მაგალითი უნდა შეფასდეს, როგორც გადართვა წინადადებებს შორის და არა წინადადების შიგნით.

VI. წინადადებაში შეიძლება გადაერთოს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები და აგრეთვე საუბრის მარკერები.

ა) გადართულია ჩართული:

„კონი ვა, ჰაჲ, მნ იცხუნ, *მე მკონი* (ას დაკლივას), ჩუ ხაწ.“  
'ქართველია, კი, მკრამ მკვას, მე მკონა, ესმის [ჩვენებური]'.

„ი, *რა თქმა უნდა* (უხ ალორ დეწე), ღა ღარე, ღანოხ დაგა.“  
'ეს, რა თქმა უნდა, სი ზმარი იყო, სი ზმარში ნახა.'

აქ ი ჩვენებითი ნაცვალსახელია (ეს), რომელსაც ხმარობენ წოვათუში ქალები (მამაკაცები ხმარობენ ე ვარიატს).

ბ) გადართულია განკერძოებული განსაზღვრება:

„ჩუჰ ბოტცინო ბორგი... აი (აჰი), *თუ შურ* (ბაცბურ) ბორგი, *ბაწრის* *რის მოქსოვილი*...“

'სახლში მოქსოვილი ბორგები ... აი, თუ შური ბორგები, ბაწრის-ვან მოქსოვილი...'

გ) გადართულია საუბრის მარკერი:

„ჰამინაჲ ცჰაც საჩუქარ გეჰორ: ლე ჩხდრი, ლე კაბ, ლე უნახ, *რა ვიცი* (სოუქთხეჲ), უნე *სა შუალოებ* მარიც, სტინნ საშუალებ მარ.“

'ყველასთვის თითო საჩუქარი მიჰქონდა: ან წინდები, ან კაბა, ან რამე, რა ვიცი, რისი საშუალებაც იყო'.

„ო ლავმაქ დაჰ გეძხეს, დეგო, *მე რა ვიცი მე*... (სოუქთხეჲ).“

'იმ თოვლ ზეგავიარე და, კაცო, მე რა ვიცი მე...'

„აი, იშტყ უბრალო ცხოვრებ (ვანარ)მანქ სქ რა, რა ვიცაი (სოწთხეც).“

‘აი, ასეთი უბრალო ცხოვრება გავიდა ჩემი რა, რა ვიცაი’.

VII. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გადართულია დამოკიდებული წინადადების ნაწილი:

„წეო მიზან დარეო ვარგო, მე ფჰე ხალხის მტრებისგან უნდა გავათავისუფლოთ.“

‘ღა ის მიზანი ჰქონდათ იმათ, რომ სოფელი ხალხის მტრებისგან უნდა გავათავისუფლოთ’.

„ო ვუფ ცნობილ ცჰა საქმ ხეც სოწ – სტოლერმანქ პროცეს, მენუხნ მე მდგომარეობს იმაში, რომ (მე) სტოლერმანენ ფალია შეილ ზაქარიას დალინო შარწ პარტიტურ შესასწორებლად.“

‘იმისი ერთი ცნობილი საქმე ვიცაი – სტოლერმანის პროცესი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სტოლერმანს ფალია შეილმა ზაქარიამ ვადასცა თავისი პარტიტურა შესასწორებლად’.

„აი (აპი), იმდენათ, იშტყ დროდარ ეჰათ, მე ლაპარაკი არ შეიძლება იმათი ვაშიც.“

‘აი, ამდენად ისეთი დრო იყო მა შინ, რომ ლაპარაკი არ შეიძლება იმათი ერთმანეთთან.’

როგორც მ. მიქელაძე აღნიშნავს, იბერიულ-კავკასიურ ენებში რთულ წინადადებათა ჰიპოტაქსური მოდელი დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. ამ ენათა რიცხვში იყო წოვათუშურიც. მათ ფუნქციას ასრულებდნენ მიმღობა-ინფინიტივ-აბსოლუტივები,



რომელთაც გაფართოებული აზრობრივი დატვირთვის გამო მარტივი წინადადებები უწოდეს. წოვათუშურში ეს მოდელი დღემდე აქტიურია, თუმცა ჰიპოტაქსის ქართულისებურმა მოდელმაც ინტერფერენციის გზით ფართოდ შეადწია მასში, რისთვისაც საჭირო გახდა სათანადო მიმართებითი ნაცვალსახელებელისა და ზმნიზელების წარმოება (მიქელაძე 2011: 295-296).

ჩვენს ბილინგვურ საუბრებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ჰიპოტაქსური წინადადებები. ეს კონსტრუქციები უკვე იმდენადაა მოძღვარებული, რომ მოსაუბრეები თავისუფლად აწარმოებენ ამგვარ ბილინგვურ წინადადებებს, ერთმანეთთან ანაცვლებენ სხვადასხვა ენაზე წარმოქმულ მის შემადგენელ ნაწილებს – მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს.

### **გადართვა წინადადებებს შორის**

კოდის გადართვის ერთ-ერთი ტიპია გადართვა წინადადებებს შორის. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც გადართული ფრაზის ნაწილებს მორფოსინტაქსური კავშირები არა აქვს წინადადების დარჩენილი ფრაგმენტის ნაწილებთან, არ ამყარებს მათთან შეთანხმება / მართვა / მართვის სინტაქსურ მიმართებებს – მაგრამ აზრობრივი კავშირი მათ შორის, რა თქმა უნდა, არსებობს, რამდენადაც ისინი ერთად ქმნიან წინადადებას. შესაბამისად, თითოეულ ნაწილს თავისი ენის გრამატიკული ყალიბი შემოაქვს წინადადებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ხდება ორი ენის გრამატიკის გადაკვეთა, როგორც წინადადების შიგნით გადართვის დროს. ამის გათვალისწინებით, გადართვის ამ ტიპის ფარგლებში არ ვმსჯელობთ მატრიცა და ჩართულ

ენებზე, რამდენადაც თითოეული ჩანარის მატრიცა თავისივე ენაა.

წინადადება არის უზარმაზარი ერთეული კოდის გადართვის ანალიზისთვის (იმიტომ, რომ ის შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ შემადგენელი ნაწილის ფრაზას, ან შემცირებული შემადგენელი ნაწილის ფრაზის კონსტრუქციებს).

ენებს შორის ყველაზე ნათელი სხვაობა სინტაქსში სიტყვათა რიგში ვლინდება. ბევრ ენაში სუბიექტი უძრავლეს შემთხვევაში უსწრებს ზმნას და ობიექტი მოსდევს. ზოგიერთ ენაში ზმნა არის ბოლოში და ზოგიერთშიც – პირველ ადგილას. რიგი შეიძლება ენებში იცვლებოდეს ფრაზების დონეზეც. მაგ., ზოგიერთი ენის სახელურ ფრაზებში მსაზღვრელი უსწრებს სახელს და ზოგიერთ ენაში მოსდევს მას. ამ ენათა ჯგუფს ეკუთვნის წოვათუშურიც, სადაც მსაზღვრელი ყოველთვის საზღვრულის წინ დგას. სიტყვათა რიგის თვალსაზრისით, სხვა არსებითი სხვაობა წოვათუშურსა და ქართულ ენებს შორის არ გვაქვს.

უფრო მნიშვნელოვანი საკითხი სინტაქსთან დაკავშირებით, სკოტონის აზრით, არის შემდეგი: როგორ შეიძლება გაერთიანდეს ფრაზები წინადადებაში, მაშინ როცა თითოეულ ენას აქვს თავისი კარგად ფორმირებული შეზღუდვები (Myers-Scotton 2006/2013: 237).

ჩვენ განვიხილეთ გადართვები წინადადების შიგნით სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის დონეზე. წინამდებარე პარაგრაფში განვიხილავთ წინადადებებს შორის გადართვებს. დადასტურდა სხვადასხვა შემთხვევა: აგებულების მიხედვით განსხვავებულ წინადადებათა სხვადასხვაგვარი კონფიგურაცია. რადგანაც მაგალითები უამრავია, შევგეხებით მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას.

I. მარტივი წინადადების შემდეგ გადართულია რთული წინადადება:

„ნატურალურ დარ ეჰათ უმაჰ. *პურად მჭადი იყო მეტწილად, აბა, პური სად იყო ჩვენს ბავშვობას, მჭადიც ენატრებოდა ზოგს.*

*‘ნატურალური იყო მაშინ ყველაფერი. პურად მჭადი იყო მეტწილად, აბა, პური სად იყო ჩვენს ბავშვობას, მჭადი ენატრებოდა ზოგს’.*

„იუსი სე დადგორნნ ხეჰე სოჰ. *ეგ სიმართლეა, რასაც ვამბობ, რასაც ის მიყვებოდა.*“

*‘ეგენი მამაჩემისგან ვიცო. სიმართლეა, რასაც ვამბობ, რასაც ის მიყვებოდა’.*

II. შერწყმული წინადადების შემდეგ გადართულია მარტივი წინადადება:

„გქ ო მაჰონ მარ ლე ვომაკერ, ლე ცო, ჰანახოგო შარენმაქ ამბუდ დოენო მაინო! *აი, ამიტომ სხვაც ბეჭი ასეთი რამეები...*“

*‘მერე ის გოგო ქმარს ან შეირთავდა, ან ველარ, ვილაცას ქუჩაში ელაპარაკაო! აი, ამიტომ. სხვაც ბეჭი იყო ასეთი რამეები...’*

III. გადართვა შერწყმული წინადადების ნაწილებს შორის:

ამ დროს გადართვა შეიძლება მოხდეს წინადადების შუაში, ან ბოლოში.

გადართვა წინადადების შუაში:

ა) შერწყმულ წინადადებაში გადართულია წინადადების ჩანართი ნაწილი, მსმენელისთვის განკუთვნილი რეპლიკა:

„*მავრამ* მანკ ბანდროლე ბუხრი ჩუ იდალინო, კაწკო, აბა, როგორ უნდა ვთქვა შეცოცებულა, ჩუ თავენო.“

‘*მავრამ* მანკ ბავ შვობაში ბუხარში შეისემექნილა, პატარა, აბა, როგორ უნდა ვთქვა შეცოცებულა, თრევით შესულა.’

**ბ) გადართულია შერწყმული წინადადების ბოლო ნაწილი:**

„*ჰალო* ბჰოგოერ კაწკო, ო ნერეხი ფქერ, მკერდზე აღებდენ მიცვალებულს და მარხავდენ ისე.“

‘*მოატენავდენ* პატარა ნატეხს იმ ქვას, მკერდზე აღებდენ მიცვალებულს და კრძალავდენ ასე.’

„*ნქ*, შუამავალ დარ ცჰა: ო მაჰინა გარგლე დარე, თხენაქ, *ორივე მხრიდან* იყო.“

‘*მერე*, შუამავალი ჰყავდათ ერთი: იმ გოგოსიც ახლობელი იყო და ჩვენიც, *ორივე მხრიდან* იყო...’.

„ქორეე ჩუჰ ბოფცეჩი მანვიე დარ ქიქოქ, *ქსოვდენ* (დეფცოქ) თუ შები (ბაცბი).“

‘*ხელით* შინ მოქსოვილი შლოებით იყენენ ადრე, *ქსოვდენ* თუ შები’.

„სანთელ აკდორათხ ოსი, *ღმერთს ვეხვეწებოდათ* (დნლეგრთეყრათხ).“

‘*სანთელს ვანთებდით იქ, ღმერთს ვეხვეწებოდათ*’.

„ფორა, ბერიქ ფსტუმნო ქიმიკოსი დარ, *ერთად* (ცჰლ) *მუშაობდენ*.“

‘ფორე და ბერეას ცოლი ქიმიკოსები იყენენ, ერთად მუშაობდნენ.’

- გ) გადართულია მთელი წინადადება პირველივე სიტყვის შემდეგ:  
„აჰათ ის მქონდა, კომპო ზიცია მქონდა ქადაკება ში.“  
„მაშინ ის მქონდა, კომპო ზიცია მქონდა ქადაკება ში.“

#### IV. გადართვა რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის:

- ა) გადართულია მეორე წინადადება:

„იესი გადასახლება ბარე, ეე უმსრ გელრათხ, ცხვარი იქდაგეყავდა.“  
‘ეგენი გადასახლება ში იყენენ და ცხვარი იქდაგეყავდა’.

„ფოცხორლარჲ ფორე ხაწენეაჲ შუ? ლაშასი და შამილის მამ იყო...“  
‘ფოცხორიანთ ფორე ვავივონიათ თქვენ? ლაშასი და შამილის მამ იყო...’

„ეს (ე)... ე ლამ ბარ ჰო დაახლოებით ხუფრა, ხუფრა ერქვა ამ მთას (წერ ე ლამუხ).“

‘ეს... ეს მთა იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაახლოებით ხუფრა, ხუფრა ერქვა ამ მთას.’

მოცემულ მაგალითში პირველი ხუფრა წოგათუშური ფონეტიკით არის წარმოთქმული, მეორე კი - ქართულით, რასაც მოსდევს ქართული ფრაზა.

- ბ) გადართულია მეორე და მომდევნო წინადადებები:

„ოსი ხუმ ლაგე ლაგე რე ლაშნი და, ეგ ჩეხნებიც ვადასახლე-  
ბა ში იყენენ და უბატონოდ დავდიოდით ვრო ზნოდის: ჩეხნთვის ხმის  
ამოდლები, დამშოელი არაგინ იყო.“

‘იქ ხომ ძალიანი თოვლიანი მთებია, ეგ ჩეხნებიც ვადასახლება-  
ში იყენენ და უბატონოდ დავდიოდით ვრო ზნოდის: ჩეხნთვის ხმის  
ამოდლები, დამშოელი არაგინ იყო.’

„კოსტალმ ქორ ლაცვიქ, ის ბიჭიც დაიჭირეს და ეს ქალი დარჩა  
იქ უბატონოდ, არც არაგინ უყურებს, ყველას ე შინია!“

‘კოსტალიც დაიჭირეს, ის ბიჭიც დაიჭირეს და ეს ქალი დარჩა იქ  
უბატონოდ, არც არაგინ უყურებს, ყველას ე შინია!’

### გ) გადართულია შუა ნაწილი:

„იშტ ნაყა მოჰ ჩუ ოთდარ ცო შეძლებლარ (ხილუორ), ღიდი სორ-  
ცხვილი იყო ეგ და ექ ო მაჰონ მარ ლე ვომაკერ, ლე ცო, ჰანახიგორ  
შარენმაქ ამბუდ მოენრ მაინრ!“

‘ესე ვ ზა ში ვოვონ ვაჩერება არ შეიძლებოდა, ღიდი სორცხვილი  
იყო ეგ და მერე ის ვოვონ ქმარს ან შეერთავდა, ან ველარ, ვილატას  
ქუჩა ში ელაპარაკაო!’

დ) მოიპოვება ისეთი მაგალითებიც, სადაც რთულ თანწყობილ  
წინადადებაში გადართვა იწყება პირველი წინადადების ბოლოს, პაუ-  
ზასთან, და ასევე გრძელდება მეორე წინადადებაც ბოლომდე:

„თუდნ-მადე ექელარ იქ, იქ იწერებოდა ეს სია.“

‘პურ-მარლი შხადდებოდა იქ, იქ იწერებოდა ეს სია’.

V. გადართვა რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის:

ა) გადართულია მთელი შუა ფრაზა, წინადადების შუა მონაკვეთი, რომლის პირველი ნაწილი წარმოადგენს შერწყმული წინადადების დამამთავრებელ ნაწილსა და, ამავე დროს, მომდევნო ქვეწყობილი წინადადების დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას:

„მიხგო ჯახინა ცო დარ, ისიც სანატრელი პქონდა და, სკოლაში რომ მივდიოდით, კალო ში ბაჰერ თხოვო, ჰამახეც და ვო მიღწევ მაზ.“

‘ზოგს ქალამხებიც არ პქონდა, ისიც სანატრელი პქონდა და, სკოლაში რომ მივდიოდით, კალო შები თუ გვექნებოდა, ყველაზე დიდი მიღწევა იყო’.

ბ) გადართულია დამოკიდებული წინადადების ნაწილი და მოშორებით – შემაჯამებელი მარტივი წინადადება:

„იხორ ო პადლი ო ცუჲდალა, მქ ვინ ხაუ შეან, ვინ დახფრიტონ, ვინ დაიჭარონ, მქ ლაცდადეწქ, მქ მან დახფრეტადა. ამის სია დგებოდა იქ.“

‘დაჯიჯინენ იმ სარდათში იმისთვის, რომ ვინ ხაუ შეან, ვინ დახფრიტონ, ვინ დაიჭარონ, ვინ დაიჭარონ, ვინ კადე დახფრიტონ ამის სია დგებოდა იქ’

გ) რთული ქვეწყობილი წინადადების შუაში გადართულია დამოკიდებული წინადადება და მისი მომდევნო მთავარი წინადადების მეორე ნაწილი:

„ე კნათ ტყოც, ოცუჲ კნათ, რომელიც ქორწილდება, იყო ელდარის მეურნეობის ბუღალტერი, ღირექტორ მან ვარ კოსტალე აბა შიძე (დემქრან კოსტალე).“

‘ეს ბიჭი კიდევ, იმისი ბიჭი, რომელიც ქორწილდება, იყო ელდარის

მეურნეობის ბუღალტერი, დირექტორი კი იყო კოსტალო აბაშიძე’.

წოვათუშური გვარები სხვაგვარად გამოითქმის, მაგრამ ჩვენს მასალაში მათი ქართულენოვანი ვარიანტები განკუთვნილია ქართულენოვანი მსმენელისათვის.

დ) **გადართულია მთავარი წინადადება და მისი მომდევნო დამოკიდებული წინადადება:**

„პაქე, ცჰა კნათ მქ ვარ, უნდოდა იმას, დრო ზე დაექორწილებინა და შეილი შეილოები ჰყოლოდა.“

‘პოლა, ერთი ბიჭი რომ ჰყავდა, უნდოდა იმას, დრო ზე დაექორწილებინა და შეილი შეილოები ჰყოლოდა.’

ე) **რთული ქვეწყობილი წინადადების შემდეგ გადართულია ასევე რთული ქვეწყობილი წინადადება:**

„ოშტუქ დრო დექე, მქ შარენმაქ ში აღმიქ ცჰანლ ცო ეთორ, ამბუდ ცო დომაკერ. აი, ცენტრის ვ ზის ზემოთ, მე რო ვთვლი, ერთი ოცდაათი კაცია დახვრეტელი.“

‘ისეთი დრო მოვიდა, რომ ქუჩა ში ორი აღამიანი ერთად არ დგებოდა, ვერ ლაპარაკობდნენ. აი, ცენტრის ვ ზის ზემოთ, მე რომ ვთვლი, ერთი ოცდაათი კაცია დახვრეტელი.’

VI. **რთული ქვეწყობილი წინადადების შემდეგ გადართულია მარტივი წინადადება:**

„ათას ცხრაას ტყავორლოადტ შარე მქ დაჰ დახვრეტადბიქ, მქ გადასახლბადბიქ, მქ ციხებაფი, მქ – გადასახლებაში; *მამახეში მამინ დახვრეტა.*“



*‘ათას ცხრას ოცდაჩვიდმეტ წელს რომ ზოგი დაიხვრიტა, ზოგი ვადასახლოს, ზოგი ციხეში დაიხოცა, ზოგი – ვადასახლებაში; მამა-ჩემი მაშინ დახვრიტა!’*

## **VII. გადართულია დალოცვის ფორმულა:**

„მიხმე გლოვექ სუფრ დაჭ, უეჭველათ აღორ წკიპუქ შესწლო-ბარ ოჯუღლეჲ: *მის წმიდის წმიდა მადლიც შეგეწოთო და წკიპო შვილის შესწლობრისაც იყოსო!*“

*‘სადმე თუ გლოვის დღეა, უეჭველად იტყვიან წკიპოს მოსახსენიებელს მისებურად: მის წმიდის წმინდა მადლი შეგეწოთ და წკიპო შვილის მოსავთნარაც იყოსო!’*

წოვათუშები ამბობენ, რომ ეს სიტყვა ქართულად წარმოთქვა წკიპომ სუფრაზე სადღეგრძელოს სახით და ასეც დამკვიდრდა ხალხში.

ამდენად, წინადადებებს შორის გადართვები დადასტურებულია როგორც მარტივ, ისე შერწყმულ და რთულ წინადადებებში, როგორც თანწყობილში, ისე ქვეწყობილში.

წინადადებებს შორის გადართვა საპირისპირო მიმართულების დროსაც შეინიშნება: ქართულიდან წოვათუშურზე:

### **I. გაცვეთილი ფრაზის შემდეგ გადართულია მთელი წინადადება:**

*„ეგ იყო (ის დარ), ისევეც ღაგძ ფაშა, ვაძაჭ ოჯუხე.“*

*‘ეგ იყო, აქლა ნახეს ერთმანეთი, ბიჭის ოჯუახში.’*

### **II. გადართულია მთელი შუა ფრაზა:**

„ამ (ეც) დროს *თუფ-მადრა თევგარ ოსი, თუფ-მადრა*, გაიგე (ხაწინ ჰოთ)?!“

‘ამ დროს პურ-მარჩლი კეთდებოდა იქ, პურ-მარჩლი, გაიგე?!..’

III. გადართულია განმეორებული ერთგვარი წევრი თავის თანმხლებ წევრთან ერთად:

„წაა შლოვინა, ბიჭო (დაჭვოხვითქ, ევრ), *დაჭვოხვითქ ო სიერქ*.“  
‘წაა შლოვინა, ბიჭო, წაა შლოვინა იმ სიიდან.’

IV. მარტივი წინადადების შემდეგ გადართულია ასევე მარტივი წინადადება:

„მერე ეს სია მიდიოდა პასტერის ქუჩაზე, თბილისში: *პასტერ ქუჩენ მაქდა ვანერ ფოცხორღარჩ ფორქ*.“

‘მერე ეს სია მიდიოდა პასტერის ქუჩაზე, თბილისში: პასტერის ქუჩის შემოთ ცხოვრობდა ფოცხორიანთ ფორქ.’

V. ძაღრთებელ კავშირიან შერწყმულ წინადადებაში გადართულია წინადადების ბოლო ნაწილი და კავშირის შემდეგ:

„ის მივიდა და *ალოჩ ოჯუდ დაღევრ*...“

‘ის მივიდა და უთხრა მამამისს...’.

ამ შემთხვევაში და კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრთაგან ერთი ქართულადაა, მეორე კი – წოვათუშურად: „მივიდა და *ალოჩ*.“

„უკან დავიხიე ესე *ნელ-ნელა* და *ნჭუყუნ ვეღონას უმსრქ*.“

‘უკან დავიხიე ესე *ნელ-ნელა* და *გამოვედი იქიდან*.’

VI. გადართულია შერწყმული წინადადების მეორე ფრცვლი ნაწილი:

„წინაგორის მთას შეკიდებულეები, მეღორის წყაროსთან ლამაზ

მოღზე ცხენებს ჩამოხდიდნენ და გაუშვებდნენ მცირე ხნით *საძოვარძაქ. თაღოზანი ვაგუდ დახუთადმიენრ კაწკა ბანრი აპლო დახოერ, მადვ მაყა ხუ ხაბჟურ. ო შტიყ ვარძოა, ო შტიყ სადღევგრძელოუდ... წაქრეებლაერ ჩამშლიშ, ო შტიყ ნიყა ვაგრძელბადბორ.*“

*წინაგორის მთას შეკრებულოები, მელორის წყაროსთან ლამაზ მოღზე ცხენებს ჩამოხდიდნენ და გაუშვებდნენ მცირე ხნით საძოვარზე, ხურჯინებიდან ამოსხამდნენ მუხლოებდაბუყეებულ აატარა ბავშვებს და პურის საჭმელად დასხრებობდნენ, ისევე ვარძონი, ისევე სადღევგრძელოუბი... წაქრეებდნენ გეძრიელად და ისევე ზას ვაგრძელბებდნენ.*

VII. გადართულია რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი:

*„ოცდაათი კაცია დახფრეტილი, ტყანტ სტაკ დახფრეტადვითრა ფორეს.“*

*‘ოცდაათი კაცია დახფრეტილი, ოცდაათი კაცი დახფრეტინა იმ ფორეს.’*

VIII. გადართულია რთული ქვეწყობილი წინადადების მეორე ნაწილი:

*„გაიარეს საქისტოს ვორი, საყორნის ქელი, პაფსტუნაე თევბენრა ნიყ, მენხუდხან ლამაქე ნიყ დო.“*

*‘გაიარეს საქისტოს ვორი, საყორნის ქელი, პაპოს ცოლის ნაკეთები გ ზა, რომელსაც რკინის გ ზას ეძახიან.’*

*„მე იმიტომ ვიცა, რომ ჩემი სიცოცხლე, სოა უკუდდალა ხეყ ე ამბუე, მე დირა სად დქლო ას ცნობი ლეჰმორას.“*

*‘მე იმიტომ ვიცა, რომ ჩემი სიცოცხლე, მე იმიტომ ვიცა ეს ამბავი, რომ მე მთელი ჩემი სიცოცხლე ცნობებს ვკრეფდი.’*

## კოდის გადართვა ქართულიდან წოვათუშურზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს წოვათუშურში რესპონდენტები კოდს გადართავენ ორივე მიმართულებით: წოვათუშურიდან ქართულზე და ქართულიდან წოვათუშურზე. გადართვის სტრუქტურული მახასიათებლები თითქმის ანალოგიურია: ამ შემთხვევაშიც გადართვები გვაქვს სიტყვის, ფრაზის დონეზე, შერწყმული თუ რთული წინადადების შემადგენელ ნაწილებს შორის. ერთადერთი განსხვავება, რაც შეინიშნება, არის ის, რომ ქართულიდან წოვათუშურზე გადართვის შემთხვევაში მორფემის საზღვართან გადართვა არ დასტურდება.

არის შემთხვევები, როცა წინადადება იწყება ქართულად და წოვათუშურზე გადართვა ხდება პირველივე სიტყვის შემდეგ. **კოდი გადართულია:**

### I. ზედსართავი სახელის შემდეგ:

*„მდიდარ(ბან) ნახე ჩუ-ნჭაყ ლექვო შა ჰალო ვასრ ვა ნოვალინო...“*  
*‘მდიდარი ხალხისგან შე- და გამოვდებაში ვარ ვა ზრდილი...’*

ქართული ზედსართავი სახელის აუსლაუტი ნულოვანი დაბოლოებით არის, თუმცა ბრუნვა ერგატივია (რადგან საზღვრული დგას ერგატივში - ნახე). ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელს წოვათუშურში ერთვება **ჩო** მაწარმოებელი, მაგრამ მოცემულ სახელს ის არ ახლავს. აქ საქმე გვაქვს ინტერფერენტულ სიახლესთან.

### II. ჩართულის შემდეგ:

*„ჩვეულებრივად, დაჯო ქორწილ დეკოშ, შარნ მიკნორ ზურბეს თამარ.“*

*‘ჩვეულებრივად, დიდი ქორწილის გადახდით წაუყვანია ზურბეს თამარი’.*

*„რატომ უნდა, დიხრ ბუდსჷ ოსი ღევაღჷ, ცჷა ჩარეჷ მაჭარან ჰალორ მალჷ.“*

*‘რატომ უნდა, მთელი ღამე იქ იჯდა, ერთი ჩარეჷა ღვინოც ღდალია.’*

### III. საუბრის მარკერის შემდეგ:

*„კიდევ კარგი, ჟეჷ დუხლიჩრ დროჷ ალნი ბჷარდახეხონ.“*

*‘კიდევ კარგი, იმ უკუღმართ ღროს ალვანში მოგვხვით.’*

### IV. ადგილის ზმნიზედის შემდეგ:

*„იჷ (უდსი), ცო ხეჷ სო, მელჷკ წა ლათრალი, დო? ცჷა ორას წა ლათანდოლორ.“*

*‘იჷ, არ ვიცო, ნეტა, რამდენი სახლი იდვა, ქა? ერთი ორასი სახლი იდვებოდა.’*

### V. დროის ზმნიზედის შემდეგ:

*„ბოლოს (ტყუდჷსინე), მანც გავჯარბადბაღო სოხ.“*

*‘ბოლოს მაინც ვამიჯარდენენ.’*

### VI. ვითარების ზმნიზედის შემდეგ:

*„ძან (ზორეღში), ზორაღში განათობდღვადღონო სტაკ ვარ ო სანდრო.“*

*‘ძლიან, ძლიან განათლებული კაცი იყო ის სანდრო’.*

### VII. კავშირის შემდეგ:

*„მავრამ (მან) მან ბანდროლე ბუხრი ჩუ იდალინო.“*

*‘მავრამ მან ბავშვობაში ბუხარში შეისეშქნილა.’*

## გადართვა სიტყვის დონეზე

### I. გადართულია არსებითი სახელი:

„სა ხილუჩო ხანე ოშტიც ბახეჩო ხარხეხ ვჭვერე ვორ, ვორ დამავრბადოერ (ჭჷალდოერ), იმასაც რალაცაზე დაამავრებდენ, ის ახალგაზრდობა იმ **ჯორს** ესროდენ თოფებს.“

*‘ვათენების ჟამს კვლავ ვრძელი ხარხის წვერზე ვაშლს, ვაშლს ამავრებდენ, ის ახალგაზრდობა იმ ვაშლს ესროდენ თოფებს’.*

ეს ერთადერთი შემთხვევაა, სადაც წოვათუშურ არსებით სახელს („**ჯორ-ს**“) ქართული დაბოლოება აქვს, ანუ აქ ძირეული მორფემა წოვათუშურია და გრამატიკული მორფემა – ქართული.

II. გადართულია ზედსართავი სახელი, რომელიც სინტაქსურად წარმოადგენს პირდაპირ დამატებას:

„არც გაწურავდაო, თბილთბილს, აი, **დაფხაფხუ** პირდაპირ ...“

*‘არც გაწურავდაო, თბილთბილს, აი, თბილთბილს, პირდაპირ...’*

III. გადართულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრების ფუნქციით, რომელსაც მოჰყვება ქართული არსებითი სახელი (საზღვრული) წოვათუშური ნულოვანი დაბოლოებით.

„და ამ ფორემ შექმნა **შარჩ** ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ ერისტო (ბასილი კი არა!) ცისკარიშვილი და მიტრო ცისკარიშვილი.“

*‘და ამ ფორემ შექმნა თავისი ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ ერისტო (ბასილი კი არა!) ცისკარიშვილი’.*

#### IV. გადართულია ურთიერთობითი ნაცვალსახელი:

„ლაპარაკი არ შეიძლებოდა იმათი *ვაშეცაძე*.“

‘ლაპარაკი არ შეიძლებოდა იმათი ერთმანეთთან.’

#### V. გადართულია ზმნა:

„აღაზნისთავიდან (დაჟმბარჩლოქდა) *სო მალოერ* ბარგ (ნახხ ექჷორ აჷრ)...“

‘აღაზნისთავიდან წამოვიდოდა ბარგი.’

„ჭიგოს, ან რაიმე ასეთს (ლე იშტუქ უმ) *თავდო ერ*...“

‘ჭიგოს, ან რაიმე ასეთს ვაკეთებდნენ ხოლოქ და...’

წოვათუშურში პირდაპირი დამატება შემასმენელთან მიცემითში არ უნდა იდგეს, მაგრამ, რამდენადაც მოსაუბრემ წინადადება ქართულად დაიწყო და წოვათუშურზე გადართო, აღარ შეცვალა მისი სინტაქსი.

„აუცილებლად მოგვედები, აუცილებლად *დაჷ ლასრ*.“

‘აუცილებლად მოგვედები, აუცილებლად მოგვედები.’

აქ ზმნაში ასახულია პირველი პირის ნიშანი *ს*.

თუ ზმნა ზმნიზედასთან არის წარმოდგენილი, ზმნიზედაც მას წოვათუშურში უკვე ქართულიდან ინტერფერენციის გზით დამკვიდრებული მოდელით ეწყობა („აუცილებლად დაჷ ლასრ“).

#### VI. გადართულია შედგენილი შემასმენელი:

„ეს არის 1937 (ტყვაორლოქმტ) წლის (შარ) ოქტომბრის ბოლო დღეები (ყტუაჷსწლოქ დინში/დენიშ), ბოლო (ყტუაჷსწლოქ) *დენიშდა*.“

‘ეს არის 1937 წლის ოქტომბრის ბოლო დღეები, ბოლო დღეებია.’

**VII. გადართულია კოპულა:**

„პატარძალ (წინუს) და ლავაზიანთ ქალი (მოჰ), ნინო; ძერე (ჯე)...“  
'პატარძალი არის ლავაზიანთ ქალი, ნინო; ძერე...'

**VIII. გადართულია ვითარების გარემოება:**

„აი, ჩემად (აჰი, ატინო), კატკატკო შ მუშაობდა.“  
'აი, ჩემად, ნელა მუშაობდა.'

**IX. გადართულია საუბრის მარკერი ფრაზის ბოლოს:**

„მე რა ვიცი (სოჭთხეც), გარა!“  
'მე რა ვიცი, აბა!'

**X. გადართულია მიგებითი ნაწილაკი -მეთქ:**

„კარგი (დაქი და), ედონას რა, მიმიღეს (ლაცქსო) რა.“  
'კარგი-მეთქი რა, და მიმიღეს რა.'

**გადართვა სინტაგმის დონეზე**

**I. გადართულია ქვემდებარისა და მისი მართული განსაზღვრების სინტაქსური წყვილი:**

„დაეთანხმა (დათანხმბადვალთ) მაჰი დად.“  
'დაეთანხმა გოგოს მამა.'

**II. გადართულია კითხვითი ზმნიზედისა და შექმნის სინტაქსური წყვილი:**

„ჩასაცემლ (მაქლუფხო) ... მიჩე დარ ჩასაცემლ (მაქლუფხო);



*‘ხასაცმელიც... სად იყო ხასაცმელი!’*

ეს პირველი შემთხვევაა, სადაც კლასის მაჩვენებლები დაემთხვა ერთმანეთს: „*ხასაცმელი*“ დ- კლასისთვისაა მიკუთვნებული (*დარ*), ისევე როგორც მისი წოვათუშური ეკვივალენტი „*მაქლუფხრ*.“

**III. გადართულია ადგილის გარემოებისა და მისი განსაზღვრების სინტაქსური წყვილი, რომელიც მორფოლოგიურად წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს:**

*„მიტროს პადვალში, მიტრო პადლე იკრიბებოდნენ.“*

*‘მიტროს სარდაფში იკრიბებოდნენ.’*

ამდენად, წოვათუშური სინტაგმა ისეა ხართული ქართულ ფრაზაში, რომ არ ორღვევა წოვათუშური ენის სინტაქსური მოდელი. საჭიროების შემთხვევაში, ხართული სიტყვა „მასხინძელ“ ქართულ გრამატიკულ ელემენტს ისევე საკუთარ წოვათუშურ მოდელთან ასადაგებს, მაგ., „*მიჩე დარ* ხასაცმელ“ (‘სად იყო ხასაცმელი’); „*პატარძალ და*“ (‘პატარძალი არის’).

წოვათუშურ შემასმენელსა და ქართულ ქვემდებარეს შორის ყოველთვის გვაქვს შეთანხმება კლასსა და რიცხვში (იგივე მაგალითი – „*მიჩე დარ* ხასაცმელ“), გამომდინარე იქიდან, რომ წოვათუშურ ზმნაში აღინიშნება სახელის კლასის ნიშნები. ამ „ზედმეტობის“ გასწორება არ ხდება ქართული ქვემდებარის წოვათუშურ შემასმენელთან მეწყვილედ ხართვის შემთხვევაშიც.

კლას-კატეგორიის მარკირება ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა შემასმენელთან გადართვა გვაქვს მორფემის საზღვართან: ქართული ძირეული მორფემითა და წოვათუშური გრამატიკული მორფე-

მით. როცა სინტაქსურ წყვილში როლები იცვლება კოდებს შორის – შემასმენელი ქართულია და ქვემდებარე წოვათუშური, კლას-კატეგორიის ნიშანი, რა თქმა უნდა, აღარ გამოიხატება. („დაეთანხმა დად“) (დაეთანხმა მამა).

## გადართვა ფრაზის დონეზე

ქართულიდან წოვათუშურზე გადართვა ფრაზის დონეზეც და-დასტურდა:

### I. გადართულია ფრაზეოლოგიზმი:

„ასე დაეტოვებინა ყაჩაღები სიმონს – *დასტე ჩაღ ლაღდიენო*.“

‘ასე დაეტოვებინა ყაჩაღები სიმონს – *აჩოში ჩაღაგამოვლოებულები*’.

როგორც ჩანს, წოვათუშმა მშობლიურ ენაზე არჩია იდიომის გადმოცემა და ამით უკეთ გამოხატა სათქმელი.

### II. გადართულია საზღვრული და მიმართვის სიტყვა:

„და დახვრიტეს, ბიჭო! ისეთი ღიღი (ოშტუჟ ვაჯო), *ვაჯო სტაკ, ძეგო*, ნიჭიერზე უნიჭიერესი.“

‘და დახვრიტეს, ბიჭო! ისეთი ღიღი კაცი, ბიჭო, *ნიჭიერზე უნიჭიერესი!*’

### III. გადართულია მარტივი წინადადების ნაწილი:

„აი, ასეთი (აჰი, იშტუჟ) სიტუაცია *თავ მაღო დიწო ალნი*.“

‘აი, ასეთი სიტუაცია *შეიქმნა მთელ ალგანში.*’

**IV. გადართულია შერწყმული წინადადების ნაწილი:**

„ეს (ე) ფორე გადასცემდა, *დაჟ ლოფრო ბერია ფსტუმონამ* (ე) სიას.“

‘ეს ფორე გადასცემდა, გადასცემდა ხოლომე იმ ბერიას ცოლს ამ სიას’.

„ათი ღლის, ორი კვირის შემდეგ *ქორწ ლეცდორ ე ხაღს*.“

‘ათი ღლის, ორი კვირის შემდეგ იჭერდნენ ამ ხაღს’.

„მაშ, მაგხელა სახლს (ჰა იცხუმფლქ წა), *იცხუმფლქ მოჰ თავ-დორ*, როგორ გააკეთებდა (მოჰ თავდორ)?“

‘მაშ, მაგხელა სახლს, მაგხელას როგორ გააკეთებდა, როგორ გააკეთებდა?’

**V. გადართულია რთული წინადადების ნაწილი:**

„სანამ დახფრეტდნენ, ვაჟკაცურად *ალოზ ოსი ოჯუს*...“

‘სანამ დახფრეტდნენ, ვაჟკაცურად თქვა იქ იმან...’

**VI. გადართულია ზმნური ფრაზა და მომდევნო წინადადებები:**

„ჰოდა, ეს (ჰაჲჲ, ე) ჯგუფი *კატკატკო შძო შებალორჲ, სტადონეს* მუ გამოცხადბადიო ი ყრილობმაჲ, მუ ვაფრთხილოებ, ფრთხილობადლოს პარტიულ მუ შაკიენო, ჰალოო გააქტიურდა ეს ჯგუფი. ჯგუფი როგორ არის, კაცო, ვადლო შ?..“

‘ჰოდა, ეს ჯგუფი ნელა მუ შაობდა და, სტალინმა რომ ვა-მოაცხადა იმ ყრილობაზე, ვაფრთხილოებ პარტიულ მუ შაკეებსო, გააქტიურდა ეს ჯგუფი. და, ჯგუფი როგორ არის, კაცო, ჩვენებურად?..’

„ამ ოთხ კაცს (ეფთიფს სტაკვო), *ეფთიფს სტაკვო ფაქეჟ შუფოჯხი ხუძ მარ, ო ოჯხნა წეფრი, ნათესვი შხინიღ ღარ ხეცინო*. აგროვებდნენ, ვინ რას აკეთებს, ჰა უხ თეგოდო...“

‘ამ ოთხ კაცს სოფელოში თავიანთი ოჯახები ხომ ჰყავდა, იმ ოჯახების წეფრები, ნათესავები შხინიღად ჰყავდათ გაშეებული. აგროვებდნენ, ვინ რას აკეთებს...’

„მაშინ (ეჰათ) კი, სტალინის პერიოდში და შემდეგ (ჶ მაწიხრ) პერიოდში, *დო შცო აღმსკერ ჰონ, ჯირღორაჰო მთაფრბახ*.“

‘მაშინ კი, სტალინის პერიოდში და შემდეგ პერიოდში, სიტყვას ვერ იტყვოდი, გე შინოდა მთაფრობისა.’

„ამოშალეს (ჰალ ვოხეიქ)! ზუსტად ათი დღის, ორი კვირის შემდეგ *დოლო* (ჰალ ვოხეიქ! კამჰანო იტ დენიდოლო, შინ გეფსუდოლო) *ვომსუქ ჟორ ლეცბიქ, ცჰა ო სტაკვო ლასცივიქ*.“

‘ამოშალეს! ზუსტად ათი დღის, ორი კვირის შემდეგ ყველა დაიჭირეს, ერთი ის კაცი არ დაიჭირეს’.

## VII. გადართულია მიმართვის ფრაზა:

„სამოცდათექვმეტისაა ჩემი ძმა უკვე და, *დაკოდამ ჰონენო, დოჰ*, ბებიაჩვენი რო ამოიტანდა რძესო.“

‘სამოცდათექვსმეტისაა ჩემი ძმა უკვე და, *გახსოვსო, შენო, ვოვო*, ბებიაჩვენი რომ ამოიტანდა რძესო.’

გადართული ფრაზა – „*გახსოვსო, შენო, ვოვო*“ – ჩანართის ბადალია, ამით თხრობის მთავარი ხაზი წყდება და შემდეგ ის კვლავ გრძელდება ქართულად.

### VIII. გადართულია რთული თანწყობილი წინადადების ნაწილი:

„ესე იკრიბებოდნენ და (ლექლარე), რა თქმა უნდა (უხ ალარ დეწე), უხ ალარ დეწე, ო პადლოე შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული.“

‘აქ იკრიბებოდნენ და, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, იმ სარდაფში შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული’.

საანალიზო საუბრების მონოლოგიური სტილის გათვალისწინებით, თითქმის თანაბარი სისშორით დაფიქსირდა ორივე მიმართულების კოდის გადართვის მაგალითები, რადგან ქართულზე გადართვის შემთხვევაში, რესპონდენტს ინტერვიუერი შენიშნას აძლეოდა, რის შემდეგაც ის მშობლიურ კოდს უბრუნდებოდა, ანუ, ისევე ცვლიდა კოდს.

გამოიკვავა, რომ ქალები უფრო მეტად პატარა შემადგენელ ნაწილებს გადართავენ – სიტყვას, სინტაგმას, უფრო ნაკლებ – ფრაზასა და წინადადებას. მამაკაცები მეტად გადართავენ დიდ შემადგენელ ნაწილებს, უფრო ნაკლებ კი – პატარა შემადგენელ ნაწილებს.

### გადართვა კოდიდან კოდზე

განსაკუთრებით საინტერესოა წინადადების შიგნით გადართვები კოდიდან კოდზე: ქართულიდან წოვათუშურზე, შემდეგ ქართულზე, კვლავ წოვათუშურზე და ასე შემდეგ. კოდების მონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა წოვათუშოთა მეტყველებაში. მნიშვნელობა არა აქვს, საუბარს რომელ ენაზე იწყებენ.

მოვლენა, ძირითადად, დასტურდება რთულ წინადადებებში, იშვიათად შერწყმულშიც. მაგალითები:

„ერთი-ერთზე ყოფნისას (ცჰაფნი დაშ) [ბერია] ფსტუმროე ჩხ-

უბი დაუწყო ამ ფორეს (ბუჭი ოლქი ე ფორეს): *ე ლაზე სტაკ ვა!.. ე უხანან ვეწიშქორ ლაცვა!*“

‘ერთი-ერთზე ყოფნისას [ბერძენი] ცოდმა ჩხუბი დაუწყო ამ ფორეს: *ეს კარგი კაცია!... ეს რატომ უნდა დაიჭიროთ?!*’

დამოწმებულ მაგალითში ორგზის გვაქვს კოდის შეცვლა: წინადადების შუაში წოვათუშურად გადართულია სახელური ფრაზა (სინტაქსურად ქვემდებარე და თანმხლები განსაზღვრება), წინმსწრები და მომდევნო ფრაზები ქართულად არის, რომელსაც კვლავ წოვათუშური ფრაზა მოსდევს.

აქ ყურადღებას იქცევს ფრაზა - „*ფსტუმხოვ* ჩხუბი დაუწყო“ - სადაც ქვემდებარე წოვათუშურად არის მოცემული, ხოლო შემასმენელი და პირდაპირი დამატება - ქართულად. ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას და, რადგანაც მასთან ქართული ზმნა-შემასმენელი II სერიის მწკრივით არის შეწყობილი, რომელიც ასევე მოთხრობით ბრუნვას მოითხოვს სახელისგან, კონსტრუქცია მისაღები აღმოჩნდა წოვათუშურისათვის.

„მაყრი *პატარბლო* (წინუს) დოყანანან შუენ ბა ბახენო *იმ* (ო) *პატარბლოს* (წინუს) *ოჯახში*.“

‘*მაყრები პატარბლოს მოსაყვანად არიან წასული იმ პატარბლოს ოჯახში*.’

ამ მარტივ წინადადებაშიც ორჯერ გვაქვს გადართვა: ქართულად ჯერ გადართულია სახელი, ხოლო შემდეგ, წინადადების ბოლოს - სახელური ფრაზა. „*პატარბლო*“ წოვათუშისთვის პირდაპირ დამატებად არის აღქმული და ნულოვანი ფლექსიით არის მომდევნო წევრთან შეწყობილი.

„*ნქ არეე-დარეეადმალ ცხოვრებე* (ქაკლაკქ ღნხილაქ), მოძ-  
ლორ ცო ვაგერ ფჰეჰ, *ეს ძვედრები საკურთხებლად ფარსმის ხეო-*  
*ბაში ვადაპყავდათ*, ფარსმ ნეეები დაჰ ნელორ დალინრ.“

‘*ძერე აირ-დაორია ცხოვრება და ძღვედელო აღარ იყო სოფელ-*  
*ში, ეს ძვედრები საკურთხებლად ფარსმის ხეობაში ვადაპყავდათ,*  
*ფარსმის ხეობაში ვადაპყავდათ მიკვალებული*’.

წოვათუშურისთვის დამახასიათებელია ძაერთებელი *ჯ(და)* კავ-  
შირის ენკლიტიკური მიბმა წინამაგალ სიტყვასთან, რასაც ბილინგუე-  
ბი ხშირად ქართულად გადართულ სიტყვასთანაც იყენებენ. ამავე  
წინადადებაში, რომელიც აგებულებით რთული თანწყობილია, გად-  
ართულია შუა ფრაზა, რის შემდეგაც მოსაუბრე წივათუშურ კოდს  
უბრუნდება.

„*რეზნეებს ეძახოდნენ, მახსოვს* (დორ, დაკოდა სო), სტაკ  
ლელორ ცჰა, *ატარებდა, რეზინკები, რეზინკები*ენო (ლოელდორ)!  
– ვუღწლათერ. *ვაფიდოღით და ვეიყიდიდნენ, ხელოთ, აი*, მანქა პაკ-  
რიშქე თაგდიენრ, საბირელ *ისა პქონდა*, კამერა, *ხელოთ მოჯღლოარ-*  
*თული*... ონარე დახნათხ, ონარე დარათხრ ბდღრი.“

‘*რეზინკებს ეძახოდნენ, მახსოვს, ერთი კაცი დადიოდა, ატარებ-*  
*და. რეზინკები, რეზინკებიო! ყვიროდა ხოლოქე, ვაფიდოღით და ვეიყი-*  
*დიდნენ, ხელოთ, აი, მანქანის პაკრი შქეებისგან ვაკეთებული*... საბირელ,  
*ისა, კამერა პქონდა, ხელოთ მოჯღლოართული*... და იმით ვცხოვრობ-

ღით, იმით ვიყავით ბავშვები’.

აქ გადართულია არა მარტო ზმნები, არამედ მთელი ფრაზები,  
დიდი შემადგენელი ნაწილები. ამ შემთხვევაში გადართვა გვაქვს  
როგორც წინადადების შიგნით, ისე წინადადებებს შორის.

სანტერესოა ნასესხები ლექსიკის მოხმარების წესები გადართულ ფრაზებში. მოცემულ მაგალითში დადასტურებულია შემთხვევა, როდესაც ნასესხები ლექსიკური ერთეული გამოიყენებულია, აქედან ერთი ქართული მორფოლოგიური ყალიბით არის, მეორე კი – გარკვეულწილად, პიბრიდული (ქართულ-წოვათუშური) ყალიბით: „ატარებდა, რეზინკები, რეზინკებიდნო.“ მეორე ერთეულში ქართული მრავლობითის -ებ სუფიქსიც ჩანს, სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი-ც და წოვათუშური სხვათა სიტყვის -ენო-ც.

„ყოველდღიურ საკვებ (ჯალუენი) უხ დარ? ძროხა ჰყავდათ, აჭროწოერო მეთ... გუშინწინლა ჩემი ძმა იცინოდა: ბებიაჩემი ძროხის მოსაწველად რო წავიდოდა, მე და ჩემი ძმა ჯვამში პურს ჩავყრიდით და ვისხედით, მინამ ამოვიდოდა მოსაწველადან.“

‘ყოველდღიური საკვები რა პქონდათ? ძროხა ჰყავდათ, მოწველადნენ იმ ძროხას... გუშინწინლა ჩემი ძმა იცინოდა: ბებიაჩემი ძროხის მოსაწველად რო წავიდოდა, მე და ჩემი ძმა ჯვამში პურს ჩავყრიდით და ვისხედით, მინამ ამოვიდოდა მოსაწველადან.’

„საავადმყოფოში, პოსპიტალში რო იწვა ის ჩემი მამამთილი, *ჯვდენი*, სამი დღე იარეს, გომბორზე გადავიდნენ და, *ოდასადაახე, ოსე მარადეცაძე ჩუ დახე. ო შარძე კაწიო ვოჰ ვაგინე*, თავზე ხელი გადაუსვაო...“

‘საავადმყოფოში, პოსპიტალში რო იწვა, ის ჩემი მამამთილი... სამი დღე, სამი დღე იარეს, გომბორზე გადავიდნენ და, იქ რომ მივიდნენ, იმ ჩემს მამამთილთან, შევიდნენ. ის თავისი პატარა ბიჭიც ნახა და თავზე ხელი გადაუსვაო...’



„ქვეით რო სახლია, *ო ბოლო ძე* აგურის სახლი ღვას, აი, მესამე ქუჩაზე, ქვეით, *ოჯუძღ დად დარ, ნუ*, ცხვრის (ქე)...”

‘ქვეით რომ სახლია, იქ ბოლო ში რომ აგურის სახლი ღვას, აი, მესამე ქუჩაზე, ქვეით, იმისი პატრონი იყო, ნუ, ცხვრის...’

„კაწკუხუჭ სქ მარ ვარ – *წლოსა და ერთი თვისა* (შარლოუ’ნე, ცჰან ბათლოუ’ნე), *სამიდა* (ვო დამო); *და იქ* (ე უმს), ქერჩე, დაჰ თეცვალი’ნე, აჰო ვოცვიქ თბილისი, საავადმყოფო *იქიდან* სე მარნანეგო ხაყითიქ, მქ ჰქ მარ ოსი ვიშუენო. *ბაძო შეილოების ქალი არის (იყო რა) ჩემი დედამთილი და* ... ურმევ დანხას დაჰანო... *ხელო ში ბალოი, 12-13 თვის ბავშვი, პოდა* (ჰაყე), ურმენმაქ ხაყე’ნე... კოლექტივექ ურმი დოტურანო, თუდნო დანანანო... *ვილაც მოხუცი კაცი იყო და ხურჯინი ჰქონია*...”

‘ყველაზე პატარა ჩემი ქმარი იყო – *წლოსა და ერთი თვისა, სამი და; და იქ, ქერჩში, დანიჭო და ჩამოიყვანეს თბილისში, საავადმყოფო ში. იქიდან ჩემს დედამთილს გაავებინეს, რომ შენი ქმარი იქ წუგესო. ბაძო შეილოების ქალი არის (იყო რა) ჩემი დედამთილი და... ურმით წავედი იქაო... ხელო ში ბავშვი, 12-13 თვის ბავშვი; პოდა, ურემზე დაჰდა და... კოლექტივის ურემი მიდიოდო მარლის მოსატანადო... ვილაც მოხუცი კაცი იყო და ხურჯინი ჰქონია*...’

„ეს თორე რო იყო, *თორ ძე ვარ, თორცხორლარძ თორე, ეკუს შექმნადიქ კომკავშირულო ჯგუფალნი* 1937 წელს (ტყნვორლეტ შარე), მაგრამ (მა) უკვე 1930 წლიდან (ტყნოტ შარგოდლოტ), *ათას ცხრაას ტყნოტ შარგოდლოტ*; ეს ჯგუფი თარულად მოშაობდა.“

‘ეს თორე რომ იყო, *თორცხორანთ თორე, ამან შექმნა კომკავშირული ჯგუფი ალვანში 1937 წელს, მაგრამ უკვე ათას ცხრაას*

ოცდაათი წლიდან ეს ჯგუფი თარულად მუშაობდა’.

„კაცო, *მაცლომცოტ გელოთვამ მიხან ღაენიში*, აქაც (ესეჰან) *მოფსტ მაღცო*, კაცო (ეგო), აქ დაემარხოთო!“

‘კაცო, როდემდის მივასვენებთ საღლატ მიცვალებულებს, აქაც არის აკი მიწა, კაცო, აქ დაემარხოთო!’

მიმართვის გადართვა ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ამით მსემენლის ყურადღების მობლიოზება ხდება თხრობის პერსონაჟის მიერაც (თუ მოსაუბრე სხვის ამბავს ჰყვება) და მოსაუბრის მიერაც: „მოფსტ მაღცო, *კაცო*“, მაგრამ მიმართვის შემდეგ გადართვა უცნაურად ჩანს: „კაცო, *მაცლომცოტ გელოთვამ მიხან ღაენიში*.“ მიმართვა თითქმის მასტიმულირებელი უნდა იყოს, რომ საუბარი იმავე ენაზე გაგრძელდეს, როგორც ეს ფრაზის ბოლოს ხდება: „*კაცო, აქ ღაემარხოთო*...“ წოვათუშურ ფრაზებს შორის ერთი ქართული სიტყვის (აქაც) ჩართვაც, რა თქმა უნდა, საინტერესოა.

„იცინიან, ხარხარებენ (ბილი, ვარიდჯუღო დო)... და (კავშ.წ) *სტაკ ჰაჭვიქ ოსიგ*, ორი კაცი (ში სტაკ) ჰაჭვიქ *ო დადენ/ით შერღარ სტაკონ* !.“

‘იცინიან, ხარხარებენ... და კაცი ვავ ზაენეს იქ, ორი კაცი მიუგზაენეს იმ მამას/ედი შერიძიანთ კაცს!’

ამ შერწყმულ წინადადებაში წოვათუშურზე ორი გადართვა გვაქვს: წინადადების შუაში და ბოლოში. წინადადების შუაშივე გვაქვს ქართულზე გადართვაც: ქართულ სახელოურ ფრაზას მოსდევს ზმნური ფრაზა წოვათუშურად: „ორი კაცი ჰაჭვიქ ო დადენ“ (‘*ორი კაცი მიუგზაენეს*’).

აქ „ორი კაცი“ სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა წარმოდგენილი წოვათუშურ შემასქენელთან, რაც ბილინგვურ საუბრებში იშვიათად ხდება.

„დალინუდ დარ, ქორწილი დარ, უხ დარ, *ძვედელს* (მოძღრე-გრ) დექე'ერ, ონუს დალინრ ჰალრ კურთხადორ, ბადერ ჰალრ ქრის-ტადორ... მოძღრენ *უხდიდენ* (დეტორ), ღუნალ თელორ ქვე, *ჯამაგ-არს აძლევდენ ცხვრით*.“

*'მიცვალებული იყო, ქორწილი იყო, რაც იყო, ძვედელს დაუ-ძახებდენ, ის მიცვალებულს აკურთხებდა, ბავშვს ნათლავდა... ძვედელს უხდიდენ, ხელთასს აძლევდენ ცხვრით, ჯამაგ არს აძლევდენ ცხვრით'.*

აქ წინადადების შიგნით გადართულია არიბი დამატება, ცოტა მოშორებით შემასმენელი, ხოლო ბოლოში - მარტივი წინადადება. სინტაგმის წევრთაგან მნიშვნელობა არა აქვს, რომელი წევრი გადაე-რთება, ერთი წინადადების ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა წევრი იყოს გადართული, მაგ.: გვაქვს როგორც „*ძვედელს* დექე'ერ“ (*ძვედელს დაუძახებდენ*), ისე „მოძღრენ *უხდიდენ*“ (*ძვედელს უხ-დიდენ*). ანუ, არიბი დამატებისა და შემასმენლის სინტაქსურ წყვილში, რომელიც წარმოადგენს ზმნურ ფრაზას, პირველ შემთხვევაში არიბი დამატება ქართულადაა მოცემული და შემასმენელი - წოვათუშურად, მეორე შემთხვევაში კი - პირიქით. ორივეგან ქართული სიტყვა თავისი მორფოლოგიური ყალიბით არის გამოყენებული, რადგანაც არც ერთ შემთხვევაში არ არღვევა წოვათუშური ენის გრამატიკული მოდელი.

შესწავლილი მასალა გვიჩვენებს, რომ წოვათუშურ ფრაზაში ქართული სახელისა და ზმნის ჩართვის ორი შემთხვევა დასტურდება: პირველი, როდესაც ისინი წოვათუშურ გრამატიკულ ყალიბშია ჩას-მული და მეორე, როდესაც მთლიანად ქართული ყალიბით არის მო-ცემული. *ცხოვრებ, დამთავრბლარ, ხალავბადმო'ერ* პირველ შემ-თხვევას განეკუთვნება, ხოლო „*ძვედელს* დექე'ერ“ და „მოძღრენ

*უნდოდნენ*“ – მეორე შემთხვევას.

„კნათი, ალწ (თან ტარის, ბიჭო (თწ ვათხ, ევრ), სო ე თავღუდნწ სტაკ ცო ვასრ, – ალწ, – ხოლოთ არ გავცემთო (დაჭ ცო ბონკოს შუედნწ), ას ე ცო თავღოსწ, არ გავცემთო, ოლონდ დამანებეთ თავიო; ადგა, წავიდა.“

‘ბიჭებოო, თქვა [ელი შერიძიანთ კაცმა] (თან ტარის, ბიჭო), მე ამის ვამკეთებელი კაცი არა ვარო, თქვა, ოლონდ არ გავცემთო, მე ამას ვერ ვაფაკეთებ, არ გავცემთო, ოლონდ თავი დამანებეთო; ადგა, წავიდა’.

„და იმათ ერთი (ე ოვარ ცჰა) მანქწ ქორდიწ როგორმე, როგორმე ... თუ არადა (მოჭეცდა, მოჭეცდა... ცოჭ მწ) ძმათა სასათლაუნმაქ შარწ ვიკორწ, ვილაც ექთან გოგო ლატქ, რა, დაეხმარა, რო იქ არ წაეყვანათ; აი, ასე ჩამოასვენეს და აქ არის ეხლა სანბეგო ვა დაჭ ვოლონწ.“

‘და იმათ ერთი მანქანა იშოვეს როგორმე, როგორმე... თუ არა და ძმათა სასათლაო ზე მიჰყავდათ და ვილაც ექთან გოგო დაეხმარა. დაეხმარა, რომ იქ არ წაეყვანათ; აი, ასე ჩამოასვენეს და აქ არის ახლა სამეხის კარზე დაკრძალული’.

„ან ვაწურგ (ლე ლიტარ) ცო კი დეწრლოწ? მაგრამ (მწ), ალბათ, ჯანმრთელ დარ ეჭათ ყოველ (დანის) უბ, ყველაფერი (უმაყ); ასე ვიზრდებოდით (იშტ და გლარათხ).“ (მესამე პირი წოვათუ შერში ყოველთვის უნიშნოა და ეს უნიშნობა იქცევა მისთვის ნიშნად.

‘ან ვაწურგა არ უნდოდა, ნეტა? მაგრამ, ალბათ, ჯანმრთელი იყო მაშინ ყოველი რამე, ყველაფერი; ასე ვიზრდებოდით’.

მოცემულ მაგალითში მაპირისპირებული კავშირი მაგრამ კი არის

გადართული, მაგრამ შექმდეგი სიტყვები ნასესხობებს წარმოადგენს და ბუნებრივად ხდება კავშირის ენაზე საუბრის გაგრძელება.

მოსაუბრეები ისე გადადიან კოდიდან კოდზე, თითქოს ერთ ენაზე საუბრობდნენ. კოდების ასეთი მონაცვლეობა, როცა წინადადების სინტაქსური წყვილის წევრები სხვადასხვა ენაზეა, მხოლოდ ორივე ენის საუკეთესო დონეზე მცოდნე ბილინგვის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთი ფრაზები, ძირითადად, დიდი ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებს ეკუთვნის. როგორც მონოგრაფიის სათანადო თავში გვაქვს აღნიშნული, ამ ასაკის ადამიანებმა წოვათუშური ენა ჯერ კიდევ კარგად იციან და ასევე სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას, თუმცა ისინი უკვე დაღმავალი ბილინგვიზმის ეტაპზე იმყოფებიან, წოვათუშური ენის მოხმარების სფეროთა მკაცრად შემოსაზღვრული მასშტაბებისა და, შესაბამისად, მისი სოციალური სტატუსის მზარდი დაკნინების გამო.

### კოდის გადართვის მოტივები და ფუნქციები

ლინგვისტური მახასიათებლების გარდა, ყურადღებას იქცევს კოდის გადართვის მოტივები და ფუნქციები. არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ამ თემას სხვადასხვა ენობრივი წყვილის მაგალითზე. მეცნიერებს აინტერესებთ იმის გაგება, თუ როდის და რატომ ირჩევს მოსაუბრე ერთ ლინგვისტურ სახეობას მეორესთან შედარებით. ხშირად ამას ხსნიან სტილისტური, ან მეტაფორული მიზეზებით, სადაც ისეთი ფაქტორები, როგორცაა თანამოსაუბრე, სოციალური როლი, თემა, გარემო ვითარება, ინტერაქციის ტიპი – თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ამ შემთხვევაში ენის ალტერნაცია შეიძლება ემსახურებოდეს

სასაუბრო რეპლიკას, გამომხატველობით დამოკიდებულებებს ენის მიმართ, ან ლინგვისტური იდენტობის აღნიშვნას (Riehl 2005; Keller 1995; Auer (ed.) 1998).

ლინგვისტოა უმრავლესობა ეხება სოციალურ მოტივაციებს ერთ-თან შედარებით მეორე ლინგვისტური ნაირსახეობის ამორჩევისათვის.

სოციოლინგვისტურ ლიტერატურაში დასახელებულია უამრავი მიზეზი, რომელიც იწვევს კოდის გადართვას ერთი ენიდან მეორეზე. დევიდ კრისტალმა ასე წარმოგვიდგინა ეს მიზეზები:

1. მოსაუბრეს შეიძლება არ შეეძლოს სათქმელის ზუსტი გადმოცემა ერთ ენაზე და გადაერთოს მეორეზე, რათა კომპენსაცია მოახდინოს ამ ნაკლოვანებისა;

2. მოსაუბრე შეიძლება გადაერთოს სხვა ენაზე ცოტა ხნით აღელვების, დაღლილობის, ან დაბნეულობის დროს;

3. გადართვა, საზოგადოდ, ხდება, როდესაც ინდივიდს სურს გამოუხატოს სოლიდარობა გარკვეულ სოციალურ ჯგუფს. ამ დროს მსმენელიც მოსაუბრეს ანალოგიური გადართვით პასუხობს. გადართვის ეს ტიპი შეიძლება გამოყენებული იყოს იმისათვის, რომ გამორიცხოს სხვები საუბრიდან, ვინც ამ ენაზე არ საუბრობს. ამ დროს მოსაუბრეებს აქვთ კომფორტის გარკვეული ხარისხი იმის შეგნებით, რომ სხვა არაფინ ისმენს მათ საუბარს;

4. კოდის გადართვა ხდება, როდესაც მოსაუბრეს სურს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მსმენელისადმი. კრისტალის დაკვირვებით, ბილინგვები კოდის გადართვას მიმართავენ, რათა შექმნან განსაკუთრებული ეფექტი. ეს ნიშნავს იმას, რომ მოვლენა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სოციოლინგვისტური იარაღი ბილინგვი მოსაუბრეების მიერ.

კოდის გადართვის მიზეზების ანალიზისას კრისტალი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა არ არის ენის ინტერფერენციის ტოლფარდი იმ თვალსაზრისით, რომ ის ავსებს მეტყველებას. სათქმელის გამოხატვის უუნარობის დროს კოდის გადართვა ინტერფერენციის შემთხვევებზე მეტად გვთავაზობს მეტყველების უწყვეტობას (Crystal 1987).

კარენ კოუ ჩამოთვლის რამდენიმე შესაძლებელ პირობას კოდის გადართვისთვის. ზოგიერთი მათგანია:

1. ერთი სიტყვის ნაკლებობა რომელიმე ენაზე;
2. ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც გამოცდილია ერთ-ერთ ენაზე;
3. გაუგებრობა, რომელსაც ნათელი უნდა მოეფინოს;
4. რომელიმეს სურს, შექმნას გარკვეული კომუნიკაციური ეფექტი;
5. მოსაუბრე აგრძელებს საუბარს იმ ენაზე, რომელიც ბოლოს გამოიყენა, მასტიმულირებელი ეფექტის გამო;
6. მოსაუბრეს სურს შენიშვნის გაკეთება;
7. მას სურს, გამოხატოს ჯგუფური სოლიდარობა;
8. იგი სხვა ადამიანს გამოორიცხავს საუბრიდან (Karen 2003).

კოუ ამტკიცებს, რომ ამ სიიდან შესაძლებელია განვჭვრიტოთ, კოდის გადართვისთვის რომელი პირობები მოქმედებს კონკრეტულ სოციოლინგვისტურ კონტექსტში. მაგ., ადამიანი, რომელიც განიცდის ლექსიკის ნაკლებობას ინგლისურში, შესაბამის ლექსიკას გამოიყენებს მშობლიური ენიდან. ამდენად, ის კოდის გადართვას მიმართავს ლექსიკური ნაკლის შესავსებად. ამ შემთხვევაში კოდის გადართვის ფუნქცია არის ენობრივი ბარიერის დაძლევა.

ბასიოუნი წერს, რომ, როდესაც ბილინგვებს ეკითხებიან, რატომ გადართავენ კოდებს, ისინი ამბობენ, რომ ამას აკეთებენ ლექსიკური ნახრალების შესავსებად, ან იმიტომ, რომ არა აქვთ შესაფერისი სიტყვა თავიანთი გრძნობების გამოსახატავად ერთ-ერთ იმ კოდზე, რომელსაც ფლობენ.

ბასიოუნის განმარტებით, თუ ჩვენ კოდის გადართვას გავიგებთ, როგორც დისკურსთან დაკავშირებულ მოვლენას, მაშინ უნდა დავადასტუროთ, რომ მას აქვს სოციოლინგვისტური მოტივაციები და ისინი არ უნდა გავიგოთ მხოლოდ სინტაქსური შეზღუდვებისა და კონსტრუქციების თვალსაზრისით (Bassiouny 2006: 155).

მაიერს-სკოტონი მიუთითებს, რომ ბლომისა და გუმპერზის კლასიკურ ნაშრომამდე (Blom & Gumperz 1972), რომელიც შეეხებოდა კოდის გადართვას ნორვეგიის დიალექტებს შორის ჰემნესბერგეტში, კოდის გადართვა მიიჩნეოდა არასრულყოფილი ბილინგვის პერფორმანსის ნაწილად, რომელსაც არ შეეძლო წარემართა საუბარი ერთ ენაზე განსხვავებულ სიტუაციებში (Myers-Scotton 1993: 47).

ვაინრაიხმა გუმპერზამდე აღნიშნა, რომ ხალხი გადაერთვება მის ორგვლივ არსებული გარემოს, გარკვეული სამეტყველო ქმედებისა და სიტუაციის გამო. მაგ., უნივერსიტეტის ლექტორი საუბრობს მხოლოდ ოფიციალურ კოდზე, როდესაც ის ატარებს ლექციას, რადგან ამას ხელს უწყობს მის გარშემო შექმნილი გარემო – სალექციო ოთახი, საუბრის არაპირადული თემა და იქ მსხდომი სტუდენტები, რომლებიც მისგან ოფიციალურ კოდზე საუბარს ელოდნენ. ლექციის შემდეგ შინ წასვლისას, როდესაც მას სტუდენტი მიჰყვება და პირადულ თემებზე ესაუბრება, სიტუაცია განსხვავებულია. ლექტორმა აქ შეიძლება განსხვავებულ კოდზე ისაუბროს (ნაკლებად ოფი-



ციალურზე). ამდენად, ვაინრაინის მიხედვით, სამეცნიერო ქმედების ბუნება (ამ შემთხვევაში პირადულ თემებზე საუბარი) ხელს უწყობს გადართვას. ამდენად, გადართვა დამოკიდებულია, უბრაველესად, თემებზე და შემდეგ მონაწილეებზე. ეს ორი ფაქტორი ერთად ქმნის სამეცნიერო ქმედებას (Weinreich 1953: 73).

ამ შეხედულების თანახმად, როგორც ბასიოუნი აფასებს, მონაწილეები არ განაპირობებენ არჩევანს, არამედ ეს ხდება სამეცნიერო ქმედების გამო, რომელიც აკონტროლებს ყველაფერს (Bassiouney 2006: 155).

გუმპერზის მიხედვით, მოსაუბრე არ არის სიტუაციის მიერ კონტროლირებადი, პირიქით: ის მართავს სიტუაციას. სამეცნიერო ქმედებაზე მეტად ის არის კოდის გადართვის მიზეზი. ის აგებს საკუთარი და მსმენელის (აუდიტორიის) სიტუაციური ნორმების აბსტრაქტულ გაგებებს, გადმოსცემს რა ინფორმაციას ისე, რომ მის მიერ თქმული სიტყვები გაგებულ და აღქმულ იქნეს მისი სურვილისამებრ. ამდენად, გუმპერზის მიხედვით, ინდივიდები თამაშობენ მთავარ და შემოქმედებით როლს კოდის გადართვაში (Gumperz 1982a: 61).

როგორც ბასიოუნი აღნიშნავს, გუმპერზმა და სხვებმა ხაზი გაუსვეს მოსაუბრის მაკონტროლებელ როლს და განსაზღვრეს მის მიერ ინიცირებული ფაქტორები კოდის გადართვის დროს. თუმცა ზოგიერთმა ლინგვისტმა გააკრიტიკა გუმპერზის მოდელი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო, უარეყო მისი წვლილი კოდის გადართვის შესწავლის საქმეში (Bassiouney 2006: 158).

ბლომი და გუმპერზი ჰემესბერგეტის სტრუქტურებს შორის კოდის გადართვის ანგარიშგასაწევ მიზეზად ასახელებენ შეცვლილ თემას საუბრის დროს (Blom & Gumperz 1972: 434).

გუმპერზს კოდის გადართვის ფენომენის განხილვისას მოგვიანებით შემოაქვს ცნებები: „ჩვენ“ და „ისინი“ და აღნიშნავს, რომ ესენი არის ორი განსხვავებული კოდი, რომელსაც მოსაუბრეები საუბარში იყენებენ: სოციალურად „ჩვენ“ ასოცირებულია სახლთან და ოჯახურ კავშირებთან, ხოლო „ისინი“ ასოცირებულია საჯარო ინტერაქციებთან (Gumperz 1982a: 95).

გოფმანი განიხილავს ინდივიდს, როგორც მოსაუბრეს, რომელიც ასრულებს განსხვავებულ როლებს და ენას იყენებს, რათა აღნიშნოს ახალი როლი. თითოეული ადამიანი თამაშობს განსხვავებულ როლებს სხვადასხვა ხალხთან განსხვავებულ სიტუაციებში. ამას მეცნიერი უწოდებს „ცვლილებას ყოველი ფენის ნაბიჯზე“. ეს ცვლილება გულისხმობს ცვლილებას ქმედების ჩარჩოში. „ჩარჩოს“ ქვეშ კი გოფმანი მოიაზრებს იმ საშუალებებს, რომლითაც მოსაუბრეები აღიქვამენ ერთმანეთსა და სიტუაციას. მეცნიერი ამ ცვლილებებზე საუბრის დროს არ ენება მხოლოდ ბილინგვებს, არამედ მონოლინგვებსაც, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ კოდებს განსხვავებულ სიტუაციებში, მაგ., დიგლოსიურ საზოგადოებებში (Goffman 1981).

რომანის მიხედვით, კოდის გადართვა არის უბრალოდ „ქედების ცვლა“. ხალხი სპონტანურად მართავს თავის ენას საკუთარი საჭიროებებისათვის, ცვლის რა თავის დამოკიდებულებებსა და სტილს ყველა დროს და ეს ენება როგორც ბილინგვებს, ისე მონოლინგვებს დიგლოსიურ საზოგადოებებში. ბილინგვების შემთხვევაში, უბრალოდ, ეს გადართვა უფრო მეტად აშკარაა (Romaine 1995).

ბრაუნი და გილმანი მიუთითებენ, რომ ნებისმიერ მულტილინგუურ და მულტიკულტურულ გარემოში ვხვდებით სხვადასხვა

სახის ენის გადართვას. რესპონდენტები, რომლებიც არიან განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, ლინგვისტური და კულტურული გარემოდან, გამოკითხვისას ასახელებენ კოდის გადართვისა თუ შერევის განსხვავებულ მიზეზებს (Brown & Gilman 1960).

ერთ-ერთი ბლოგერი გენე დემბი კოდის გადართვად აფასებს საუბრის ტონის შეცვლასაც. მაგ., სამსახურში ყოფნისას ადამიანები კოლეგებს ესაუბრებიან ზრდილობიანი ტონით, ხოლო, როდესაც მათ დედა, მეგობარი, ან პარტნიორი ურეკავთ, ისინი ყოველგვარი ფიქრის გარეშე მათთან საუბარს იწყებენ სრულიად განსხვავებული ხმით, რომელიც ნაკლებად და მახასიათებელი ოფისებისათვის. მათი სინტაქსი ამ დროს ნაკლებად ოფიციალურია.

მუთუსამი სტატიაში „კოდის გადართვის საკომუნიკაციო ფუნქციები და მიზეზები“ განიხილავს კოდის გადართვის სოციო-ლინგვისტურ, კულტურულ და პედაგოგიურ მიზეზებს მაღაიზიურ კონტექსტში (Muthusamy 2009).

მან მალიკის მიერ კლასიფიცირებულ ფუნქციებზე დაყრდნობით, თავის რესპონდენტებს – მაღაიზიელ სტუდენტებს – დაუსვა კითხვები, რათა გამოეკვინა კოდის გადართვის მიზეზები თავის საკვლევ ობიექტში. ანუ, მუთუსამმა ფუნქციები მიზეზების დასადგენად გამოიყენა.

13 რესპონდენტიდან 12-მა გადართვის მთავარ მიზეზად დაასახელა ჩვეულება. მათ აღნიშნეს, რომ კოდის გადართვა არის ნორმალური პრაქტიკა თავიანთ მეტყველებაში, რამდენადაც ისინი მიჩვეულნი არიან ენის გამოყენების ასეთ ფორმას. ჩვეულების ჩამოყალიბება მჭიდროდ მიემართება ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტს. ამ შემთხვევაში ინდივიდის ჩვევა მოიცავს ენის არჩევანს, ლექსიკური

ფორმების შერჩევას, გრამატიკული სტრუქტურის გამოყენებას; გასათვალისწინებელია აგრეთვე სოციალიზაციის ტერმინი, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა ინდივიდს (Muthusamy 2009: 13).

მოსაუბრის ლინგვისტური უნარები – ისაუბროს ლაღად ერთზე მეტ ენაზე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერაქციის განმაფლობაში. თემასთან დაკავშირებული სალექსიკონო ერთეულების ნაკლებობა და, აქედან გამომდინარე, ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა დასახელდა მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად კოდის გადართვისთვის (იქვე: 14).

არაოფიციალური საუბრების დროს მკვლევარმა გამოავლინა აგრეთვე შემდეგი მიზეზები: მოსაუბრეები გადაერთვებოდნენ ლინგვისტურ გარემოში მეტი ძალაუფლების მქონე კოდზე, რათა ეჩვენებინათ, რომ ფლობდნენ ამ ენას. ამ კონტექსტში ხშირად ძალაში იყრის ასრულებდა ამ როლს. მეორე მიზეზი იყო პრესტიჟული ენის გამოყენების სურვილი: კოდის გადართვით მოსაუბრეები მიანიშნებდნენ, რომ მათ იცოდნენ ეს ენა. ძალაში იყრის კონტექსტში ეს ენა იყო ინგლისური (იქვე).

მუთუხსამი აყენებს ორ დამატებით საკითხს კოდის გადართვის თემასთან დაკავშირებით ჯაფნას სკოლაში: სოციალურ-პოლიტიკურ პირობებსა და სოციალურ-ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს, რომლებსაც ასევე მიზეზებში განიხილავს.

გაძლიერებული პოლიტიკურ-სამხედრო ბრძოლის გამო, ცალკეული ლინგვისტური მდგომარეობისა და ამაღლებული თამილური შეგნებისათვის, ორივე – ოფიციალური და სასაუბრო თამილური – არის საერთო ენა, რომელიც გამოიყენება ხალხში. ინგლისური იხმარება მხოლოდ ოფიციალური მიზნებისათვის. სტუდენტებსა და

მასწავლებლებს ერთულებათ, გამოიყენონ ინგლისური პედაგოგიური მიზნებისგან განცალკევებით, რამდენადაც ეს იქნებოდა ზეწოლა საზოგადოების გაბატონებულ დამოკიდებულებებზე სასწავლებლის გარეთ (იქვე: 11).

რაც შეეხება სოციალურ-ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს, კოდის გადართვა, კანაგარაჯაჰის აზრით, არის ერთადერთი ინდიკატორი ჯაფნაში იმისა, რომ საზოგადოება ბლინგეურია (Canagarajah 1995).

მსგავსი სიტუაცია განხილულია ჰამერსთან და ბლანკთან (Hamers & Blanc 1982), როდესაც ისინი ეხებიან ინგლისურ-ფრანგულ შერეულ კოდს ჩიაკში (Chiac), რაც მოტივირებულია სოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტებით. ადამიანებს არ სურთ, მიატოვონ თავიანთი ეთნიკური იდენტობა, დატუქმებული ფრანგულზე, არც ის უნდათ, რომ ამორიცხვლები იყვნენ ჩრდილო-ამერიკული ინგლისურის ეკონომიკური უბრატესობებიდან, ამიტომ ურევენ ორ კოდს.

ჰამიდი და სარემმა შეისწავლეს (Hamidi & Sarem 2012) კოდის გადართვის მიზეზები ირანულ საკლასო ოთახში და დაადგინეს, რომ:

1. როცა რაღაც ემოციური ითქმება, ან ჩნდება, მასწავლებელი იყენებს კოდის გადართვას და მოსწავლეებიც მას მიჰყვებიან. გოგონები, ჩვეულებრივ, კოდის გადართვას მიმართავენ, როდესაც რაღაც ითქმება მათი გრძნობების საწინააღმდეგოდ, რათა აჩვენონ, რომ ეს არ მოსწონთ. ისინი თავს იცავენ ვერბალურად უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცები.

2. როდესაც მასწავლებელი გრძნობს, რომ მოსწავლემ ვერ გაიგო ნათქვამის მნიშვნელობა, ის იყენებს კოდის გადართვას. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელმა ვერ შეძლო ეზოვა შესაფერისი სიტყვა, რომ მოსწავლისთვის გაეგებინებინა, ის მიმარ-

თავდა კოდის გადართვას. ამას ის აკეთებდა როგორც თავისი, ისე მოსწავლის ინტერესებისთვის. ამ შემთხვევაში კოდის გადართვა მთლიანად ემსახურება უკეთეს კომუნიკაციას.

3. როცა კი მასწავლებელი იყენებდა კოდის გადართვას, ან წამოიწყებდა მას, მოსწავლეები აუცილებლად აწყებოდნენ ხოლმე ამაში. სტუდენტების მხრიდან ჩანდა, რომ ისინი უფრო კომფორტულად გრძნობდნენ თავს ამ დროს, რადგანაც გადაერთვებოდნენ ენაზე, რომელზეც უფრო გამოცდილები იყვნენ.

4. როდესაც მოსწავლე შეცდომას უშვებდა მეტყველებაში და მასწავლებელი არ ასწორებდა მას, მოსწავლეები ეხმარებოდნენ და ეუბნებოდნენ სწორ ფორმას თავიანთ ენაზე. პასუხად მასწავლებელიც ამ ხერხს მიმართავდა.

5. როდესაც მასწავლებელს სურდა ეთქვა რაღაც სარკასტული, ან ესუძრა, ის იყენებდა კოდის გადართვას. ბიჭები ამ კერძო ასპექტში აჩვენებდნენ ტენდენციას, გამოეყენებინათ კოდის გადართვა უფრო მეტად, ვიდრე გოგონები, რამდენადაც ისინი მეტად ხუმრობდნენ, ან კომენტარს უკეთებდნენ მასწავლებლის ხუმრობას.

6. როდესაც მოსწავლეები იყვნენ ინიციატორები კოდის გადართვისა, ისინი მას მიმართავდნენ იმავე მიზეზებით, რომლითაც მასწავლებელი. ასეთ დროს მასწავლებელი მთელ კლასს შემოატრიალებდა ხოლმე პირველი ენის გამოყენებისკენ (Hamidi & Sarem 2012: 98).

კოდის გადართვა ხდება ყველგან, მათ შორის, პოლიტიკურ სამყაროშიც. 2009 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის მაშინდელ კანდიდატს ბარაკ ობამას ბენის ჩილი ბაულში (Ben's Chili Bowl) შავკანიანმა მოლარემ ჰკითხა, სჭირდებოდა თუ არა ხურდა, რაზეც ობამამ უპასუხა: 'nah,

we straight.’<sup>22</sup>

კოდის გადართვის მოტივაციების თემას ეძღვნება არა მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომები, არამედ ჟურნალისტიკა-ბლოგერთა ელექტრონული სტატიებიც. მაგ., ერთ-ერთი ბლოგერი მატ ტომპსონი (Matt Thompson) წერს, რომ ასობით წერილს იღებს მკითხველებისგან ამ თემასთან დაკავშირებით, რომლებიც ასახელებენ კოდის გადართვის უამრავ მოტივს საკუთარი გამოცდილებიდან. ავტორმა მათი მონათხრობიდან გამოყო 5 ძირითადი, ყველაზე ხშირად დასახელებული მოტივი:

**1. ფსიქოლოგიური მოტივი:** კოდის გადართვის ყველაზე ზოგადი მაგალითები სრულიად უნებლიეა. ერთ-ერთი მკითხველი წერდა, რომ სიცოცხლისთვის საშიშ სიტუაციებში ის გადაერთებოდა იმ ენაზე, რომელსაც უფრო ხშირად იყენებდა, ვიდრე თავის პირველ ენაზე, რომელთან შეხებაც იშვიათად ჰქონდა.

**2. კულტურული მოტივი:**

ძალიან ხშირად მოსაუბრეები კოდს ცვლიან როგორც შეგნებულად, ისე შეუგნებლად. შეგნებულად ცვლიან იმ ადამიანებთან ურთიერთობის დროს, ვისთანაც გარკვეულ კულტურულ კონტექსტს იზიარებენ.

**3. სარგებლის მიღების სურვილი:**

ადამიანები, რომლებიც მუშაობენ მრეწველობაში, ამბობენ, რომ სამხრეთული აქცენტი არის კარგი საშუალება, მიიღონ მეტი გასამრჯელო და ბევრი სასურველი მომხმარებელი.

**4. საიდუმლოს განდობის სურვილი:**

მკითხველები ასახელებენ უამრავ მაგალითს, როგორ მიმარ-

---

22. <http://www.npr.org/sections/codeswitch/2013/04/08/176064688/how-code-switching-explains-the-world>

თავენ კოდის გადართვას, როგორც საუბრის ხერხს, რათა მეგობარს, ან ახლობელს საიდუმლოდ რაღაც გაანდონ, რომელსაც სხვები ვერ გაიგებენ.

### 5. ფიქრების უკეთ გადმოცემის სურვილი:

ივარაუდება ლექსიკური ნაპრალების შევსება. მაგ., ფრანგი ბავშვები, რომელთაც არა აქვთ შესაბამისი სიტყვა კონტინენისთვის, რომლითაც სკოლის კაფეტერიაში სახლიდან საუზმე მიაქვთ, ხმარობენ სიტყვას – ‘le lunchbox’.

ამრიგად, კოდის გადართვის გამომწვევი მიზეზების კვლევისას ყურადღება ექცევა როგორც ლინგვისტურ, ისე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ლინგვისტურ ფაქტორებში, ძირითადად, მოიაზრება ენობრივი უნარ-ჩვევების ნაკლებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები, სოციალურ ფაქტორებში – საუბრის თემა, თანამოსაუბრე, ინტერაქციის გარემო და სხვ. გამოიკვეთა აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაციებიც.<sup>23</sup>

არაერთი შეხედულებაა გამოთქმული კოდის გადართვის ფუნქციების შესახებაც. ამ დარგში მომუშავე მეცნიერები აღნიშნულ საკითხს თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით ანალიზებენ. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ფუნქციებსა და მოტივებს ერთმანეთთან აიგივებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოვლენის მიზნებსა და მიზეზებს ერთ კონტექსტში განიხილავენ. შევეცდებით, ამ შეხედულებათაგან ძირითადი გამოვყოთ.

გუმპერზი კოდის გადართვას ხედავს, როგორც დისკურსის განსაკუთრებულ სტრატეგიას, რომელსაც ბილინგვები კომუნიკაციის

23. წმინდა ფსიქოლოგიურ მიზეზებზე ცალკე თავში ვსაუბრობთ.



განმავლობაში, ჩვეულებრივ, განსხვავებული მიზნებისთვის იყენებენ. ის ყურადღებას ამახვილებს კოდის გადართვის საუბრის ფუნქციებზე. „კოდის გადართვა მიანიშნებს კონტექსტუალურ ინფორმაციაზე, რომელიც ეკვივალენტურია იმისა, რაც მონოლინგვთა გარემოში აისახება მეტყველების უფრო მსხვილ ელემენტებზე, ან სხვა სინტაქსურ თუ ლექსიკურ პროცესებზე“, – წერს მეცნიერი (Gumperz 1982: 98).

მკვლევარმა ენობრივ სიტუაციებში გამოავლინა სასაუბრო კოდის გადართვის შემდეგი ზოგადი ფუნქციები:

1. ციტატის მარკირება;
2. აღრესატის, როგორც შეტყობინების მიმღების, დაკონკრეტება;
3. გამეორებები;
4. შორისდებულები;
5. ინფორმაციის შეფასება;
6. განსხვავების აღნიშვნა – რა არის პირადული და რა – საზოგადო (Gumperz 1982: 75-84).

ასრულებს რა საერთოერთო და რეფერენტულ ფუნქციებს, კოდის გადართვა არის საშუალება, გადმოსცეს სოციალური და ლინგვისტური მნიშვნელობები.

რომანმა შეაჯამა გუმპერზისეული საუბრის 6 ფუნქცია და აღნიშნა, რომ გადართვა შეიძლება ემსახურებოდეს აგრეთვე შემდეგ მიზნებსაც:

7. იყოს წინადადების შემაგსებელი;
8. ნათელი მოჰფინოს, ან ხაზი გაუსვას შეხედულებას;
9. გადავიდეს ახალ თემაზე;
10. აღნიშნოს დისკურსის ტიპი;
11. დააკონკრეტოს სოციალური სფერო (Romaine 1995: 161-162).

გუმპერზი აღნიშნავს, რომ მოსაუბრე კოდის გადართვას მიმართავს სასაუბრო ეფექტის შესაქმნელად. იგი ცალკე ეხება კოდის გადართვის დისკურსის ფუნქციას, რომელსაც უწოდებს აგრეთვე ენის პერსონიზირების ფუნქციას. მისი მითითებით, კოდის გადართვის დროს ბილინგვებს სურთ:

1. აღნიშონ განსწავლულობა, ან
2. განუსწავლულობა;
3. გადმოსცენ ზუსტი მნიშვნელობა;
4. გააადვილონ კომუნიკაცია, იყენებენ რა უმოკლეს და უმარტივეს გზებს;
5. შეესაბამებოდნენ დიდ ავტორიტეტს;
6. მიიპყრონ ყურადღება: სტილისტური, გამომხატველობითი, ემოციური;
7. ხაზი გაუსვან საქმის არსს;
8. ურთიერთობა დაამყარონ უფრო ეფექტურად;
9. მოახდინონ იდენტიფიცირება გარკვეულ ჯგუფთან;
10. შეავსონ ნაპრალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მხრივ;
11. გამოსატონ კეთილი ნება და მხარდაჭერა ჯგუფის წევრებისადმი (Gumperz 1982: 144).

ბლომი და გუმპერზი ხაზს უსვამენ, რომ, თუ სტუდენტები ჰემესტერგეტში ირჩევენ, გამოიყენონ სტანდარტული დიალექტი (არასტანდარტულის გამოყენების შემდეგ), ის შეიძლება განაპრობებული იყოს არა მხოლოდ შეცვლილი თემით, არამედ სტანდარტული სივანლების გამოყენებით, რითაც სტუდენტები იზიარებენ ჯგუფის წევრობას, როგორც ინტელექტუალები. ამდენად, სტუდენტები, როგორც ინდივიდები, ხაზს უსვამენ, რომ ისინი ერთმანეთ-

თან იზიარებენ საერთო კარგ განათლებას და იყენებენ ამ ჯგუფის დიალექტს. ასეთ შემთხვევაში ერთი კოდის გამოყენებას მეორესთან მიმართებით აქვს დისკურსის ფუნქცია – გააიგივოს მოსაუბრე ცალკეულ სოციალურ ჯგუფთან (Blom & Gumperz 1972: 434).

ნილემპა შენიშნა, რომ გუმპერზის მიერ შემოთავაზებული კოდის გადართვის ფუნქციები სრულიად მსგავსია კონტექსტუალური რეპლიკებისა, რასაც ის აღწერს თავისსავე ნაშრომში (Nilep 2006: 10).

გუმპერზის შრომებმა ბიძგი მისცა შემდგომი დროის მკვლევარებს, თვითონაც გამოიყოთ კოდის გადართვის ფუნქციები (McClure & McClure 1988; Romaine 1989; Nishimura 1997; Zentella 1997).

მომდევნო პერიოდის კვლევებმა გამოავლინა ალტერნატივის სხვა სასაუბრო (ინტერაქციული) ფუნქციები. მაგ.,

12. კოდის გადართვა შეიძლება ემსახურებოდეს ცვლილების არჩევანის გაზრდას (იხ. Wei 1998; Cromdal 2001);

13. უარის შერბილებას (Bani-Shoraka 2005; Wei 2005);

14. შესწორებას (Auer 1995; Sebba & Wooten 1998);

15. დაწინებული პასუხის აღნიშვნას (Wei 1998; Bani-Shoraka 2005).

საუბრის ამ ფუნქციებთან ერთად, ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, თუ გადართვები ერთი ენობრივი სახეობიდან მეორეზე როგორ ქმნის სიტუაციის სპეციფიკურ ელემენტებს, აღნიშნავს მოსაუბრის იდენტობასა და მიმდინარე საუბრისთვის შესაფერის ფონს (Wei 1998; Wei 2005; Gafaranga 2001).

აუერი მიიჩნევს, რომ მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული ფუნქციები ხშირად ცუდად არის განსაზღვრული. მაგ., გამეორების ფუნ-

ქცია კარგად ვერ ხსნის, ზუსტად რა მეორდება და რატომ. შეინიშნება ტენდენცია, ლინგვისტური ელემენტები (როგორცაა, მაგ., შორისდებული) შეუზღოვნ პრაგმატულ, ან სასაუბრო ფუნქციებს (როგორცაა, მაგ., აღრესატის დაკონკრეტება, ან ინფორმაციის დამატება) ისე, რომ არ დაახასიათონ ურთიერთობები ფორმებსა და ფუნქციებს შორის (Auer 1995).

აუერი ასახელებს კოდის გადართვის ორ შემთხვევას, სადაც ინტერაქციული ეპიზოდის სოციალური და კულტურული კონტექსტი დაკავშირებულია საუბრის სტრუქტურასთან. პირველი არის კოდის გადართვის ის სახეობა, რომელიც მიემართება დისკურსს (**discourse-related code-switching**) და გამოიყენება იმისათვის, რომ მონაწილეებს საუბარი ცალკეული გამოთქმებისათვის ინტერაქციული მნიშვნელობის მინიჭებით, ანუ, ის ემსახურება საუბრის ფუნქციას. ტერმინი მომდინარეობს მისი ნაშრომიდან (Auer 1984). კოდის გადართვის მეორე სახეობა მიემართება მონაწილეს (ანუ მონაწილეს) (**participant (preference)-related code-switching**) (Auer 2002: 7).

პირველი სახეობისგან განსხვავებით, სადაც ახალი ენა პროტოტიპულად ქმნის ახალ ჩარჩოს, ან საყრდენს ურთიერთობისათვის, რომელსაც შემდეგ ყველა მონაწილე იზიარებს, მეორე სახის გადართვა წარმოიშობა განსხვავებული ენობრივი არჩევანების მეტნაკლებად უცვლელი ფაზებით. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ პირველი სახის გადართვისას მონაწილეები ეძებენ პასუხს კითხვაზე: „რატომ ეს ენა ეხლა?“ მაშინ როდესაც მეორე სახის გადართვისას ისინი ეძებენ ახსნას ინდივიდის შიგნით, ან მისი თანამონაწილეების შიგნით, რომელიც ქმნის ამ გადართვას. ეს ორი სახე არ არის ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნული (იქვე: 8).

როგორც აუერი აჩვენებს, ნასესხები ერთეულები, რომლებიც განმეორებით არის გამოყენებული შემდგომ ჯერზე, შეიძლება ფლობდეს დისკურსთან დაკავშირებულ ფუნქციას (Auer 1998: 7). ზოგჯერ წამახალისებელ ეფექტებს შეუძლია გააადვილოს გადასვლა მეორე ენაზე მოცემულ მომენტში. ეს დამოკიდებულია მოსაუბრეზე, როგორ გადაწყვეტს ის, გააგრძელოს საუბარი: ამ ენაზე, თუ კვლავ გადაერთოს უკან, ძირითად ენაზე (Riehl 2005: 1946).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირია ფუნქციებისა და მიზეზების ერთმანეთში აღრევა. მაგ., მუთუსამი კოდის გადართვის საკომუნიკაციო ფუნქციებში განიხილავს 9 ზუნქტს და მათ მოიხსენიებს ასევე, როგორც მიზეზებს.

იგი ჩამოთვლის საკომუნიკაციო ფუნქციების 9 ფართო კატეგორიას, რომელიც დაადასტურა კვლევის დროს:

1. ძალაუფლება
2. კომუნიკაცია
3. ცნებითი, კონცეპტუალური
4. ხაზგასმა
5. ეთნიკურობა
6. საუბარი
7. ლექსიკონი
8. ფსიქოლოგიური ფაქტორები
9. მასტიმულირებელი ფაქტორები

მოსაუბრემ შეიძლება ამოიჩიოს გადართვა, რათა დაამყაროს თავისი ძალაუფლება, ან უბრალოდ იგრძნოს სიამოვნება ამ დროს.

კომუნიკაცია არის ყველაზე მოცულობითი ფაქტორი და ხაზს

უსვამს ისეთ თვისებებს, როგორცაა: სიადვილე, ეფექტიანობა, კეთილი ნება, საკომუნიკაციო ეფექტი და მონაწილის გამორჩევა საუბრიდან.

კონცეპტუალური ფაქტორები გვიჩვენებს, რა ცნებებმა, მათმა ცოდნამ თუ უცოდინრობამ შეიძლება წააქეზოს მოსაუბრე, რომ მოახდინოს გადართვა. ცნებითი გამოცდილება ერთ, ან მეორე ენაზე, გაუგებრობა თუ სემატიკური დატვირთვა ქმნიან პირობებს გადართვისთვის.

ხაზგასმით განპირობებული გადართვის შემთხვევაში, სტუმარი ენის, ან მასპინძელი ენის გამოყენების დროს, მოსაუბრე მიისწრაფვის, ნათქვამიდან გამოარჩიოს ის სიტყვა, ან ფრაზა, რასაც მსმენელი მიაქცევს ყურადღებას.

საუბრის ფაქტორებიდან დასახელებულია განსწავლულობის, ან განუსწავლულობის ჩვენება, ამა თუ იმ ჯგუფთან სოლიდარობისა და იდენტობის გამოხატვა, გასხვავებული აუდიტორიისადმი მიმართვა და სხვ.

ლექსიკონის ფაქტორი გვიჩვენებს, რომ, თუ სიტყვა არ არის ხელმისაწვდომი ერთ ენაზე, ის გასაგები უნდა იყოს მეორეზე. მნიშვნელოვანი მახასიათებლები აქ არის: მნიშვნელობის სიზუსტე, ცნების სიმარტივე, წინადადების სიმწყობრე, მოცემული სტილის (ოფიციალურისა თუ არაოფიციალურის) ცნობა.

მკვლევარის მითითებით, ყველა ეს ფაქტორი შეიძლება ადვილად მოთავსდეს ამ 9 კატეგორიაში. აქედან 5 წარმოადგენს ყველაზე ხშირ წყაროს მასტიმულირებელი გადართვისთვის. ესენია: კომუნიკაცია, ცნებითი, ხაზგასმა, საუბარი და ლექსიკონი. დანარჩენ 4 კატეგორიას შეუძლია ახსნას კოდის გადართვის ქცევა უფრო

ნაკლები ხარისხით, თუმცა ეს ფაქტორები მაინც ანგარიშგასაწვეია.

მოსაუბრისთვის, რომელსაც სურს გამოხატოს ჯგუფური სოლიდარობის გრძნობა, კოდის გადართვის ფუნქცია კეთილი ნებისა და ჯგუფთან კავშირის გამოხატვაა. მსგავსად ამისა, პირობების არსენალი შეიძლება შეიქმნას კოდის გადართვის მოვლენისთვის სოციალური კონტექსტის მიხედვით.

სოციალურმა ფსიქოლოგმა როგერ ბრაუნმა, ეხებოდა რა მთავარ ფაქტორებს, რომლებიც გაგლენას ახდენს პირთა შორის ინტერაქციებზე და, აქედან გამომდინარე, ენობრივ არჩევანზე, რომელსაც მოსაუბრეები აკეთებენ, ალბერტ გილმანთან ერთად, ასევე გამოიყენა სიდიდე – „ძალაუფლება“. მათ იხმარეს მეორე სიდიდეც – „სოლიდარობა“ (Brown & Gilman 1960).

მათი აზრით, სოლიდარობა არის ურთიერთობების ატრიბუტი, რომელიც ჩნდება სხვა პირთან გაზიარებული წევრობის გზით. ცხადი ზიარი წევრობა მომდინარეობს ერთი ოჯახიდან ისე, რომ სოლიდარობა ახასიათებს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებს. ერთ ოფისში, ან ერთ ქარხანაში მუშაობა არის აგრეთვე სოლიდარობის წყარო. რაც უფრო მეტად არის ზიარი წევრობა, მით მეტი პოტენცია არსებობს მეტი სოლიდარობისთვის ორ ადამიანს შორის.

ნილეპი ფუნქციათა ასეთი სიების არსებობას სასარგებლოდ მიიჩნევს, თუმცა, მისი აზრით, ისინი შორსაა, დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცენ კითხვაზე, რატომ ხდება გადართვა და რა ფუნქციებს ემსახურება ის საუბარში (Nilep 2006: 10).

ჰალიდაი ახალიზებს კოდის გადართვას, რომელიც ემსახურება პირთა შორის კომუნიკაციის დამყარებას. ამ შემთხვევაში შერეული სასაუბრო ენა მედიატორის როლს ასრულებს (Halliday 1975).

სტრადუდი აკრიტიკებს კოდის გადართვისადმი ისეთ მიდგომას, რომელიც ზედმეტად მკაცრადაა დამყარებული საუბრის ანალიზზე. მისი აზრით, საუბრის ანალიზს არ შეუძლია შემოგვთავაზოს დამაკმაყოფილებელი პასუხი ენის ქცევის შესახებ არადასავლურ დასახლებებში. დისკურსის ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს იმ საზოგადოების გაგებას, რომელშიც ის რეალიზდება. იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ ეს ფენომენი, დისკურსის ანალიზში უნდა ჩავრთოთ ეთნოგრაფიული დაკვირვება (Stroud 1998: 322).

მალიკმა აღწერა კოდის გადართვის 10 ფუნქცია (Malik 1994):

### 1. საუბარში სიმწყობრის ნაკლებობა.

ბილინგუები და მულტილინგუები ხშირად ხსნიან, რომ ისინი კოდს გადართავენ, როცა არ შეუძლიათ აბოვონ შესაბამისი გამონათქვამი, ან სალექსიკონო ერთეული, ან როდესაც სასაუბრო ენაში არ მოიძებნება კონკრეტული საჭირო სიტყვა, რომ შეუფერხებლად უზრუნველყოს საუბარი.

მალიკს მოჰყავს მაგალითი “*Charan Sparsh*” (touching feet), რომელიც ვერ გადმოსცემს იმავე მნიშვნელობას მოსაუბრის ენაზე, რაც მას აქვს ჰინდის ენაში.

გადართვის მიზეზი შეიძლება იყოს კულტურულად შეპირობებული. დევიდი (David 2003) აღნიშნავს, რომ ინგლისური ‘*social drinker*’-ს ეკვივალენტური სიტყვა არ მოიძებნება მალაიზიურში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ალკოჰოლის დალევა აქ აკრძალულია. საუბრის დროს, საჭიროების შემთხვევაში, მას პირდაპირ ინგლისურიდან სესხულობენ. ასეთ შემთხვევაში საუბრობენ გადართვაზე ფრაზის დონეზე:



*‘Saya difahamkan bahawa OKS jarang minum, hanya seorang social drinker.’*

[‘I understand that OKS seldom drinks, he is only a social drinker’]

## 2. კომპეტენტურობის ნაკლებობა.

როდესაც მოსაუბრეები არ არიან თანაბრად კომპეტენტურები ორივე ენაში, მაგ., არ იციან ტერმინები, ისინი იყენებენ კოდის გადართვას. მაგ., ძალიან ასახელებს კოლეჯის სტუდენტებს, რომლებიც ხშირად გადართავენ კოდს ჰინდიდან ინგლისურზე. კოდის გადართვას მიმართავენ ექიმები, იურისტები, ინჟინრები, როცა შესაბამისი ტერმინები არ მოეპოვებათ ჰინდი ენაში. ისინი იყენებენ ინგლისურ ტერმინოლოგიას, რომელიც ნაცნობია მათთვის. ასეთ შემთხვევაში ხდება დიდი რაოდენობით ლექსიკური კოდის შერევა.

როგორც დევიდი შენიშნავს, სასამართლო დარბაზებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა სპეციფიკური ტერმინოლოგიის ზუსტი გამოყენება, რათა ზუსტად გამოინატოს სათქმელი. ასეთ შემთხვევაში მაღალიზის სასამართლოებში გადართავენ კოდს.

## 3. მოსაუბრის განწყობა.

დადლილობისა და გაბრაზების დროს კოდის გადართვა, ძალიან და სხვათა აზრით, ხდება მაღალი ხარისხით. როდესაც მოსაუბრე სად გონებაზეა, მას შეუძლია მოძებნოს შესაბამისი სიტყვა, ან გამოინატოს აზრი თავის ძირითად ენაზე. ხშირად მან ორივე ენაზე იცის სიტყვა, მაგრამ მეორე ენა შეიძლება უფრო მოსახერხებელი იყოს დროის თვალსაზრისით, როცა ის აღელვებულია. ასეთი გარემოებები ხშირად ქმნიან დაბრკოლებას შესაბამისი სიტყვის, ან ფრაზის

ზის მოსაძებნად ენაზე, რომელზეც მოსაუბრე შეიძლება უფრო კომპეტენტური იყოს, მაგრამ შედარებით სწრაფად პოულობდეს საჭირო სიტყვას მეორე ენაზე.

#### 4. მოსაზრების ხაზგასმა.

გალი (Gal 1979) აღნიშნავს, რომ გადართვა არგუმენტის ბოლოში არა მხოლოდ ეხმარება მოსაუბრეს, დაასრულოს ინტერაქცია, არამედ ეს შეიძლება ემსახურებოდეს მოსაზრების ხაზგასმას. მას მოჰყავს მაგალითი ინგლისურ/გერმანული კოდის გადართვიდან და ხაზს უსვამს, რომ გადართვა ინგლისურიდან გერმანულზე არის საშუალება, უფრო მეტი ძალა შესძინო განაცხადს.

დევიდი (David 2003) მოიხმობს სასამართლო დარბაზის გარემოს, რათა აჩვენოს, ადვოკატი როგორ იყენებს გაბატონებულ ბაჰაზა მალაინიურს, რომლითაც იწყებს საუბარს და შემდეგ გადაერთვება ინგლისურზე, რათა ხაზი გაუსვას მნიშვნელოვან მოსაზრებას სასამართლოსთვის, რომ ბრალდებულს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია 10 წლის განმავლობაში.

*‘Sebelum ini OKT pernah ditangkap pada tahun 1975 dan 1986. There has been a 10 years gap since the last offence Semenjak itu OKT telah berumahtangga, mempunyai kerja tetap dan insaf’.*

[‘Before this, OKT was caught in 1975 and 1986.....since then OKT has married and has held a steady job’].

#### 5. ჩვევითი გამოცდილება.

კოდის გადართვა ხშირად ხდება მყარი სიტყვათშეხამე-

ბების დროს, როგორცაა: მისაღობა, გამომშვიდობება, ბრძანება, მოთხოვნა, მიპატიება, მადლიერების გამოხატვა. ჰომანის წერს, რომ პუერტო რიკაში დედა აძლევს მოკლე ბრძანებებს თავის შვილებს ინგლისურად, როგორცაა: *Don't do that...* ხოლო სხვა ადგილებში დედები შვილებს აფრთხილებენ ესპანურად (Hoffman 1971; ციტ: Muthusamy 2009: 5).

## 6. სემანტიკური გამოხატულება.

მალიკი (Malik 1994), გუმპერზი (Gumperz 1970, 1976, 1982) და ჰერნანდეზი (Gumperz & Hernandez-Chavez 1972) ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ გადართვა კონკრეტულ მომენტში გადმოსცემს სემანტიკურად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ის არის სასაუბრო რესურსი, რომელიც ეყრდნობა მონაწილის (მოსაუბრის) მიერ ორი ენის გაგებას. ლექსიკური არჩევანი გადმოსცემს მნიშვნელობას გადართვის განმავლობაში.

გალმა (Gal 1979) გააძლიერა ეს შეხედულება იმის განცხადებით, რომ მსმენელები კოდის გადართვას განმარტავენ, როგორც მოსაუბრის დამოკიდებულების, საუბრის მიზნებისა თუ ემოციების ინდიკატორს, რამდენადაც კოდის გადართვა არის შესაბამისი ლინგვისტური და სოციალური ინფორმაციის გადმოსცემის ინსტრუმენტი.

ღვეილი აღწერს მეტყველების აქტის სახეობებს, როგორცაა საყვედურები, ღრწები, თხოვნები და გაფრთხილებები, რომლებიც გადმოიცემა სხვადასხვა ენობრივი საშუალების დახმარებით, რათა აჩვენოს სემანტიკური მნიშვნელობა განსაზღვრულ სპეციფიკურ სიტუაციებში.

## 7. ჯგუფის წევრობის ჩვენება.

დი პიეტრო (Di Pietro 1977) წერს, რომ იტალიელი იმიგრანტები ინგლისურად ხუმრობის დროს ხუმრობას ამთავრებენ იტალიურად არა მხოლოდ იმიტომ, რომ სათქმელი უკეთესად გამოითქმის იტალიურად, არამედ იმიტომ, რომ ხანი გაუსვან კუთვნილებას იმ ჯგუფისადმი, რომელთანაც იზიარებენ ღრეხულებებსა და გამოცდილებებს (ციტ.: Malik 1994).

## 8. განსხვავებული აუდიტორიისადმი მიმართვა.

კოდის გადართვა ასევე გამოიყენება, როდესაც მოსაუბრეს სურს, მიმართოს განსხვავებული ლინგვისტური ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს. მაგ., ინდოეთში ტელედიქტორი ხშირად იყენებს ჰინდი ენას, რამდენადაც ის არის ეროვნული ენა, მაგრამ ის ხშირად იმეორებს იმავეს ინგლისურად ჰინდის არმცოდნე სამხრეთელი ინდოელებისთვის, ან სხვა ინდოელებისთვის.

დევიდის მიხედვით, სასამართლოებში ხშირად ურევენ კოდებს, ან გადართავენ კოდებს აღრესატის ეთნიკურობის მიხედვით. ერთი მიზეზი შერეული ენების ასეთი გამოყენებისთვის არის ერთდროული მიმართვა სხვადასხვა ლინგვისტური ბიოგრაფიის ადამიანებისთვის. ქვემოთ მაგალითში ადვოკატი იყენებს ინგლისურ-მალაიზიურ შერეულ დისკურსს: მისი საუბრის ნაწილი არის ინგლისურად, რომელიც მიმართულია მოსამართლისადმი და დანარჩენი ნაწილი არის მალაიზიურად, რომელიც მიმართულია მოწმისადმი.

***‘Objection, ada dua fakta di sini. The facts of the chart sheet are clear; it is a clear indication of misinformation mana satu nak jawab?’***

[‘Objection, there are two facts here. The facts of the chart sheet are clear; it’s a clear indication of misinformation. Which one do you

want to answer?"]

კოდის გადართვა სასამართლოში მნიშვნელოვანია, რამდენადაც განაჩენი დამოკიდებულია ადვოკატის არგუმენტებზე.

### 9. პრაგმატული მიზნები.

ზოგჯერ ალტერნაცია ორ ენას შორის ძალიან მნიშვნელოვანია სასაუბრო კონტექსტის თვალსაზრისით (Malik 1994). გუმპერზი (Gumperz 1970) აღნიშნავს, რომ გადართვამ შეიძლება მიუთითოს მოსაუბრის ჩართულობის ცვალებად ხარისხებზეც. ის იმოწმებს საუბრის მაგალითს, რომელშიც მონაწილეობენ ფაკულტეტის წევრი და სოციალური მუშაკი, რომელიც საუბრობს წევრისთვის თავის დანებებაზე:

*'An-An-an, they tell me, how did you quit, Mary. I did'n quit. I just stopped – I just stopped. I mean that it wasn't an effort that I made. **Que voy a dejar de fumar porque me hace dano this or that, uh-uh.**'*

[‘...that I’m going to stop smoking because it’s harmful to me, this or that, uh-uh’]

### 10. ყურადღების მიზიდვა.

მალიკი (Malik 1994) აჩვენებს, რომ რეკლამებში (წერილობითშიც და ზეპირშიც) ინდოეთში კოდის გადართვა გამოყენებულია, რათა მიიზიდონ მკითხველებისა თუ მსმენელების ყურადღება. მაგ., ინგლისურენოვან განცხადებებში რეკლამა შეიძლება განათავსონ ჰინდინზე, ან ნებისმიერ სხვა ინდოეთის ენაზე, რათა ამ ენათა მატარებლების ყურადღება მიიპყრონ.

როგორც ვხედავთ, მალიკს კოდის გადართვის ფუნქციებში მიზნებზეც აქვს შერეული. მაგ., მოსაუბრის განწყობა და ჩვევითი

გამოცდილება მიზეზებია და არა ფუნქციები. საუბარში სიმწყობრის ნაკლებობა და კომპეტენტურობის ნაკლებობა, რომელიც ავტორს ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი, არსობრივად, ერთი და იგივეა. ეს ფაქტორი მიზეზებისა და ფუნქციების მიჯნაზე ძვეს: ერთ ენაზე სიმწყობრის ნაკლებობა მოტივია, რის გამოც მოსაუბრე მეორე ენას მიმართავს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ნაკლის შევსება და შეუფერხებელი საუბრის უზრუნველყოფა გადართვის მიზანს შეადგენს. ასე რომ, ზოგჯერ რთულია მკვეთრი საზღვრების დადგენა მიზეზებსა და მიზნებს შორის.

კანაგარაჯაჰი (Canagarajah 1995) აანალიზებს რა კოდის გადართვის შემთხვევებს შრი ლანკას, კერძოდ, ჯაფანას საკლასო ოთახებში, ახდენს კოდის გადართვის ფუნქციების კლასიფიცირებას ორი ფართო კატეგორიის მიხედვით: მიკრო ფუნქციებად და მაკრო ფუნქციებად: მიკრო ფუნქციები გვიჩვენებს, როგორ ხდება კოდის გადართვა საკლასო ოთახში შინაარსის გადმოცემისათვის. მეორე მხრივ, ის გვიჩვენებს, რომ არსებობს საკლასო ოთახის მართვის კოდის გადართვა, რომელიც წარმოადგენს მაკრო ფუნქციას, რამდენადაც ის მოიცავს სპეციფიკურ ღონისძიებებს, კერძოდ, საკლასო მენეჯმენტს.

კოდის გადართვის 4 ფუნქცია, რომელიც ემსახურება შინაარსის გადმოცემას, მკვლევარის აზრით, შემდეგია:

1. გაკვეთილის მიმოხილვა
2. სიტყვის განსაზღვრება
3. ცნების ახსნა
4. კულტურული შესაბამისობის გამოხატვა (Canagarajah 1995).

1. მასწავლებლები იყენებენ თამილურს, რათა მიმოიხილონ წინა გაკვეთილი. გადართვა საშუალებას აძლევს მათ, განახორციელონ სწორი გადასვლა ახალ გაკვეთილზე.

2. მასწავლებლები თამილურს მიმართავენ (ჩვეულებრივ, ცალკეულ ლექსიკურ ერთეულს, ან ნასესხებს), რათა ახალი ლექსიკური ერთეული განმარტონ ინგლისურად. ქვემოთ მოცემულ მაგალითში მასწავლებელი ცდილობს, განმარტოს სიტყვა, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ეკვივალენტური თამილური სიტყვის გამოყენება სწრაფად აგვარებს პრობლემას.

T: *'Reforestation. Do you know what it means? Planting trees again to make a forest.Okay? // kaataakkam. Reforestation.'*

S: *'Oom, atu paticcanaakal. Miss.'*

[*'...Miss, yes, we have studied that.'*]

3. კოდის გადართვა გვთავაზობს ბევრ განსხვავებულ სტრატეგიას სასწავლო მასალის ახსნისათვის და მისი გაუმჯობესებისათვის. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მასწავლებელი ლიტერატურულად იმეორებს უკვე ნათქვამს თამილურზე. მერიტის (Merrit et al. 1992) აზრით, გამეორება, თარგმნის მსგავსად, ემსახურება მიზანს, რომ გაიზარდოს სიცხადე.

T: *'When you form negative statements, you must use the word 'not' with the helping verb. niinkal etir marayilai rasanam amaikkeek-kai not-ai tuNai virayooTai paavikkoonum, cariyaa?'*

4. მასწავლებელი და სტუდენტები გადაერთვებიან თამი-  
ლორზე, როდესაც ისინი განიხილავენ ანეკდოტებს, ან ილუსტრა-  
ციებს, რათა სიცხადე შესძინონ გაკვეთილის შინაარსს. ამ შემთხ-  
ვევაში ისინი გამოხატავენ თავიანთ კულტურულ სიახლოვეს. აქ  
კოდის გადართვის ფუნქციაა, მიღწეულ იქნეს მიზანი ინტერაქციის  
მეშვეობით.

*T: 'Today we are going to study about fruits. What fruits do you  
usually eat?'*

***'Inraikku niinkal viiTTilai enna palankaL caappiTta niinkaL?  
Cila peer kaalamai coappaaTTikku paLankaL caappiTiravai ello?'***

[‘...What fruits did you eat this morning at home? Don’t some  
people eat fruits for breakfast?’]

*S: 'naan maampaLam caappiTTanaan, Miss. '*

[‘I ate mangoes...’]

*T: 'Good, mangoes, eh? maampalamenRaal mangoes. '*

[‘Mangoes means...’]

კანაგარაჯაჰი ჩამოთვლის საკლასო მენეჯმენტის 4 ფუნქციას  
თამილორი ენის სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომლებიც ინგ-  
ლისურზე გადაერთვებიან შემდეგ შემთხვევებში:

1. კლასის მოწესრიგება გაკვეთილის დასაწყებად
2. დანმარების თხოვნა
3. დისციპლინის დამყარება
4. მასწავლებლის მხარდაჭერა, კომპლიმენტები  
(Canagarajah 1995).



1. თამილური გამოიყენება გაკვეთილისათვის კლასის მოსამზადებლად, როდესაც მოსწავლეებს აძლევენ აუცილებელ მითითებებს ოთახის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ინგლისური გამოიყენება გაკვეთილის მსვლელობისას:

*T: 'piLLayaL, katirakaLai VaTTamaai pooTunkoo, sattam pooTaaamal, ketiyaa pooTunkoo. Turn to page forty for today's lesson.'*

[‘Children, arrange your chairs into a circle without making noise. Arrange quickly...’]

2. ნებისმიერი სახის დახმარებისთვის, მაგ., რომელიმე აქტივობის წარმოდგენის დროს სტუდენტები იყენებენ თამილურს, მაშინ როცა დავალებები მოცემულია ინგლისურად:

*S: '(reads) The red car belongs to // (to T) iteNNa, Miss, eppiTi colluratu, (spells) e-n-o-s-h-a?’*

[‘What is this, Miss, how do I say this?’]

3. სტუდენტები გადაერთვებიან თამილურზე, როდესაც სურთ, იზივლონ მასწავლებელთან თავიანთ მეგობარზე. აქ გადართვა ემსახურება მიზანს, რომ გარკვეულ ჩარჩოებში მოექცეს საუბარი, რომელიც განსხვავდება მიმდინარე პედაგოგიური აქტივობებისაგან (რომელიც ინგლისურად მიმდინარეობს).

4. მასწავლებელი გადაერთვება თამილურზე, რათა წახალისოს პასუხი სტუდენტების მხრიდან. ამ დროს გადართვა წარმოდგენს ეფექტურ ხერხს:

*T: 'What is the past tense of "swim"? // come on. // enna piL-*

*Loyal, itu teriyaataa? Poona vakuppilai connaniinkal.'*

[‘...What, children, you don’t know this? You told me that in the last class’]

მუთუსამი განიხილავს კოდის გადართვის საკომუნიკაციო ფუნქციებს მაღაიზის მაგალითზე, მალიკის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით. მონაცემები ავტორმა შეკრიბა მაღაიზის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან, რომლებიც სამ განსხვავებულ ენაზე – თამილურზე, მაღაიზურსა და ინგლისურზე საუბრობდნენ (Muthusamy 2009).

მათი საუბარი შესწავლილ იქნა სხვადასხვა ადგილას – საკლასო ოთახში, უნივერსიტეტში, ოჯახში, საეაჭრო ცენტრებში, სამეზობლოში და ა. შ. ამ ადგილებში ისინი ურთიერთობდნენ მაღაიზურზე, ჩინურსა და თამილურზე მოსაუბრებთან.

მუთუსამი ხაზს უსვამს საკომუნიკაციო ფუნქციების უპირატესობას, რამდენადაც ის წარმოადგენს წყაროს კოდის გადართვისათვის. ეს ფუნქციები ამავე დროს გვიჩვენებს მოსაუბრეთა მნიშვნელობას კოდის გადართვის მოვლენისათვის, რამდენადაც ყურადღებას ამახვილებს წიგნიერებაზე, სოლიდარობაზე, ჯგუფის წევრობაზე, აუდიტორიაზე და სხვ.

მუთუსამმა დაათქისირა, რომ, როდესაც მასწავლებელი კითხვებს სვამდა ინგლისურად, კლასი ჩუმად იყო, მაგრამ, როდესაც ის სვამდა შეკითხვებს თამილურზე, ისმენდა პასუხების წყებას. მასწავლებელი ამ დროს იყენებდა შესაძლებლობას, სტუდენტებისათვის წარმოედგინა ინგლისური სალექსიკონო ერთეულები გაკვეთილთან მიმართებით.

მაიერს-სკოტონი ადასტურებს, რომ კოდის გადართვა ეხმარება ბილინგვ სტუდენტებს, გაზარდონ გამობატვის მოქნილობა. ერთზე

მეტ ენაზე წვდომის დროს ბილინგვ სტუდენტს უნარი აქვს, თავიდან აცილოს დაბრკოლებები წინადადების დაგეგმვის დონეზე (Myers-Scotten 1993).

იაკობსონი კოდის გადართვას მიიჩნევს პირველ და მეორე ენაში ლექსიკის ათვისების იარაღად (Jakobson 1983). ასევე შეიძლება, ტანგი, გრეგო, გილი და სხვები თვლიან, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სწავლებისა და სწავლის პროცესის გასაძლიერებლად იმ თვალსაზრისით, რომ ეხმარება სტუდენტებს, უკეთესად გაიგონ აზრები და გადმოსცენ თავიანთი ფიქრები (Schweers 1999; Tang 2002; Greggio & Gil 2007).

ელისი წერს, რომ მასწავლებლის მიერ კოდის გადართვის გამოყენებას ნეგატიური ეფექტიც აქვს მეორე ენის შესწავლის საკლასო ოთახებში, კერძოდ, ის სტუდენტებს ართმევს მეორე ენის დაუფლების უფლებებს. ამის გამო კუკი საკითხს აყენებს, რომ კოდის გადართვა მკაცრად იქნეს თავიდან აცილებული საკლასო ოთახებში (Cook 2001).

რომანი ალნიშნავს, რომ ბილინგვებს, მონოლინგვების მსგავსად, შეუძლიათ გადაერთონ ერთი კოდის სიტყვასა და მეორე კოდის ეკვივალენტურ სიტყვას შორის, რომელიც ზუსტად იმავე მნიშვნელობას გამოხატავს. ამიტომ, როდესაც ისინი გადაერთევიან, ამას, ჩვეულებრივ, აკეთებენ განსაკუთრებული მიზნებისათვის (Romaine 1995: 169).

კოდის გადართვის ფუნქციების შესახებ კვლევებში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო მაიერს-სკოტონის მიერ მარკირების მოდელის აღწერა (Myers-Scotten 1972; 1976; 1983; 1993).

მაიერს-სკოტონის მიხედვით, თითოეულ ენას მულტილინგვურ

საზოგადოებაში განსაკუთრებული სოციალური ფუნქციები (როლები) აქვს, რომლებიც ქმნიან ამ საზოგადოებისა და მის წევრთა უფლებებისა და მოვალეობების ნაკრებებს (1993: 84). როდესაც ადამიანი ერთ რომელიმე ენაზე საუბრობს, ის ამ დროს ავლენს სიტუაციის თავისებურ გაგებას და განსაკუთრებით თავის შესაფერის როლს კონტექსტში. ერთზე მეტი ენის მოხმარების დროს მოსაუბრეები იზიარებენ შესაბამის სოციალურ როლებს. სკოტონი აღნიშნავს, რომ მოსაუბრეებმა გარკვეული ხარისხით უნდა გაიზიარონ თითოეული არსებული კოდის სოციალური მნიშვნელობების გაგება. რომ არ არსებობდეს ასეთი ნორმები, თანამოსაუბრეებს არ ექნებოდათ საფუძველი ცალკეული კოდის არჩევანის მნიშვნელობის გაგებისთვის.

სკოტონისეული მარკირების მოდელი რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა. მათგან ძირითადი პრინციპი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„ამოარჩიეთ ფორმა თქვენი საუბრიდან ისე, რომ მან აღნიშნოს მოვალეობები და უფლებები, რომელიც თქვენ გასურთ, რომ გაიცვალოს მოსაუბრესა და ადრესატს შორის“ (Myers-Scotton 1993: 113).

ამ ძირითადი პრინციპიდან გამომდინარეობს სამი წესი: ესენია: არამარკირებული არჩევანის წესი: „აქციე შენი კოდის არჩევანი არამარკირებული (აღუნიშნელი) უფლებებისა და მოვალეობების ნაკრების არამარკირებულ ინდექსად საუბრის გაცვლის დროს, როდესაც შენ გასურს ჩამოაყალიბო, ან დაადასტურო ამ უფლებებისა და მოვალეობების ნაკრები“ (იქვე: 114).

მარკირებული (აღნიშნული) არჩევანის წესი: „აქციე აღნიშნული კოდის არჩევანი... როდესაც გასურს შექმნა ახალი უფლებებისა და მოვალეობების ნაკრები, როგორც არამარკირებული მიმდინარე გაცვლისთვის“ (იქვე: 131).

საკვლევი არჩევანის წესი: „როდესაც აღუნიშვნელი არჩევანი არ არის ნათელი, გამოიყენე კოდის გადართვა, რათა შექმნა ალტერნატიული საკვლევი არჩევანები, როგორც რეზერვი აღუნიშვნელი არჩევანისათვის და, აქედან გამომდინარე, როგორც მახვევებელი უფლებებისა და მოვალეობების ნაკრებისა, რომელსაც შენ არჩევ“ (იქვე: 142).

ამდენად, კოდის არჩევანის სოციალური მნიშვნელობები განსაზღვრულია მოსაუბრის უფლებებისა და მოვალეობების ცნებებით.

მარკირების მოდელს თავისი მომხრეები და კრიტიკოსები ჰყავს. ზოგიერთი კრიტიკოსის შეხედულებით, ის ზედმეტად ეყრდნობა გარე ცოდნას, ვარაუდებს იმის შესახებ, რა ესმით და სწამთ მოსაუბრეებს თავად.

მიუხედავად კრიტიკოსთა შენიშვნებისა, მარკირების მოდელი მიიჩნევა კოდის გადართვის ფუნქციების ყველაზე გავლენიან და განვითარებულ მოდელად.

მაიერს-სკოტონმა თავისი მოდელი განავითარა შემდგომ შრომებში (Myers-Scotton 1998; Myers-Scotton & Bolonyai 2001; Myers-Scotton & Janice 2001; Janice, Myers-Scotton & Gross 2002).

შესწავლილმა მასალამ გვიჩვენა, რომ კოდის გადართვა წოვათუშურ-ქართულ ბილინგვურ დისკურსში ემსახურება შემდეგ მიზნებს (დამოწმებულ მაგალითებში გადართვა გვაქვს ორივე მიმართულებით: წოვათუშურიდან ქართულზე და პირიქით):

**1. სათქმელის უკეთ ასხნა-განმარტებას, დაზუსტებას მსმენელისთვის:** ამ დროს ასახსნელი და დასაზუსტებელი შეიძლება იყოს ფაქტი, მოვლენა, პიროვნება, ან ლექსიკური ერთეული:

**ა) ზუსტდება ფაქტი, მოვლენა:**

„ჰაჰე, ე ფორეს, მაცმე სტადონეს გამოცხადებადმიჲ პარტიულ  
წმედ, *მეჩვიდმეტე ყრილობა იყო, თუ...*“

‘*ზოდა, ამ ფორემ, როცა სტალონმა გამოაცხადა პარტიული  
წმენდა, მეჩვიდმეტე ყრილობა იყო, თუ...*’

„მაცმე ღამდორას, აჰათ... *როცა ვსწავლობდი, აჰათ ის მქონდა,  
კომპოზიცია მქონდა ქადაგებაში, მე ხომ მოქადაგე ვარ ფაქტიურათ,  
მე ხომ მოქადაგე ვაცისე...*“

„*როცა თბილისში ვსწავლობდი, მაშინ... როცა ვსწავლობდი, მა-  
შინ ის მქონდა, კომპოზიცია მქონდა ქადაგებაში, მე ხომ მოქადაგე  
ვარ ფაქტიურათ, მე ხომ მოქადაგე ვარ აკი და...*“

„*ისლდეჩორჲ ნშეძე დადონეს, ნშეძე დადონას; დუეი დარათხრო,  
ბეფრები ვიყავით, ათი შეილი ჰყავდა დედაჩემს... გარსაჯედ მარ თხო-  
გო, ვარსაჯედი ვექონდა ჩვენსა... არსენასა და ჩვენ; ვამდე... ლობის  
ვარსაჯედ ზე ვადავლიოლით-ვადმოვლიოლით.*“

‘*ცხრამდე მივედი და მეცხრიდან ვამოვედი და ვამოვედი; ბეფრნი  
ვიყავით, ბეფრები ვიყავით, ათი შეილი ჰყავდა დედაჩემს... ვადასასე-  
ლოლი ვექონდა, ვადასასელოლი ვექონდა ჩვენსა... არსენასა და ჩვენ;  
ვამდე... ლობის ვადასასელოლ ზე ვადავლიოლით-ვადმოვლიოლით*’.

„*ვახენ, სედადას, დაჰ დათხეჩრო თაძნჲ ვაჯა ბარ, გოგის ბერ-  
წბიენო, კეჰ ჩუმაჰ მარ, ჩუმაჰთინიჰ, ვაჯა მჲ ნშეძეთინიჰა’ მ, შემო-  
ბრუნებულნი იყო ის ტყავი ცხვრისა, ჭედილოისა; ხე... ფენები ჩამყო-  
ფინა და აქამლის ამომაცო.*“

‘ადგა და, მამახეშმა, გატყავებული ჭედლილის ტყავი იყო, გაად-  
მობრუნებული, მატყლი შივნითა ჰქონდა, შივნით, ტყავი კი ვარეთ,  
ვადმობრუნებული იყო ის ტყავი ცხვრისა, ჭედლილისა; ხე... ფეხები ჩა-  
მაცოფინა და აქამდის ამომაცვა’.

## ბ) ზუსტდება პიროვნება:

„ეს ფორე რო იყო, *ფორე მუ ვარ, ფორცხორღარძ ფორე,*  
*ეკუს შექმნადიქ კომკავშირულ ჯგუფ ალნი* 1937 წელს  
(ტყავორლეტ შარე), მაგრამ (მან) უკვე 1930 წლიდან (ტყავიტ  
შარგოდლოძ), *ათას ცხრაას ტყავიტ შარგოდლოძ*, ეს ჯგუფი ფა-  
რულად მუშაობდა.“

‘ეს ფორე რომ იყო, ფორცხორღანთ ფორე, ამან შექმნა კომკა-  
ვშირული ჯგუფი ალვანში 1937 წელს, მაგრამ უკვე ათას ცხრაას  
ოცდაათი წლიდან ეს ჯგუფი ფარულად მუშაობდა’.

„ფორცხორღარძ ფორე ხაწენგად მუ? *ლასისა და შამილის მამა იყო...*“

‘ფორცხორღანთ ფორე ვაგეონიათ თქვენ? *ლასისა და შამილის  
მამა იყო...*’

გ) ზუსტდება **ლექსიკური ერთეული**: ქვემოთ მოცემულ მაგ-  
ალითში მოსაუბრე ცდილობს, უკეთ გააგებინოს მსმენელს „შეცო-  
ცებულია“ ზმნით გამოხატული მოქმედების არსი.

„*მაგრამ მან ბნდროლე ბუხრი ჩუ იმალინო, კაწკო, აბა, როგორ  
უნდა ვთქვა შეცოცებულია*, ჩუ თაჯენო.“

‘*მაგრამ მან ბავშვობაში ბუხარში შეისემექნია, პატარა, აბა,  
როგორ უნდა ვთქვა შეცოცებულია, თრევით შესულა.*’

2. ლექსიკური ნაპრაღის შევსებას:

„ჯგუფი როგორ არის, კაცო, *გადღეშე*..“

‘*ჯგუფი როგორ არის, კაცო, ხეებებურად?..*’

მოსაუბრეს სიტყვა „ჯგუფის“ წოვათუშური შესატყვისი ავიწყდება, თანამოსაუბრეს მის შეხსენებას სთხოვს და მექანიკურად წოვათუშურზე გადაერთვება.

3. მსმენელის ამა თუ იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილებას, თხრობიდან ფრანზის გამოყოფას:

„ოცდაათი კაცია დახფრეტილი, *ტყაიტი სტაკ დახფრეტადვით* იმ ფორეს.“

‘*ოცდაათი კაცია დახფრეტილი, ოცდაათი კაცი დახფრეტინა იმ ფორემ*

4. დალოცვის ფორმულის გამოყოფას:

„მიხმე გლოვქ სუფრ დაჰ, უეჭველათ აღორ წკიპუფ შესაღობარ ოჯუდღეშ: *მის წმიდის წმინდა მადლიც შეგეწოთო და წკიპო შვილის შესაღობრისაც იყოსო!*..“

‘*სადმე თუ გლოვის დღეა, უეჭველად იტყვიან წკიპოს მოსახსენიებელს მისებურად: მის წმიდის წმინდა მადლი შეგეწოთ და წკიპო შვილის მოსავონარაც იყოსო!*..’

„ო ვეღ... *იმ ხეენს წინაპრებს ვაუმაჯჯოს-მეთქი, ვამბობ რა...*“

‘*კი... ჰოდა, იმ ხეენს... იმ ხეენს წინაპრებს ვაუმაჯჯოს-მეთქი, ვამბობ რა...*’.



შესაძლოა, გადართვა ამ დროს იყოს საპირისპირო მიმართულებითაც:

„მის წმიდის წმიდა მადლი შეგეწიოთო და წკიპოშვილსაც გაუმარჯოსო! – *დალოცადგადღონორ ქორ ყაწწლაცბიენრ წკიპო.*“

*‘მის წმიდის წმიდა მადლი შეგეწიოთო და წკიპოშვილსაც გაუმარჯოსო! – დალოცვილიყო ხელში ყანწდაჭერილი წკიპო’.*

### 5. ქართულენოვანი მსმენელის ყურადღების მიპყრობას:

„აღვერდბა ბუჭ თაგბედონო’ერ, კნათი, მიჩუხ დაგრალრ ზურბქ ვუღვაკარ, *გამიშვით*, მა ვახითოთ სუენრ!“

*‘აღვერდლ ში ჩხუბი მომხდაროყო, ბიჭებო, და საღლა ყოფილიყო ზურბბის ყეირილი, გამიშვით, არ გამიშვათო!’*

მოცემულ მაგალითში დადასტურებული ფრაზეოლოგიზმი – „*გამიშვით* მა ვახითოთ სუენრ!“ (გამიშვით, არ გამიშვათო) – ამ სახითაა დამკვიდრებული სოფელ ზემო ალენის წოვათუშ მოსახლეობაში: პირველი სიტყვა ქართულია, დანარჩენი – წოვათუშური. ქართული „გამიშვით“ განკუთვნილია მოხსუბარი ქართულენოვანი მოწინააღმდეგისთვის, ხოლო ფრაზის გაგრძელება – იმ წოვათუშებისთვის, რომლებიც გულშემატკივრობენ და ფიზიკურად აკავებენ წოვათუშ მოხსუბარს. აქ ჩანს წოვათუშში ადამიანის ქცევაც – მას სურს, ჩხუბი აირიდოს თავიდან. ამ ფრაზეოლოგიზმს წოვათუშები ჩხუბსა და აყალმაყალთან დაკავშირებული ამბის მოყოლის დროსაც ხმარობენ, მაგ., ასე: „იცით, „როგორი *გამიშვით*, მა ვახითოთ სუენრ“ იყოო?!“

## 6. გამეორებას:

გამეორებაც მსმენელის სათქმელზე ყურადღების გამახვილებას ემსახურება.

„თხოცობ მემლი დაჭ დაღუბადემღჩე, ვეჩნაირ **წეს-ჩვეულებ** (ველ-წეს) და თხოგო, **ჩვეულება ვვაქეს ჩვენ** (ველბა თხოგო).“

*‘ჩვენთან ვინმე თუ დაიღუბება, სხვანაირი წეს-ჩვეულებები ვვაქეს, ჩვეულება ვვაქეს ჩვენ.’*

„მჭადს – ფურნეებში, აი, **ფეჩი დორ, ფეჩი**.“

*‘მჭადს – ფურნეებში, აი, ფეჩებს ეძახდნენ, ფეჩებს.’*

## 7. წარსულთან დაკავშირებული სასიამოვნო ემოციის გამოხატვას:

„ყოველ ფსარლოუნ ილარკუჭემაქ დარათხრ; **ვაიმეე, რა კარგი იყო მაშინ!**“

*‘ყოველ საღამოს ილარკუჭეზე ვიყავით; ვაიმეე, რა კარგი იყო მაშინ!’*

## 8. მსმენელისადმი მიმართვებს:

„წმიდგიორგიგო ვახრალო გიკუდრ-პეტრე; ო პეტრეგო ლევგო რ ცჰა ვაშრ – დიგ... **ნუ დამკინი!**“

*‘წმიდაგიორგის სიახლოვეს უცხოფრია გიკუდრ-პეტრეს; იმ პეტრესს ჰყოლია ერთი ძმა – დინვა... ნუ დამკინი!’*

„ნიფს ედღჩეჰსს, შეძლებალა, ცო დეწლოს ალწ... თათა, **ჩაქრა?**.. შეძლებალა, ცო დეწლოს ალწ...**ჩაქ** ... ცოდეწლოს ალწ, **მავრაბ** ზორედში მოსი დად ვარ თხოგო.“

*‘სიძარტლოე რომ ვთქვა, შეიძლება, არ უნდა ვთქვა... თათა, ჩაქრა?!.. შეიძლება, არ უნდა ვთქვა... ჩაქ... არ უნდა ვთქვა, მავრამ ძა-  
ლოან ცული მამა გვეყავდა’.*

*„ამ ღროს თუდნ-მაღნ თეგლოარ ოსი, თუდნ-მაღნ, გაიგე?“*

*‘ამ ღროს პურ-მარჯლო კეთდებოდა იქ, პურ-მარჯლო, გაიგე?!..’*

ფრანზის ბოლო სიტყვა „*გაიგე*“, რომელიც ქართულად არის წარმოდგენილი, განკუთვნილია ქართულენოვანი მსმენელისთვის.

### 9. ნათქვამის შეჯამებას:

*„ო ვუს... ო ვუფ და ვალ-მალოარ რა, ევ არი ...“*

*‘ის... იმისია სასმელ-საჭმელი რა, ევ არის...’*

*„ქორეე ჩუჰ ბოფცჳჩირ მამიე დარ ქიქოც, ქსოვდნენ (დეფცოორ) თუ შები (ბაცბი).“*

*‘ხელით შინ მოქსოვილო შალოებით იყვნენ აღრე, ქსოვდნენ თუ შები’.*

*„შეშით გაახურებდნენ ჩვეულებრივ ფურნეს, გუდებს გავაკეთებდით, ამოვიღებდით, შევალაგებდით და ისეთი დაბროწილი მჭადები გამოდიოდა! უდშტ ბათრათხ.“*

*‘შეშით გაახურებდნენ ჩვეულებრივ ფურნეს, გუნდებს გავაკეთებდით, ამოვიღებდით, შევალაგებდით და ისეთი დაბროწილი მჭადები გამოდიოდა! ისე ვაცხობდით’.*

10. ინფორმაციის შეფასებას:

„სო ძავრამ უდმტ ხილქსრ, მქ იმტენრ... ო ქადაკებნ დაჰ მშოგ... დაჰ მშოგალო; სოდა ჰემჯნეს იმტენრ, დაჰ დაბერტყადიე'ნეს, ვატინეს, მარნნ ვეხნას, **იმიტომ რომ მრცხვენოდა, შემრცხვა ხალხისა, რომ ყვიროდნენ, რომ გაიჭყლოტაო.**“

‘მე კი, ისე აღმოვჩნდი, რომ ასე... ის ქანდაკებაც ვატყ... ვატყდა; მიმოვიხედე ასე, ჩამოვიბერტყე და წავედი, იმიტომ რომ მრცხვენოდა, შემრცხვა ხალხისა, რომ ყვიროდნენ, რომ გაიჭყლოტაო’.

„ბაყეტენრ ზორემშ ლამზურ, ზორემშ ლამზურ ცერემონია და, დჩრ ქუმრწლქ მას და ის ამბუდა, **მთელი ქორწილის ფასია ევ ცერემონიალო, ისეთი ღამა ზია**, ზორემშ წონალა დეუსქჩრ ნახნ.“

‘მართლა ძალიან ღამა ზია, ძალიან ღამა ზია ცერემონიაა, მთელი ქორწილის ფასია ევ ამბავი, მთელი ქორწილის ფასია ევ ცერემონიალო, ისეთი ღამა ზია, ძალიანაც მოსწონს მოსულ ხალხს’.

„მქ თანაც ვაზ ბისქ ზორემშ დუჯ, **თითონ ყველა ზე გამოჩენილი ისტორიკოსი**, ვაწ ივანე ჯავახიშვილი ლივ, მქ წოურ ვაზ ბარ, თიბრ...“

‘და თანაც ვა ზია დარჩა ძალიან ბეჭრი, თავად ყველა ზე გამოჩენილი ისტორიკოსი, ჩვენი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, რომ წოური ვა ზია არსებობდაო...’

„ი'ც ჰალ დაკლაფ... **ეს ფორე არ იყო კაი კაცია...**“

‘**ენლო იფიქრე... ეს ფორე არ იყო კარგი კაცია...**’

## 11. პაუზას:

მოსაუბრე თხრობის გარკვეული მონაკვეთის დასრულების შემდეგ პაუზას აკეთებს თხრობის მომდევნო ნაწილის დაწყებამდე და ამ დროს ის ქართულად გადაერთვება:

„ჰალ დექო ორათხ... შეყრალაოართხ უბანცო, უბნე ვაშბანო იხრათხ დექან მანკარ, აბი, ფსტი, ო მარ თხე საქმ ... გენაც უხ დეფცოს შუგო? უხ ალოს გენაც... რა ვთქვა სხვა?“

‘ღაფხეჩავდით ღა... შევიყრებოდით უბანთან, უბანში ვიკრიბებოდით სახეჩად ვოგოები, ისინი, ქალები, ის იყო ჩვენი საქმე... სხვა რა მოგვიყვით? რა ვთქვა სხვა... რა ვთქვა სხვა?’

„შემთხვევით გუდალონო, ღითხ, ღითხან დარალო; ვქ... კიდე რა ვთქვა, ჩუ დაჰო ორ სე დადას, ლე ღითხ დაჰოო, კექ მაჰოო, ო კექ დაჰ მოხკო ორ სე ნანას, თხონეძნო მაქ დოფხუძნ ევდოო.“

‘შემთხვევით გამოჩენილი, ხოორცი, ხოორციც ჰქონოდათ; მერე, კიდე რა ვთქვა... მოიტანდა მამაჩემი, ან ხოორცს მოიტანდა, მატყოს მოიტანდა, იმ მატყოს გაყიდდა დედაჩემი ღა ჩვენთვის ჩასაცმელს იყიდდა’.

„ბაცბან ცხოფრებ იშტუქ მარ: ან ხანელამუ დარათხო, ან ხანებარე დარათხუძნო... მეტი რა ვთქვა.“

‘წოვათუ შების ცხოფრება ასეთი იყო: ნახევარ ღროს მთაში ვიყავით, ნახევარ ღროს ბარში ვიყავითო... მეტი რა ვთქვა’.

## 12. ხაზგასმას:

„ბირკაცოხ ლელარ სონეძნო ღაზნან დარ ზოორეძმე... წყე სკოლი

ოშტუ ვედხნორას, გამურადგადონრ სახენჲ, ე უჩიტლეს შარნნ ენგვიქსრ, ჰო თხახუს ბირკაცობან ვარაჰედნრ. *ეგ არი, უშლოდნენ ბერიკაობა ზე სიარულს.*“

‘ბერიკაობაში სიარული ჩემთვის კარგი იყო ძალზე... ერთხელ სკოლაში ასეთი წავსუფიყავი, სახეზე გამურული და ამ მასწავლებელმა შინ გამავდო, შენ წუხელ ბერიკაობაში იყავიო. ეგ არი, უშლოდნენ ბერიკაობა ზე სიარულს’.

„მიგო ჯანინ ცო დარ, *ისიც სანატრელი ჰქონდა და, სკოლაში რომ მივდიოდით, კალო ში ბაჰერ თხოვო, ჰამახეც მაგო მიღწევ დარ.*“

‘ზოგს ქლამნებიც არ ჰქონდა, ისიც სანატრელი ჰქონდა და, სკოლაში რომ მივდიოდით, კალო შები თუ გვექნებოდა, ყველაზე დიდი მიღწევა იყო’.

### 13. ფრაზეოლოგიზმის გადმოცემა:

„ასე დაეტოვებინა ყაჩაღები სიმონს – *ღისტე ჩალო ჯალღიენრ.*“

‘ასე დაეტოვებინა ყაჩაღები სიმონს – *ჯარში ჩალოვამოვლებულები*’.

როგორც ჩანს, წოვათუშმა მშობლიურ ენაზე არჩია იდიომის გადმოცემა და ამით უკეთ გამოხატა სათქმელი.

ამრიგად, ჩვენს მასალაში დადასტურდა კოდის გადართვის შემდეგი სოციოპრაგმატული ფუნქციები:

1. სათქმელის უკეთ ახსნა-განმარტება, დაზუსტება მსმენელ-ისტვის: ამ დროს ასახსნელი და დასაზუსტებელი შეიძლება იყოს ფაქტი, მოვლენა, პიროვნება, ან ლექსიკური ერთეული;

2. ლექსიკური ნაპრალის შევსება;

3. მსმენელის ამა თუ იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, თხრობიდან ფრაზის გამოყოფა;
4. დალოცვის ფორმულის გამოყოფა;
5. ქართულენოვანი მსმენელის ყურადღების მიპყრობა;
6. გამეორება;
7. წარსულთან დაკავშირებული სასიამოვნო ემოციის გამოხატვა;
8. მსმენელისადმი მიმართვები;
9. ნათქვამის შეჯამება;
10. ინფორმაციის შეფასება;
11. ჰაუნა;
12. ხანგასმა;
13. ფრაზეოლოგიზმის გადმოცემა.

### **კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტური საფუძვლები**

კოდის გადართვის კვლევების ერთ-ერთი მიმართულებაა მოვლენის ფსიქოლინგვისტური მხარე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსაუბრის გონებაში მიმდინარე პროცესებზე. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც სოციოლინგვისტური მიდგომის დროს, კვლევის ცენტრში დგას მოსაუბრე, რომელიც იყენებს განსხვავებულ კოდებს, მაშინ როდესაც გრამატიკული მიდგომისთვის ამოსავალი ენობრივი სისტემა.

მაგრამ სოციოპრაგმატულად შეპირობებული კოდის გადართვისგან განსხვავებით, ფსიქოლინგვისტურად მოტივირებული გადართვის დროს მოსაუბრე არ ცვლის ენას განსაკუთრებული სასაუბრო მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ კოდის გადართვას

არა აქვს ფუნქცია ლოკალურ სასაუბრო კონტექსტში (Franceschini 1998: 61).

კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტური ხედვა წარმოდგენილია არაერთ ნაშრომში, მათ შორის მიქაელ კლინის, კლაუდია მარია რიჰლის, ფრანსეშინისა და სხვათა კვლევებში (Clyne 1967, 1991, 2003; Riehl 2005; Franceschini 1998).

რიჰლის განმარტებით, ფსიქოლინგვისტური მოტივაციებით ნაკარნახევი კოდის გადართვა წარმოადგენს „ენის ალტერნაციას, რომელიც გამოწვეულია არა მოსაუბრის განზრახვებით, არამედ ენის პროდუქციის განსაკუთრებული პირობებით“ (Riehl 2005: 1945).

ამდენად, კოდის გადართვა, ძირითადად, განუზრახავია მოსაუბრის მხრიდან და ამ მიზეზით ის წარმოადგენს შესაძლებელ გზას, აიხსნას ბილინგვური მეტყველების წარმოების პროცესები. განხვავებული მოდელები ამ მეტყველების ასახვას ნელად განვითარდა სხვადასხვა მეცნიერის მიერ (Bot 1992; Bot/Schreuder 1993).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ლეველტის „საუბრის მოდელი“, რომელშიც ენის არჩევანი კეთდება კონცეპტუალურ დონეზე, ანუ ლემას დონეზე (Riehl 2005: 1950), აგრეთვე დელ/რეიჩის მიერ შემოთავაზებული „ინტერაქციული აქტივაციის მოდელი“ (Dell/Reich (1980 ff). ამავე მოდელს წარმოადგენს აიტჩისონი (Aitchison 1994: 207).

ქვემოთ მოცემულ სქემაზე, მარცხენა მხარეს, ვერტიკალურად მოცემულია ოთხი სახელი:



მნიშვნელობა	საერთო ბგერები	ჯღერადობა
otter	o er	offer otter
rabbit	r t	robot rabbit
badger	b er	beaker badger beaver
beaver	b er	beaker badger beaver

ამ მოდელის მიხედვით, მეტყველების წარმოებისას ნაკადი იწყება სემანტიკურ კომპონენტში: აქტიურდება სპეციალური სემანტიკური სფერო. სანამ გარკვეული ცნების არჩევანი გაკეთდება, მანამ ნაკადი სემანტიკური სფეროდან გადაეცემა თითოეული სიტყვის ფონოლოგიური სფეროს კოდს და იწვევს მასში ბგერის მახასიათებლების თავმოყრას.

ეს გააქტიურებული ნაკადი გადაეცემა უკან სემანტიკის წარმოების დონეს, გააქტიურებს მეტ სიტყვას აქ და ა. შ. სანამ ნაკადი მოძრაობს წინ და უკან, ნებისმიერი ერთეული, რომელიც განსაკუთრებით ძლიერად აქტიურდება სემანტიკურ დონეზე, გამოიწვევს დამატებით გააქტიურებას ფონოლოგიურ დონეზე. ასე რომ, ამ მაგალითში სიტყვები – ‘beaver’ და ‘badger’ – ორივე ძალიან აქტიურია. თუ მოსაუბრე ყურადღებას არ მიაქცევს, შეიძლება მან არასწორი სიტყვა ამოიჩიოს.

ბლინგვის გონებაში მოსალოდნელია, რომ ანალოგიურად მკლერი სიტყვა იქნეს ამორჩეული არა მხოლოდ ინტერაქციის ენი-

დან, არამედ სხვა ენიდან, როგორც, მაგ., ინგლისურ-გერმანული ბილინგვიზმის შემთხვევაში სიტყვა 'Biber' ('beaver').

რაც უფრო მსგავსია „სხვა“ ენობრივი ერთეულების ფონეტიკური კოდები, უფრო მეტად აქტიურდება ისინი. ზუსტად იგივე შეიძლება მოხდეს, როდესაც ამოიჩვენა არასწორი ლემა მონოლინგუურ გარემოში: შეიძლება ამოიჩიონ ანალოგიურად მკლერი „სხვა“ ენობრივი ერთეული.

რითელი თავის ნაშრომში წარმოგვიდგენს 'Biber' ('beaver')-ის მაგალითს ფართო კონტექსტში და გეთავაზობს „მეტყველების წარმოების მოდელს“, რომელიც ხსნის ენის გადართვის დაწყებას მასტიმულირებელი სიტყვის დონეზე. ამ შემთხვევაში ავტორი მიჰყვება გროსჟენს (Grosjean 1988, 1995), რომელიც ამბობს, რომ ბილინგვებს აქვთ ენობრივი ქსელები (სინტაქსური, მორფოლოგიური და ფონეტიკური მახასიათებლები), რომელიც არის დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რადგან მოსაუბრისთვის შესაძლებელია, გამოიყენოს მხოლოდ ერთი ენა (მონოლინგვის სამეტყველო წესი), მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი უნდა იყოს ასევე ერთმანეთთან დაკავშირებული, რათა საშუალება მისცეს მოსაუბრეს, რომ გადაერთოს ერთი ენიდან მეორეზე (Riehl 2005: 1952).

ფონოლოგიურად მსგავსი ერთეულები არის მჭიდროდ ასოცირებული. თუ მოსაუბრე იყენებს სამეტყველო ხერხს, სადაც „სხვა“ ენის ერთეულების აქტივაცია არის შედარებით მაღალი, ლემა (დამასზე მიბმული გრამატიკული ინფორმაცია) აქტიურდება უფრო ძლიერად და საბოლოოდ ის გამოითქმის. ე. ი. 'beaver'-ს ნაცვლად გამოითქმის 'Biber'.

მოდელი ადასტურებს, რომ სემანტიკური ინფორმაცია, ლემას ლექსიკონზე დამოკიდებული მორფოსინტაქსური ინფორმაციის სა-შუალებით, დაკავშირებულია მეორე ენის სინტაქსურ და მორფოლო-გიურ სისტემასთან. ამიტომაც მეორე ენის ერთი ლემას აქტივაცია ზრდის ამ ენის ქსელის სრული აქტივაციის ალბათობას.

რიჰლის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი ამ კონტექსტ-ში არის ენობრივი მოთაგვა (მონიშვნა), შემოთავაზებული პაულის-სის/ბონგაერთსისა და გრინის მიერ (Poulisse/Bongaerts 1994; Green 1998), რომლებიც ამბობენ, რომ თითოეული ლემა აღჭურვილია დამ-ატებითი ინფორმაციით იმ ენის შესახებ, რომელსაც ის ეკუთვნის. მოყვანილ მაგალითში „გერმანული“ არის იარლიყი ‘Biber’-ისთვის და „ინგლისური“ არის იარლიყი ლემა ‘beaver’-ისთვის.

ეს ინფორმაცია მიბმულია ლემასთან იმავენაირად, როგორც დამატებითი ინფორმაცია ლექსიკური ერთეულის სტილისა და ინ-ტონაციის შესახებ. ჩვეულებრივ, მოსაუბრე აცნობიერებს „სტუმარ სიტყვას“, რომელიც ფონოლოგიურად არ არის გაერთიანებული მიმ-ღებ ენასთან და აღჭურვილია სხვა ენის ენობრივი იარლიყით (Gros-jean 1988, 1995).

მანც რთულია გადავწყვიტოთ, რა ემართება სიტყვებს, რომ-ლებიც ორივე ენას ეკუთვნის. აქვთ მათ ორი ლემა, ერთი თითოეული ენისთვის, ერთი ლემა აღჭურვილი ორი ენის იარლიყით, თუ ერთი „ნეიტრალური“ ლემა ყოველგვარი იარლიყის გარეშე? და როგორ აღიქვამენ მოსაუბრეები ამ შესაბამისობას?

უტყუარი ენობრივი მონაცემები ფსიქოლინგვისტურად შეპი-რობებული კოდის გადართვისთვის, დაწყებული მასტიმულირებელი სიტყვებით, უჩვენებს, რომ შესაძლებელია, დავუშვათ ერთი ზიარო

ენობრივი მარაგი, სადაც ყველა ერთეული ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ერთობლივად აქტიური ენობრივი მასალა არის განსაკუთრებულად მკაცრად დაკავშირებული და იქნება გააქტიურებული ერთდროულად.

რომ აფხსნათ ხელშემწყობი ეფექტები, აუცილებელია ასევე დავეშვათ, რომ ფონოლოგიური რეალიზაციები მიემართება ცნებებსა და ლემებს. მოდელი აჩვენებს, რომ გადასვლა მასტიმულირებული სიტყვებიდან კოდის გადართვის ნამდვილ მაგალითზე ახსნება ლემების შიდა კავშირებით მორფოსინტაქსურ ინფორმაციასთან.

ლემასთან რომ ნამდვილად დაკავშირებულია მორფოსინტაქსური ინფორმაცია, პრაქტიკულად დასტურდება. ამის მაგალითად გვესახება ისეთი შემთხვევები, სადაც მოსაუბრე „სტუმარი“ სიტყვის ფონოლოგიურ ადაპტაციას მანამდე ახდენს, სანამ მას მშობლიური ენის ფრაზას მოაყოლებს:

„ეს არის 1937 (ტყვორწილი) წლის (შარ) ოქტომბრის ბოლო დღეები (ყტუაჰსაჰლუ დინში/დენიში), ბოლო (ყტუაჰსაჰლუ) **დენიში** და.“

*‘ეს არის 1937 წლის ოქტომბრის ბოლო დღეები, ბოლო დღეებია’.*

**ბოლო** ქართულად მოჰყვება ქართულენოვან ფრაზას, ოღონდ წოვათუშური ფონოლოგიური ყალიბით, რასაც უნდა იწვევდეს მომდევნო წოვათუშური ფრაზა. მოსაუბრის გონებაში წინადადების წოვათუშური გავრძელება წარმოთქმამდეა მომწოდებული. ამ ინფორმაციით აღჭურვილია ლემა **ბოლო**, რომლის ენობრივ მოთავსებასაც ახდენს მოსაუბრე. ეს ენობრივი იარაღი კი არის „წოვათუშური“. ამიტომ ის წარმოთქმის როგორც **ბოლო** და არა როგორც **ბოლო** (ამდენად, შედეგად ვიღებთ წოვათუშურ ფრაზას: „**ბოლო დენიში** და“ (შღრ.: „**ბოლო დღეები**“).

მაიერს-სკოტონი აჩვენებს, კონტაქტური მოვლენის დროს განსხვავებები სტრუქტურულ მახასიათებლებში როგორ არის დამოკიდებული განსხვავებებზე ენის აბსტრაქტულ ბუნებაში, ზოგადად, და მონაწილე ენებზე – განსაკუთრებით. ფსიქოლინგვისტური და სოციალური ფაქტორები, რაც განასხვავებს კონტაქტის ერთ ტიპის გარემოს მეორისაგან, ქმნის აგრეთვე განსხვავებებს შედეგებში (Myers-Scotton 2002: 6).

კლინმა წამოაყენა სტიმულაციის ჰიპოთეზა. იგი ყურადღებას ამახვილებს კოგნიტურ პროცესებზე, რომელიც მიმდინარეობს მოსაუბრის ტვინში, რაც განაპირობებს ენის ალტერნაციას. მისი აზრით, ამგვარი კოდის გადართვა არაფუნქციური, არაგანზრახვითია. მას ხელს უწყობს ე. წ. სტიმულატორი სიტყვები, ანუ „სიტყვები ორი ენობრივი სისტემის გადაკვეთაზე, რომელსაც შედეგად შეუძლია გამოიწვიოს მოსაუბრეების მიერ თავიანთი ენის განცდის დაკარგვა და წინადადების გაგრძელება სხვა ენაზე“ (Clyne 1991: 193).

ეს ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, შეიძლება ეკუთვნოდეს ბილინგვის, ან მთელი ბილინგვური სამეტყველო საზოგადოების ერთზე მეტ ენას. ამ სახის ლექსემები არ არის კოდის გადართვის შედეგი, არამედ მიზეზი. ისინი გვთავაზობს ინფორმაციას როგორც ბილინგვიზმის კოგნიტური წარმოდგენების, ისე ბილინგვური ენობრივი პროცესების შესახებ (Clyne 1991: 193ff / 2003: 162ff).

მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ მასტიმულირებელი სიტყვები შედგება ისეთი ერთეულებისაგან, როგორიც არის „საკუთარი სახელები“, „ლექსიკური ტრანსფერები“ და „ბილინგვური ომოფონები“. დისკურსის მარკერები ასევე ჩართულია ბილინგვური ომოფონების რიგში. ის აღნიშნავს, რომ მასტიმულირებელი სიტყვები აადვილებს

გადართვას, მაგრამ აუცილებლობით არ უწყობს მას ხელს (Clyne 2003: 162ff).

ფრანსეშინი კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტური მოტივაციების ანალიზის დროს გამოყოფს ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მსგავსი, ან იდენტურია ორივე ენაში და ფუნქციონირებს, როგორც სტიმულატორი ერთი ენიდან მეორეში გადასვლისათვის. ასეთი მაგალითები გვთავაზობს საინტერესო წვდომას ბილინგვისმის მენტალური გამოხატვის პროცესებზე, ერთი მხრივ, და ბილინგვის ენობრივ პროცესებზე, მეორე მხრივ (Franceschini 1998: 61).

რიჰლის აზრით, მასტიმულირებელი სიტყვა არ უნდა განვიხილოთ, როგორც კოდის გადართვის ერთეული, რამდენადაც ის ინტერაქციის ენის ნაწილია. ის არის ლექსემა, რომელიც გაზიარებულია ორივე ენის მიერ (Riehl 2005: 1946).

**საკუთარი სახელები:** თითქმის ყველა ბილინგვურ მეტყველებაში საკუთარ სახელებს, ჩვეულებრივ, არა აქვთ თარგმანები მეორე ენაზე, მაგრამ ორივე ენაში გამოიყენება ფონოლოგიურად მსგავსი ფორმები (იქვე: 1947). კლინს მოჰყავს ასეთი მაგალითი:

*‘Es war Mr Fred Burger, der wohnte da in Gnadenthal and he went out there one day and Mrs Roehr said to him: Wer sind denn die Männer do her.’*

*‘It was Mr. Fred Burger, he lived at Gnadenthal and he went out there one day and Mrs Roehr said to him: Who are all these men around here?’* (Clyne 1994: 112).

“Gnadenthal” არის ძველი გერმანული დასახლების სახელი ავსტრალიაში და გამოიყენება ორივე ენაში – ინგლისურსა და გერ-

მანუელში. ამ ლექსების არსებობა ამ ენებში ხელს უწყობს გადართვას გერმანულიდან ინგლისურზე. გერმანული თხრობის მეორე ნაწილი წარმოადგენს პირდაპირი ნათქვამის ნაწილს და ინგლისურიდან გერმანულზე კვლავ გადართვა აქ პრაგმატულადაა შეპირობებული. თხრობა ამ წინადადებაში, ძირითადად, გერმანულად არის და კოდის გადართვა ფუნქციონირებს, როგორც ციტატა. ეს არის მაგალითი, თუ როგორაა წარმოდგენილი ერთმანეთის გვერდით კოდის გადართვის ორივე ტიპი – ფუნქციური და არაფუნქციური.

მეორე მაგალითში, რომელიც კოდის შერევის შემთხვევას წარმოადგენს, ორივე შესაძლებლობა – გადართვა და არაგადართვა – ერთმანეთს ენაცვლება ერთსა და იმავე წინადადებაში.

**[...]se tu ti mangi *emmentaler* o se tu ti mangi una *fontina* isch au en unterschied, oder?’**

‘If you eat **Emmental** cheese or if you eat **Fontina** cheese, there is also a difference, isn’t there?’ (Preziosa di Quinzio 1992).

პირველი საკუთარი სახელი (*‘Emmentaler’*), რომელიც გერმანული წარმომავლობისაა, ხელს არ უწყობს გადართვას, მაშინ როდესაც მეორე საკუთარი სახელი, რომელიც არის ინტერაქციის ენის ნაწილი – იწვევს კოდის გადართვას გერმანულზე.

რიჰტი აჩვენებს, რომ ხელშემწყობი ეფექტების სისწრაფე, ძირითადად, დაფუძნებულია მოსაუბრის ენის ცოდნის დონეზე და მოცემული ინტერაქციის სასაუბრო წესზე, ანუ, სხვაგვარად „ენის ფოკუსზე“, როგორც წერს ფრანსეშინი (Franceschini 1998).

რიჰტიმ და ეფლენარტი, კლინის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით (Clyne 1991), შეისწავლეს კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტური ბუნება ირანის უნივერსიტეტის აუდიოტორიებში. მათი კვლე-

ვის მიზანი იყო იმის გამოკვლევა, თუ რომელი მასტიმულირებელი სიტყვებია ხასუნისმგებელი კოგნიტურ კოდის გადართვაზე, რა არის კოდის გადართვის ფუნქციები და როგორია მასწავლებლისეული აღქმები ამ კუთხით (Rahimi & Eftekhari 2011).

აუდიო მასალის გაანალიზების შედეგად, რაჰიმიმ და ეფლენ-არიმ დაასკვნეს, რომ კოდის გადართვის მაგალითები საკუთარ სახელებში ჩნდებოდა ინგლისურენოვან აუდიტორიებში, ვიდრე იმ აუდიტორიებში, სადაც ინგლისური გამოიყენებოდა განსაკუთრებული მიზნებისათვის: აქ უფრო მეტი ტექნიკური ტერმინები და სიტყვები იხმარებოდა, ვიდრე საკუთარი სახელები. მაგალითი:

T: ‘Which one of you is going to take a trip in the New Year holidays?’

S: ‘I want to travel to Kerman in order to visit my grandma.’

T: ‘Oh, Kerman....did you know that Kerman is famous for ‘Kolompeh’?’

*‘kolompeh’ ta hala khordin? ye joor kolooche ke makhsuse Ker-  
mane...hatman emtehan konin.* (Have you ever eaten ‘Kolompeh’, a  
kind of cookie special for Kerman? Try it for sure).

S: ‘Bale, kheili khoshmazas...soghati miarim.’

(‘Yes. It is so delicious. I will bring it for you as souvenir.’)

ამ მაგალითში ‘Kolompeh’ განიხილება, როგორც საკუთარი სახელი, რომელმაც გამოიწვია მასწავლებლის გადართვა სპარსულზე და სტუდენტებიც ასევე წაახალისა, გადასულიყვნენ სპარსულზე (Rahimi & Eftekhari 2011: 57).

ეს მაგალითი მხარს უბამს კლინის ნიმუშს (Clyne 1994), რომელიც რიჰლის აქვს დამოწმებული. ეს არის ‘Gnadenthal’, რომელიც



აღნიშნავს ავსტრალიის საზოგადოებას და გამოიყენება ინგლისურ-სა და გერმანულში, რაც იწვევს გადართვას გერმანულიდან ინგლისურზე (Riehl 2005).

ჩვენს მასალაშიც დადასტურდა მასტიმულირებელი სიტყვები, რომლებიც ხელს უწყობს კოდის გადართვას, განუზრგვლად იმისა, თუ სად ხდება ის: მორფემის საზღვართან, სიტყვის დონეზე, სინტაგმის დონეზე, თუ ფრაზის დონეზე.

**საკუთარი სახელების** გამოყენების თვალსაზრისით, წოვათუშური ენა განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. აქ სახელები და გვარები, ძირითადად, ქართულისაგან განსხვავებულად იწარმოება და ეს სხვაობა მნიშვნელოვნად სცილდება ფონეტიკის სფეროს. ქართულ გვარ-სახელებს წოვათუშურში თავისი ეკვივალენტური ფორმები, ანუ, თარგმნითი ვარიანტები გააჩნია. მაგ.:

ლონგიანთ ნატო ლუმგლარძ ნატო

გიკურ-პეტრე გიკუძრ-პეტრე

დინგა დღა

ბულანჩო ბულანჩო

ბაბულია ბაბუც

ილიკო ბერთლანი ბემრთლა ილიკო

აკაკი გელოვანი გელოვა აკაკ

ადო ციხელიშვილი ციხლურა ადო და ა. შ.

რამდენადაც ჩვენი კვლევის ობიექტს ბილინგვური საუბრები წარმოადგენს, ცხადია, ინტერესს იწვევს, რა თავისებურებებს გვიჩვენებს ასეთი ტიპის საუბრებში გვარ-სახელების ხმარება.

ბერკ-სელიგსონმა თავის კვლევაში კოდის გადართვები გამორიცხა საკუთარი სახელების შემთხვევაში (ადამიანთა, ადგილთა,

შენობათა და ა. შ.). გამონაკლისი დაუშვა იმ შემთხვევებისთვის, როცა საკუთარი სახელის ესპანური და ებრაული ეკვივალენტი მკვლევარს ხვდებოდა ერთი და იმავე ინდივიდის ვერბალურ რეპერტუარში (Berk-Seligson 1986: 322).

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული და წოვათუშური ენები საკუთარი სახელების ნაწილში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, ქართული ეკვივალენტების ხმარება ჩვენ კოდის გადართვად ჩავთვალეთ.

გამოიჩვენა, რომ წოვათუშში ბილინგვები გვარ-სახელებს ორივე ვარიანტით იყენებენ: გაბმულ წოვათუშურ თხრობაში – წოვათუშური ვარიანტით და გაბმულ ქართულ თხრობაში – ქართული ვარიანტით (ვგულისხმობთ როგორც ფონეტიკურ, ისე მორფოლოგიურ მხარეს):

**გაბმულ წოვათუშურ თხრობაში:**

„ქოთვალ ძე გიკუმრ-პეტრე: ჰო, შუ უხ ალან ლეცე, ეჰნ, ოჰნ... დიჩრ ო შედრ ფჰე ხალხოგრ ვაშნრ ლაფე, გარი, დოლლიშ ესევედნრ!“

‘*შეწუხდა ეს ვიკუმრ-პეტრე: თქვენ რის თქმა ვინდათ, ესაო, ისაო... მთელი იმ სოფლის ხალხს თავი მოუყარა, აბა, მოდით, ერთი, აქაო!*’

„ო მოძლიერო ალან ო გიკუმრ-პეტრეს, მჟ, აიენრ, თხო მართალ ხალხ მათხრ, ათხ ცჰჰაცკომ ცო აჰნდათხ ესეჰედნრ.“

‘*იმ მოძღვართ უთხრა იმ ვიკუმრ-პეტრემ, რომ, აიო, ჩვენ მართალი ხალხი ვართ, ჩვენ არცა რა მოგვიპარია აქაოა*’.

„ზორემშ დუე უმ ძივბადიქილურთე|ო ნუს|ბაცვეს – ციხლურნ

ადოს], ზორემო ოტერსბალარ ვაძ ყორი, ვაძ ციხი ე უსი ოჯეს ღუჯ უმ აღმოხენადიქ.“

*‘ძალზე ბევრი რამ იძია [ინდურთაში] მან [wovam – აღო ციხელი შვილმა], ძალზე აინტერესებდა ჩვენი ყორეები, ჩვენი ციხეები და იქ მან ბევრი რამ აღმოაჩინა’.*

### გაბმულ ქართულ თხრობაში:

„აკაკი გელოვანის მითოლოგიურ ლექსიკონში ეს სიტყვა ნიშნავს შუმერთა მების და ქუხილის ღმერთს.“

„გენეალოგიასთან დაკავშირებით, მიქელაძეების გვარისა... თქვენ გემახსოვრებათ მიქელაძეების გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით...“

ადამიანის საკუთარი სახელი წოვათუშურში სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგება, ისევე როგორც საზოგადო სახელები, ასევე გვარი სახელის წინა პოზიციაში იხმარება: *შანიძე აკაკი* და არა *აკაკი შანიძე*. იშვიათად გვარ-სახელების გამოყენება წოვათუშურ ფრაზაში არ მიჰყვება ამ წესებს: კერძოდ, შეცვლილია წყობა ქართულის გავლენით:

„ო ზორ... ღამდიენო სტაკ, *აკაკი შანიძე* (შანიძე აკაკი) უქ ლიე ჩაღმართუდო, მქ ედშ ბაცბურად დორემო ამბუენო.“

*‘ის ძალ... ნასწავლი კაკი, აკაკი შანიძე რატომ ეუბნება ჩაღმებს, რომ თქვენც წოვათუშურად ღაპარაკობდითო.’*

წოვათუშურში საკუთარი სახელი *აკაკი* დამკვიდრებულია *აკაკი* ფორმით, რადგან ფუძისეული -*ი* ნმოვანი სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის აღქმული.

„თითონ ყველაზე გამოჩენილი ისტორიკოსი, ვაძ ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი ივანე) ლივ, მე წოურ ვაზ ბარ, თიბრ...“

‘თავად ყველაზე გამოჩენილი ისტორიკოსი, ჩვენი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, რომ წოური ვაზი არსებობდაო...’

მოგვეხვევა ისეთი მაგალითები, სადაც წოვათუშურ თხრობაში ქართული ვარიანტით მოცემული გვარ-სახელები იწვევს კოდის შეცვლას:

„ები კიმიშვილედ დაწერადალთ კიმიშვილები (კიმილარ)... ღიან, ამის მამას ერქვა, ეგრე დად ვარ კიმი.“

‘ესენი კიმიშვილად ჩაეწერნენ... კიმიშვილები... ღიან, ამის მამას ერქვა, ამისი მამა იყო კიმი.’

აქ გადართვას ხელს უწყობს ქართული გვარი *კიმიშვილები*.

ასეა შემდეგ მაგალითებშიც:

„იცი, დაშნი და, აი, მაგალითად, დად... აკაკი გელოვანის (გელოვან აკაკე)... ენლა ქართულად ვიტყვი...“

‘ახლა, სიტყვებია, აი, მაგალითად, დად... აკაკი გელოვანის... ენლა ქართულად ვიტყვი...’

„სო დასო ყიზილაშვილი ნინ... საბელა (დაქრან ნინ... საბელ)... ვადმე, ეპეტე... უხ დონ, დოჰ, ცო ვეთ სო იმტუ უნახი, დეფხეთ სო... ეგენი წავიდნენ...“

‘მე ვარ ყიზილაშვილი ნინ... საბელა... ვადმე, რა ვქნა, ქა, არ ვიცი ასეთი რამეები, მრცხგენია, ეგენი წავიდნენ!..’

გეოგრაფიულ სახელებსაც, ადამიანთა საკუთარი სახელების მსგავსად, წოვათუშურში ხშირად მოეპოვებათ ეკვივალენტური ვარიანტები:

შირაქი შირიქს

ალვანი ალვინს

თიანეთი თინითს

მალჩანი მალჩინს

რუსეთი რუსითს

ინდურთა ინდურთს

იშვიათად ქართულთან ზიარი ფორმებიც გვაქვს, მაგ., ილარკუჭი:

„ყოველ ფსარლუდნ *ილარკუჭემაქ* დარათხრ; ვაიძეე, რა კარგი იყო მა შინ!“

‘ყოველ საღამოს *ილარკუჭზე* ვიყავით; ვაიძეე, რა კარგი იყო მა შინ’.

არის შემთხვევები, როდესაც მოსაუბრე ორივე ვარიანტს ხმარობს ერთმანეთის გვერდით:

„შაუხტყ შარლუქ ვარ, შირქი, შირაქში...“

‘ორმოცი წლისა იყო, შირაქში, შირაქში...’.

„ეს (ე)... ე ლამ ბარ ჰქონდა დაახლოებით ხუფრან, ხუფრა ერქვა ამ მთას (წერ ე ლამუხ).“

‘ეს... ეს მთა იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაახლოებით ხუფრა, ხუფრა ერქვა ამ მთას’.

აქ გეოგრაფიული სახელის ქართული წარმოთქმა გადართვის მასტიმულორებელია.

სხვა ნიმუში:

„უდმტ მასრ იმალინრ, ძე *ალავერდ ში წამიყვანეს და* ალვერდი მასრ ქრისტადალინრ.“

*‘ისე ვარ ისამეუნებული, რომ ალავერდ ში წამიყვანეს და ალავერდ ში ვარ მონათლოული’.*

ამ მაგალითში გეოგრაფიული სახელი ქართული მორფონოლოგიური ყალიბითაც არის მოცემული (*ალავერდ ში*) და წოვათუშური მორფონოლოგიური ყალიბითაც (*ალვერდი*). ორივე ვარიანტი იწვევს მასტიმულირებელ ეფექტს („ალავერდ ში წამიყვანეს და“ / „ალვერდი მასრ“), საუბარი იმ ენაზე გაგრძელდეს, რომელ ენაზეც არის წარმოთქმული გეოგრაფიული სახელი.

„ე ხაღხ დინ *სამხრეთ კავკასიის დაყოლებით* (დოწლაშ) მხერ, თიბრ, ზორემშ ქიქდოლრ, თიბრ, ვაა, კაცო, ე ჰალრ ცოჰანე ჰებოდრ!..“

*‘ეს ხაღხის სამხრეთ კავკასიის მთელ დაყოლებაზე ცხოვრობდაო, ბრძანებს, ერთობ აღრიდანვეო, ამბობს, ვაა, კაცო, ამას არავინ ახსენებს!..’*

აქ მასტიმულირებელია „*სამხრეთ კავკასიის*.“

ამდენად, მასტიმულირებელ სიტყვებად შეიძლება გეოგრაფიული სახელებიც მოგვევლინოს.

გაბმულ ქართულ თხრობაში გეოგრაფიული სახელები ქართული წარმოთქმით არის მოცემული.

„*ვეფხისტის* სათავეებში წოფქების ქვეყანა იყო.“

## ლექსიკური ტრანსფერები:

მეორე და უფრო დიდი ჯგუფი მასტიმულირებელი სიტყვებისა არის ლექსიკური ტრანსფერები, რომლებიც ფონოლოგიურად არ არის ინტეგრირებული (ან ინტეგრირებულია მხოლოდ დაბალ დონეზე) ინტერაქციის ენაში (Riehl 2005: 1947).

ამდენად, ლექსიკური ტრანსფერები წარმოადგენს ისეთ ნასესხობებს, რომელთაც მსესხებელ ენაში არა აქვთ შესაბამისი ეკვივალენტები და, ამდენად, ისინი საერთოა წყარო და მიმღები ენებისთვის.

ბეტონი ასახელებს ლექსიკური ტრანსფერის მიერ გადართვის ხელშეწყობის მაგალითს:

**‘Come che l’ha conosciuto su i *film*? Not in the **films**, are you, these pornographic films he gets in?’**

‘How he recognized him in the films? Not in the **films**, are you, these pornographic films he gets in?’ (Bettoni, ციტ.: Clyne 1991: 194).

ამ მაგალითში ‘*film*’ არის ლექსიკალიზებული ნასესხობა სტანდარტულ იტალიურში, რომელსაც არა აქვს ადგილობრივი იტალიური შესატყვისი და მიიჩნევა არაადგილობრივ სიტყვად ბოლოკიდური თანხმონით (იტალიური მკვიდრი ლექსემები, ჩვეულებრივ, ბოლოვდება ხმოვანზე). ამ მაგალითში მოცემული ნასესხები სიტყვა იწვევს გადასვლას იტალიურიდან ინგლისურზე. რიჰლის აზრით, ეს ნიმუში ადასტურებს პოპლაკის ვარაუდს, რომ ფონეტიკური და ფონოტაქტიკური კრიტერიუმები სუსტი ინდიკატორია ნასესხობის სტატუსისთვის (Poplack/Meechan 1998: 134) (Riehl 2005: 1948).

კლინი (Clyne 2003) ლექსიკურ ტრანსფერებს მიიჩნევს ერ-

თეულეზად, რომლებიც არის ერთი ენის ნაწილი და არ ეკუთვნის მეორე ენის ლექსიკონს. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, სადაც კოდის გადართვა გამოწვეულია ასეთი სიტყვებით:

T: 'There are different types of nonvolatile memories. One nonvolatile is 'flash' .

*'Ba hafezeye flash ke ashna hastin. Hamin hafezehaye kuchak o ghabele haml.'*

(‘you are all familiar with ‘**flash**’ memory...those small and portable ones. ’)

S: *'bale, kamelan.*

(‘yes, completely.’)

ეს მაგალითი აღებულია აუდიტორიიდან, სადაც ინგლისურს ასწავლიან სპეციფიკური მიზნებისათვის. აქ სიტყვა ‘*Flash*’ იწვევს მასწავლებლის გადართვას ინგლისურიდან სპარსულზე. ეს სიტყვა სპარსულში გამოიყენება იმავეს აღსანიშნავად. ის იზიარებს ლექსიკური ტრანსფერის იმავე მნიშვნელობას: არ არის ფონოლოგიურად ინტეგრირებული, ან ინტეგრირებულია მხოლოდ დაბალ დონეზე ინტერაქციის ენაში, როგორც განიხილავს რიჰლი (Riehl 2005: 1947).

ჩასმული სიტყვების ამ ტიპის მაგალითები შეადგენს ლექსიკური ტრანსფერების უმრავლესობას კლინის მასალაში:

*'Ich les grade eins/ das is' ein/ handelt von einem alten/ **secondhand-dealer and his son'***

‘I’m just reading one/ that’s a/ about an old **secondhand-dealer and his son**’ (Clyne 1991: 194).

ამ მაგალითში ლექსემა ‘*secondhand-dealer*’ ნასესხებია ინგ-



ლისურიდან და ინტეგრირებულია, როგორც ნასესხები სიტყვა გერმანულში. ამდენად, სტრუქტურული თვალსაზრისით, არ არის განსხვავება ამ ლექსემასა და ზემოთ მაგალითში დამოწმებულ ნასესხებ სიტყვას შორის (film), არც ქვემოთ მოყვანილ მაგალითს შორის, რომელიც წარმოადგენს ნასესხებ სიტყვას, მიღებულს გარკვეულ ბილინგვურ სამეცხველო საზოგადოებაში:

*‘Der war über die ganze **Oblast**’. Nu on mne srazu dal napravlene.*

‘He was responsible for the whole **oblast**’ (district). Well, he introduced me immediately to the job.’

ტერმინი ‘*oblast*’ არ არსებობს სტანდარტულ გერმანულში, არამედ მხოლოდ რუსულ-გერმანულ სამეცხველო საზოგადოებაში, მაგრამ აქ ის გამოიყენება, საზოგადოდ, ამ საზოგადოების ყველა მოსახურის მიერ. ამრიგად, მას აქვს ნახევრად-ლექსიკალიზებული სტატუსი, რომელიც უტოლდება ‘*film*’-ს (Riehl 2005: 1948).

ჩვენს მასალაშიც გამოვლინდა **ლექსიკური ტრანსფერები**, რომლებიც ხელს უწყობს, მაგრამ აუცილებლობით არ განაპირობებს კოდის გადართვას. მაგალითები:

„ფიზიკა ფაკულტეტი *დამთავრბადმიე*‘ნეს (მაჯი‘ნეს ცქრ), უჩიტლელ ვარასრ დუჰჰრელუჩ შარე სართიჭალისს კოლე...“

*‘ფიზიკის ფაკულტეტი დამთავრბადმიე და მასწავლებლად ვიყავი პირველ წელს სართიჭალის სკოლაში...’*

ლექსიკური ტრანსფერი „*ფიზიკის ფაკულტეტი*“ მასტიმულირებელ ეფექტს შეიცავს გადართვისთვის მოზღვემის საზღვართან (*დამთავრბადმიე*).

ანალოგიური მაგალითი გვაქვს ქვემოთ, სადაც ლექსიკური

ტრანსფერია „სახალხო მედიცინა“.

„...დენი უდს ვარასოჲ, ჳეჲ, თსარლოუნ, ვოლვედუნას სახალხო მედიცინა შესწავლადმა (ნამამ).“

‘ღღინით იქვეყავი და მერე, სატამოთი დავიწყე სახალხო მედიცინის შესწავლა’.

„ვაშარ ღომ, დაჰან და შლოდო ო ჳეგარ. ეგეთი რაღაცეები ... სხვა რაღა ვინდათ?“

‘კობებებან და შლოან იმ ჳეგარს. ეგეთი რაღაცეები... სხვა რაღა ვინდათ?’.

აქ ლექსიკური ტრანსფერია „**ჳეგარი**“.

„ჰადჳნო, ახტალეგო რუსიმენახში ჳებახებანო **ღათეჲ** ქიმიურ ფორმული ყვანადმოშ.“

‘უყურებეს, ახტალასთან ვიღაც რუსები სხედან და ტალახის ქიმიურ ფორმულებს იყვანენ’.

ლექსიკურ ტრანსფერს აქ წარმოადგენს „**ქიმიური ფორმულა**“, რომელიც ხელს უწყობს კოდის გადართვას მის წინ მდგომ სიტყვაში მორფემის საზღვართან.

ლექსიკური ტრანსფერები ყოველთვის არ განაპირობებს გადართვას:

„ცჰადნქოკლი სტაკ ვარეჲ, მანც ლეთერ კხოვრებეს (დანილოუნ), კომუნისტან ლეთერ.“

‘ცალფენა კაცი იყო და მაინც ებრძოდა კხოვრებას, კომუნისტებსაც ებრძოდა.’

აქ ლექსიკური ტრანსფერია „*კომუნისტი*“:

„ოსი ალოზ სოგო, მწ, ბა, *კომუნისტურ პარტიე* ცუდ ლექსო, ჩუ მიღებდვოთხ ჰო, ალოზ; ზორემო ღაზეჲ პარტიეჲ მდივაჲ ვარე, ხათრ ცო ბჰოგმაკო სო, *კარგი*, ედონას რა, *წმიმიღეს*, რა, ჩუ მიღებადვიქსო.“

‘*იქ მითხრეს, რომ, ვა, კომუნისტურ პარტიაში არ ვინდა, მივიღებთო; ძალიან კარგი მდივანი იყო პარტიისა და ხათრი ვერ ვაგეტენე, კარგი-მეთქი რა, და მიმიღეს რა, მიმიღეს*’.

ლექსიკური ტრანსფერია „*კომუნისტური პარტია*“:

„სკოლე თეწბოლ ბაცბურ მოტ, წე ხელმოწერი დეჲჰნას *ვანათლების სამინისტრონ*, წე უს ალოზ, მწ, პასუხ ბალოზ, მწ,კი, ბატონო, ჰალ თაგ დებათ ის ამბუდ...“

‘*სკოლაში ასწავლონ ბაცბური ენა და ეს ხელმოწერები წაეუღე განათლების სამინისტროს და იქ თქვეს, რომ, გვიპასუხეს, რომ, კი, ბატონო, ვაკეთეთ ეგ ამბავი...*’

ლექსიკური ტრანსფერია „*ვანათლების სამინისტრო*“:

ლექსიკური ტრანსფერების გარდა, მასტიმულირებელი ეფექტით გამოიჩინება სხვა *ნასესხობებიც* – ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთაც წოვათუშურ ენაში არ შეავსეს ე. წ. თავისუფალი ადგილები, არამედ შექმნეს სინონიმიური წყვილები ადგილობრივ ეკვივალენტებთან.

გამოყოფენ ორი ტიპის სესხებას: სამეტყველოს, ანუ ღროებით სესხებას ინდივიდუალურ დონეზე, და ენობრივს, ანუ ჩამოყალიბებული ნასესხობებს საზოგადოების დონეზე (Grosjean 1982: 308-309).

დროებითი ნასესხობები გამოიყენება მხოლოდ გარკვეული მოსაუბრეების მიერ (თავის თარგმან ეკვივალენტთან ალტერნაციით).

ჯალილი ასახელებს ენობრივი სესხების მაგალითს: ‘*dropar*’, რომელიც ინტეგრირდა პორტუგალიურში არა მხოლოდ მორფოლოგიურად (‘*drop*’ არის ინგლისური სიტყვა, ხოლო ‘*ar*’ – პორტუგალიური მაწარმოებელი ინფინიტიური ზმნებისთვის), არამედ ფონოლოგიურადაც: (/ ‘*dr p*’ = ინგლისური, / *dr ‘p a*’ = პორტუგალიური).

დიდი ხანია, რაც კამათი მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, კოდის ალტერნაციის ეს სახეობები უნდა ჩაითვალოს თუ არა კოდის გადართვად (ამ დისკუსიის შესახებ იხ. Romaine 1995: 142 ff), Heller/Pfaff 1996: 60), მაგრამ როგორც გროსჟენი აღნიშნავს: „ზღვარი ძალიან მკაფიოა კოდის გადართვასა და სესხებას შორის“ (Grosjean 1995: 263).

პოპლაკმა და სხვებმა დაადგინეს, რომ ცალკეულ სიტყვათა ალტერნაციის დიდ უმრავლესობას აქვს ბაზისური ენის (resp. რომელზეც, ძირითადად, მიმდინარეობს საუბარი. ქ. გ.) მახასიათებლები, რის საფუძველზეც დაასკვნეს, რომ „ერთი ენის ძირითადი კლასის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ცალკეული სიტყვები, გაერთიანებული დისკურსში მეორე ენასთან, თითქმის ყოველთვის ნასესხობებია“ (Poplack/Meechan 1998: 135).

პოპლაკისა და მიჩანის თვალსაზრისით, კოდის გადართვა და სესხება ორი განსხვავებული ფენომენია. ისინი ადასტურებენ, რომ ცალკეული ლექსემების ალტერნაციები არ არის კოდის გადართვის მაგალითები, არამედ ნასესხები ფორმები (Poplack/Meechan 1998: 134).

ამდენად, კოდის გადართვა და სესხება უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან. კოდის გადართვის დროს არ ხდება სიტყვებისა თუ წი-

ნადადეგების გაერთიანება სასუბრო ენაში, სესხების ღროს კი გვაქვს ფონოლოგიური თუ მორფოლოგიური ინტეგრაცია მსესხებელ ენაში (Grosjean 1982: 308).

როგორც მაიერს-სკოტონი წერს, ბილინგვიზმის გავლენები ბილინგვიების ერთ ან მეტ ენაზე შეიძლება იყოს დაუფარავი (ანუ ცხადი ზედაპირულ დონეზე), ან დაფარული (არააპირდაპირ აღქმადი აბსტრაქტულ დონეზე). მაგრამ ხშირად ბილინგვი მოსაუბრეები თავად ვერ აცნობიერებენ ამ ეფექტებს, არის ის დაუფარავი თუ დაფარული. როდესაც ისინი სესხულობენ სიტყვას სხვა ენიდან თავიანთ პირველ ენაში საგნის თუ ცნების აღსანიშნავად, რომელიც ახალია მათი კულტურისთვის, მათ ღიად უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ლექსიკონი გაუართოვდა სულ მცირე სესხების ღროს (Myers-Scotton 2002: 1).

მ. მიქელაძის დაკვირვებით, სესხების პროცესში ყურადღებას იქცევს ე.წ. „თეთრი ლაქების“ შევსება, რომელიც მსესხებელ ენაში (C) შეინიშნება. ამ ადგილების შევსება წყარო ენის (S) ლექსიკური ფონდის ბაზიდან ხდება. „თეთრი ლაქები“ მსესხებელ ენაში ის თავისუფალი ადგილებია, რომელიც მასში სათანადო ტერმინოლოგიის არარსებობის გამო გაჩნდა, ანუ ეს არის ტერმინოლოგიური ვაკუუმი, რომელსაც ენა წყარო ენიდან სესხების გზით ივსებს (მიქელაძე 2008: 27).

წოვათუშური ენა ქართულთან ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად არაერთი ლექსიკური ერთეულით გამდიდრდა.

ამ ენის მატარებელი კოლექტივი საუკუნეების განმავლობაში კავკასიონის ალპურ ზონაში ცხოვრობდა, სადაც მემინდვრეობა სუსტად იყო განვითარებული, ხოლო ძირითად სამეურნეო დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა; კარგად იყო განვითარებული აგრეთვე მატყლის დამუშავებისა და შიდასაოჯახო კუსტარული ქსოვის ტე-

ქნოლოგია.

ქართული ენის მატარებელი კოლექტივი კი ბარში ცხოვრობდა, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული მებაღეობა-მევენახეობა. ეს კუთხე დაწინაურებული იყო აგრეთვე სწავლა-განათლებითა და საერთო კულტურული დონით. შემთხვევითი არ არის, რომ წოვათუშურმა ქართულიდან მთლიანად ისესხა მებაღეობა-მევენახეობის ლექსიკა, აგრეთვე სწავლა-განათლებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული და სამოხელეო-პოლიტიკური ტერმინოლოგია (მიქელაძე 2008: 27).

ე. ი., წოვათუშურმა ის თავისუფალი ადგილები შეივსო, რომელიც მასში ამ დარგების განვითარებლობის გამო იყო გაჩენილი. სამაგიეროდ, მას საკუთარი აქვს ორგანიზმის ნაწილების აღმნიშვნელი, ნათესაობის აღმნიშვნელი, მეცხოველეობასთან, ქსოვასა და შიდასაოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი (იქვე).

მ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ დარგობრივი ლექსიკის სესხების ეს კანონზომიერება ორენოვნების ინდივიდუალური საფენურისთვის არის დამახასიათებელი. ამ საფენურს ახასიათებს აგრეთვე ახალი სიტყვების ბგერითი გარსის ცვლა C ენის ფონოლოგიური მოდელის შესაბამისად (იქვე: 29). კოლექტიური ორენოვნების დროს „თეთრი ლაქების“ შევსება არ კარგავს აქტუალობას, რამდენადაც ეს უწყვეტი პროცესია. ამასთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უცხო სიტყვების დიდი რაოდენობით შემოსვლა, რომლებიც სინონიმურ წყვილებს ქმნიან მსესხებელი ენის სიტყვებთან.

დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ საკუთრივ წოვათუშური წარმოშობის 3655 სალექსიკონო

ერთეულიდან სინონიმური პარალელი შეიძინა 2575-მა სიტყვამ: წოვათუშური წარმოშობის სიტყვების 70%-მა გვერდით ქართული მეწყვილე გაიხინა (იქვე: 32).

ნასესხები სიტყვების ბგერითი გარსის უცვლელად გადატანა მესამე სპეციფიკური ნიშანია კოლექტიური ორენოვნებისა – ბლინგვიზმის გარკვეულ საფენურზე მსესხებელი ენა ნასესხები სიტყვების იერსახეს აღარ ცვლის და მათ ფონეტიკური რევიზიის გარეშე იღებს.

გარდა ამისა, მსესხებელი ენა იფიწყებს სიტყვაწარმოების საკუთარ საშუალებებს და მასალას მზამზარეულად იღებს – ესეც ერთ-ერთი ნიშანია კოლექტიური ორენოვნებისთვის. „თუ ორენოვნების დასაწყის სტადიაზე წოვათუშურმა ენამ მთელი რიგი სახელებისათვის ქართულიდან ისესხა მხოლოდ ძირი, ხოლო შესაბამისი სიტყვასაწარმოებელი აფიქსები მორფემათა საკუთარი ინვენტარიდან შეარჩია, კოლექტიური ორენოვნების დროს იგივე სახელები დაუშლელად შემოიტანა“ (მიქელაძე, იქვე: 35-36).

ამ მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ წოვათუშური ენის ლექსიკური ფონდი მნიშვნელოვანწილად ქართულიდან სიტყვათა სესხების გზით გამდიდრდა. ენაში უკვე დამკვიდრებული ასეთი ლექსიკური ერთეულები ჩვენ ცალსახად გამოფრცხეთ კოდის გადართვის შემთხვევებიდან. ცხადია, ისინი ხშირად განაპირობებს წოვათუშურიდან ქართულზე გადართვას.

მაგალითები:

„დექის შუგრ დეფცა, მოლჟ **ძნელ ცხოვრებ** მარ ქიქოც მემცხ-ორიგო...“

*‘უნდა ვიამბოთ, როგორი ძნელი ცხოვრება ჰქონდათ ძველად მეცხვარეებს...’*

აქ ნასესხები სიტყვაა „*ძნელ*“, რომელსაც მოსდევს გადართული სიტყვა „*ცხოვრებ*“:

„ში შემთხვევად სოგო, მე დაპ ვისვედლანას; ო ში შემთხვევა... *ოარი შემთხვევა მაქვს ...*“

‘*ოარი შემთხვევა მაქვს, რომ გადაფრხი; ის ოარი შემთხვევა... ოარი შემთხვევა მაქვს...*’

აქ ნასესხები სიტყვა „*შემთხვევ*“ პირველ შემთხვევაში ის არ იწვევს გადართვას, მეორე შემთხვევაში კი იწვევს.

„ო თოვანდინას, ო წამლებადინას, ოსი ბოსტა, *მარგვლა და თესვა*, თოვანდარ, ბაროდარ, დარგოდარ, მორწყადარ, *აი, ევ არი*.“

‘*ის ვთოხნე, ის ვწამლე, იქ ბოსტანი, მარგვლა და თესვა, თოხნა, ბარვა, დარგვა, მორწყვა, აი, ევ არის*’.

აქ მასტიმულირებელია „*მარგვლა*“:

„*ყოველდღიურ საკვებ* (ვალუენი) უხ დარ? *ძროხა პყავდათ*, აპრ ოწო’ერ ო დეთ...“

‘*ყოველდღიური საკვები რა პქონდათ? ძროხა პყავდათ, მოწველოდნენ იმ ძროხას...*’

მასტიმულირებელია „*ყოველდღიური*“.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ისეთი მაგალითები, სადაც გადართულ ქართულ სიტყვასთან მიერთებული წოვათუშური მანერტებელი კავშირი ე და უთუნქციო ხმოვანი ე იწვევენ წოვათუშურ კოდზე დაბრუნებას:

„*ილარკუჭის გორაზე ავდიოდით*, იხრათხ ჰალარ, *ილარკუჭის გორაზე* (ილარკუჭმაქე), ოსი ტყოყ ლაგან ლეჭდორათხ.“



*‘ილარკუჭის გორაზე ავდიოდით, ავდიოდით, ილარკუჭის გორაზე და იქი მოცვს ვკრეფდით’.*

*„ყველაფერს აკეთებენ, თუ ... მარს დაჰ მავრამე მარხულ დაყრი, ობი ზექლო’ მ, ობი ვაშარან დერწქე; იმამდე ... შაუნტყდინლომცა იშტ დობლომე, შაუნტყ დენიჰა’ მ, მარხრდნჰ, მარხულათ დო, ცოჰ მავრამე ვსნილორათლო.“*

*‘ყველაფერს აკეთებენ; თუ... ხოლო თუ მარხვაა, სამარხვო საჭმელებს, იმეებს აკეთებენ და ისინი დასხდებიან; იმამდე... ორმოც დღემდე ასე აკეთებენ ხოლო, ორმოცის დღისითაც, თუ მარხვაა, მარხულად აკეთებენ, არადა ხსნილოურად აკეთებენ’.*

*„სქ ბადრი მავრამე (მნ) სე მარხანას ცო გავდორ.“*

*‘ჩემს ბავშვებს კი ჩემი დედამთილი არ ინახავდა.’*

### **ბილინგვური ომოფონები:**

მესამე კატეგორია, რომელსაც ეხება კლინი (Clyne 1967 ff), არის ბილინგვური ომოფონები – სიტყვები, რომლებიც ჟღერს ერთნაირად, ან თითქმის ერთნაირად მოსაუბრის ორ, ან მეტ ენაში, ან ენობრივ სისტემებში. ომოფონები გვხვდება გენეტიკურად ახლო მონათესავე ენების უმრავლეს ნაწილში, მაგრამ ისინი ჩნდება აგრეთვე ნაკლებად ახლო მონათესავე ენებშიც. მაგ., რუსულში გერმანული სასაუბრო ნაწილაკი *no*, რომელიც არის დიალექტური ვარიანტი სტანდარტული გერმანული *-nun-*ისა (*‘well’*), ფონოლოგიურად იდენტურია რუსული მაპირისპირებელი კავშირისა *no* (*‘but’*). ქვემოთ მაგალითში ეს ნაწილაკი ხელს უწყობს გადასვლას მოსაუბრის გერმანული სახეს-

ვაობიდან რუსულზე (Riehl 2005: 1948):

*‘gib mir her deine Frau, wir wir gehen zusammen da in die Wiste.*

**No, kak ja i ne mogla ego videt’.**

‘Give me your wife, we we’ll go out together into the desert. **Well/ but** how, I couldn’t see him either.’

ამ შემთხვევაში შეუძლებელია გადავწყვიტოთ, ნაწილაკი *no* გერმანული მნიშვნელობით (‘well’) არის, თუ რუსული მნიშვნელობით (‘but’), რამდენადაც ორივე ინტერპრეტაცია შესაძლებელია. განხილული მაგალითები ხშირია რუსულ-გერმანულ ბილინგვურ დასახლებებში (იხ. Blankenhorn 2003).

არსებობს აგრეთვე ორივე ენის ე. წ. „კომპრომისული ფორმები“, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ომოფონები, როგორც შემდეგ მაგალითში:

*‘Keine Apfelsinen. Wir haben se gehabt but oh großes Feuer come [kam] through and killed all the trees.’*

‘No oranges. We had them but oh big fire **come** through and killed all the trees’ (Clyne 2003: 164).

თუმცა ინგლისური *come* [kam] და გერმანული *kam* [ka:m] არ არის ნამდვილი ომოფონები შესაბამის სტანდარტულ ენებში, ისინი არის ფონოლოგიურად იდენტური მოსაუბრის კონკრეტულ სახესხვაობებში: ის იყენებს [kam]-ს ორი მნიშვნელობით – გერმანული წარსული დროისთვის და ინგლისური ახლანდელი და (არასტანდარტული) წარსული დროისთვის. რიპლი ეთანხმება კლინს (Clyne 2003: 164), რომელიც თავისი ადრინდელი შრომების საპირისპიროდ, ამტკიცებს, რომ ორივე ტიპი არის ერთი და იმავე ფენომენის ნაწილი (Riehl 2005: 1949).

წოვათუშურსა და ქართულ ენებს ბილინგვური ომოფონები ძა-

ლიან იშვიათად მოეხოვებათ. ასეთად შეიძლება განვიხილოთ, მაგ., „*ესე*“; რომელიც წოვათუშურში არის ადგილის ზმნიზედა (აქ), ხოლო ქართულში – ვითარების ზმნიზედა (*ესე*).

„დაჰ თეტი‘ნ, აბა, იქედან ჰალ ვოცვიე‘ნ *ესე*, და ექ ... მამინ დუდხტრი ცო დარ, ექიმბაშიდარ, ვარდისუბნე და ჰან ვახე‘შეძრ ფს-ტუ-ბანდრევაჲ.“

‘*ლაჭრეს და, აბა, იქედან ამოიყვანეს აქლა ექ... მამინ ექმეძე არ იყენენ, ექმბა შებე იყენენ და ვარდისუბანში წავიდა თავისი ცოლ-შვილითვე*’.

„ესქ მარ *პერამე* ჰალ ეეთე‘ნე, რუსით შარნან ვახე, დითქ სოქ ესე ეო ე ბანდერ, *ესე ე ზო-ყურე, დათესვა, დამარგვლა, ვენახი ჩამიყარა ...*“

‘*ეს ჩემი ქმარი ვი ავდა და რუსეთში წავიდა, დამიტოვა აქ სამ-სამი ბავშვი, აქ ე ზო-ყურე, დათესვა, დამარგვლა, ვენახი ჩამიყარა...*’

„*ესე იკრიბებოდნენ და* (ლეჰლარე), *რა თქმა უნდა* (უხ ალარ დეწქე), უხ ალარ დეწქე, ო პადლე შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული.“

‘*აქ იკრიბებოდნენ და, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, იმ სარდაფ-ში შეკრება ყოველ შაბათს ჰქონდათ დათქმული*’.

მოცემულ მაგალითებში, შესაძლოა, „*ესე*“ ომოფონი გადართვის მასტიმულორებელი იყოს.

ბილინგვურ ომოფონად უნდა შევათვასოთ აგრეთვე „*და*“, რომელიც ქართულში ძაერთებელი კავშირია, ხოლო წოვათუშურში – „*არის*“ ზმნა:

„ოსი სუთერ *გაშლოა, რა თქმა უნდა, ისევე ხორცეული; თუაძ ცო და* (აძ ცო დაჰ), მარხო ცო *და, ყველაფერს აკეთებენ*.“

*‘იქ სუფრა იშლოება, რა თქმა უნდა, ისევ ხორცეული; თუ... ისაძე არ არის, მარხვა არ არის, ყველაფერს აკეთებენ.’*

გადართვის მასტიმულირებელია მეორე „და“, პირველ შემთხვევაში ის არ იწვევს გადართვას.

**„ისი ხუმ ლაჯქ ლავერქ ლამნი და, ეგ ჩეხნებიც გადასახლებაში იყენენ და უბატონოდ დავედიოდით გრო ზნომლის: ჩეხნების ხმის ამოდლები, დამშოელი არავინ იყო.“**

*‘იქ ხომ ძალადი თოვლიანი ძთებია, ეგ ჩეხნებიც გადასახლებაში იყენენ და უბატონოდ დავედიოდით გრო ზნომლის: ჩეხნების ხმის ამოდლები, დამშოელი არავინ იყო.’*

### **საუბრის მარკერები:**

საუბრის მარკერები, რომლებიც ნასესხებია ენაში კონტაქტში მყოფი მეორე ენიდან, შეადგენს მასტიმულირებელი სიტყვების განსაკუთრებულ ტიპს, რომელსაც კლინი განიხილავს, როგორც ბილინგუურ ომოფონებს (Clyne 1991: 194).

მატრასის აზრით, სესხების ამ ტიპის სინშირე ადასტურებს ფაქტს, რომ დისკურსის მარკერები არის ელემენტები, რომლებიც გამოიყენება კომუნიკაციის პროცესის ორგანიზებისათვის და, აქედან გამომდინარე, არის პრაგმატულად მოცილებადი ენობრივი სისტემისაგან: ისინი აღიქმება, როგორც „ეესტების მსგავსი, სიტუაციურად განსაზღვრული სქემები“, რომლებიც განაპირობებს მათ მოცილებადობას შინაარსის კონტექსტიდან (Matras 1998: 309).

დისკურსის მარკერები (როგორცაა *therefore, so, but*) მიიჩნევა შინაარსის მქონე მორფემებად დისკურსის დონეზე, ანუ მათ მიეწ-

ერებათ დისკურსის დონის თემატური როლები. ისინი ხშირად მომდინარეობს ჩართული ენიდან, რომლებიც კოდის გადართვაში ხშირად იქცევა ნასესხობებად.

დისკურსის მარკერების სესხებისთვის მატრასი გამოყოფს სამ შესაძლებლობას:

1. ორივე ენისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან მიმღები ენის დისკურსის მარკერების სისტემა;

2. ან დონორი ენის დისკურსის მარკერების სისტემა;

3. ან შეიძლება წარმოიქმნას შერეული სისტემა (რომელიც დისკურსის მარკერების მექანიზმს იყენებს რომელიმე ენიდან, რომელსაც აქვს პრაგმატული ფუნქციები, განსხვავებული თავისი ენის დისკურსის მარკერების მოდელისგან) (იქვე: 310).

რიჰლი საუბრის მარკერებს გამოყოფს ცალკე ტიპად, რადგანაც მთელ მის მონაცემებში ეს ელემენტები არის ყველაზე ხშირი ხელშემწყობი ენის გადართვისთვის. ეს ფაქტი ავარაუდებინებს მას, რომ ყველა ენობრივ კონტაქტურ სიტუაციაში ლექსემების ეს სახეობა ნასესხებია ადრეულ ეტაპზე, რადგანაც ისინი არის ადვილად შეღწევალი ენაში. ამავე დროს, წინადადების მუხლთან მიმართული ნაწილაკები უფრო ადრე იქნა ნასესხები, ვიდრე წინადადების შიდა შინაარსთან მიმართულები (Riehl 2005: 1949).

იგი არ ეთანხმება პოპლაკსა და მიჩანს, რომელთა აზრითაც, ასეთი სიტყვები არ ეკუთვნის ლექსიკის ყველაზე მეტად სესხებად ენას (Poplack/Meechan 1998: 127).

ამდენად, ბევრ ბილინგვურ სამეტყველო საზოგადოებაში დისკურსის მარკერები მოსაუბრის მხოლოდ ერთი ენიდან

(ძირითადად, დომინანტური ენიდან) ხდება ნაწილი მოსაუბრის ინტერაქციული სისტემისა, დამოუკიდებლად იმისა, რომელი ენა გამოიყენება იმ დროს. რამდენადაც მეტად ჩნდება ასეთი „ქესტების მსგავსი“ ელემენტები და ნაკლებია მათი ლექსიკური თუ შინაარსობრივი მიმართებები, უფრო მეტადაა ისინი ინტეგრირებული მიმღები ენის სისტემაში.

ინგლისურ-გერმანულ ბილინგვურ სამეტყველო საზოგადოებებში დისკურსის მარკერები, როგორცაა, მაგ., ‘well’, გერმანულში ისეხსენს ადრეულ ეტაპზე. ის ძალიან ხშირად პასუხისმგებელია ხელშემწყობ ეფექტებზე. მაგ.:

*‘Wenn ich mich so fühle, geh’ ich ’raus in den Garten und/ well look after my flowers.’*

‘When I feel like it, I go out in the garden and / well look after my flowers’ (Clyne 1991: 194).

ის, რომ ეს მარკერები სრულად არის ინტეგრირებული მიმღები ენის სისტემაში, შეიძლება დადასტურდეს მაგალითებით, სადაც გადართვა ხელშემწყობილია წყარო ენიდან მიმღებ ენაში:

*‘mein zweiter Bruder sei Frau war von Don/ èto Stavropolskij. No russkaja. Potom hat man Moldavan. Ein Bruder hat eine Jud.’*

‘The wife of my second brother was from Don/ that’s Stavropolsk district. But Russian. **Then** we have a Moldavian, one brother has a Jew.’

პირველი გადართვა გერმანულიდან რუსულზე, საგარაუდოდ, მოტივირებულია საკუთარი სახელით. მაგრამ რუსულზე ამ გადასვლის შემდეგ ხდება მეორე გადართვა, რომელიც ხელშემწყობილია სიტყვით *potom* (‘then’) – ენის დამოუკიდებელი დისკურსის მარკერით, რომელიც ნასესხებია რუსულიდან მოსაუბრის გერმანულ

სახესხვაობაში და სრულად არის ინტეგრირებული ამ სახესხვაობის სისტემაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს დისკურსის მარკერები ასევე ჩნდება მონოლინგვთა გამოთქმებში და მათი გამოყენება ფართოდ არის გაგრცელებული რუსულ-გერმანული სამეცნიერო საზოგადოების წევრებს შორის.

ჩვენს მასალაში მოვიძიეთ დისკურსის მარკერები, რომლებიც ხელს უწყობენ კოდის გადართვას. ესენია:

**აბა:**

*„შევრამ მან ბანდროლე ბუხრი ჩუ იმლინო, კაწკო, აბა, როგორ უნდა ვთქვა შეცოცებულა, ჩუ თაგენო.“*

*‘შევრამ მან ბავშვობაში ბუხარში შეისეშექნილა, პატარა, აბა, როგორ უნდა ვთქვა შეცოცებულა, თრევით შესულა.’*

*„ი სქ ბაბო ჭათხან ოთქ, წინ გადაუდვა, ჭათხან ოთქ, ონარ თოტენოსინ, დაჰან თექტი, მარჯვექ ქოკ, დაჰ თექტი, აბა, იქიდან ჰალ ვოცვიენ ესე, და ექ.“*

*‘ეს პაპაჩედი წინ გადაუდვა, წინ გადაუდვა, წინ გადაუდვა და იმათ თოთეი ესროლოეს და დაუჭრეს მარჯვენა ფეხი, დაჭრეს და, აბა, იქიდან ამოიყვანეს აქ და ექ.’*

### **ეგეთი რაღაცები:**

*„და შლო და. ისევე შევროვლებიან შინაურები, ვაშარ ლომა, დაჰან და შლოლო ო ჯვარ. ეგეთი რაღაცები ... სხვა რაღა ვინდათ?“*

*‘და შლოა. ისევე შევროვლებიან შინაურები, იკრიბებიან და შლოიან იმჯვარს. ეგეთი რაღაცები... სხვა რაღა ვინდათ?’*

**რას იზავდა:**

„მე ᄡევ ვეცქე, მე ყომ ქისტევ დიკენენდრ; ჰაჲე, *რას იზავდა, და-ლონდა-ძოლონდა და* თინით ვახე, პრისტავ ვეხე.“

*‘და მწყემსი მოვიდა, რომო, ცხვრები ვარეკეს ქისტებმო; პოდა, რას იზავდა, ერთხანს დალონდა და თიანეთში წავიდა, პრისტავი მოითხოვა’.*

**ეკ არი:**

„წყე სკოლი ოშტუე ვედხნორას, გამურადვადლნრსახენე, ე უჩ-იტლეს შარნ ენვიესრ, ჰო თხაბუს ბირკაჲობჲს ვარაჰედნრ. *ეკ არი, უშლოდნენ ბერიკაობა ზე სიარულს.*“

*‘ერთხელ სკოლაში ასეთი წავსუვიყავი, სახე ზე გამურული და ამ მასწავლებელმა შინ ვამაგლო, შენ წუხელ ბერიკაობაში იყავიო. ეკ არი, უშლოდნენ ბერიკაობა ზე სიარულს’.*

**რა ვიცე:**

„დაჰ გარკვევადგედლნას დენის, უნე კი *სამეურნალო* უმ და, დაჲარ და... *რა ვიცე, ათასნარ... ყოველ* ჟავნუდაჰ გადა... დამუშებადიენეს, ყოველ უმ ჰალო *შესწავლა*დინას.“

*‘სრულად ვავერკვი, რაც კი სამეურნალო რამაა, ბალოხია... რა ვიცე, ათასნარ... ყოველი წივნი ვადა... დავამუშავე და ყოველი რამ შევისწავლე’.*

რაჰიმი და ეფლეხარიმ თავიანთ მასალაში ვერ დაადას-ტურეს ლექსიკური ტრანსფერებით, ან ბილინგუური ომოფონებით გამოწვეული კოდის გადართვის ვერც ერთი მაგალითი ინგლი-სურენოვან აუდიტორიებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ავტორების აზრით, შეიძლება იყოს ის, რომ ომოფონები, ჩვეულებრივ, ჩნდება გენეტიკურად მონათესავე ენებში და, რამდენადაც ინგლისური და



სპარსული არ მიიჩნევა ასეთ ენებად, ამიტომ გადაართვის ეს სახეც არ დადასტურდა.

დისკურსის მარკერებს შორის მათ მასალაში ერთადერთი სიტყვა იყო 'OK', რომელიც იყო მასტიმულირებელი სპარსულიდან ინგლისურზე გადაართვისთვის.

ამდენად, ჩვენს ბილინგვურ საუბრებში გამოიკვეთა მასტიმულირებელი სიტყვების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს გადაართვას, მაგრამ აუცილებლობით არ განაპირობებს მას. ასეთებია:

1. **საკუთარი სახელები;**

2. **ლექსიკური ტრანსფერები** (მაგ., თიზიკის ფაკულტეტი, სახალხო მედიცინა, ჯვარი, ქიმიური ფორმულა, კომუნისტი, კომუნისტური პარტია, განათლების სამინისტრო);

3. **ნასესხობები** (ძნელი, შემთხვევა, მარგელა და სხვ.);

4. **ბილინგვური ომოფონები:** წოვათუშურსა და ქართულ ენებს ბილინგვური ომოფონები ძალიან იშვიათად მოეპოვებათ. ასეთად შეიძლება განვიხილოთ „ესე“, რომელიც წოვათუშურში არის ადგილის ზმნიზედა (აქ), ხოლო ქართულში – ვითარების ზმნიზედა (ესე). ბილინგვურ ომოფონად უნდა შევაფასოთ აგრეთვე „და“, რომელიც ქართულში მაერთებელი კავშირია, ხოლო წოვათუშურში – „არის“ ზმნა;

5. ქართულ მაპირსაპირებელ კავშირზე, ან სხვა სიტყვაზე მიბმული წოვათუშური მაერთებელი კავშირი 5 და მაპირსაპირებელ კავშირზე მიბმული უფუნქციო ხმოვანი 7;

6. **საუბრის მარკერები.** ჩვენს მასალაში ასეთებია: აბა, ეგეთი რაღაცები, რას იზავდა, ეგ არი, რა ვიცი და სხვ.

## წინასაარტიკულო და არტიკულოციის მომდევნო შესწორებები

ფსიქოლინგვისტურად შეპირობებული კოდის გადართვის მახასიათებლების კვლევისას რიჰლი საუბრობს მონიტორინგისა და ენობრივი გაცნობიერების შესახებ. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ ფსიქოლინგვისტურად მოტივირებული კოდის გადართვა არ არის წინასწარ განზრახული, აუცილებლობით არ გულისხმობს იმას, რომ მოსაუბრეს ის არა აქვს გაცნობიერებული.

თუ მოსაუბრეები ყურადღებას აქცევენ ჰოტენციურ მას-ტიმულირებელ სიტყვებს, მათ შეუძლიათ ისინი შეასწორონ და დაუბრუნდნენ იმ ენას, რომელზეც საუბრობდნენ გადართვამდე. ანუ, ისინი აცნობიერებენ მეტყველების ცდომილებებს, ან სტილურ ცდომილებებს.

მექანიზმი, რომელიც აკონტროლებს მეტყველების ცდომილებებს და ენობრივ ცდომილებებს (ანუ, როდესაც მოსაუბრეები ამოიჩვენებენ „არასწორ“ ენას – რომელიც არ არის ინტერაქციის ენა), იდენტურია: ის ასრულებს შიდა კონტროლის როლს, რომელსაც ენის შექმნისა და მეტყველების წარმოების თეორიაში ჰქვია „მონიტორი“ (‘monitor’).

ლეველტი იყენებს ტერმინს „მონიტორინგი“ (‘monitoring’) (Levelt 1989: 9), ან „თვით-მონიტორინგი“ (‘self-monitoring’) (Levelt et al. 1999: 3). ტერმინი „მონიტორი“ ენის შექმნის თეორიაში უბრველესად წარმოდგენილი იყო კრაშენის მიერ 1981 წელს.

კრაშენის მიხედვით, არსებობს სამი ჰირობა, რომელიც უნდა არსებობდეს მონიტორის გამოყენებისათვის:

1. ღრვის გარკვეული რაოდენობა, რათა მოსაუბრემ შეძლოს წესების გააზრება;

2. ფოკუსირება ფორმაზე: მოსაუბრემ ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი ნათქვამის ფორმას და არა შინაარსს;

3. წესის ცოდნა: მოსაუბრემ უნდა იცოდეს წესები, ან ცალკეული ერთეულების ენობრივი სპეციფიკა, რათა გამოიყენოს ისინი (Krashen 1981).

ამ პირობების გარდა, მონიტორინგისათვის არსებობს აგრეთვე რედაქტორების ორი განსხვავებული ტიპი, როგორც განხილულია მეტყველების წარმოების თეორიაში:

1. წინასაარტიკულაციო რედაქტორება: მოსაუბრე უსმენს თავის შინაგან ხმას, სანამ წარმოთქვამს რამეს და შეუძლია, თავიდან აიცილოს სამეტყველო ცდომილებები;

2. არტიკულაციის შემდგომი რედაქტორება: მოსაუბრე უსმენს თავის პროდუქციას და შეუძლია შეასწოროს მცდარი წარმონათქვამები მათი გამოთქმის შემდეგ.

ბილინგვ მოსაუბრეებს, ჩვეულებრივ, აქვთ კარგად ფუნქციონირებადი მონიტორინგის სისტემა თავიანთ განკარგულებაში, რაც შეიძლება დაეინახოთ შესწორებების სისწორეში „სხვა“ ენაზე გადართვის შემდეგ.

მონიტორის გამოყენება დამოკიდებული არ არის მხოლოდ ზემოთ ნახსენებ პირობებზე, არამედ მეტყველების წესზე, რომლითაც მოსაუბრე ამყარებს ურთიერთობას სხვასთან. მონიტორს ძალიან ხშირად მიმართავენ, თუ მოსაუბრეები ინტერაქციას ამყარებენ მონოლინგუურ ყაიდაზე: გროსჟინის მიხედვით, მონოლინგუური სამეტყველო მეთოდი ხასიათდება ბილინგვის მიერ მონოლინგვი თანა-

მოსაუბრის ენის არჩევით. ბილინგვურ სამეტყველო მეთოდში ორივე ენა გააქტიურებულია. ბილინგვები, ჩვეულებრივ, ირჩევენ ბაზისურ ენას, რომ გამოიყენონ თავიანთ ბილინგვ თანამოსაუბრესთან (ეს არის ინტერაქციის მთავარი ენა), მაგრამ შეუძლიათ იმავე საუბარში გადართონ ბაზისური ენა (Grosjean 1992: 59).

მონიტორინგისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

1. რაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მოსაუბრე გამოთქმას, გამოხატვას, მით ნაკლები მასალა დადასტურდება ფსიქოლინგვისტურად შეპირობებული კოდის გადართვისთვის;

2. მონიტორი ნაკლებად გამოიყენება ბილინგვურ სამეტყველო სიტუაციებში, ან ისეთ სიტუაციებში, რომელიც წარმოშობს მენტალურ დატვირთვას მოსაუბრეზე;

3. თუ კოდის გადართვა არის კარგად მიღებული გარკვეულ სამეტყველო საზოგადოებებში, ენობრივი სპეციფიკური ინფორმაცია (როგორც არის იარლიყები) შეიძლება დაიკარგოს (Riehl 2005: 1957).

ბილინგვებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა აქტივაციისა და დეაქტივაციის პროცედურები, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ენები განცალკევებულად, როდესაც ისინი საუბრობენ მონოლინგვთან. გროსჟინი აღნიშნავს, რომ მოსაუბრეები აცნობიერებენ სხვა ენიდან შემოსულ „სტუმარ სიტყვებს“ თავიანთ საუბარში და ამ მიზეზით ცდილობენ, თავიდან აიცილონ ისინი, როდესაც საუბრობენ მონოლინგვებთან (Grosjean 1988, 1995).

**წინასაარტიკულაციო რედაქტორება:**

მართალია, რთულია დაგაკვირდეთ წინასაარტიკულაციო რედაქტორებას, თუმცა მოიძებნება მაგალითები, სადაც მოსაუბრეები

სიტყვას წყვეტენ შუაზე და სურთ, გამოთქვან და წარმოადგინონ თარგმნითი ეკვივალენტი, მაგ.:

*‘Vot is (-) is meine komanda [‘Mannschaft’] in Ekaterinovkaja, Sekretär, die wo (lacht) buma / Papiere meine vorbe(reiteten) (lacht).’*

‘This is my komanda (‘team’) in Ekaterinovkaja, the secretary who prepared (laughs) **buma**/ [= first part of *bumagi* ‘papers, files’] my papers.’

ასეთი მაგალითები მიუთითებს წინასაარტიკულაციო რედაქტირებაზე, თუ დაეუშვებთ, რომ ფრაზის ნაწილი მზად იყო საარტიკულაციო ბაზისში, როდესაც მოხდა მისი რედაქტირება. ეს უფრო ცხადია იმ შემთხვევებში, სადაც გვაქვს ერთმარცვლიანი ერთეულები, რომელიც აღიქმება, როგორც ტრანსფერის ნაწილი, თუ მკვლევარი უსმენს ყურადღებით (Riehl 2005: 1955):

*‘Re/ selten hat mer ein kolchoz [‘Kolchose’] gefunden, wo gut gelebt hawa die Mensche.’*

*‘Re/ [= first part of russ. redko ‘rarely’] rarely you found a kolchoz [Soviet collective farm] where people lived a good life.’*

ეს ფრაგმენტები, აგრეთვე შესწორებები და თარგმნითი ეკვივალენტის გვერდით განთავსება ადასტურებს, რომ ბილინგვი მოსაუბრეები გარკვეული აღდგომის წყალობით ეწევიან კოგნიტურ სამუშაოს. მსგავსი მაგალითები სხვათა კვლევებშიც გვხვდება (იხ. Garnham et al. 1982: 254 ff).

რაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მოსაუბრე ენობრივი დამუშავების ღონისძიებებს, ფსიქოლინგვისტურად მოტივირებული კოდის გადართვის უფრო ნაკლები მაგალითები იჩენს თავს მის მეტყველებაში. მაგრამ როგორც გრინი მიუთითებს, ნებისმიერი კონ-

ტროლის მექანიზმი ზრდის მენტალურ დატვირთვას მოსაუბრისთვის: მონიტორინგის გავლენას, შეჯიბრებას, ერთი მხრივ, ენასა და, მეორე მხრივ, დაგეგმვისა და ფორმულირების ღონისძიებებს შორის შეუძლია წარმოშოს ასეთი მაღალი მენტალური დატვირთვა, რომ გადართვას ხშირად თან სდევდეს სხვა შიდა ენობრივი და ენათა შორისი მეტყველების ცდომილებები, როგორც აჩვენა კლინმა (Clyne 2003: 203).

მენტალური დატვირთვის შეზღუდვამ შეიძლება შეამციროს მონიტორინგის ეფექტურობა. თუ ისეთი ფაქტორები ემატება, როგორცაა სტრესი, დაძაბულობა, ავადმყოფობა, ან კონცენტრაციის ნაკლებობა, კონცენტრაციის დონეები კიდევ უფრო მცირდება. ამ მიზეზით, მოსაუბრეები ძალიან ხშირად არ იყენებენ მონიტორს რელაქსაციურ ბილინგვურ სამეტყველო სიტუაციაში, ან თუ ისინი არიან დაღლილები დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაკლებად აქტიური ენის გამოყენებით. თუმცა არის ლექსემები, რომლებიც მარტივად არის შესაძინევი და, აქედან გამომდინარე, ისინი შეიძლება მოსაუბრეს წამოსცდეს რელაქტირების პროცესში, მაგ., უმახვილო, ერთმარცვლიანი ლექსემები, როგორცაა, ვთქვათ, რუსულის შემაერთებელი კავშირი *i*.

გროსჟინი ამბობს, რომ „მონაცემები, შეგროვილი ხშირ კოდის გადართვაზე, არ ადასტურებს მონიტორის არქონას, მაგრამ გვიჩვენებს, რომ მეტყველების წარმოების სისტემას შეუძლია უმისოდ მოქმედება“ (Grosjean 1988: 271).

მონიტორის გამოყენება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოსაუბრის ყურადღებაზე მეტყველების წარმოების მომენტში, არამედ იმაზეც, რამდენად ასხვაგვებს ის ერთმანეთისაგან ენებს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე, თანაარსებული ლინგვისტური

მანსიათებლების მოცემული ნაკრები არის თუ არა აღქმული მოსაუბრის მიერ, როგორც განსხვავებული კოდი. შეიძლება ეს რთული იყოს გადასაწყვეტად, როდესაც ჩართული კოდები არის გენეტიკურად ანლო მონათესავე. მაგალითად გამოდგება ერთი და იმავე ენის სხვადასხვა დიალექტის შემთხვევა. ეს პრობლემა დანახული აქვს ფრანსეშინის (Franceschini 1998) და სხვებს (Meeuwis / Blommaert 1998). მათ აჩვენეს, რომ გარკვეულ სამეტყველო საზოგადოებებში შერეული კოდები (ან კოდის გადართვა) გამოიყენება, როგორც ხარვეზი შემთხვევა. ამ მიზეზით ენობრივი სისტემის კოდის გადართვის ტიპი შეიძლება გადაეცეს ერთი თაობიდან მომდევნო თაობას მოცემულ სამეტყველო საზოგადოებაში.

კოდის გადართვის „სწავლის უნარიანობა“ განხილულია ფრანსეშინის მიერ (Franceschini 1998). იგი იმოწმებს მაგალითს შვეიცარიულის კონტექსტიდან, სადაც კოდის გადართვის სახესხვაობა შექმნილია პირდაპირ ორივე მონაწილე ენის ბაზისური კომპეტენციის გარეშე (Franceschini 1998: 57). თუ კოდის გადართვა ძალიან მიღებულია ცალკეულ სამეტყველო საზოგადოებაში, მოსალოდნელია, რომ ენობრივი მოთაგვის (მონიშვნის) ინფორმაცია დაიკარგოს და მოსაუბრეებმა ნაკლებ და ნაკლებ გააცნობიერონ კოდის გადართვის გამომწვევი ეფექტები.

ბავშვები, რომლებიც სწავლობენ ორ ენას ერთსა და იმავე დროს, ჩვეულებრივ, ვერ ანსხვავებენ ორი ენის სისტემას სამი წლის ასაკამდე (Butzkamm 1993). სამეტყველო საზოგადოებებში, რომლებიც იყენებენ შერეულ კოდებს, რთულია ბავშვებისთვის, დაეუფლონ ენობრივ მოთაგვას განსხვავებული სისტემებისთვის.

ჩვენს მასალაში ძალიან იშვიათია წინასაარტიკულაციო შეს-

წორებები. ასეთებად მივიჩნევთ შესწორებას წინადადების დასაწყისში, პირველივე „სტუმარი“ სიტყვის შემდეგ. მოსაუბრე აცნობიერებს რა, რომ საკუთარ ენაზე არ იწყებს საუბარს, ჩერდება, პაუზას აკეთებს და მაშინვე ანაცვლებს მას მშობლიური ენის ეკვივალენტს:

*„ეს (ე)... ე ლამ ბარ ჰო დაახლოებით ხუფრა, ხუფრა ერქვა ამ მთას (წერ ე ლამუხ).“*

*‘ეს... ეს მთა იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაახლოებით ხუფრა, ხუფრა ერქვა ამ მთას’.*

*„ესეთი (იშტუ) ... იშტუ წესჩეეულებ (ველ-წეს) და თხოვო რა...“*  
*‘ესეთი... ასეთი წეს-ჩეეულება გვაქვს რა...’.*

*„დოიგ... ცხენებით (დოიგ) ლელრათხ.“*  
*‘ცხენებით... ცხენებით დავდიოდით.’*

*„ძან (ზორემში), ზორამში განათობდვადონო სტაკვარ ო სანდრო.“*  
*‘ძლიან, ძლიან განათლებული კაცი იყო ის სანდრო’.*

**არტიკულაციის შემდგომი რედაქტირება:** არტიკულაციის შემდგომი რედაქტირება არის ფართოდ გაფრცელებული მოქმედება მონოლინგუური საუბრის დროს. მაგალითი ფრანგულ-გერმანული კოდის გადართვიდან:

*‘Ich bin für Umweltschutz engagé (-- ) äh wie sagt man auf Deutsch?’*

*‘I’m involved in environmental protection - um how do you say it in German?’*



აქ ბილინგვი განუზრახავად იყენებს ფრანგულ სიტყვას გერმანულ საუბარში, მაგრამ არტიკულაციის შემდგომი რელაქტრებისას აცნობიერებს, რომ გამოიყენა ფრანგული ლექსემა, ანუ „სტუმარი სიტყვა“ მეორე ენიდან. სიტყვა *‘engagé’*-ის წარმოთქმის შემდეგ მოსაუბრის შეყოვნება (რომელიც ფრჩხილებში წყვეტილი ხაზით არის გამოხატული) მიანიშნებს, რომ ის ეძებს თარგმნით ეკვივალენტს. რამდენადაც ის მას ვერ პოულობს, თანამოსაუბრეს ეკითხება: „როგორ ამბობ ამას გერმანულად?“

უმრავლეს შემთხვევაში მოსაუბრეებს შეუძლიათ, იპოვნონ სწორი შესატყვისი თავიანთ ენაზე.

*‘Da hängen dann die **drogati** ’rum (-) äh die **Drogierren** (-) oder wie sagt man auf Deutsch (-- ) Drogenabhängige’ [...]*

‘Then the **drogati** hang around there, um the druggated, or how do you say it in German - drug addicts (South Tyrol, 29 years, teacher)’ (Riehl 2005: 1954).

აქ მოსაუბრე ამჩნევს, რომ სიტყვა *‘drogati’* არ არის გერმანული წარმომავლობისა, არამედ არის მეორე ენის რეპერტუარის ნაწილი. მაგრამ მოსაუბრე საერთოდ არ ფიქრობს მის სწორ წარმოთქმაზე, ის ცდილობს, მოძებნოს ლექსემის „გერმანიზებული“ ვერსია და აერთიანებს მას, როგორც დროებით ნასესხობას, გერმანულ ენობრივ სისტემაში სუფიქს *-ieren*-ის დამატებით. ზმნა ამ მაგალითში გამოყენებულია, როგორც წარსული დროის მიმღეობა, მაგრამ მოსაუბრე შემდეგ კვლავ ასწორებს თავის ნათქვამს და აცნობიერებს, რომ ეს ლექსემა საერთოდ არ არსებობს გერმანულში. დასასრულს, ის იხსენებს შესაბამის (სწორ) სიტყვას და აგრძელებს საუბარს გერმანულად.

რიჰლი აკვირდებოდა ორივე მოსაუბრეს დროის ხანგრძლივი პე-

რიოდის განმავლობაში და მისთვის ნათელი გახდა, რომ ორივე იყო აქტიური გამომყენებელი თავისი მონიტორისა. ისინი არა მხოლოდ ასწორებდნენ თავიანთ ნათქვამს, არამედ კომენტარს აკეთებდნენ თავიანთი გადართვის შესახებ: ‘wie sagt man auf Deutsch?’ (‘how do you say it in German?’). ეს შესაბამისობაში იყო მათ პროფესიასა და განთლებასთან. იყვნენ ნაკლებ განათლებული ადამიანებიც, რომლებიც თავიანთ მონიტორს იყენებდნენ ნაკლებად ხშირად (ოფიციალური მონოლინგუურ კონტექსტებშიც კი). თუ ისინი ასწორებდნენ საერთოდ რამეს, ჩვეულებრივ, ამას აკეთებდნენ კომენტარების გარეშე. ისინი მარტივად გვერდით ათავსებდნენ თავიანთი ტრანსფერის თარგმნით ეკვივალენტს.

ჩვენი რესპონდენტების საუბრებში დავადასტურეთ არტიკულაციის მომდევნო შესწორებები ორივე მიმართულების კოდის გადართვის დროს, თუმცა ასეთი შემთხვევები ჭარბობს ქართულზე კოდის გადართვის შემდეგ.

ყველა რესპონდენტს ინტერვიუერი თავიდანვე უხსნიდა, რომ წოვათუშურად უნდა ესაუბრა (რადგან მასალები გროვდებოდა წოვათუშური ტექსტებისთვის). იყო შემთხვევები, როდესაც მათ ავიწყდებოდათ მითითება და საუბარს ქართულად იწყებდნენ, ან წოვათუშურად დაწყებულს ქართულად აგრძელებდნენ. საუბრისას უმრავლეს შემთხვევაში ვერ გრძნობდნენ, რომ ერთი ენიდან მეორეზე მონაცვლეობდნენ. ინტერვიუერი მათ ღროდღროდ ახსენებდათ, რომ წოვათუშურად ესაუბრა. ასეთ შემთხვევაში ისინი გადაერთვებოდნენ ხოლმე მშობლიურ ენაზე, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდნენ საუბარს (კოდების მონაცვლეობით). ქვემოთ ვიმოწმებთ ნიმუშებს, სადაც რესპონდენტები წუხან, რომ ავი-

წყდებათ მითითება და ქართულზე ერთვებიან:

„ვომაც ვაშნრ ვროვბალოთხ, ვაშნრ ილათხ; ოსი სუფრდარკლა დაჰ, ხორცეული ... დითხონ გარდ ...აი, მეც აღარ იმას ვშერები, სუ ქართულად ვლაპარაკობ, კაცო ... ხორცეულის გარდა, ჰაჰ.“

‘ყველანი ვიკრიბებით, ერთად იმასა ვშერებით; იქ სუფრა იშლოება, ხორცეული... ვარდა ხორცეულისა... აი, მეც აღარ იმას ვშერები, სუ ქართულად ვლაპარაკობ, კაცო... ხორცეულის გარდა, ჰო’.

ასეთ ღროს ინტერვიუერი ჩაერთვებოდა ხოლმე:

ინტერვიუერი: „ველეშ!“

‘ჩვენებურად’.

რასაც პასუხად მოჰყვებოდა:

„ჰაჰ, ველეშ, ბრაზი მოძლის ჩემს თავზე ძალიან.“

‘ჰო, ჩვენებურად, ბრაზი მოძლის ჩემს თავზე ძალიან’.

„დაჰ დეფლჩე შაბთიდაჰ დეჯრ, ყოველშაბათ დეჯრ დაჰ,ყოველ შაბათდეჯრ,ორმოც დეჯრ; დე,როგორ... მოჰ დეწეს აღწ, ისევ ქართულად ვბრუნდები... დაჰ დეჯრ...ტრადიცია დაშლადმორ, ტრადიცია.“

‘გარდაცვალების შემთხვევაში შაბათებს იხდიან, ყოველ შაბათს იხდიან, ორმოცს იხდიან; და, როგორ, როგორ უნდა ვთქვა, ისევ ქართულად ვბრუნდები... ვადიხდიან და... ტრადიციას უშლიდნენ, ტრადიციას.’

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ქართული ფრაზა პირდაპირ წოვათუშორ ფრაზას მოსდევს, მოსაუბრეს თითქოს არ უნდა ჰქონოდა მიზეზი ამის თქმისა, რადგან წოვათუშორად საუბრობდა, მაგრამ მან სათანადო სიტყვები ვერ გაიხსენა მშობლიურ ენაზე და ქართული

ფრანკ ამას მოაყვალა. ანუ, მან დაიწყო ქართულზე მოსალოდნელი გადართვის გამო, პაუზაც გააკეთა, თუმცა კოდი არ გადაურთავს.

*„უპ, დამავიწყდა ... ცხვარი და ცხ... წოურიც აღარ ვიცი, გადავ-  
ეჩვიე, მო! ცხვა ...ლემა' მ, აქნდარ... თითონ იყო უფროსი რა ...“*

‘უპ, დამავიწყდა... ცხვარი და ცხ... წოურიც აღარ ვიცი, გადავ-  
ეჩვიე, მო! ცხვა... ცხენებზე ჰყავდა, ცხვარზეც ჰყავდა... თვითონ იყო  
უფროსი რა...’

„ყე ბაბუც უჩიტლეს სამუშაომაქ დიკეთხრ... აი, სიმძლ რჩევა-  
დორათხ; ბაღო ვორ ღებალერ ოსი, რომ ეს პატარა... კაცო, უპ, ისევ  
ქართულად მეთქმევენება...“

‘ერთხელ ბაბულია მასწავლებელმა სამუშაოდ წავეყვანა... აი,  
სიმინდს ვარჩევდით; დიდი ვორა იღვა იქ. რომ ეს პატარა... კაცო, უპ,  
ისევ ქართულად მეთქმევენება...’

*„როცა ვავთხ... აი, რატო ქართულად ვამბობ... დანეველი... მოსტ  
მარნან ბჰარდახე სო, ჯიბრო ეთერ სო.“*

‘როცა ვავთხ... აი, რატო ქართულად ვამბობ?... დანეველი...  
ცული დედამთილი შემხვდა, ჯიბრში მიღებობდა’.

ზოგჯერ მოსაუბრე არჩევდა, კონკრეტულ თემაზე ქართულად  
ესაუბრა, მაგალითად, სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობისას ის ეუ-  
ბნებოდა ინტერვიუერს, რომ ქართულად ილაპარაკებდა.

*„ტ, დაშნი და, აი, მაგალითად, დად...აკაკი გელოვანის ... ენლა  
ქართულად ვიტყვი ...“*

*‘ახლა, სიტყვებია, აი, მავალითად, დად... აკაკი გელოვანის...  
ენლა ქართულად ვიტყვი...’*

არცთუ იშვიათად მოსაუბრე ვერ პოულობდა საჭირო სიტყვას  
მშობლიურ ენაზე:

*რესპონდენტი: ბეცებრათ!*

*‘ბაცბურად!’*

მოსაუბრე: „ბეცებრათ ცო... ცო ვეთ სო, მოჰ ლეწ ალან... ღრო  
შარნ მახე‘ნ, უდშტ მისქ ის ამბუდრა...“

*‘ბაცბურად არ... არ ვიცია, როგორ უნდა თქმა... ღრო გავიდა და  
ასე დარჩა ეგ ამბავი რა’.*

„ფაქტობრივად მეცნიერულ ჟაგნონ წოვები ჰებლა ზორემშ ქიქ-  
ლოლ; ე წოვები ცოჰანე კვლ...**არ იკვლევენ რა, არავის ეგ არ აინ-  
ტერესებს...**“

*‘ფაქტობრივად სამეცნიერო წიგნებში წოვები ხსენდებიან ერ-  
თობ აღრიდანე; ამ წოვებს არავინ იკვლ... არ იკვლევენ რა, არავის  
ეგ არ აინტერესებს...’*

„მოჰ დანიშნოდმა იხორ, მოჰ დანიშნოდმორ, ოსი ვაშინ, მმ...  
**როგორა ვთქვა, აღარ მეხერხება წოურად, მოჰ...**“

*‘გოგოს დასანიშნად მიდიოდნენ, გოგოს დანიშნავდნენ, იქ  
ერთმანეთს, მმ... როგორა ვთქვა, აღარ მეხერხება წოურად, ქა...’*

„მერე... ღრო დანიშნოდმორ, მაცა ხილოურ ქორწილ; მაცმე ქორწილ  
ხილორიც, ხაღონ... ააა... დაჰემტყებდმორ, **აი, ეხლა ეს წოური არ არი!**...“

*‘მერე...დროს დანიშნავდნენ, როდის იქნებოდა ქორწილი; როცა ქორწილი იქნებოდა, ხაღხის... ააა... დაპატივებდნენ, აი, ეხლა ეს წოური არ არის!..’.*

როგორც ვხედავთ, მოსაუბრეები საკუთარ ბილინგვურ ქცევას კომენტარსაც ურთავენ.

*„მე...ეჰ, აღარ მახსოვს, მოჰ, ქართულად... წოურად... მე...“*

*‘და...აღარ მახსოვს, ქალო, ქართულად... წოურად... და...’*

ერთ-ერთ რესპონდენტს წამოსცდა კიდევ: „ატყობ შენ, როგორ გადავარდა ეს ენა?“

სწორედ ასეთი მასალა აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო კოდის გადართვის თვალსაზრისით.

ჩვენი წოვათუში ბილინგვები საუბრის დროს წარმოთქმულ ქართულ სიტყვას, ან ფრაზას ხშირად წოვათუშურით ცვლიდნენ, ანუ ჩართულ ენას მატრიცა ენით ასწორებდნენ. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, აკეთებდნენ პაუზას:

*„დაახლოებით თორმეტი (იშტ მჟ, შიიტ) ... შიიტ შარლჟ ვასჟ, თორმეტი წლისა (შიიტ შარლჟ), შიიტ შარლჟ ვასჟ, ისევ მოვიდა მამახემი.“*

*‘დაახლოებით თორმეტი... თორმეტი წლისა ვარ და, თორმეტი წლისა ვარ და ისევ მოვიდა მამახემი’.*

მოცემულ წინადადებაში რესპონდენტმა ორჯერ შეასწორა ნათქვამი.

*„ჰოდა (ჰასჟ), ეს (ე) ... ვო დეი ხილო, ში დეი ხილო, მაცლომცინზ*

დემცა დალინო, ესეთი... (იშტუ) იშტუ *ჩევე* (ველ)მა თხოვო.“

‘პოლა, ეს... სამი ღლე იქნება, ორი ღლე იქნება, როდემდეც არის მიცვალებული, ესეთი... ასეთი ჩვეულება გვაქვს’.

„ბულაჩი წედანორ ო ლამუხ, ბულაჩი; *იქ* (ოსი/უდსი)... ოსი ვარ სქ დად წინუნმაქ.“

‘ბულაჩიო ჩქეოლა იმ მთას, ბულაჩიო; *იქ... იქ იყო მამაჩემი შორაქში*’.

„ამ ოთხმა (ე ვჭიფე), *ეჭიფე* სტაკოვ...“

‘ამ ოთხმა, ამ ოთხმა კაცმა...’

„იქ, ჩვენთან (უდსი, თხოცა) ... *თხოცა*, ხეჲ პო...“

„იქ, ჩვენთან... ჩვენთან, იცი შენ...“

„ვასერგო ჩუჲ ბოფციჩიო შალო შარვლი დატხურ. ჯანი ღორ, ქა-  
ლობი (ჯანი) მე ღო ოც. *ღორის... ები* ვანნ თუხლო ჰალო იბო’ერ.“

‘კაცებს შინ მოქსოვილი შაღის შარვლები ეცვათ. ქაღამებს  
ასხამდნენ, ქაღამებს რომ ეძახიან ახლა. *ღორის... ძროხების ტყავს*  
*მარილში იმას უშვებოდნენ*’.

აქ *ღორის* არის დაუძვარებელი აზრის ნაწილი. მოსაუბრემ ის  
წარმოთქვა, შემდეგ გადაიფიქრა, პაუზაც გააკეთა, საუბარი გა-  
ნაგრძო წოვათუშურად და „ღორის“ ნაცვლად თქვა „ძროხების“.

ხშირად რესპონდენტები „სტუმარ“ სიტყვას შუაზე წყვეტდნენ  
და პაუზის შემდეგვე ასწორებდნენ:

„კაწკო მქ ვარასო, დაახლოებით ის შარლუქ, აი, ეჭათ ვოლვალდ სქ დად სო ლოჟმ გელარ: **ჩა** (აჰო)... **აჰრვეყე** ნ ლოჟმრენა ესეე.“

‘პატარა რომ ვიყავი, დაახლოებით ცხრა წლისა, აი, მაშინ დაიწყეთ მამხრებმა ჩემი მთა ში ტარება: ჩა... ჩამოვიდა აქ მთიდან’.

„ნიფს ედოჩეჰანს, შეძლება, ცო დეწლოს ალან... თათა, ჩაქრა (ჩუი ხალქ)?.. შეძლება, ცო დეწლოს ალან...**ჩაქ** (ხალ)...ცოდეწლოს ალან, მაგრამ (კავემან) ზორემო მოსქ დად ვარ თხოვო.“

‘სიძარტლე რომ ვთქვა, შეიძლება, არ უნდა ვთქვა... თათა, ჩაქრა?... შეიძლება, არ უნდა ვთქვა... ჩაქ... არ უნდა ვთქვა, მაგრამ ძალიან ცუდი მამა გეყავდა’.

„მახქ დრო; ჰატესქ, **ტიკ ... ქით!** ქით ლეფი ესე მაჭრქლოქ, ალან კიკელ.“  
‘ვავიდა დრო; ნახეს, ტიკ... ტიკი! ტიკი გლია აქ ლეინიანი, თივის ქეე მ’

არის შემთხვევები, როდესაც მოსაუბრე წოვათუშურად ჩაასწორებს ქართულად ნათქვამს, მაგრამ მალე ისევ უბრუნდება ქართულს:

„მესამე დღეს... **ჯალოღი დენი** ო ჯვარის გასუფთავება, გაწმენდა...“

‘მესამე დღეს... მესამე დღეს იმ ჯვარის გასუფთავება, გაწმენდა...’

„**მერელა შემე შინდა, ნქგეც კერლანგოლოძსო, მქ უკან დავიხიე ესე ნელ-ნელა და ნმეყან ვემღონას უმსრქ.**“

‘მერელა შემე შინდა, მერელა შემე შინდა, უკან დავიხიე ესე ნელ-ნელა და გამოვედი იქიდან’.



„მიტროს პადვალში, მიტრო პადლო იკრიბებოდნენ.“

‘მიტროს სარდაფში, მიტროს სარდაფში იკრიბებოდნენ.’

ისეთი მაგალითებიც შეგვხვდა, სადაც მოსაუბრე წოვათუშურად ნათქვამს ქართულად ასწორებს:

„**ღუცი დარათხო, ბეჭრები ვიყავით**, ათი შეიღო ჰყავდა ღე-  
დაჩემს.“

‘ბეჭრნი ვიყავით, ბეჭრები ვიყავით, ათი შეიღო ჰყავდა ღედაჩემს.’

„**გარსაგელ მარ თხოვო, ვადასასვლოელი გეჭონდა ჩვენსა...**“

‘ვადასასვლოელი გეჭონდა, ვადასასვლოელი გეჭონდა ჩვენსა...’

ამდენად, სანალიზო ბილინგვურ საუბრებში არცთუ იშვიათად გამოვლინდა არტიკულაციის შემდგომი შესწორებები, რაც ადასტურებს, რომ მოსაუბრეები აცნობიერებენ თავიანთ ბილინგვურ ქცევას და ცდილობენ, გამოსწორონ „შეცდომა“. უფრო ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ ხვდებიან კოდების მონაცვლეობას, სანამ ინტერვიუერი არ შეახსენებთ და არ სთხოვთ, მშობლიურ კოდზე დაბრუნებას. ასე ღროს ისინი იმორცხვებენ, გარკვეულ უხერხულობას გრძნობენ, რომ ენა „ეშლებათ“, გამოთქვამენ საყვედურს საკუთარი თავის მიმართ, აკრიტიკებენ თავიანთ ქმედებას და ზაუზის შემდეგ ისევ მატრიცა ენაზე აგრძელებენ საუბარს, თუმცა ხშირად ისევ ავიწყდებათ თანამოსაუბრის გაფრთხილება და ჩვეულ წესს მიჰყვებიან.

## ძირითადი დასკვნები

მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ კოდის გადართვა, უპირველეს ყოვლისა, არის ბილინგვთა საუბრის წესი, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვევა, ან სიტუაციურად - გარკვეული სოციალურ-კულტურული კონტექსტით - შეპირობებული მოვლენა, რომლის დროსაც ორი განსხვავებული ენა, ან ერთი ენის ორი დიალექტური თუ სტილური ნაირსახეობა ენაცვლება ერთმანეთს.

პირველ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბილინგვის მიერ გამოყვამუშავებულ საუბრის ჩვევასთან, კოდის გადართვა ხდება ბუნებრივად, ლაღად, ისე, რომ მოსაუბრე ხშირად ვერც აცნობიერებს თავის ბილინგვურ ქცევას, თუ საუბრის მონაწილემ არ მიანიშნა ამაზე. სამეცნიერო საზოგადოების წევრები კოდის გადართვის აქტით იზიარებენ საერთო ტრადიციებსა და კულტურას და გამოხატავენ ჯგუფისადმი სოლიდარობას. ამდენად, სოციალურ-კულტურული კონტექსტი მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაშიც, მაგრამ ის სიტუაციურად არ არის შეპირობებული.

მეორე შემთხვევაში კი, როდესაც ის განსაზღვრულია სიტუაციურად, მოვლენა გარკვეულწილად წარმოჩნდება, როგორც ინდივიდის პოზა, რომელიც ემსახურება თანამოსაუბრესთან რაიმე კუთხით ასოცირებას. ასეთ შემთხვევაში კოდის გადართვა ძალდატანებით ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, არც ბუნებრივად მიმდინარეობს, მოსაუბრეს კი გაცნობიერებული აქვს თავისი ბილინგვური ქცევა. მაგ.,

თუ მოსწავლეები ერთად სწავლობენ რომელიმე უცხო ენას, შეხვედრისას ისინი სწორად გადაერთვებიან ამ ენაზე, რათა ხაზი გაუსვან მოცემულ კულტურულ კონტექსტში ერთმანეთთან სიახლოვეს. ასეთი მაგალითები სწორად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენი რესპონდენტი ბლინგეები ისე გადადიან კოდდან კოდზე, თითქოს ერთ ენაზე საუბრობდნენ. კოდების ასეთი მონაცვლეობა, როცა წინადადების სინტაქსური წყვილის წევრები სხვადასხვა ენაზეა, მხოლოდ ორივე ენის საუკეთესო დონეზე მცოდნე ბლინგეის მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. ასეთი ფრაზები, ძირითადად, დიდი ბებია-ბაბუების თაობის წარმომადგენლებს ეკუთვნის, რომელთაც წოვათუშური ენა ჯერ კიდევ კარგად იციან და ასევე სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას, თუმცა ისინი უკვე დაღმავალი ბლინგეის მიმართ ეტაპზე იმყოფებიან, წოვათუშური ენის მოხმარების სფეროთა მკაცრად შემოსაზღვრული მასშტაბებისა და, შესაბამისად, მისი სოციალური სტატუსის მზარდი დაკნინების გამო.

წოვათუშურ-ქართული ბლინგეური დისკურსის ანალიზმა კიდევ უფრო ცხადი გახადა სხვაობა ინტერფერენციასა და კოდის გადართვას შორის: თუ ინტერფერენციის დროს, ცალსახად, გაბატონებული ენის ელემენტები აღწევს მასზე დაქვემდებარებული ენის ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, გრამატიკულ თუ ლექსიკურ სისტემაში და ეს პროცესი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს, კოდის გადართვა ინტერაქციის სფეროს არ სცდება.

ბლინგეური საუბრების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მატრიცა ენა ცალსახად წოვათუშურია და არა ქართული, თუმცა ზოგიერთი სოციოლინგვისტი მატრიცას გაბატონებულ ენასთან აიგივებს. წოვათუშურ-ქართული ბლინგეის მიმართ თანამედროვე ეტაპზე, როდესაც

წოვათუშურ ენას (თანამედროვე მონაცემებით) სულ რამდენიმე ათეული წლის სიცოცხლედა დაარჩენია, ის რჩება მატრიცად ბლინგვეურ საუბრებში და ფონეტიკურ-ფონოლოგიურ თუ მორფოსინტაქსურ ტონს აძლევს წინადადებას, აიძულებს ქართულს, ამ ტონს დაექვემდებაროს. მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ქართული ენაკი, რომელიც თითქმის ორსაუკუნოვან გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებს წოვათუშურთან მიმართებით და ამ მდგომარეობის შესაბამისი ინტერფერენტული ტალღებით მთელი ამ ხნის განმავლობაში უტევს მას ასიმილაციის მიზნით, ბლინგვეურ საუბრებში უკან იხევს და ჩართული ენის სტატუსს ჯერდება. ინტერფერენციის პროცესში კუთვნილი როლების ბლინგვეურ საუბრებში შეცვლა ის სასიამოვნო მოულოდნელობაა, რომლის წინაშეც შეიძლება დადგეს ლინგვისტი მსგავსი ენობრივი წყვილების ანალიზის დროს და გაოცდეს სასიკვდილოდ განწირული ენის ფენომენით, რომელიც მის სიცოცხლისუნარიანობაში ვლინდება – ხელსაყრელი პირობების მოხელთებისთანავე ცოცხალ არსებასავით „ჯაფრი იყაროს“ და „სამაგიერო მიუზღას“ „დამჩაგვრელს“.

ჩვენი კვლევის შედეგები მხარს უჭერს მ. მიქელაძის მოსაზრებას ინტერფერენციის ბუნების შესახებ, რომ არასოდეს მოხდება ენების შერწყმა ერთ ენად, რადგან „ზებლინგვიზმის პერიოდის დადგომისთანავე იწყება ბლინგვეების წყარო ენაზე სრული გადართვა და ინტერფერენტული პროცესებიც წყდება.“

გამოიკვეთა, რომ წოვათუშურ-ქართულ ბლინგვეურ ღისკურსში გადართვა ხდება ორივე მიმართულებით: წოვათუშურიდან ქართულზე და პირიქით.

საანალიზო საუბრების მონოლოგიური სტილის გათვალ-

ისწინებით, თითქმის თანაბარი სიხშირით დაფიქსირდა ორივე მიმართულების კოდის გადართვის მაგალითები.

ქალები უფრო მეტად პატარა შემადგენელ ნაწილებს გადართავენ – სიტყვას, სინტაგმას, უფრო ნაკლებ – ფრაზასა და წინადადებას. მამაკაცები მეტად გადართავენ დიდ შემადგენელ ნაწილებს, უფრო ნაკლებ კი – პატარა შემადგენელ ნაწილებს.

წინადადების დასაწყისი, ჩვენი მასალის მიხედვით, არ განსაზღვრავს მატრიცა ენის სტატუსს. ნებისმიერი მიმართულების გადართვის დროს მატრიცა ენა არის წოვათუშური, რადგან ის ადგენს წინადადების ფონეტიკურ-ფონოლოგიურ და მორფოსინტაქსურ ჩარჩოს. ამდენად, თანაბრად შესაძლებელია, წინადადება დაიწყოს როგორც მატრიცა, ისე ჩართული ენით. ამ კონტექსტში ვსაუბრობთ წინადადების შიდა გადართვაზე და არა წინადადებებს შორის გადართვაზე, რომელიც პირველისგან განსხვავებული მოვლენაა. რამდენადაც მის დროს ერთი წინადადება სხვა ენაზეა და მეორე სხვა ენაზე, თითოეული წინადადების მორფოსინტაქსური ჩარჩო იმ ენის წესების შესაბამისად აიგება, რომელსაც ის ეკუთვნის. კოდის გადართვის ამ ორ სახეობას შორის სხვაობაც, უპირველესად, ამ კუთხით ვლინდება.

კოდის გადართვის სკოტონისეულ განმარტებაში ფონეტიკურ-ფონოლოგიური მხარე საერთოდ არ ჩანს და ძირითადი ყურადღება გადატანილია წინადადების მორფოსინტაქსურ დონეზე. ჩვენი მასალა კი ადასტურებს, რომ მატრიცა ენა ამ მიმართულებითაც არანაკლებ გავლენას ახდენს ჩართულ ენაზე.

წოვათუში ბილინგვები გადართულ ქართულ სიტყვებს ისე ექცევიან, როგორც ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებს და მათზე თა-

ვიანთი ენის ფონეტიკურ წესებს ავრცელებენ, რის გამოც უხეშად ორღვევა ქართული ენის ფონეტიკური წესები. ამ ზეწოლის შედეგად სიტყვაში ხშირად თავს იყრის რამდენიმე თანხმოვანი, ზოგჯერ სამიც, რაც ქართულისათვის არაბუნებრივი ბგერათკომპლექსია. არაბუნებრივია ასევე სიტყვის შეკუმშვა ფუძის ნებისმიერ მარცვალში.

რესპონდენტთა საუბრებში ხშირ შემთხვევაში დაცულია ინდივიდუალური ბილინგვიზმის ეტაპისთვის დამახასიათებელი ვითარება, როდესაც წყარო ენის ცოდნის დაბალი დონის გამო, ბილინგვები საკუთარი ენის ფონოლოგიური მოდელის მიხედვით ცვლიდნენ, ანუ „ასწორებდნენ“ ნასესხები სიტყვების ბგერით გარსს. კერძოდ, ჩვენს მასალაში:

1. ორზე მეტმარცვლიან სიტყვებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აკლდება მარცვალი, კერძოდ, მისი ხმოვნითი ელემენტი. აღნიშნული ცვლილება ხორციელდება რედუქციის ფარგლებში;
2. ფუძე იკუმშება როგორც მარტივი რედუქციის, ისე ებენთეზისის გზით;
3. იშვიათად რედუქციას ექვემდებარება ორმარცვლიანი ფუძეებიც;
4. აუსლაუტში მოქცეული ხმოვანი გადართულ ქართულ სიტყვებში სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანობას (ნათქვამი ეხება სახელობითი ბრუნვის ნიშანსაც), რასაც ემატება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ბოლომოკვეცილი ხმოვნის წინ მდებარე ნაზალური თანხმოვანი ნ თავის თვისებას გადასცემს მის წინ მდგომ ხმოვანს და შედეგად ვიღებთ ნაზალიზებულ ზ, ე, ი, იჲ ხმოვნებს;

5. აუსლაუტის დასუსტებული ო ხმოვანი ჩვენს მასალაში იწვევს წინამდებელი ხმოვნის საკომპენსაციო გაგრძელებას ორმარცვლიან ფუძეში, რის გამოც ღიამარცვლიანი სტრუქტურის ფორმა გარდაქმნილია დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმად: **ბოლო**.

6. იშვიათად გამოვლინდა შეუკუმშავი ფორმები (**ფიზიკე, აუარებელ**).

7. იკარგება თემის ნიშნისეული -გ თანხმოვანი. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ მის წინ ბაგისმიერი თანხმოვანია (**ღებვა > ღება**), ან როცა მისი შემცველი თანხმოვანთკომპლექსის წინ ბაგისმიერი ხმოვანია (**შეფუთვა > შეფუთა; დაწურვა > დაწურა**).

გარდა ამისა:

8. დადასტურდა დიფთონგიზაციის შემთხვევაც: **კუდრინე**.

9. გამოვლინდა სუბსტუტიციის მაგალითი (**ქაღობნი**) და

10. რედუქციის ნიმუშები კომპოზიტური აგებულების სიტყვებში (**მამ-პაპინ, ბიძგილი**).

მართალია, წოვათუმურში დღეისათვის უკვე დარღვეულია უცხო სიტყვათა ადაპტაციის თითქმის ყველა საგალდებულო მოთხოვნა და მოქმედებს აგრძელებს მხოლოდ აუსლაუტის ხმოვნის დაკარგვა-დასუსტების ერთადერთი წესი, მაგრამ ბილინგვურ საუბრებში ინტერფერენციის ადრეული საფეხურებია დაცული, რაც ზოგადი ლინგვისტიკისათვის ყურადსაღებ მოსაზრებად მიგვაჩნია. ამის მიზეზები, ვფიქრობთ, საზოგადოების ლინგვისტურ ცნობიერებასა და ენობრივი მიხსიერების ფენომენშია საძიებელი.

თავისუფალი მორთეების შეზღუდვის წესი, რომლის მიხედვითაც, გადართვა არ შეიძლება მოხდეს თავისუფალ მორთემასა და ბმულ მორთემას შორის, თუ თავისუფალი მორთემა ფონოლოგიურად არ არის ინტეგრირებული იმ ენაში, რომელსაც ბმული მორთემა ეკუთვნის (Poplack 1978; Poplack 1980; 1981), ჩვენი მასალის მიხედვით არ ორღვევა, რადგან წოვათუში ბილინგვები საუბრის დროს ბუნებრივად ახდენენ გადართული ქართული სიტყვების ფონოლოგიურ ინტეგრაციას წოვათუშურ თხრობაში.

ეკვივალენტური (თანაბარზომიერი) შეზღუდვის წესი კი, რომლის თანახმადაც, „გადართვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორი ენის ელემენტები არის ეკვივალენტური და მათი გვერდიგვერდ განლაგება არ არღვევს რომელიმე ენის სინტაქსურ წესს“, გარკვეულ შემთხვევებში არ არის დაცული. მაგ.: „ჭიგოზე ძველი ნაჭერ“ (თიმო ბაკალ) დეწერ ჰარხმა“ (*ჭიგოზე ძველი ნაჭერი უნდა შემოეხვიათ*); ან: „ო დაბატეებულ ხალხონ ვეჭორ კოტორ, გამზადებული ყველაფერი...“ (*იმ დაბატეებულ ხალხს მიაართმევდნენ კოტორს, გამზადებულს ყველაფერს*).

ერთი ცალკე აღებული წინადადების ფარგლებში გადართვა შეიძლება დადასტურდეს წინადადების შუაში, ან ბოლოში, მნიშვნელობა არა აქვს, რომელი შემადგენელი ნაწილი გადაერთვება. ამასთან, გადართვა შეიძლება დაფიქსირდეს რამდენიმეგზის, ანუ კოდები ხშირად შეენაცვლოს ერთმანეთს.

მორთემის საზღვართან კოდის გადართვისას ქართულ ლექსიკურ ერთეულს, გრამატიკული თვალსაზრისით ძირეულ მორთემას, დაერთვის წოვათუშური გრამატიკული მორთემა, რის შედეგადაც ქართული ლექსემა მთლიანად კარგავს ქართულ მორფოლოგიურ



ყალიბს და იღებს წოვათუშურს.

წოვათუშური გრამატიკული მორფემის დართვა ქართულ ძირეულ მორფემაზე იმავე მორფოლოგიური წესების დაცვით ხორციელდება, როგორცაც მისი დართვა წოვათუშურ ძირეულ მორფემაზე. გადართვის შედეგად მიღებულ ფორმაში აისახება ყველა საჭირო წოვათუშური მორფოლოგიური კატეგორიის ნიშანი, კლასკატეგორიის ნიშნების ჩათვლით.

კოდის გადართვის შემთხვევებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა სიტყვის დონეზე გადართვა. ორი ენის გრამატიკა ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში სწორედ ამ დროს შედის. ქართული ლექსიკური ერთეულები, სინტაქსური თვალსაზრისით წინადადების სხვადასხვა წევრები, გადართვის დროს სინტაქსურ წყვილს ქმნიან წოვათუშური წინადადების წევრებთან.

ორი ენის ელემენტებისაგან შედგენილ სინტაქსურ წყვილებში, განურჩევლად იმისა, წინადადების რომელი წევრია თითოეული მათგანი, ბატონობს წოვათუშური ენის გრამატიკა: ის ქმნის მოცემული ფრაზის მორფოსინტაქსურ ჩარჩოს.

მოსაუბრეები ქართულ სიტყვას გადართვის დროს წოვათუშური ენის მორფოსინტაქსურ მოდელებს უქვემდებარებენ, კერძოდ, სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელი ნულოვანი ფლექსიით გადააქვთ, მაგ., „კაწკაწ *პურ-მარილი* თეგლარ ოსი“ (‘პატარა პურ-მარილი კეთდებოდა იქ’); „კეთილ, ჩალმალწ *ხალხ და* ბაცბი“ (‘კეთილი, თბილი ხალხია წოვათუშები’). იშვიათად გვაქვს გამონაკლისები: „*ისეთი* დოყდიქსრ“ (‘ისეთი ჩამომიყვანეს’).

მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებს კი იმ შემთხვევაში ტოვებენ ხელუხლებლად, თუ წოვათუშური ენის სინტაქსი არ

ზიანდება. მაგ., „ვილაცამ დაჭ დაჭი“ (‘ვილაცამ წაულო’) - წოვათუ-შურში გარდამავალი ზმნის ქვემდებარე სამივე სერიის მწკრივებთან მოთხრობით ბრუნვაში დგას. ამ შემთხვევაში წოვათუშური და ქართული მორფოსინტაქსური მოდელები ერთმანეთს დაემთხვა და რესპონდენტმა ლექსიკური მორფემა მოთხრობითი ბრუნვის ფორმიტვე ჩაურთო წინადადებაში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოსაუბრე აცნობიერებს მოთხრობით ბრუნვას და ხვდება, რომ ამგვარი ჩართვა წოვათუშური ენის გრამატიკას არ ვნებს.

ასეა შემდეგ მაგალითიც: „ზოგს კოხტა დორ“ (‘ზოგს „კოხტას“ ეძახდა’). აქ ქართული „ზოგს“ მიცემითი ბრუნვის ფორმით არის ჩართული წინადადებაში, რადგან არ ეწინააღმდეგება წოვათუშური ენის მორფოსინტაქსურ ყალიბს: ორიბი დამატება წოვათუშურში ყოველთვის მიცემითში დგას, ისევე როგორც ქართულში და, რადგან ყალიბები დაემთხვა, მოსაუბრემ ის მზამზარეულად შემოიტანა წინადადებაში.

წოვათუშური ენა ზმნის უპირო ფორმებთანაც ინარჩუნებს პირიანი ფორმების სინტაქსურ კონსტრუქციას. ამ თვისებას ის გადართულ სიტყვებთანაც ავლენს. მაგ., სინტაგმაში - „საქმ თეგდომ“ (‘საქმის კეთებით’) - „საქმ“ ნომინატივის ფორმით გადააქვს და არა ნათესაობითისა, რადგან წოვათუშურში ეს პირდაპირი დამატებაა და არა უბრალო დამატება, როგორც ქართულში.

ერთი წინადადების ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა წევრი იყოს გადართული, მაგ.: გვაქვს როგორც „*ძვედეოს* დექქერ“ (*ძვედეოს დაუძახებდნენ*), ისე „*მოძღრენ უხდიდნენ*“ (*ძვედეოს უხდიდნენ*). ანუ, ორიბი დამატებისა და შემასმენლის სინტაქსურ წყვილში, რომელიც წარმოადგენს ზმნურ ფრაზას, პირველ შემთხვევაში

ირიბი დამატება ქართულადაა მოცემული და შემასმენელი - წოვა-  
თუშურად, მეორე შემთხვევაში კი - პირიქით. არც ერთ შემთხვევაში  
არ ირღვევა წოვათუშური ენის გრამატიკული მოდელი.

ერთადერთი შემთხვევა დავადასტურეთ, სადაც წოვათუშური  
სიტყვა ქართული მორფოსინტაქსური ყალიბით არის წარმოდგენილი:  
„იმ **ჯორს** ესროდნენ თოფებს“ (‘იმ ვაშლს ესროდნენ თოფებს’). ასე  
რომ, თანაბრად დასაშვებია სინტაგმის ერთ-ერთი ქართული წევრი  
მოცემული იყოს, როგორც წოვათუშური, ისე ქართული გრამატიკუ-  
ლი ყალიბით, მაგრამ არა პირიქით (წოვათუშური სიტყვა - ქართული  
გრამატიკული ყალიბით). მაგ., გვაქვს „**წაკელო**“ (‘**წაკაში**’) მაგრამ  
არ გვაქვს „**ბერლოში**“ (‘**წაკაში**’).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი წოვათუშურს ქართულიდან აქვს  
ნასესხები იმავე ფუნქციით. ამიტომ მოსაუბრე ბუნებრივად ჩაურ-  
თავს ვითარებით ზმინედებს, მაგ.: „წირლეს **ჩვენებურად** უნ წე?“  
(‘წერილს ჩვენებურად რა ჰქვია?’).

გადართულ სახელებს წოვათუშში ბილინგვიები ხშირად წოვათუ-  
შური ეკვივალენტისაგან განსხვავებულ კლასს აკუთვნებენ. მაგ.,  
„**ხაღბ** **ღა**“ ფორმაში **ხაღბ** მიკუთვნებულია **ღ**-კლასს, მაშინ როცა  
მისი წოვათუშური ეკვივალენტი **ნახ** **ღ**-კლასს განეკუთვნება. ზოგა-  
დად, გადართული სახელების ამა თუ იმ კლასისთვის მიკუთვნება პი-  
რობითია, ისევე როგორც პირობითია თავად წოვათუშურ სახელთა  
ამა თუ იმ კლასში განაწილება. რთულია იმის თქმა, რა პრინციპით  
აკუთვნებენ ბილინგვი წოვათუშები გადართულ ქართულ სახელებს  
რომელიმე კლასს.

კლას-კატეგორიის მარკირება ხდება იმ შემთხვევაშიც, როცა  
შემასმენელთან გადართვა გვაქვს მორფემის საზღვართან: ქართუ-

ლი ძირეული მორფემითა და წოვათუშური გრამატიკული მორფემით. როცა სინტაქსურ წყვილში როლები იცვლება კოდებს შორის – შემასმენელი ქართულია და ქვემდებარე წოვათუშური, კლას-კატეგორიის ნიშანი, რა თქმა უნდა, აღარ გამოიხატება. („დაეთანხმა დად“) (დაეთანხმა მამა).

გადაერთვება მეტყველების ნაწილების უმრავლესობა: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, გარკვეული ჯგუფის ნაცვალსახელები, ზმნა, ზმნიზედა, კავშირი, ნაწილაკი. გადართული სიტყვა შეიძლება იყოს სინტაგმის წევრი და შეიძლება არც იყოს. უცნაურად ჩანს მიგებითი *მეთქი* ნაწილაკის წოვათუშურად გადართვის ფაქტი: „კარგი, *ედონას* რა“ (‘კარგი-მეთქი, რა’); ასევე *ხოლომე* ნაწილაკისა: „იხრათხ *ხოლომე*“ (‘მივიდილით ხოლომე’).

დადასტურდა მორფოლოგიური კონტამინაციის შემთხვევა: წინადადებაში ერთადაა გამოყენებული მიმართულების აღმნიშვნელი ორი სიდიდე: წოვათუშური *სო* ზმნისართი, რომელიც აკონკრეტებს ზმნით აღნიშნული მოქმედების მიმართულებას, და ქართული *გადმო* ზმნისწინი, რომელიც ამავე ფუნქციას ასრულებს: „ვაკი *სო გადმოსახლობა* დადღი“ (‘ვაკეში გადმოვსახლობი’).

ასევე საინტერესოა ფორმა „*რე ზინკებიენო*“, რომელიც ქართული მრავლობითი რიცხვის *-ებ* მაწარმოებელსაც შეიცავს, სახელობითი ბრუნვის *-ი* ნიშანსაც და წოვათუშურ სხვათა სიტყვის *-ენო*-საც: „*ატარებდა, რე ზინკები, რე ზინკებიენო*.“

საინტერესოა სურათი მივიღეთ კავშირების ხმარებისას. გამოიკვება, რომ ბილინგვურ ფრაზებში გამოყენებული კავშირები:

1. წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის;
2. მომდევნო ფრაზის ენას ეკუთვნის, რაც უფრო იშვიათი

შემთხვევაა;

3. წინამავალი და მომდევნო ფრაზების ენისაგან განსხვავებულ ენაზეა;

4. რამდენიმე კავშირის შემთხვევაში ზოგი წინამავალი ფრაზის ენას ეკუთვნის, ზოგი კი წინა და მომდევნო ფრაზისგან განსხვავებულ ენაზეა.

წოვათუშური და ქართული სინტაქსური მოდელები წინადადებაში კავშირის ადგილის მიხედვით მსგავსია, რაც ხელს არ უშლის აქ დასახელებულ შემთხვევათა რეალიზაციას.

სიტყვისა და სინტაქსის გადართვის შემდეგ საინტერესოა ფრაზის გადართვა, რომელიც უფრო დიდი შემადგენელი ნაწილია, ვიდრე სიტყვა, ან სინტაქსი და უფრო მცირე, ვიდრე წინადადება. გადართული ქართული ფრაზები ხშირად მჭიდროდაა დაკავშირებული წინამავალ და მომდევნო წოვათუშურ სიტყვებთან, რომლებთანაც ფრაზის შემადგენელი სიტყვები სინტაქსურ წყვილებს ქმნიან.

კოდის გადართვის ერთ-ერთი ტიპია გადართვა წინადადებებს შორის. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც გადართული ფრაზის ნაწილებს მორფოსინტაქსური კავშირები არა აქვს წინადადების დარჩენილი ფრაგმენტის ნაწილებთან, არ ამყარებს მათთან შეთანხმება / მართვა / მართვის სინტაქსურ მიმართებებს – მაგრამ აზრობრივი კავშირი მათ შორის, რა თქმა უნდა, არსებობს, რამდენადაც ისინი ერთად ქმნიან წინადადებას. შესაბამისად, თითოეულ ნაწილს თავისი ენის გრამატიკული ყალიბი აქვს, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ხდება ორი ენის გრამატიკის გადაკვეთა, როგორც წინადადების შიგნით გადართვის დროს. ამის გათვალისწინებით, გადართვის ამ ტიპის ფარგლებში არ ვმსჯელობთ მატრიცა და ჩართულ ენებზე, რამდენადაც თითოეული

ჩანართის მატრიცა თავისივე ენაა.

წინადადებებს შორის გადართვები დადასტურებულია როგორც მარტივ, ისე შერწყმულ და რთულ წინადადებებში, როგორც თანწყობილში, ისე ქვეწყობილში.

საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ჰიპოტაქსური წინადადებები. ეს კონსტრუქციები უკვე იმდენადაა მომძლავრებული, რომ მოსაუბრეები თავისუფლად აწარმოებენ ამგვარ ბილინგვურ წინადადებებს, ერთმანეთთან ანაცვლებენ სხვადასხვა ენაზე წარმოთქმულ მის შემადგენელ ნაწილებს – მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს.

ჩვენს მასალაში დადასტურდა კოდის გადართვის შემდეგი სოცოპრაგმატული ფუნქციები:

1. სათქმელის უკეთ ახსნა-განმარტება, დაზუსტება მსმენელისთვის: ამ დროს ასახსნელი და დასაზუსტებელი შეიძლება იყოს ფაქტი, მოვლენა, ან სულაც ლექსიკური ერთეული:
  - ა) ზუსტდება ფაქტი, მოვლენა;
  - ბ) ზუსტდება ლექსიკური ერთეული;
  - გ) ზუსტდება პიროვნება.
2. ლექსიკური ნაპრალის შევსება;
3. მსმენელის ამა თუ იმ ფაქტზე ყურადღების გამახვილება, თხრობიდან ფრაზის გამოყოფა;
4. დალოცვის ფორმულის გამოყოფა;
5. ქართულენოვანი მსმენელის ყურადღების მიპყრობა;
6. გამეორება;
7. წარსულთან დაკავშირებული სასიამოვნო ემოციის

- გამოხატვა;
- 8. მსმენელისადმი რეპარკები;
- 9. ნათქვამის შეჯამება;
- 10. ინფორმაციის შეფასება;
- 11. პაუზა;
- 12. ხაზგასმა;
- 13. თრანზეოლოგიის გამოცემა.

საკუთარი სახელების გამოყენების თვალსაზრისით, წოვათუ-შური ენა განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. აქ სახელები და გვარები, ძირითადად, ქართულისაგან განსხვავებულად იწარმოება და ეს სხვაობა მნიშვნელოვნად სცილდება ფონეტიკის სფეროს. ქართულ გვარ-სახელებს წოვათუშურში თავისი ეკვივალენტური ფორმები, ანუ, თარგმნითი ვარიანტები გააჩნია.

წოვათუში ბილინგვები გვარ-სახელებს ორივე ვარიანტით იყენებენ: გაბმულ წოვათუშურ თხრობაში – წოვათუშური ვარიანტით და გაბმულ ქართულ თხრობაში – ქართული ვარიანტით (გვულისხმობთ როგორც ფონეტიკურ, ისე მორფოლოგიურ მხარეს).

ფსიქოლინგვისტური მოტივაციების თვალსაზრისით, ჩვენს ბილინგვურ საუბრებში გამოიკვეთა მასტიმულირებელი სიტყვების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს გადართვას, მაგრამ აუცილებლობით არ განაპირობებს მას. ასეთებია:

- 1. **საკუთარი სახელები;**
- 2. **ლექსიკური ტრანსფერები** (მაგ., ფიზიკის თაკულტეტი, სახალხო მედიცინა, ჯვარი, ქიმიური ფორმულა, კომუნისტი, კომუნისტური პარტია, განათლების სამინისტრო);
- 3. **ნასესხობები** (ძნელი, შემთხვევა, მარგვლა და სხვ.);

4. **ბილინგვუერი ომოფონები:** წოვათუშურსა და ქართულ ენებს ბილინგვუერი ომოფონები ძალიან იშვიათად მოეპოვებათ. ასეთად შეიძლება განვიხილოთ **ესე**, რომელიც წოვათუშურში არის ადგილის ზმნიზედა (**აქ**), ხოლო ქართულში – ვითარების ზმნიზედა (**ესე**). ბილინგვურ ომოფონად უნდა შევათვასოთ აგრეთვე **და**, რომელიც ქართულში მაერთებელი კავშირია, ხოლო წოვათუშურში – **არის** ზმნა;
5. ქართულ მაპირისპირებელ კავშირზე, ან სხვა სიტყვაზე მიბმული წოვათუშური მაერთებელი კავშირი **ჟ** და მაპირისპირებელ კავშირზე მიბმული უფუნქციო ხმოვანი **ჟ**;
6. **საუბრის მარკერები.** ჩვენს მასალაში ასეთებია: აბა, ეგეთი რაღაცები, რას იზავდა, ეგ არი, რა ვიცი და სხვ.

არცთუ იშვიათად გამოვლინდა არტიკულაციის შემდგომი შესწორებები, რაც ადასტურებს, რომ მოსაუბრეები აცნობიერებენ თავიანთ ბილინგვურ ქცევას და ცდილობენ, გამოსწორონ „შეცდომა“. უფრო ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ ხვდებიან კოდების მონაცვლეობას, სანამ ინტერვიუერი არ შეახსენებთ და არ სთხოვთ, მშობლიურ კოდზე დაბრუნებას. ასე ღროს ისინი იმორცხვებენ, გარკვეულ უხერხულობას გრძნობენ, რომ ენა „ეშლებათ“, გამოთქვამენ საყვედურს საკუთარი თავის მიმართ, აკრიტიკებენ თავიანთ ბილინგვურ ქცევას და ზაუზის შემდეგ ისევ მატრიცა ენაზე აგრძელებენ საუბარს, თუმცა ხშირად ისევ ავიწყდებათ თანამოსაუბრის გაფრთხილება და ჩვეულ წესს მიჰყვებიან.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში გადართულია დიდი შემაღგენელი ნაწილები, უფრო ნაკლებ დაფიქსირდა გადართვა სიტყვის დონეზე. მოსაზრება, რომ დიდი შემაღგენელი ნაწილების გადართვა უფრო ლალ ბილინგვებს ახასიათებთ, ჩვენი



მონაცემებით არ დასტურდება. ერთი სიტყვის გადართვა, ანუ სინტაქმის იმგვარად წარმოდგენა, რომ მის წევრთაგან თითოეული სხვადასხვა ენას ეკუთვნოდეს, ბილინგვისგან ორივე ენაში საკმაო გაწაფულობას მოითხოვს.

დაბოლოს: წოვათუშურ-ქართული ბილინგვური საუბრების თანამედროვე ანატომია გვაგვარაუდებინებს, რომ მატრიცა და ჩართული ენების როლი ამ ენობრივ წყვილში თაობების მიხედვით აღარ შეიცვლება და წოვათუშური ენა – როდესაც მისი აღსასრულის დრო დადგება – მოკვდება მატრიცად. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ ენის სიკვდილი მხოლოდ სოციალური მოვლენაა და არა ლინგვისტური, რომ ენას ბოლომდე მიჰყვება თავისი ლინგვისტური რესურსი.

## Summary

The material analysis showed us that code switching, first of all, is the rule of speaking of bilinguals, the skill formed after a long period, or the phenomena conditioned by situations - with peculiar social-cultural context, when two different languages or two dialectical or stylistic kinds of one language alter each others.

In the first case, when we get in touch with the skill of speaking developed by the bilingual speaker after a long period, code switching takes place naturally, freely. It means that the speaker does not acknowledge his/her bilingual act if the member of speech does not point it. With code switching act, the speaking society members share common traditions and culture and express solidarity towards the group. Thus, social-cultural context is important even in the mentioned case, but it is not conditioned by situations.

In the second case, when it is defined by situations, the phenomenon is however represented as the pose of individual, which serves associating with the co-speaker in any direction. In this case, code switching has forcible form and, accordingly, does not take place naturally and the speaker has acknowledged his/her own bilingual act. For example, if the pupils study any foreign language together, they often start using this language when they meet each others in order to emphasize closeness with each others in the given cultural context. We frequently meet such examples in everyday life.

Our respondent bilinguals switch from one code to another like

they speak the same language. Such alternation of codes, when the members of syntactic pairs of the sentence are of different languages, is characteristic to only the speech of the bilingual having the best level of knowledge of both languages. Such phrases mainly belong to the representatives of the great grandparents' generation, which know Tsovatush language still well and even Georgian one so perfect, though they are on the downfall stage of bilingualism because of strict limits of the fields for Tsovatush language use and accordingly great effeteness of its social status.

The analysis of Tsovatush-Georgian bilingual discourse made the difference between interference and code switching more obvious: at the time of interference the elements of dominated language penetrate through the phonetic-phonological, grammatical or lexical system of the subordinated language and this process lasts for a long period, but code switching does not miss the field of interaction.

Studying bilingual speeches showed us that matrix language is assuredly Tsovatush and not Georgian, though some sociolinguists regard matrix language similar to the dominated one. On the contemporary level of Tsovatush-Georgian bilingualism, when Tsovatush language (according to the modern data) has left several decades of vitality, it stays as matrix language in bilingual speeches and gives phonetic-phonological or syntactic tone to the clause, makes Georgian language to be subordinated on this tone. Georgian language with high social status, which preserves about two-century dominated condition on Tsovatush one and attacks it with the purpose of assimilation with proper interference waves of such condition during the

mentioned period, retreats in bilingual speeches and agrees to take the status of parenthetical language. Alternation of the pertained roles in bilingual speeches in the process of interference is the pleasant unexpectedness, in which the linguist may appear at the time of the analysis of similar language pairs and be surprised by the language phenomena desperate for death, which is revealed in its vitality – it means “to take revenge” in possible conditions like the vital thing and “to render” to the “oppressor”.

Our research outcomes support M. Mikeladze’s viewpoint about the nature of interference. This is the following: the languages will never be incorporated as one language as even at the beginning of the period of hyper-bilingualism, bilinguals are completely switched to the source language and the interference processes are stopped.

It was revealed that in Tsovatush-Georgian bilingual discourse switching takes place in both directions: from Tsovatush to Georgian and on the contrary.

If we take into consideration the monologue style of the analyzing materials, the examples of code switching of both directions were fixed with nearly the same frequency.

According to our materials, the beginning of the sentence does not define the status of matrix language. In switching in any directions, matrix language is Tsovatush as it determines the phonetic-phonological and morpho-syntactic frame of the sentence. Hence, it is equally possible to begin the sentence with matrix or parenthetical language. In this context we mean the internal switch of the clause and not the switch between the clauses, which is different phenomenon from the

first one. In the second case one clause is in one language and the other clause in different language, thus the morpho-syntactic frame of each clause is formed in accordance with the rules of the proper language. Accordingly, first of all, the difference between the mentioned two types of code switching is revealed in the given side.

In Scotton's definition the phonetic-phonological side of code switching is not shown and the main attention is paid to the morpho-syntactic level of the clause. But our material proves that the matrix language has influence on the parenthetical language as well even in this direction.

Our material does not break the rule of making limits to the free morpheme, due to which switching will not take place between the free morpheme and the linked morpheme unless the free morpheme is not phonologically integrated in the language to which the linked morpheme belongs. The reason is that Tsovatush bilinguals make natural phonological integration of the switched Georgian words in Tsovatush narration.

But the rule of equivalent (equal) limits is broken in some peculiar cases of our respondents' speeches. Due to the mentioned rule "switching is possible only in the case if the elements of two languages are equivalent and order of them next to each other does not break the syntactic rule of any language".

Our material proved the following sociopragmatic functions of code switching:

1. Making better explanation of the speech words and making them precise for the listeners: in this case the fact, case or even the

lexical unit may be the thing to be explained or précised:

- a) The fact, the case is précised;
  - b) The lexical unit is précised;
  - c) The person is précised.
2. Filling the lexical gap;
  3. Making the listener focus on this or that fact, separating the phrase from narration;
  4. Separating the formula of blessing;
  5. Attracting the attention of Georgian language listener;
  6. Repeating;
  7. Expressing the pleasant emotion connected to the past;
  8. Remarks towards the listener;
  9. Summarizing the speech;
  10. Appraisal of the information;
  11. Pause;
  12. Emphasizing;
  13. Expressing phraseologisms.

From the viewpoint of psycholinguistic motivations, our bilingual speeches revealed the group of stimulating words, which promotes switching, but does not condition it with necessity. These are the following:

1. Proper names;
2. Lexical transfers (e.g. Faculty of Physics, public medicine, cross, chemical formula, communist, communist party, ministry of education);
3. Borrowings (hard, case, weeding etc.);

4. Bilingual homophones: we very seldom meet bilingual homophones in Tsovatush and Georgian languages. Such homophone may be regarded *ese* (here, so), which is the adverb of place (here) in Tsovatush language, but it is the adverb of manner (so) in Georgian. Also *da* (and, is) may be considered as bilingual homophone as it is the coordinating conjunction in Georgian language, but it is the verb *aris* (is) in Tsovatush;

5. Markers of speech. In our material we have the followings: now, such things, what could he/she do, this is, I don't know and so on.

6. Tsovatush coordinating conjunction *ã* joint to Georgian contrasting conjunction or other word and the vowel *e* having no functions which is linked to the contrasting conjunction.

Not very seldom the following correctives of articulation were revealed, which proves that speakers acknowledge their bilingual act and try to correct "the mistake".

In most cases great component parts are switched; switching on the level of the word was less fixed. Our information does not prove the opinion that switching of great component parts is more characteristic for free bilinguals. Switching one word or representing the syntagma in the form that each member of them should belong to the different language, requires improvement in both languages.

Finally: modern anatomy of Tsovatush-Georgian bilingual speeches makes us suppose that the role of matrix or parenthetical language in this language pair will not be changed due to the generations and Tsovatush language – when there will be the time of its

death – will be died as the matrix language. This makes us sure once more that the language death is only the social phenomenon and not linguistic and that the language has enclosed its linguistic resource till the end.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერთლანი ა., წოვათის ნისლეები (ხანდაზმული ნაფიქრალი); სათქმელი პირველი: პატარა ხატი დიდ ეკლესიაში (ტერმინოლოგიური წესრიგისთვის ქვეყანაში), თბ., 2009.

2. ბერთლანი ა., წოვათუშური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

3. ბერთლანი ა., სმოვანთა ხასიათისა და გენეზისის ზოგადფონეტიკური საკითხები თუშური ენის მეხსიერების ფონზე (გზის მონახაზისთვის სმოვანებიდან თანხმონებამდე), გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.

4. ბერთლანი ა., მიქელაძე მ., გიგაშვილი ქ., წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტომი I, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012 (ა).

5. ბერთლანი ა., მიქელაძე მ., გიგაშვილი ქ., წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი, ტომი II, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2013.

6. ბუქურაული ივ., ტბათანიდან წოვათამდინ (მგზავრის შენიშვნები), ჟურნ. „მოამბე“, №8-9, 1897.

7. გაგუა რ., ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის სმოვანებში: იკე, 8, თბ., 1956.

8. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი, გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

9. გიგაშვილი ქ., თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010;

10. გიგაშვილი ქ., წოვათუშების თანამედროვე ეთნო-სოციოლოგიის ტური პროფილი, გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2014.

11. გოგოლაშვილი გ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია; სალიტერატურო ენა; გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2011.

12. ლაღარია ნ., სოციოლოგიის ტიკა, თბ., 2002.

13. მარგანი-სუბარი ქ., ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი, თბ., 2008-2009.

14. მიქელაძე მ., ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში, I ნაწილი, ლექსიკა და ფონოლოგია, გამომცემლობა „გლობუსი“, თბ., 2008.

15. მიქელაძე მ., წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.

16. მიქელაძე მ., წოვათუშური ზმნის მორფოლოგიის საკითხები, გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2013.

17. მიქელაძე მ., თანამედროვე წოვათუშური ენის მარტივი წინადადების სინტაქსი, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.

18. მიქელაძე მ., ბერთლანი ა., გიგაშვილი ქ., ცისკარიშვილი მ., წოვათუშური ტექსტები, ნაწილი I, საისტორიო-საგმირო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, საწუთისოფლო, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011.

19. მიქელაძე მ., ბერთლანი ა., გიგაშვილი ქ., წოვათუშური ტექსტები, ნაწილი II (ეთნოგრაფიული), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014.

20. მიქელაძე მ., ბერთლანი ა., წოვათუშური ტექსტები, ნაწილი III, ალექსი მიქელაძე, 100 ლექსი, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2015.

21. ჩანტლაძე ი., მარგიანი-ღაღვანი, ქ., მარგიანი-სუბარი, ქ., საღლიანი, მ., იოსელიანი, რ. კოლორული ქრონიკები (გამოკვლევა-ბითურთ), ტ. I, თბ., 2007-2010.

22. **Abbassi, A.** (1977). A sociolinguistic analysis of multilingualism in Morocco. Ph.D. Thesis. University of Texas at Austin.

23. **Aitchison, J.** (1994). Words in the Mind. An Introduction to the Mental Lexicon. 2nd ed., Oxford: Blackwell.

24. **Alvarez-Cáccamo, C.** (1998). "From 'Switching Code' to 'Code-switching': Towards a Reconceptualization of Communicative Codes." In Peter Auer (ed.) *CodeSwitching in Conversation: Language, Interaction, and Identity*, 29-48. London: Routledge.

25. **Alvarez-Cáccamo, C.** (2000). "Para um Modelo do 'Code-switching' e a Alternancia de Variedades como Fenomenos Distintos: Dados do Discurso Galego-Portuges/Espanhol na Galiza" (Toward a Model of 'Code-switching' and the Alternation of Varieties as Distinct Phenomena: Data from Galician Portuguese/Spanish Discourse in Galicia). *Estudios de Sociolinguística* 1(1): 111-128.

26. **Appel, R. Muysken, P.** (1987). *Language Contact and Bilingualism*. London: Arnold.

27. **Auer, J. C. P.** (1984). On the Meaning of Conversational Code-Switching', in J. C. Auer and A. Di Luzio (eds.). *Interpretative Sociolinguistics: Migrants \_ Children \_ Migrant Children* (Tübingen: Niemeyer), 87-108.

28. **Auer, J. C. P.** 1995. "The Pragmatics of Code-switching: A Sequential Approach." In Lesley Milroy and Pieter Muysken (eds.) *One Speaker, Two Languages: Crossdisciplinary Perspectives on Code-*

switching, 115-135. Cambridge: Cambridge University Press.

29. **Auer J. C. P.** (ed.). (1998). *Code-switching in Conversation: Language, Interaction, and Identity*. London/ New York: Routledge.

30. **Auer, J. C. P.** (1999). "From codeswitching via language mixing to fused lects: Toward a dynamic typology of bilingual speech". In: *International Journal of Bilingualism* 3, 309-332.

31. **Auer, J. C. P.** (2002). *Code-Switching in Conversation: language, interaction and Identity*: Routledge, 2002: <https://books.google.ge/books?id=DHk41SX3tYC&printsec=frontcover&source>

32. **Auer, J. C. P. Muhamedova R.** (2005). 'Embedded language' and 'matrix language' in insertional language mixing: Some problematic cases: *Rivista di Linguistica* 17.1. pp. 35-54: <http://www.italian-journal-linguistics.com/wp-content/uploads/03.Auer01.De.pdf>

33. **Auer, J. C. P.** (ed.). (2013). "Code-Switching in Conversation: language, interaction and Identity", Routledge, 2013.

34. **Ayoemoni. M. O.** (2006). *Code-Switching and Code-Mixing: Style of Language Use in Childhood in Yoruba Speech Community. Journal of African Studies* (15th ed.). Obafemi Awolowo University. Ile-Ife, Nigeria.

35. **Azuma, Shoji** (1993). The frame-content hypothesis in speech production: evidence from intrasentential codeswitching. *Linguistics* 31: 1071-94.

36. **Backus, Ad.** (1992). *Patterns of language Mixing. A study in Turkish-Dutch Bilingualism*. Otto Harrassowitz, Wiesbaden, Germany.

37. **Baker, C. & Sylvia, P. J.** (1998). *Encyclopedia of bilingualism and bilingual education*. Clevedon, Avon, UK: Multilingual Mat-

ters [Distrib. in the US by Taylor & Francis, Philadelphia].

38. **Bani-Shoraka, H.** (2005). Language Choice and Code-switching in the Azerbaijani Community in Tehran: A Conversation Analytic Approach to Bilingual Practices. Uppsala, Sweden: Acta Universitatis Upsaliensis.

39. **Barker, G.** (1947). "Social Functions of Language in a Mexican-American Community." *Acta Americana* 5: 185-202.

40. **Bassiouney, R.** (2006). Functions of Code Switching in Egypt: Evidence from Monologues.

41. **Bavin, E., Shopen, T.** (1985). Warlpiri and English: Languages in contact. In: M. Clyne (Ed.), Australia, Meeting Place of Languages. Canberra: Department of Linguistics, Australia National University.

42. **Beardsmore, H. B.** (1986). Bilingualism: Basic Principles, *Second Edition Multilingual Matters* 1, England.

43. **Belazi, H., Rubin E. Toribio A. J.** (1994). "Code Switching and X-Bar Theory: The Functional Head Constraint." *Linguistic Inquiry* 25 (2): 221-237.

44. **Bell, A.** (1984). 'Language Style as Audience Design'. *Language in Society*, 13 2 145-204.

45. **Benson, E.** (2001). "The Neglected Early History of Codeswitching Research in the United States." *Language & Communication* 21: 23-36.

46. **Bentahila, A.** (1983a). Language attitudes among Arabic-French bilinguals in Morocco, Clevedon, Avon: Multilingual Matters.

47. **Bentahila, A.** (1983b). Motivations for code-switching among Arabic-French code-switching. *Language & Communication* 3: 233-43.

48. **Bentahila, A., Davies, E. D.** (1983). The syntax of Arabic-French code-switching. *Lingua* 59: 301-30.

49. **Bentahila, A., Davies, E. D.** (1991). Constraints on code-switching: a look beyond grammar. In *Papers for the Symposium on Code-Switching and Bilingual Studies: Theory, Significance and Perspective*, Barcelona, pp. 396-404. Strasbourg: ESF.

50. **Berk-Seligson, S.** (1986). 'Linguistic Constraints on Intra-sentential Code-switching: A Study of Spanish/Hebrew Bilingualism'. *Language in Society*, 15, 3, 313-348.

51. **Berruto, Gaetano** (1990). "Italiano regionale, commutazione di codice e enunciati mistilingui". In: Cortelazzo, A. M./Mioni, M.A. (eds.) *L'italiano regionale. Atti del XVIII Congresso internazionale di Studi della Società di linguistica italiana*. Roma: Bulzoni, 369-387.

52. **Berthold, M., Mangubhai, F., Batorowicz, K.** (1997). *Bilingualism & Multiculturalism: Study Book*. Distance Education Centre, University of Southern Queensland: Toowoomba, QLD.

53. **Blankenhorn, R.** (2003). *Pragmatische Spezifika der Kommunikation von Russlanddeutschen in Sibirien. Entlehnung von Diskursmarkern und Modifikatoren sowie Code-switching*. Frankfurt et al.: Lang.

54. **Blom, J-P., Gumperz J. J.** (1972). Social meaning in linguistic structures: Code-switching in Norway. In *Directions in sociolinguistics*, ed. by J. J. Gumperz and D. H. Hymes, 407—434. New York: Holt, Rinehard and Winston. BROWN, R. w.

55. **Bloomfield L.** (1933). *Language Arts & Disciplines* University of Chicago Press.

56. **Boeschoten, H. E., Verhoeven. L. T.** (1985). *Integration nie-*

derlandischer lexikalischer Elemente ins Türkische: Sprachmischung bei Immigranten der ersten and zweiten Generation. *Linguistische Berichte*, 98, 347-364.

57. **Bokamba, E.** (1989). Are there Syntactic Constraints on Code-mixing? *World Englishes* 8 (3).

58. **Borbely, A.** (2000). The Process and Maintenance : A Sociolinguistic Research in the Romanian Minority Community in Hungary: [http://rss.archives.ceu.hu/archive / 0 0001155/01/167.pdf](http://rss.archives.ceu.hu/archive/00001155/01/167.pdf)

59. **Bot, Kes de** (1992). "A bilingual production model: Levelt's 'speaking' model adapted". In: *Applied Linguistics*, 13, 1-24.

60. **Bot, K. de, Schreuder, R.** (1993). "Word production and the bilingual lexicon". In: Schreuder, R./Weltens, B. (eds.), *The Bilingual Lexicon*. Amsterdam/Philadelphia: Benjamins, 191-214.

61. **Boumans, L.** (1998). The syntax of code switching: analyzing Moroccan Arabic/Dutch conversation, doctoral dissertation, Nijmegen University, *Studies in Multilingualism* 12, Tilburg University Press.

62. **Brown, R. Gilman, A.** (1960). The Pronouns of Power and Solidarity. In Sebeok, T. A. (ed.), *Style in Language*, 253-276. Cambridge, Mass: MIT Press.

63. **Butzkamm, W.** (1993). Psycholinguistik des Fremdsprachenunterrichts. Natürliche Künstlichkeit: Von der Muttersprache zur Fremdsprache. 2nd ed., Tübingen/Basel: Francke.

64. **Canagarajah, A. S.** (1995). Functions of Codeswitching in ESL Classrooms: Socialising Bilingualism in Jaffna. *Journal of Multilingual and Multicultural Development*, 6 (3), 173-175.

65. **Cenoz, J. Fred G.** (2001). Trends in Bilingual Acquisition.

Amsterdam: John Benjamins.

66. **Chomsky, N.** (1986). Knowledge of language: its nature, origin, and use. New York: Praeger.

67. **Chomsky, N.** (2000). Minimalist inquiries: the framework. In Roger Martin, David Michaels, and Juan Uriagereka, eds., Step by step: essays on minimalist syntax in honor of Howard Lasnik, 89-155. Cambridge, Mass.: The MIT Press.

68. **Clyne, M. G.** (1967). Transference and triggering: observations on the language assimilation of postwar German-speaking migrants in Australia. The Hague: Martinus Nijhoff.

69. **Clyne, M. G.** (1980). Triggering and language processing. *Canadian Journal of Psychology/Revue canadienne de psychologie*, Vol 34(4), Dec 1980, 400-406. <http://dx.doi.org/10.1037/h0081102>

70. **Clyne, M. G.** (1982). Multilingual Australia (Melbourne: River Seine).

71. **Clyne, M. G.** (1991). Community languages: the Australian experience. Cambridge: Cambridge University Press.

72. **Clyne, M. G.** (1994). "What can we learn from Sprachinseln?: Some observations on 'Australian German'; In: Berend, N./Mattheier, K. J. (eds.), Sprachinselforschung. Eine Gedenkschrift für Hugo Jedig. Frankfurt et al.: Lang, 105-121.

73. **Clyne, M. G.** (2003). Dynamics of Language Contact. English and Immigrant Languages. Cambridge: CUP.

74. **Cook, V.** (1991). Second Language Learning and Language Teaching. Edward Arnold/ Hodder Headline Group: Melbourne.

75. **Cook, V.** (2001). Using the First Language in the Classroom.



Canadian Modern Language Review, 57(3).

76. **Cromdal, J.** (2001). "Overlap in Bilingual Play: Some Implications of CodeSwitching for Overlap Resolution." *Research on Language and Social Interaction*, 34(4): 421-451.

77. **Crystal, D.** (1987). *The Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge University Press: Cambridge.

78. **Crystal, D.** (2007). *How language works*, Penguin Books.

79. **David, M. K.** (2003). M. K. David, Reasons for language Shift in Peninsular Malaysia, Faculty of Languages and Linguistics University of Malaya, *International Journal of the Sociology of Language*, 161, 47-53. Kuala Lumpur, Malaysia.

80. **Dell, G. S., Reich, P. A.** (1980): "Toward a unified model of the slips of the tongue". In: Fromkin, V. A. (ed.), *Errors in Linguistic Performance: Slips of the Tongue, Ear, Pen, and Hand*. New York et al.: Academic Press, 273-286.

81. **Diebold A. R. Jr.** (1961). Incipient Bilingualism, *Language* 37.97-112.

82. **Dil, A. S.** (1971). "Introduction." In John J. Gumperz, *Language in Social Groups: Essays by John J. Gumperz*. Stanford: Stanford University Press.

83. **Di Pietro, R.** (1977). Codeswitching as a Verbal Strategy among Bilinguals. In F. Eckman (Ed.) *Current Themes in Linguistics: Bilingualism, Experimental Linguistics and Language Typologies*. Washington, DC: Hemisphere.

84. **Di Sciullo, A., M., Edwin W.** (1987). *On the Definition of a Word*. Cambridge, MA: MIT Press.

85. **Di Sciullo, A. M., Muysken, P., Singh, R.** (1986). 'Government and Code-Mixing'. *Journal of Linguistics*, 22, 1-24.

86. **Doron, E.** (1981). On formal models of code-switching. Manuscript, University of Texas at Austin.

87. **Eid, M.** (1992). Directionality in Arabic-English code-switching. In *The Arabic language in America: a sociolinguistic study of a growing bilingual community*, Aleya Rouchdy (ed.), pp. 50-71. Detroit: Wayne State University Press.

88. **Ervin-Tripp, S.** (1964). "An Analysis of the Interaction of Language, Topic and Listener." *American Anthropologist* 66(6): part 2, 86-102.

89. **Fano, R. M.** (1950). lecture notes. 6.574.

90. **Ferguson Ch. A.** (1959). Diglossia. Word 15.

91. **Fishman, J. A.** (1967). Bilingualism with and without Diglossia; Diglossia with and without Bilingualism: *Journal of Social Issues* 23 (2): 29–38.

92. **Fishman, J. A.** (1972). *The Sociology of Language: An Interdisciplinary Social Science Approach to Language in Society*. Rowley USA: Newbury House Publishers.

93. **Fishman, J. A.** (2000). Who speaks what language to whom and when? In Li WEI. *The Bilingualism Reader*. UK: Routledge.

94. **Ford, Sh.** (2001). Language Shift among Hawaii's Japanese-Americans, SLS 499: Directed Reading, Summer: [http://www2.hawaii.edu/~sford/research/japan\\_am\\_biling/index.html](http://www2.hawaii.edu/~sford/research/japan_am_biling/index.html)

95. **Fotos, S.** (2001). "Codeswitching By Japan's Unrecognized Bilinguals: Japanese University Students' Use Of Their Native Lan-

guage As A Learning Strategy.” In Mary Goebel Noguchi and Sandra Fotos (eds.) *Studies in Japanese Bilingualism*. Clevedon: Multilingual Matters.

96. **Franceschini, R.** (1998). “Code-switching and the notion of code in linguistics: Proposals for a dual focus model”. In: Auer (ed.), 51-75.

97. **Friedrich, Paul**, 1972. “Social Context and Semantic Feature: The Russian Pronominal Usage.” In John Gumperz and Dell Hymes (eds.) *Directions in Sociolinguistics: The Ethnography of Communication*, 270-300. New York: Holt, Rinehart and Winston.

98. **Fries C. C., Pike K. L.** (1949). “Coexistent phonemic systems”, *Language*, 25, 29-50.

99. **Gafaranga, J.** (2001). “Linguistic Identities in Talk-in-Interaction: Order in Bilingual Conversation.” *Journal of Pragmatics* 33(12): 1901-1925.

100. **Gal, S.** (1979). *Language Shift: Social Determinants of Linguistic Change in Bilingual Austria*. New York: Academic Press.

101. **Gal, S.** (1987). Codeswitching and consciousness in the European periphery, *American Ethnologist* 14, 4: 637-653.

102. **Gal, S.** (1995). Cultural bases of language use among German-speakers in Hungary. *International Journal of the Sociology of Language* 111: 93-102.

103. **Gardner-Chloros, P.** (1985). Language Selection and Switching among Strasbourg Shoppers’, *International Journal of the Sociology of Language*, 54: 117-35.

104. **Gardner-Chloros, P.** (1991). *Language Selection and Switching in Strasbourg*. Oxford: Oxford University Press.

105. **Garnham, A. et al.** (1982). “Slips of the tongue in the London-Lund corpus of spontaneous conversation”. In: *Cutler, A. (ed.), Slips of the Tongue and Language Production*. Berlin/New York/Amsterdam: Mouton, 251- 263.

106. **Garrett, M. F.** (1990). Sentence processing. In: D. Osherson and H. Lasnik (Eds.), *An Invitation to Cognitive Science* , v. 1. Cambridge, MA: MIT Press.

107. **Genishi, C.** (1981). Code-switching in Chicano six-year-olds. In R. P. Duran (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex. 133-52.

108. **Gigashvili, K., Gotsiridze, G.** (2014a). About One Case of Linguistic Influence of Migration: *International Journal of Advances in Social Science and Humanities* (IJASSH) pp. 5-14.<file:///C:/Users/home/Downloads/0202092014.pdf>

109. **Gigashvili, K., Gotsiridze, G.** (2014b). Culture Shift in the Context of Language Shift: *Research Inventy: Internastioanal Journal of Engineering and Science*, vol. 4, Issue 8 (August), pp. 24-28. <http://www.researchinventy.com/papers/v4i8/D048024028.pdf> 2014.

110. **Gigashvili, K.** (2014c). The Principal Features of Tsovatush-Georgian Bilingualism: *International Proceedings of Economics Development and Research, Language, Medias and Culture III*, volume 77, “IACSIT Press”, Singapore, PP: 24-29, [http://www.ipedr.com/vol77/006-ICLMC2014\\_N00013.pdf](http://www.ipedr.com/vol77/006-ICLMC2014_N00013.pdf) 2014

111. **Gigashvili, K.** (2014d). Ethno Portrait of Tsovatush People: *The iafor european conference series* 2014; PP: 102-112. [http://iafor.org/Proceedings/ECAH/ECAH2014\\_proceedings.pdf](http://iafor.org/Proceedings/ECAH/ECAH2014_proceedings.pdf)

112. **Gigashvili, K.** (2014e). Nationality and Ethnicity of Tsova-tush People from Sociolinguistic Viewpoint, *International Proceedings of Economics development and Research: Humanity and Social Sciences*, vol. 80, edited by Feng Tao, IACSIT Press, Singapore, pp: 5-10. <http://www.ipedr.com/vol80/002-ICHSS2014-K023.pdf> 2014.

113. **Gingras, R.** (1974). Problems in the description of Spanish-English intra-sentential code-switching. In G. A. Bills (ed.), *Southwest areal linguistics*. San Diego: Institute for Cultural Pluralism. 1967- 75.

114. **Green, D. W.** (1998). "Mental control of the bilingual lexico-semantic system". *Bilingualism: Language and Cognition*, 1, 67-81.

115. **Greggio, S., Gil, G.** (2007). Teacher's and learners' use of code switching in the English as a foreign language classroom: A qualitative study. *Linguagem & Ensino*, V. 10, issue 2, pp. 371-393.

116. **Grosjean, F.** (1982). *Life with two languages*. Cambridge, MA: Cambridge University Press.

117. **Grosjean, F.** (1988). "Exploring the Recognition of Guest Words in Bilingual Speech". In: *Language and Cognitive Processes*, 3, 233-274.

118. **Grosjean, F.** (1995). "A psycholinguistic approach to code-switching: the recognition of guest words by bilinguals". In: Milroy/Muysken (eds.), 259-275.

119. **Gumperz, J. J.** (1957). Some remarks on regional and social language differences in India. In *Introducing Indian in liberal education*, Milton Singer, editor, pp. 69-79. Chicago: University of Chicago Press.

120. **Gumperz, J. J.** (1958). "Dialect Differences and Social Stratification in a North Indian Village." *American Anthropologist*, 60, 668-681.

121. **Gumperz, J. J.** (1961). "Speech Variation and the Study of Indian Civilization." *American Anthropologist*, 63, 976-988.

122. **Gumperz, J. J.** (1962). 'Types of linguistic communities', *Anthropological Linguistics*, 4: 28-40. (Reprinted (1972) in J. A. Fishman (ed.), *Readings in the Sociology of Language*. The Hague: Mouton, pp. 460-472.

123. **Gumperz, J. J.** (1964a). "Hindi-Punjabi Code-switching in Delhi." In H. Hunt (ed.): *Proceedings of the Ninth International Congress of Linguistics*, 1115-1124. The Hague: Mouton.

124. **Gumperz, J. J.** (1964b). "Linguistic and Social Interaction in Two Communities." *American Anthropologist*, 66(6): part 2, 137-153.

125. **Gumperz, J. J.** (1970). "Verbal Strategies and Multilingual Communication." In *Georgetown Round Table on Language and Linguistics*, edited by James E. Alatis. Washington, DC: Georgetown University Press.

126. **Gumperz, J. J.** (1971). Bilingualism, bidialectalism and classroom interaction. In *Language in social groups*. Stanford: Stanford University Press.

127. **Gumperz, J. J.** (1976). The sociolinguistic significance of conversational code-switching. (*Working Papers of the Language Behavior Research Laboratory*, No. 46). Berkeley: University of California.

128. **Gumperz, J. J.** (1982). *Discourse Strategies*. Cambridge: Cambridge University Press.

129. **Gumperz J. J., Naim C. M.** (1960). Formal and informal standarts in the Hindi regional language area. *International Journal of American Linguistics* 26: 92-118.

130. **Gumperz, J. J., Wilson, R.**, (1971). Convergence and Creolization: A case from Indo-Aryan Dravidian Border. Anwar S. Dil, ed. *Language in Social Groups*. California: Stanford University Press.

131. **Gumperz, J. J., Eleanor H.** (1972). The conversational analysis of social meaning: A study of classroom interaction. *Sociolinguistics: Current Trends and Prospects*, GURT 1972, ed. by Roger W. Shuy, 99-134. Washington, D.C.: Georgetown University Press.

132. **Gumperz, J. J., & Hernandez-Chavez, E.** (1975). Cognitive aspects of bilingual communication. In E. Hernandez-Chavez, A. Cohen, & A. Beltramo (eds.), *El lenguaje de los Chicanos*. Arlington, Va.: *Center for Applied Linguistics*. 154-63.

133. **Halliday, M. A. K.** (1975). *Learning How to Mean: Explorations in the Development of Language*. London: Edward Arnold.

134. **Halmari, H.** (1997). *Government and Codeswitching: Explaining American Finnish*. Amsterdam: John Benjamins.

135. **Hamers, J. F., Blanc, M.** (1982). Towards a social-psychological model of bilingual development. *Journal of Language and Social Psychology*, 1, 29-49.

136. **Hasselmo, N.** (1970). Code-switching and modes of speaking. In G. G. Gilbert (ed.), *Texas studies in bilingualism*. Berlin: de Gruyter. 179-210.

137. **Hasselmo, N.** (1972). Code-switching as ordered selection. In: E. Firchow, K. Grimstad, N. Hasselmo, and W. O'Neil (eds.), *Studies for Einar Haugen presented by friends and colleagues*. The Hagues/Paris: Mouton.

138. **Haugen, E.** (1950a). The Analysis of Linguistic Borrowing. *Language* 26, 210-231.

139. **Haugen, E.** (1950b). Problems of Bilingualism, *Lingua* 2, 271-290.

140. **Haugen, E.** (1956). Bilingualism in the Americas: *A Bibliography and Research Guide, Issue 26*, American Dialect Society. Gainesville.

141. **Heath, J.** (1989). From code-switching to borrowing: a case study of Moroccan Arabic, *Library of Arabic Linguistics, Monograph 9*, London: Kegan Paul International.

142. **Heller M.** (ed.), (1988). "The Political Economy of Code Choice." In: *Codeswitching: Anthropological and Sociolinguistic Perspectives*, 243-261. Berlin: Mouton de Gruyter.

143. **Heller, M.** (1988a). "Strategic Ambiguity: Code-switching in the Management of Conflict." In Monica Heller (ed.) *Codeswitching: Anthropological and Sociolinguistic Perspectives*, 77-96. Berlin: Mouton de Gruyter.

144. **Heller, M.** (1992). "The Politics of Codeswitching and Language Choice." In Carol Eastman (ed.) *Codeswitching*, 123-142. Clevedon: Multilingual Matters.

145. **Heller, M.** (1995). "Code-switching and the Politics of Language." In Lesley Milroy and Pieter Muysken (eds.) *One Speaker, Two Languages: Cross-disciplinary Perspectives on Code-switching*. Cambridge: Cambridge University Press.

146. **Heller, M.** (1999). *Linguistic Minorities and Modernity: A Sociolinguistic Ethnography*. London: Longman.

147. **Heller, M., Pfaff, C. W.** (1996). "Code-switching". In: Goebel, H. et al. (eds.), *Contact Linguistics. An International Handbook of Con-*



*temporary Research*. Vol 1., Berlin/New York: de Gruyter, 594-609.

148. **Heredia, R. R. Brown J. M.**, (2012). *The Handbook of Bilingualism and Multilingualism*, Second Edition, Published Online.

149. **Hill, J.** (1985). "The Grammar of Consciousness and the Consciousness of Grammar." *American Ethnologist* 12 (4): 725-737.

150. **Hockett, C. F.** (1987). *Refurbishing our Foundations*, Amsterdam / Philadelphia.

151. **Hoffmann, Ch.** (1991). *An introduction to Bilingualism*, New York.

152. **Huerta-Macías, A.** (1981). Codeswitching: All in the family. In R. P. Dur5n (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex, 153-68.

153. **Hymes, D.** (1962). *The Ethnography in Speaking*. Washington D.C. Anthropology society of Washington.

154. **Jackendoff, R.** (1997). The Architecture of the Language Faculty. *Computational Linguistics*, Volume 24, Number 4 Cambridge, MA: MIT Press.

155. **Jake, J. L., Myers-Scotton C.** (1997). 'Codeswitching and compromise strategies: implications for lexical structure.' *International Journal of Bilingualism*, 1: 25-39.

156. **Jake, J. L., Myers-Scotton C., Gross St.** (2002). "Making a Minimalist Approach to Codeswitching Work: Adding the Matrix Language." *Bilingualism: Language and Cognition*, 5(1): 69-91.

157. **Jakobson, R., Fant, G., Halle, M.** (1952). *Preliminaries to Speech Analysis. The distinctive features and their correlates*. Acoustics Laboratory, Massachusetts Inst. of Technology, Technical Report No. 13 (58 pages). (Re-published by MIT press, seventh edition, 1967).

**158. Jakobson, R.** (1961). Linguistics and communication theory, in *Proceedings of Symposia in Applied Mathematics XII*, repr. in *Selected Writings, Vol. II: Word and Language*, Mouton, 1971, pp 570-579. Presented in the *Symposium on Structure of Language and Its Mathematical Aspects*, New York, 15 April, 1960.

**159. Jakobson, R.** (1963/1961). Linguistique et théorie de la communication, in *Essais de Linguistique Générale*, I, Paris: Editions de Minuit, 87-99.

**160. Jakobson, R.** (1984/1961). La Lingüística y la teoría de la comunicación, in *Ensayos de Lingüística General*, Barcelona: Ariel, 79-94.

**161. Jakobson, R.** (1977). The Social Implications of Intrasentential Codeswitching, in R. Romo and R. Paredes (eds.), *New Directions in Chicaono Scholarship* (special issue of the *New Scholar*) (San Diego, Calif.: University of California), 227-256.

**162. Jakobson, R.,** (ed.). (1990). *Codeswitching as a Worldwide Phenomenon*. New-York: Peter Lang.

**163. Jalil, Samira Abdel,** Grammatical Perspective on Code-switching: *ReVEL*, vol. 7, n. 13, 2009.

**164. Joshi, A.** (1981). Some problems in processing sentences with intra-sentential code-switching. Paper presented at the University of Texas Parsing Workshop.

**165. Joshi, A.** (1985). "How much Context-sensitivity is Necessary for Assigning Structural Descriptions: Tree Adjoining Grammars." In D. Dowty, L. Karttunen, and A. Zwicky (eds.) *Natural Language Parsing*. Cambridge: Cambridge University Press.

**166. Kachru, B. B.** (1977). *Code-switching as a communicative*

strategy in India. In *Linguistics and Anthropology*, M. Saville-Troike (ed.). Georgetown University Round Table on Languages and Linguistics. Washington D.C.: Georgetown University Press.

167. **Karen, K. Y. C.** (2003). Codeswitching for a Purpose: Focus on Preschool Malaysian Children. *Multilingua*, 22, 59-77.

168. **Krashen, Stephen D.** (1981). *Second Language Acquisition and Second Language Learning*. Oxford: Pergamon Press.

169. **Lado, R.** (1964). *Language Teaching*, New York: McGraw-Hill.

170. **Lambert, W. E. and G. R. Tucker, G. R.** (1972). *Bilingual Education of Children: The St. Lambert Experiment*, Newbury House Publishers.

171. **Lance, D.M.** (1975). Spanish-English code-switching. In *El lenguaje de los chicanos*, E. Hernandez-Chavez & A Beltramo (eds.). Arlington, VA: Center for Applied Linguistics.

172. **Levelt, W.** (1989). *Speaking: From intention to articulation*. Cambridge, Mass.: MIT Press.

173. **Levelt, W. J. M., Roelofs, A., Meyer, A. S.** (1999). "A theory of lexical access in speech production". In: *Behavioral and Brain Sciences*, 22, 1-75.

174. **Mackey, W. F.** (1962). *The Description of Bilingualism*, Toronto.

175. **Maehlum, B.** (1996). "Codeswitching in Hemnesberget – Myth or Reality?" *Journal of Pragmatics* 25, 749-761.

176. **Malik, L.** (1994). *Sociolinguistics: A Study of Codeswitching*. New Delhi: Anmol.

177. **Matras, Y.** (1998). "Utterance modifiers and universals of grammatical borrowing". In: *Linguistics* 36, 281-331.

178. **May, St.** (2008). *Language and Minority Rights: Ethnicity, Nationalism and the Politics of Language* [Paperback], Routledge: <http://www.amazon.com/Language-Minority-Rights-Ethnicity-Nationalism/dp/0805863060>.

179. **McClure, E.** (1981). Formal and functional aspects of the code-switched discourse of bilingual children. In R. P. Duran (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex. 69-94.

180. **McClure, E., McClure M.** (1988). "Macro- and Micro-sociolinguistic Dimensions of Code-switching in Vingard (Romania)." In Monica Heller (ed.) *Codeswitching: Anthropological and Sociolinguistic Perspectives*, 25-51. Berlin: Walter de Gruyter.

181. **Meeuwis, M., Blommaert, J.** (1998). "A monolectal view of code-switching: Layered code-switching among Zairians in Belgium". In: Auer (ed.), 76-98.

182. **Merrit, M., Cleghorn, A., Abagi, J, Bunyi, G.** (1992). Sociolising Multilingualism: Determinants of Codeswitching in Kenyan Primary Classrooms. In C, Eastman (Ed.) *Codeswitching* (pp.103-124). Clevedon: Multilingual Matters.

183. **Milroy, L.** (1987). *Observing & Analysing Natural Language: A Critical Account of Sociolinguistic Method*. Blackwell Publishers: Oxford.

184. **Milroy, L. Muysken P.** (1995). *One Speaker, Two Languages: Crossdisciplinary Perspectives on Code-switching*. Cambridge: Cambridge University Press.

185. **Molony, C.** (1977). Recent relexification processes in Philipines Creole Spanish. In: B. G. Blount and M. Sanches (Eds.), *Sociocul-*

*tural Dimensions of Language Change*. New York: Academic Press, Inc.

186. **Muthusamy, P.** (2009). Communicative functions and reasons for code switching: A Malaysian perspective *Universiti Putra Malaysia, 43400 UPM Serdang, MALAYSIA*.

187. **Muysken, P.** (2000). Bilingual speech. A typology of code-switching. Oxford: Cambridge University Press.

188. **Myers-Scotton, C.** (1972). Choosing a Lingua Franca in an African Capital. Edmonton: Linguistic Research.

189. **Myers-Scotton, C.** (1976). "Strategies of Neutrality: Language Choice in Uncertain Situations." *Language* 52(4): 919-941.

190. **Myers-Scotton C., Ury W.** (1977). Bilingual strategies: the social functions of code-switching, *International Journal of the Sociology of Language*, 13: 5-20. [Also, *Linguistics* 193 (1977): 5-20.]

191. **Myers-Scotton, C.** (1983). "The Negotiation of Identities in Conversation: A Theory of Markedness and Code Choice." *International Journal of the Sociology of Language*, 44, 115-136.

192. **Myers-Scotton, C.** (1988). Code-switching and types of multilingual communities. In *Language Spread and Language Policy*, P. Lowenberg (ed.), pp.61-82. Washington, D.C.: Georgetown University Press.

193. **Myers-Scotton, C.** (1990). Codeswitching and borrowing: Interpersonal and macrolevel meaning. In *Codeswitching as a Worldwide Phenomenon*, ed. Rodolfo Jacobson, 85-105. American University Studies, Series XIII, Linguistics 11. New York: Peter Lang.

194. **Myers-Scotton, C.** (1993). "Social Motivations for Codeswitching: Evidence from Africa", Oxford: Clarendon Press.

195. **Myers-Scotton, C.** (1993a). *Duelling Languages: grammati-*

cal structure in codeswitching. Oxford: Clarendon University Press.

196. **Myers-Scotton, C., Jake J. L.** (1995). Matching lemmas in a bilingual language production model: Evidence from intrasentential codeswitching. *Linguistics*, 33, 981-1024.

197. **Myers-Scotton, C., Jake J. L. Okasha, M.** (1996). "Arabic and constraints on codeswitching". In *Perspectives on Arabic Linguistics IX*, Mushira Eid and Dilworth Parkison (eds.), pp.9-43. Amsterdam: Benjamins.

198. **Myers-Scotton, C.** (1998). Codes and Consequences: Choosing Linguistic Varieties. New York: Oxford University Press.

199. **Myers-Scotton, C., Jake J. L.** (2000a). Four types of morpheme: Evidence from aphasia, codeswitching, and second language acquisition. *Linguistics*, 38, 1053-1100.

200. **Myers-Scotton, C., Jake J. L.** (eds.). (2000b). Testing a model of morpheme classification with language contact data. *International Journal of Bilingualism*, 4, 1-8.

201. **Myers-Scotton, C., Jake J. L.** (2001). Explaining aspects of codeswitching and their implications. In J. Nicol (ed.), *One mind, two languages: Bilingual language processing* (pp. 84-116). Oxford, U. K: Blackwell.

202. **Myers-Scotton, C., Jake J. L.** (2001). "Four Types of Morpheme: Evidence from Aphasia, Code Switching, and Second-Language Acquisition." *Linguistics* 38(6): 1053-1100.

203. **Myers-Scotton, C., Bolonyai A.** (2001). "Calculating Speakers: Codeswitching in a Rational Choice Model." *Language in Society*, 30, 1-28.

204. **Myers-Scotton, C.** (2002). *Contact Linguistics: Bilingual Encounters and Grammatical Outcomes*, Oxford University Press:[https://books.google.ge/books?id=krRcXJJJaMcC&printsec=frontcover&source=gbs\\_ge\\_summary\\_r&cad=0#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=krRcXJJJaMcC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false)

205. **Myers-Scotton, C.** (2006/2013). *Multiple Voices, An Introduction to Bilingualism*, Australia.

206. **Nait M'Barek, M., Sankoff D.** (1988). Le discours mixte arabe/français: emprunts ou alternances de langue? *Canadian Journal of Linguistics*, 33(2). 143-154.

207. **Namba, K.** (2005). „An overview of Myers-Scotton's Matrix Language Frame model“, [en linea] Educational Research Bulletin Senri International School 9&10. Disponible en <http://yayoi.senri.ed.jp/research/re09/namba.pdf> [Consulta: 27.04.2015].

208. **Naseh, L.** (1997). Codeswitching between Persian and Swedish, *Eurosla 7 Proceedings*: 201-211.

209. **Nehama, J.** (1977). *Dictionnaire du judeo-espagnol*. Madrid: Instituto Arias Montano.

210. **Nelde, P. H.** (1997). Language conflict. In F. Coulmas (Ed.). *The Handbook of Sociolinguistics*. Oxford: Blackwell, pp. 285-300.

211. **Nicolle, A. Nicolle, St.** (2006). SIL Electronic Book Reviews 2006-006 *Contact Linguistics: Bilingual encounters and grammatical outcomes* By Carol Myers-Scotton Oxford: Oxford University Press, 2002. Pp. 356.

212. **Nilep Ch.** (2006). “Code Switching” in Sociocultural Linguistics, University of Colorado, Boulder Colorado Research in Linguistics. June 2006. Vol. 19. Boulder: University of Colorado:

[http://www.colorado.edu/lin/CRIL/Volume19\\_Issue1/paper\\_NILEP.pdf?q=sociocultural](http://www.colorado.edu/lin/CRIL/Volume19_Issue1/paper_NILEP.pdf?q=sociocultural).

213. **Nishimura, M.** (1997). *Japanese-English Code-switching: Syntax and Pragmatics*. New York: P. Lang.

214. **Nordquist, R.** code switching (language): <http://grammar.about.com/od/c/g/codeswitchingterm.htm>

215. **Nortier, J.** (1989). *Dutch and Moroccan Arabic in contact: code-switching among Moroccans in the Netherlands*. Unpublished Ph.D. thesis, University of Amsterdam.

216. **Nortier J.** (1990a). *Dutch-Moroccan Arabic Code-Switching among Moroccans in the Netherlands*. Dordrecht: Foris.

217. **Nortier, J.** (1990b). *Code-switching and borrowing*. Paper presented at the Workshop on Ethnic Minority Languages, Gilze-Rijen.

218. **Nortier, J.** (1995). *Code-switching in Moroccan Arabic/Dutch versus Moroccan Arabic/French language contact*, *International Journal of the Sociology of Language*, Vol. 112: 81-95.

219. **Paul, H.** (1898). *Principien der Sprachgeschichte*, Halle, Niemeyer.

220. **Pfaff, C. W.** (1976). *Functional and structural constraints on syntactic variation in code-switching*. In B. Steever et al. (eds.), *Papers from the parasession on diachronic syntax*. Chicago: Chicago Linguistic Society. 248-59.

221. **Pfaff, C. W.** (1979). *Constraints on language mixing*. *Language*, 55: 291-318.

222. **Pohl, J.** *Bilingualismes*, *Revue Romaine de Linguistique*,



10, 1965.

**223. Poplack, Sh.** (1980). "Sometimes I'll Start a Sentence in Spanish y Termino en Espanol: Toward a Typology of Code-switching." *Linguistics* 18(233-234): 581-618.

**224. Poplack, Sh.** (1981). Syntactic structure and social function. In R. P. Durhn (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex. 169-84.

**225. Poplack, Sh. Meechan, M.** (1998). "How languages fit together in codemixing". In: *International Journal of Bilingualism*, 2 (2) , 127-138.

**226. Poulisse, N. Bongaerts, Th.** (1994). "First language use in second language production". In: *Applied Linguistics*, 15, 36-57.

**227. Preziosa-Si Q. I.** (1992). "Teoreticamente la firma fa indietro". Frammistione di italiano e Schwyzertütsch nella conversazione di figli di emigrati, Unpublished Master Thesis, University of Zurich.

**228. Rampton, B.** (1995). *Crossing: Language and Ethnicity among Adolscents*. London: Longman.

**229. Redouane, R.** (2005). Linguistic Constraints on Codeswitching and Codemixing of Bilingual Moroccan Arabic-French Speakers in Canada: *Proceedings of the 4th International Symposium on Bilingualism*, ed. James Cohen, Kara T. McAlister, Kellie Rolstad, and Jeff MacSwan, 1921-1933. Somerville, MA: Cascadilla Press.

**230. Riehl C. M.** (2005). Code-switching in Bilinguals: Impacts of Mental Processes and Language Awareness: *Proceedings of the 4th International Symposium on Bilingualism*, ed. James Cohen, Kara T. McAlister, Kellie Rolstad, and Jeff MacSwan, 1945-1959. Somerville,

MA: Cascadilla Press.

231. **Ritchie, W. C. Bhatia T. K.** (1996). Codeswitching, Grammar, and Sentence Production: The Problem of Dummy Verbs: *Educational Resources Information Center* (ERIC).

232. **Romaine, S.** (1989). *Bilingualism*. Oxford: Basil Blackwell.

233. **Romaine, S.** (1995). *Bilingualism*. 2<sup>nd</sup>ed., Oxford: Blackwell.

234. **Sankoff, D., Poplack Sh.** (1981). "A Formal Grammar for CodeSwitching." *Papers in Linguistics* 14 (1-4): 3-45.

235. **Sankoff, David, Santa Ana, O.** (1982). A basic language analysis of codeswitched sentences. Manuscript, University of Pennsylvania.

236. **Said, J.** (1988). Codemixing and multilingual competence in Morocco. *Paper presented at the Second DutchMoroccan Symposium*, Leiden-Amsterdam, April.

237. **Schiefner, A.** (1856). Versuch über die Thusch-Sprache oder Die khistische Mundart, in Thuschetien: Зап. Имп. Акад. Наук, сер. VI, т. IX.

238. **Schmitt, E.** (2000). Overt and covert codeswitching in immigrant children from Russia. *International Journal of Bilingualism* 4: 9-28.

239. **Schweers, C. W.** (1999). Using L1 in L2 classroom. Retrieved June 20, 2012 from <http://exchanges.state.gov/forum/vols/vol37/no2/p6.htm>

240. **Sebba, M., Tony W.** (1998). "We, They and Identity: Sequential Versus Identity-Related Explanation in Code-Switching." In Peter Auer (ed.): *CodeSwitching in Conversation: Language, Interac-*

*tion and Identity*, 262-286. London: Routledge.

**241. Shaffer, D.** (1978). The place of code-switching in linguistic contacts. In M. Paradis (ed.), *Aspects of biligualism*. Columbia, S.C.: Hornbeam. 265-74.

**242. Silva-Corvalán, C.** (1980). Code-shifting patterns in Chicano Spanish. Paper presented at the conference on Spanish in the U.S. setting: *Beyond the Southwest*. Chicago: University of Illinois-Chicago Circle. To appear in L. Elfás-Olivares & D. Nasjileti (eds.), *Spanish in the United States: Beyond the Southwest*. Washington, D.C.: N.C.B.E.

**243. Skiba, R.** (1997). Code Switching as a Countenance of Language Interference The Internet TESL Journal, Vol. III, No. 10, October: <http://iteslj.org/Articles/Skiba-CodeSwitching.html>

**244. Sridhar, S.N. and Kamal K. Sridhar.** (1980). "The syntax and psycholinguistics of bilingual code-mixing." *Canadian Journal of Psychology*, 34(4):407-416.

**245. Stanlaw, J.** (1982). English in Japanese communicative strategies. In: B. Kachru (Ed.), *The Other Tongue. English across Cultures*. Champagne-Urbana: U. of Illinois Press.

**246. Stolt, B.** (1964). *Die Sprachmischung in Luthers Tischreden*, Stockholm, Almqvist & Wiksell.

**247. Stroud, C.** (1998). "Prespectives on Cultural Variability of Discourse and some Implications for Code-switching." In Peter Auer (ed.): *Code-Switching in Conversation: Language, Interaction and Identity*, 321-348. London: Routledge.

**248. Sumarsih, M. S., Syamsul B. Dedi S.** (2014). Code Switch-

ing and Code Mixing in Indonesia: *Study in Sociolinguistics English Language and Literature Studies*; Vol. 4, No. 1; 2014 Published by Canadian Center of Science and Education.

249. **Tang, J.** (2002). Using L1 in the English classroom. *English Teaching Forum*, 40 (1), 36-43. Retrieved Aug 10, 2007, from <http://exchanges.state.gov/forum/vols/vol40/no1/p36.htm#top>.

250. **Thakerar, J. N., Giles, H., Cheshire, J.** (1982). Psychological and Linguistic Parameters of Speech Accommodation Theory', in C. Fraser and K. Scherer (eds.), *Advances in Social Psychology of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 205-55.

251. **Thomason, S. G.** (2005). *Language Contact*, Edinburg University Press: [http://books.google.ge/books?id=1QFZ\\_pZ9BswQC&printsec=frontcover&source=gbs\\_ge\\_summary\\_r&cad=0#v=onepage&q&f=false](http://books.google.ge/books?id=1QFZ_pZ9BswQC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false).

252. **Timm, L. A.** (1975). Spanish-English code-switching: el porque y How-Not-To. *Romance Philology* 28:473-82.

253. **Türker E.** (2000). *Turkish-Norwegian Codeswitching*, Universitetet i Oslo, Faculty of Arts.

254. **Ullman MT** (2001). A neurocognitive perspective on language: the declarative/procedural model. *Nat Rev Neurosci*. 2001 Oct; 2 (10): 717-26. Department of Neuroscience, Georgetown University, USA.

256. **Valdds-Fallis, G.** (1976). Social interaction and code-switching patterns: A case study of Spanish/English alternation. In G. Keller et al. (eds.), *Bilingualism in the bicentennial and beyond*. New York: Bilingual. 53-85.

257. **Valdds-Fallis, G.** (1981). Code-switching as a deliberate

verbal strategy: A microanalysis of direct and indirect requests among bilingual Chicano speakers. In R. P. Durin (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex. 95-108.

258. **Vogt, H.** (1954). "Language Contacts." *Word* 10, 2-3: 365-374.

259. **Wei, L.** (1998). "The 'Why' and 'How' Questions in the Analysis of Conversational Code-Switching." In Peter Auer (ed.): *Code-Switching in Conversation: Language, Interaction and Identity*, 156-176. London: Routledge.

260. **Wei, L.** (2005). "'How can you Tell?' Toward a Common Sense Explanation of Conversational Code-Switching." *Journal of Pragmatics*, 37(3): 375-389.

261. **Weinreich, U.** (1953). *Languages in Contact*. The Hague: Mouton.

262. **Wentz, J.** (1977). Some considerations in the development of a syntactic description of codeswitching. Ph.D. dissertation, University of Kansas.

263. **Woolard, K.** (1985). "Language Variation and Cultural Hegemony." *American Ethnologist*, 12(4): 738-748.

264. **Woolard, K.** (2004). "Codeswitching." In Alessandro Duranti (ed.). *A Companion to Linguistic Anthropology*, 73-94. Malden, MA: Blackwell.

265. **Woolford, E.** (1981). A formal model of bilingual code-switching. Manuscript, Massachusetts Institute of Technology.

266. **Zentella, A. C.** (1981). *Td bien, You could answer me en cualquier idioma: Puerto Rican Codeswitching in bilingual classrooms*. In

R. P. Duran (ed.), *Latino language and communicative behavior*. Norwood, N.J.: Ablex. 109-32.

267. **Zentella, A. C.** (1997). *Growing up Bilingual: Puerto Rican Children in New York*. Malden, MA; Blackwell.

## გამოყენებული ინტერნეტწყაროები:

<http://grammar.about.com/od/c/g/codeswitchingterm.htm>

<http://www.oxforddictionaries.com/definition/english/code-switching>

<http://www.npr.org/sections/codeswitch/2013/04/08/176064688/how-code-switching-explains-the-world>

<http://home.comcast.net>

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	9
<b>Preface</b> .....	17
კვლევის მიზნები .....	24
კოდის გადართვის განმარტება .....	27
კოდის გადართვის შესწავლის ისტორიიდან .....	39
წოვათუშთა საზოგადოების სოციოლინგვისტური კონტექსტი .....	70
ენობრივი კონტაქტის ხანგრძლივობა .....	71
წოვათუშურ-ქართული ბილინგვიზმის ძირითადი მახასიათებლები .....	73
წოვათუშური ენის ცოდნის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით .....	82
ენის გადართვა და წოვათუშური ენის საფრთხის დონე .....	85
ინტერაქციის გარემო – წოვათუშური ენის მოხმარების სფეროები .....	91
ქართული ენის წოვათუშურ ენაზე ლინგვისტური გავლენის (ინტერფერენციის) მასშტაბები თანამედროვე ეტაპზე .....	94
მატრიცა ენა და ჩართული (ჩაშენებული) ენა .....	100
კოდის გადართვის ტიპები სტრუქტურული თვალსაზრისით .....	118
ლინგვისტური შეზღუდვები კოდის გადართვის დროს .....	122
კოდის გადართვის ლინგვისტური თავისებურებები	
წოვათუშურ-ქართული ბილინგვიური დისკურსის მიხედვით .....	136
ფონეტიკური მახასიათებლები .....	138
შემადგენელი ნაწილების გადართვა .....	157
კოდის გადართვა წოვათუშურიდან ქართულზე	
კოდის გადართვა მორფემის საზღვართან .....	160
გადართვა სიტყვის დონეზე .....	169
გადართვა სინტაქსის დონეზე .....	193



გადართვა ფრანის დონეზე .....	196
გადართვა წინადადებებს შორის .....	200
კოდის გადართვა ქართულიდან წოვათუ შუერზე .....	211
გადართვა სიტყვის დონეზე .....	213
გადართვა სინტაქსის დონეზე .....	215
გადართვა ფრანის დონეზე .....	217
გადართვა კოდის კოდზე .....	220
კოდის გადართვის მოტივები და ფუნქციები .....	228
კოდის გადართვის ფსიქოლინგვისტური საფუძვლები .....	270
წინასაარტიკულაციო და არტიკულაციის მომდევნო შესწორებები .....	305
ძირითადი დასკვნები .....	321
<b>Summary .....</b>	<b>337</b>
გამოყენებული ლიტერატურა .....	344
გამოყენებული ინტერნეტწყაროები .....	374
სარჩევი .....	375